



ნინო ხარატი
ზურაბ აზნაურაშვილი
ნიკა ასვანუა
თამარ დევდარიანი

ტესტირება და სასამართლო პრაქტიკის კრებული

საქართველოს ადვინისტრაციულ
სამართალში

IBSU
Publications 

2022

ტესტებისა და სასამართლო პრაქტიკის კრებული

საქართველოს
ადმინისტრაციულ სამართალში

ავტორებისაგან

წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია ტესტები და სასამართლო პრაქტიკა ზოგად ადმინისტრაციულ სამართალსა და ადმინისტრაციული სამართლის პროცესში. ტესტები შედგენილია მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის შესწავლა/ანალიზის საფუძველზე. ტესტები და სასამართლო პრაქტიკის თემატური თანმიმდევრობა შეესაბამება საქართველოს ზოგად და საპროცესო ადმინისტრაციული კოდექსებით გათვალისწინებული საკითხების სისტემას.

ნაშრომის მიზანია, ადმინისტრაციული სამართლით დაინტერესებულ პირებს დაეხმაროს მიღებული თეორიული ცოდნის შეფასებასა და განმტკიცებაში, რაც გამოიხატება საქართველოს ზოგადი და საპროცესო ადმინისტრაციული კოდექსებით გათვალისწინებულ კონკრეტულ თავებთან და საკითხებთან დაკავშირებით ტესტებისა და სასამართლო პრაქტიკის შეთავაზებაში. ამასთან, სახელმძღვანელო დაეხმარება დაინტერესებულ პირს პრაქტიკის შესწავლა - განზოგადების საფუძველზე კონკრეტული შემთხვევების პრაქტიკულ სამართლებრივ გადაწყვეტაში.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ნაშრომი გახდება ადმინისტრაციული სამართლის შესწავლის სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის და ადმინისტრაციული სამართლით დაინტერესებული პირებისათვის, რომელიც დაეხმარება მათ ადმინისტრაციულ სამართალში წარმოშობილი სამართლებრივი საკითხების სწორად გააზრებასა და გადაწყვეტაში. პროფესორ - მასწავლებლებს კი ხელს შეუწყობს თეორიული მასალის სტუდენტებისათვის პრაქტიკული სახით მიწოდებასა და მათი ცოდნის შეფასებაში.

ნაშრომი იბეჭდება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მხარდაჭერით.

რედაქტორები: მადონა ღიბრაძე, ეკა კველიძე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა

© ზურაბ აზნაურაშვილი, თამარ დევდარიანი, ნიკა ასვანუა, ნინო ხარატი 2022

© გამომცემლობა “შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი”

ტექნიკური რედაქტორი: გივი ამალღობელი

დიზაინერი: გიორგი წამალაშვილი

გამომცემლობა: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სტამბა: ვესტა

გამოცემის ნომ.: #19

ISBN

პუბლიკაციები 

საქართველო, თბილისი

2022 წელი

სარჩევი

ტესტები, როგორც სწავლების მეთოდიკა.....	6
ერთგვაროვანი სასამართლოს პრაქტიკის გამოყენების მნიშვნელობა სწავლების პროცესში.....	8
ტესტები და სასამართლო პრაქტიკა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ სამართალში...	11
თავი I. ძირითადი დებულებანი.....	11
თავი II. ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი.....	25
თავი III. ინფორმაციის თავისუფლება.....	27
თავი IV. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.....	41
თავი V. ადმინისტრაციული ხელშეკრულება.....	50
თავი VI. ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება.....	54
თავი VII. ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში.....	62
თავი VIII. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება.....	67
თავი IX. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.....	71
თავი XI. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი.....	75
თავი XII. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება.....	76
თავი XIII. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით..	82
თავი XIV. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა.....	91
თავი XVI. გარდამავალი დებულებანი.....	94
ტესტები და სასამართლო პრაქტიკა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში	97
I თავი. ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებანი.....	97
II თავი. განსჯადობა.....	103
III თავი. მიუკერძოებლობა, აცილება.....	105
IV თავი. პროცესის ხარჯები.....	106
V თავი. საპროცესო ვადები, სასამართლო შეტყობინება და დაბარება.....	108
VI თავი. მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში; სასამართლოს მეგობარი.....	110
VII თავი. სასამართლო მტკიცებულებები.....	115
VII ¹ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით.....	120

VII ³ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით.....	122
VII ⁴ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით	128
VII ⁵ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით	134
VII ⁶ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით	136
VII ⁷ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით	142
VII ⁹ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე.....	145
VII ¹⁰ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება უცხოელის საქართველოდან გამეგებასთან დაკავშირებით.....	145
VII ¹¹ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე.....	148
VII ¹² თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე.....	152
VII ¹³ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობით იზოლაციასთან დაკავშირებით	155
VII ¹⁴ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით.....	159
VII ¹⁵ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისათვის სამუშაო პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით.....	160
VII ¹⁶ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებასთან დაკავშირებით.....	161
VII ¹⁷ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებასთან დაკავშირებით.....	175

VII ¹⁸ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებასთან დაკავშირებით	175
VII ¹⁹ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დანტერესებული მხარისაგან ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით	176
VII ²⁰ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით.....	177
VII ²¹ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის გაუქმებისა და ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის საკითხებთან დაკავშირებით	178
VIII თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში	180
IX თავი. აპელაცია და კასაცია, საქმის წარმოების განახლება.....	196
სწორი პასუხები.....	198
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.....	203
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი	263

ტესტები, როგორც სწავლების მეთოდის კვა

ტესტის მთავარი მიზანი

ტესტირება ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია მიღებული თეორიული ცოდნის შესაფასებლად. მისი მიზანია, მიღებული შედეგები, გამოყენებულ იქნას პროფესიული და სოციალური უნარების შესაფასებლად და შემდგომი განვითარების მიმართულების განსასაზღვრად, რაც იურისტისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია.

კითხვის არსის განსაზღვრა

ტესტი არის წერილობითი დავალება, რომელიც შედგება პასუხის რამდენიმე ვარიანტისგან, რომელთაგან მხოლოდ ერთი არის სწორი, ხოლო დანარჩენი წარმოადგენს პასუხის არასწორ ვარიანტებს.

ტესტის მთავარი კითხვის სწორად გაგებას და გააზრებას აქვს არსებითი მნიშვნელობა სწორი პასუხის გასაცემად. მხოლოდ კითხვის არსის ზუსტად გააზრება, განაპირობებს სწორი პასუხის მიგნებას. შესაბამისად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტესტის შინაარსის სწორ იდენტიფიკაციას, თუ რას უნდა გაეცეს პასუხი.

ტესტში მითითებულია ყველა ის გარემოება, რომელიც სწორი პასუხისთვისაა საჭირო. შინაარსის სიზუსტით გაგება მნიშვნელოვანია, რათა კონცენტრირება მოახდინოთ კითხვის არსზე, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ტესტის ამოხსნის სწორ მიმართულებას და შესაბამის შედეგს.

ნორმათა განმარტება

აღსანიშნავია, რომ კანონისმიერი ტექსტი არის არასაკმარისი და საჭიროა მისი სწორი განმარტებისათვის გამოყენებული იქნას მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც გაამყარებს მის შინაარსს.

განასხვავებენ რამდენიმე სახის ნორმათა განმარტების მეთოდებს:

გრამატიკული ანუ სიტყვასიტყვითი განმარტება გულისხმობს ნორმის ენობრივ განმარტებას, როგორც გრამატიკული, ასევე იურიდიული ტერმინოლოგიის გათვალისწინებით. თუმცა აღნიშნული მეთოდი არასაკმარისია ვინაიდან ხშირად რთულია ნორმის მიზნისა და შინაარსის შეფასება.

ნორმის განმარტების სისტემური მეთოდი იკვლევს რამდენიმე ნორმის სამართლებრივ თუ შინაარსობრივ კავშირსა და მათ ურთიერთმიმართებას. ამ მეთოდის დროს სამართლის

ნორმის განმარტება ხდება არა ცალკეულ ჭრილში არამედ ერთიანი მთლიანი სამართლის სისტემის გაანალიზების საფუძველზე.

ისტორიული განმარტების მეთოდი - კანონის წარმოშობის ისტორიის, მისი შემუშავების მოტივების გამოკვლევას გულისხმობს. ამ მეთოდის მთავარი მიზანია გაანალიზებულ იქნას თუ რა მოტივი ამომრავებდა კანონმდებელს კონკრეტული ნორმის მიღების პროცესში და ასევე რა ფასეულობების დაცვის მიზანი არსებობდა.

თანამედროვე განმარტების მეთოდი ლოგიკური განმარტების მეთოდისგან იღებს სათავეს და გულისხმობს ამა თუ იმ ნორმის შექმნის ე.წ. „გონივრული საფუძვლის“ ანუ მიზნის დადგენას, რაც პირთა თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამ მეთოდის დროს შესაძლებელია არსებული ნორმის მორგება არსებულ რეალობაზე, რომელიც კანონმდებლის სავარაუდო მიზანი იქნებოდა.

ნორმის განმარტების მეთოდის შერჩევის პროცესში უპირატესობა უნდა მივანიჭოთ იმ მეთოდს, რომელიც საკითხის გადასაწყვეტად არის ყველაზე მოქნილი და შესაძლებელს გახდის კანონმდებლის მიერ განსაზღვრული ნების და მიზნის დაგვას.

„სწორი“ პასუხი

ტესტირების მიზანია შედეგის განსაზღვრა, რითაც შესაბამისი ნორმების ანალიზის საფუძველზე სწორი პასუხის გაცემა ხდება.

ერთგვაროვანი სასამართლოს პრაქტიკის გამოყენების მნიშვნელობა სწავლების პროცესში

ერთგვაროვანი სასამართლოს პრაქტიკის მნიშვნელობა

კანონის ხარისხობრივი მოთხოვნა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან მომდინარეობს და უზრუნველყოფს, რომ კონკრეტული ნორმატიული წესის ადრესატისთვის იყოს ცხადი და გასაგები, თუ რას მოითხოვს მისგან კანონი.¹ კანონის განსაზღვრულობას სასამართლო უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების გზით.

სასამართლო გადაწყვეტილება - ესაა კანონით დადგენილი წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ მიღებული მართლმსაჯულების აქტი, რომლითაც საქმე არსებითად წყდება.²

სასამართლო გადაწყვეტილებები დამყარებულია საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებულ კანონებზე, საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში-სამართალზე და სასამართლო პრეცედენტით დამკვიდრებულ პრინციპებზე. სამართლის ეს წყაროები განსაზღვრავენ არა მარტო უფლებებს, მოვალეობებს და პასუხისმგებლობას, არამედ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცედურულ მხარესაც. კანონმდებლების არჩევანს გავლენა აქვს სასამართლოში წარდგენილი საქმეების ტიპსა და მოცულობაზე, ასევე, მათი გადაწყვეტის გზებზე. სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხზე შეიძლება გავლენა იქონიოს კანონმდებლობის ხშირმა ცვლილებებმა, უხარისხო კანონპროექტებმა, ან კანონებში არსებულმა ბუნდოვანებამ.³ თუმცა, არსებითად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ნორმის შინაარსთან დაკავშირებით, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება სამართლის შემდგომი განვითარებისა და მხარეთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად. სასამართლო პრაქტიკით მკვიდრდება ნორმათა განმარტება და ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკა. ერთგვაროვანმა სასამართლო პრაქტიკამ კანონის ბუნდოვანების თავიდან აცილება უნდა უზრუნველყოს.

მნიშვნელოვანია, რომ ქართულ მართლმსაჯულებაში მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოა პასუხისმგებელი საკუთარი პრეცედენტებით დაადგინოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და, ამ გზით, განუსაზღვროს ძირითადი მიმართულებები ქვედა ინსტანციების სასამართლოებს, ჩამოაყალიბოს და დამკვიდროს სამართლებრივი

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/4/693,857 ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, §50 <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1268>

² სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში, პრაქტიკული სახელმძღვანელო სამოქალაქო სამართლის საქმეების განმხილველი მოსამართლეებისთვის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი 2020, გვ. 6

³ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს CCJE, სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხის შესახებ, დასკვნა 11 (2208), §11, გვ. 4

მიდგომები, პრინციპები, სტანდარტები, განმარტოს ნორმები და იკისროს უზენაესი სამართალშემფარდებლის ფუნქცია.⁴

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ გაკეთებული განმარტებებისგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს ნორმებს, რომლებიც სხვა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პრეცედენტულ ბუნებას ფორმალურად აღიარებს. მიუხედავად ამისა, ეს თავისთავად გამომდინარეობს სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებიდან, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონთან შეუთავსებლობის გამო გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

წინამდებარე სახელმძღვანელოში პრაქტიკის უმეტესი ნაწილი სწორედ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებებიდან და დადგენილი პრაქტიკიდანაა წარმოდგენილი, თუმცა გარკვეულ მუხლებთან მიმართებით გამოყენებულია როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ისე თბილისის საქალაქო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

სახელმძღვანელოს მიზანი არ არის სამართლის ნორმის კონკრეტულ ფაქტობრივ მისადაგებაზე ყურადღების გამახვილება, არამედ შემოიფარგლება სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არსებული სამართლის ნორმის განმარტების წარმოჩინებით.

სასამართლო პრაქტიკის გამოყენება სწავლების პროცესში

სამართლის სკოლების - იურიდიული ფაკულტეტების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტებისთვის სათანადო ცოდნის შეძენა და უნარების გამომუშავება, რათა მათ პრაქტიკაში ეფექტიანად გადაჭრან სამართლებრივი საკითხები. აღნიშნული კი თავისმხრივ დამოკიდებულია სწავლების მეთოდებზე. სწავლების მეთოდი კი თავისმხრივ არის შესაბამისი კომპეტენციის განსავითარებელი მიზანმიმართული ქმედება.

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმძღვანელოს მიზანია, ხელი შეუწყოს ცოდნის ეფექტიანად მიღებას პრაქტიკულ კომპონენტებზე დამყარებული სწავლების გზით კერძოდ, ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც ორიენტირებულია კაზუსტური ტესტებისა, თუ სასამართლო პრაქტიკის საშუალებით სტუდენტების ცოდნის გაღრმავებაზე.

სახელმძღვანელოში სასამართლო პრაქტიკა, როგორც სწავლების შემადგენელი ელემენტი გამოყენებულია იმდენად რამდენადაც მნიშვნელოვანია სტუდენტმა სამართლის ნორმა არა მხოლოდ თეორიულად შეისწავლოს არამედ ყურადღება გაამახვილოს ნორმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან მისადაგებისას მის შინაარსზე, სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკისა და მნიშვნელოვან განმარტებებზე.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/1459,1491 საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1.1. - 14 <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9956>

კონტექსტუალური კავშირები/ცოდნის დაშენების ცნების მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი ცოდნის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუკი ეს ახალი ცოდნა რაიმე სახით დაკავშირებულია, ან „მიბმულია“ პირისათვის უკვე ნაცნობ საკითხთან (მაგ. უკვე არსებულ ცოდნასთან).⁵

„Case study“-ს მიზანია კონკრეტული შემთხვევების განხილვა, რათა სტუდენტებმა ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლონ სამართლებრივი ნორმები. რეალური შემთხვევების ანალიზი და სამართლის ნორმის არსებული განმარტებების შესწავლა უზრუნველყოფს სტუდენტების მზადყოფნას გადაწყვიტონ სამართლებრივი კაზუსები.

ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილებების სწავლების პროცესში გამოყენების მთავარი არსი უკვე ნასწავლი სამართლებრივი ნორმების კონკრეტულ შემთხვევებზე მისადაგება, ნორმის მოსამართლის მიერ ფაქტობრივ გარემოებებთან მისადაგებისას მისი განმარტების შესწავლა და აღნიშნულის საფუძველზე სტუდენტებისათვის ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობის მიცემაა.

შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკის სწავლების პროცესში გამოყენება ხელს უწყობს სტუდენტს შეაფასოს (ან შეისწავლოს) სასამართლოს პრაქტიკაში კონკრეტული ნორმის განმარტება, გაიღრმავოს ცოდნა არსებული ნორმების შესახებ პრაქტიკული მაგალითებითა და თეორიული მასალის რეალურ სიტუაციებში გამოყენების გზით.

⁵ სწავლების მეთოდოლოგიის კრებული სამართლის სადოქტორო პროგრამებისთვის, თბილისი 2017, გვ. 7

ტესტები და სასამართლო პრაქტიკა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ სამართალში

თავი I. ძირითადი დებულებანი

1. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს:
 - ა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების წესს;
 - ბ. ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის წესს;
 - გ. ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს;
 - დ. ყველა პასუხი სწორია.

2. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მიზანია:
 - ა. დაიცვას ადმინისტრაციული ორგანოების ინტერესი;
 - ბ. დაიცვას საჯარო ინტერესები;
 - გ. უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა;
 - დ. უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

3. ადმინისტრაციული ორგანო არის:
 - ა. ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს;
 - ბ. ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს;
 - გ. ზოგიერთი სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს;
 - დ. ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

4. დაინტერესებული მხარე არის:
 - ა. ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება;

ბ. ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებთაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

გ. განსაზღვრული ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებთაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება;

დ. ნებისმიერი იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებთაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

5. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის:

ა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი;

ბ. სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი;

გ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი;

დ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი.

6. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც:

ა. ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს;

ბ. აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს;

გ. აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს;

დ. აწესებს, ცვლის ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

7. ელექტრონული ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს:

ა. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს;

ბ. „სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს;

გ. „ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს;

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

8. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეს არის:

ა. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს;

ბ. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს;

გ. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს;

დ. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

9. აღმწერველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს:

ა. რაიმე უფლებას;

ბ. რაიმე სარგებელს;

გ. რაიმე უფლებას ან სარგებელს;

დ. ყველა პასუხი სწორია.

10. ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის:

ა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება;

ბ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება;

გ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება;

დ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

11. განცხადება ეს არის, უფლების მოპოვებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი:

ა. მოთხოვნა;

ბ. წერილობითი მოთხოვნა;

ბ. საჩივარი;

დ. ზეპირსიტყვიერი მოთხოვნა.

12. ადმინისტრაციული საჩივარი არის:

ა. დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან

ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;

ბ. დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;

გ. დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;

დ. დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

13. ადმინისტრაციული წარმოება ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის:

ა. მომზადების მიზნით;

ბ. გამოცემის მიზნით;

გ. აღსრულების მიზნით;

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

14. დისკრეციული უფლებამოსილება არის:

ა. უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება;

ბ. უფლებამოსილება, რომელიც თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება;

გ. უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება;

დ. უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

15. ოფიციალური დოკუმენტი ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია არის:

- ა. კერძო ინფორმაცია;
- ბ. დაცული ინფორმაცია;
- გ. საქვეყნო ინფორმაცია;
- დ. საჯარო ინფორმაცია.

16. საიდუმლო ინფორმაცია არის ინფორმაცია რომელიც შეიცავს:

- ა. პერსონალურ მონაცემებს;
- ბ. სახელმწიფო საიდუმლოებას;
- გ. კომერციულ საიდუმლოებას;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

17. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება ვრცელდება შემდეგი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე:

- ა. საქართველოს სახალხო დამცველზე;
- ბ. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურზე;
- გ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოზე;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

18. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება შემდეგი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე:

- ა. თბილისის მერიაზე;
- ბ. საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო დაწესებულებაზე;
- გ. ფინანსთა სამინისტროზე;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

19. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:

- ა. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან;
- ბ. სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;
- გ. ყველა პასუხი სწორია;
- დ. დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან.

20. საერთაშორისო საარბიტრაჟო, უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო სასამართლოებში მათ მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მიმდინარე სამართალწარმოებასა და საქმეთა განხილვაში საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობასთან. სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ინფორმაცია გაიცემა:

ა. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების წესების შესაბამისად;

ბ. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების ან /და ამ ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოების წესების შესაბამისად;

გ. ზოგად ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად;

დ. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.

21. კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე:

ა. საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორია;

ბ. ყველა თანასწორია;

გ. ყველა თანასწორია, გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა;

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

22. დაუშვებელია:

ა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება;

ბ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა;

გ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ერთი მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება;

დ. სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება.

23. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში:

ა. დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

ბ. დასაშვებია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

გ. დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას;

დ. დასაშვებია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას.

24. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას:

ა. არ დაიშვება;

ბ. დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად;

გ. დაიშვება;

დ. დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მესამე თავის შესაბამისად.

25. უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას:

ა. აქვს მანც იურიდიული ძალა;

ბ. არ აქვს იურიდიული ძალა;

გ. არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს;

დ. არა აქვს იურიდიული ძალა და ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს.

26. ადმინისტრაციული ორგანო:

ა. არ არის ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება;

ბ. რიგ შემთხვევებში ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება;

გ. ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება;

დ. ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

27. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა:

ა. არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა;

ბ. შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა;

გ. არ შეიძლება გამოიწვიოს პირის ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა;

დ. შეიძლება გამოიწვიოს ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

28. ადმინისტრაციულ წარმოებაში:

ა. შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე;

ბ. არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც არ აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე;

გ. არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე;

დ. შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც არ აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე.

29. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის:

ა. ადმინისტრაციული ორგანოს ზეპირი და წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი;

ბ. ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც არ შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი;

გ. ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი;

დ. ადმინისტრაციული ორგანოს ზეპირი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.

30. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ:

ა. მას საფუძველად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება;

ბ. შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ველარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს;

გ. მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება;

დ. არცერთი პასუხისმგებელი არ არის.

31. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გასცეს დაპირება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე:

ა. მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შემდგომ;

ბ. მხოლოდ და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად;

გ. მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოს ზეპირი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად;

დ. მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

32. ყველას აქვს უფლება:

- ა. გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს;
- ბ. გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები;
- გ. გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას;
- დ. გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას.

33. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე საჯარო მოსამსახურეს:

- ა. უფლება აქვს გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული ან შექმნილი საიდუმლო ინფორმაცია. პასუხისმგებლობა ასეთი სახის ინფორმაციის გამჟღავნების ან გამოყენებისათვის არ დგება;
- ბ. უფლება არა აქვს გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული ან შექმნილი საიდუმლო ინფორმაცია. პასუხისმგებლობა ასეთი სახის ინფორმაციის გამჟღავნების ან გამოყენებისათვის დგება კანონით განსაზღვრული წესით;
- გ. უფლება არა აქვს გაამჟღავნოს სამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული ან შექმნილი საიდუმლო ინფორმაცია. პასუხისმგებლობა ასეთი სახის ინფორმაციის გამჟღავნების ან გამოყენებისათვის დგება კანონით განსაზღვრული წესით;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

34. ნებისმიერ პირს:

- ა. აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ არ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;
- ბ. არ აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირს;
- გ. აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

35. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- ა. დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა;
- ბ. დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, არ მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა;

გ. დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცემა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა;

დ. დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა სხვისი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა.

36. ადმინისტრაციული წარმოების ენაა:

ა. მხოლოდ ქართული;

ბ. მხოლოდ ის ენა რომელსაც ფლობს მხარე;

გ. ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური;

დ. ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე რუსული.

37. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსში მითითებული ვადების ათვლისას:

ა. საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება;

ბ. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება;

გ. საეკლესიო დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება;

დ. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 2. ადმინისტრაციული წარმოება

საქმე №3ბ/436-16 თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს პროცედურას - წესების ერთობლიობას, თუ რა უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ მისი მონაწილენი. ადმინისტრაციულ წარმოებაში პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაინტერესებული პირის მოლოდინს, რომ მის მიმართ გამოიცეს კანონიერი და დასაბუთებული აქტი, არამედ მის უფლებასაც, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი მომზადების სტადიებზე, რათა ობიექტური ზეგავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დადგეს.

მუხლი 2. ადმინისტრაციული ხელშეკრულება

საქმე №ზს-73-72(კ-17) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო

უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში სახეზე იქნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო ურთიერთობა, ხოლო თუ ხელშეკრულების დადების საფუძველი კერძო-სამართლებრივია, სადავო სამართალურთიერთობა კერძო-სამართლებრივი ბუნებისაა.

საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯნვისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. **ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს.** შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დადგინდეს მოქმედებდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და გამომდინარეობს თუ არა სადავო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. განსჯადობის საკითხის გარკვევისათვის უნდა დადგინდეს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

მუხლი 3. კოდექსის მოქმედების სფერო

საქმე №ზს-687-680(კ-16) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საკვსაცხო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს კოდექსის მოქმედების გავრცელებას ყველა იმ სახელმწიფო ორგანოს საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად; მეორე ნაწილი აზუსტებს იმ ორგანოების ჩამონათვალს, რომლებზეც არ ვრცელდება კოდექსის მოქმედება გარდა მე-3 თავისა; ამავე მუხლის მე-4 პუნქტით იმპერატიულად არის დადგენილი გამონაკლისები აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კონკრეტულ საქმიანობებთან მიმართებაში, რომლებზეც არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება. ერთ-ერთ ასეთ საქმიანობად, აღნიშნული პუნქტის „გ1“ ქვეპუნქტში მითითებულია საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებასთან.

საკვსაცხო პალატა მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ, აღსრულებას დაქვემდებარებულ აქტად, კანონის მეორე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მიჩნეულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში

და ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ. შესაბამისად, უდავოა, რომ აღნიშნული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს - სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელი საქმიანობას ახორციელებს „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროდან გამოთხოვილი ინფორმაცია დაკავშირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის იმ საქმეებთან, რომლებზეც მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება და შესაბამისად, წარმოებისათვის დადგენილი ცალკეული მოქმედებების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი იყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი. ამრიგად, ზემოაღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, მითითებულ ურთიერთობაზე არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება. კერძოდ, ინფორმაციის გაცემის შესახებ ნორმები არ შეიძლება გავრცელდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელებული ცალკეული ქმედებების შედეგებთან (მოცემულ შემთხვევაში - ხანდაზმულობის საფუძველით სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შესახებ ქმედებებთან) მიმართებაში.

მუხლი 6. დისკრეციული უფლება

საქმე №1655-1627 (კ-11) საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება

ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩელის მიმართ ჩადენილი საბაჟო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდებისას დარღვეული იყო **საჯარო და კერძო ინტერესთა ბალანსი, არ იყო განსაზღვრული კასატორის მიმართ სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის გარეშე სხვა სანქციის შეფარდებით რატომ ვერ იქნებოდა მიღწეული სამართალდარღვევის საქმეთა განხილვის მიზანი.** კონკრეტული ნორმით დადგენილი სანქციის ალტერნატივის არსებობა სწორედ ასეთ დასაბუთებას საჭიროებდა. უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არადეკლარირებული ქონების ოდენობის (ღირებულების) გათვალისწინებით, ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას ეძლეოდა სადამსჯელო, რეპრესიული ხასიათი, ეწინააღმდეგებოდა სამართლიანობის მოთხოვნებს.

იმის გათვალისწინებით, რომ საჯარიმო სანქცია უკავშირდებოდა საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას, გამოყენებული სანქცია ყველა შემთხვევაში უნდა პასუხობდეს თანაზომიერების პრინციპს. ჩადენილი სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციის გამოყენებისას უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო იურიდიული თანასწორობა, გამოყენებული სანქცია უნდა ითვალისწინებდეს ჩადენილი ქმედების ხასიათს და იყოს თანაზომიერი იმ მიზნებთან და ღირებულებებთან, რომლის მიღწევასაც ისახავს საბაჟო რეჟიმის უზრუნველყოფი ნორმა, აღნიშნულის გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა შედეგად გამოიღოს ნორმის თვითნებური გამოყენება და განმარტება. ადმინისტრაციულმა ორგანომ სანქციის შეფარდებისას არ იმსჯელა სანქციის სახედ ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის გამოყენების მართლზომიერებაზე.

საქმის მასალების მიხედვით, სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც მართავდა ზ. ტ-ე არ წარმოადგენდა სამართალდარღვევის საკუთრებას, ავტომანქანა ზ. ტ-ეს მხოლოდ მართვის უფლებით ჰქონდა გადაცემული მესაკუთრის მიერ.

ის გარემოება, რომ საბაჟო ორგანო სანქციის დაკისრებისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით არ გამოირიხავდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას გაეთვალისწინებინა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები სახდელის დაკისრებისას, მხედველობაში მიეღო მისი პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, სამართალდარღვევის სიმძიმე, სამართალდარღვევის ჩამდენის პიროვნება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებდა გამოყენებული სანქციის ადეკვატურობას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო და კერძო ინტერესებს დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისად რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეერჩია ყველაზე მისაღები.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებდა არა მხოლოდ კანონიერების, არამედ აგრეთვე მიზანშეწონილობის საკითხსაც, შესაბამისად, ქვედა ინსტანციის ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციას შესაძლებელი იყო ჩანაცვლებოდა ზემდგომი ორგანოს დისკრეცია. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერების შემოწმებისას ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო თავადაც იყენებდა დისკრეციულ უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავდა თანაზომიერების და კანონიერების პრინციპის უგულვებელყოფის შესაძლებლობას. უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებდა, რათა ადგილი არ ჰქონოდა პროცედურულ დარღვევებს, კანონის ფარგლების გაცდენას, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყოლოდა საკუთრების ხელყოფა, კანონიერების, სუბიექტის უფლებების დარღვევა. მეორეს მხრივ, დისკრეციული სფეროს არსებობას ობიექტური ფაქტორები განაპირობებდნენ, კანონი სრულად ვერ მოაწესრიგებდა ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც განსხვავდებიან ფაქტობრივი შემადგენლობით, სამართლებრივი რეგულირების ფორმებითა და მეთოდებით. ამდენად, დავების საბჭოს მითითება მხოლოდ 242-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის გამოყენებაში საბაჟო ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული საჩივრის უარყოფის საკმარის საფუძველს.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა სასამართლოს, როგორც ნორმის შემფარდებელ ორგანოს, ანიჭებს უფლებამოსილებას თავად აირჩიოს სამართლებრივი შედეგი ჩადენილი სამართალდარღვევისათვის. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სასამართლო ხელისუფლება ამოწმებს აღმასრულებელი ხელისუფლების, ადმინისტრაციული ორგანოების ნორმაშეფარდებითი საქმიანობის კანონიერებას და იგი არ არის შეზღუდული ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შედეგად პირის კანონით დაჯულ უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად არ უნდა აღემატებოდეს იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ უნდა გამოიწვიონ პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი

შეზღუდვა. დასაბუთების ვალდებულება განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით. დასაბუთებაში უნდა აღნიშნულიყო შეხედულებები, მოსაზრებები და გარემოებები, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთების, როგორც თვითნებობისაგან დაცვის ვალდებულების, ოგნორირება წარმოადგენდა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში შეცდომის დადგენის და აქტის გაუქმების საფუძველს.

მუხლი 9. კანონიერი ნდობა

საქმე №3ბ/291-16 თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანია წარმატებულად ჩაბარებული გამოცდების შედეგებს და ასევე წარმატებულად გავლილი კონკურსის შედეგების არ აღიარება, რაც სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველი საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით უთანაბრდება აქტის გაუქმებას და ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ამ შედეგების ფორმალური საფუძველების მიმართ სრული მოცულობით ვრცელდება კანონიერი ნდობის დამცველობითი ფუნქცია.

ის გარემოება, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი კანონიერ ნდობას უკავშირებს მხოლოდ აღმჭურველი აქტის არსებობას, ვერ დააბრკოლებს სასამართლოს, რომ კანონი განმარტოს გონივრულად, სამართლიანად, მისი მიზნიდან გამომდინარე და მოსარჩელის განსაკუთრებული დაცვის ღირსი იურიდიული ინტერესის ადეკვატურად. სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონიერი ნდობის ობიექტია ძირითადად ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შედეგები, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ როგორც ადმინისტრაციული აქტის, ასევე მოქმედებების (რეალაქტის) სახით; ანუ, მოცემულ შემთხვევაში დაცვის ობიექტია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აღმჭურველი ბუნების მოქმედებებიც; დაცვის ღირსია მათი კანონიერების რწმენა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე ეხება უფლების მიმნიჭებელ აქტებსა და მოქმედებებს; ამ უფლების მატარებელს, კანონიერი ნდობის პრინციპზე დაყრდნობით, უფლება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს მათ გაუქმებასა თუ მათი ნამდვილობის, იურიდიული ძალმოსილების არაღიარებას. სასამართლოს ღრმა რწმენით, კანონმდებლის მიზანი კანონიერი ნდობის პრინციპის საკანონმდებლო დონეზე დამკვიდრებისას (სზაკ-ის მე-9, მე-60¹ და 61-ე მუხლები), იყო და არის მმართველობითი საქმიანობის შედეგად გარკვეული უფლებით აღჭურვილი პირის დაცვა უფლების მიმნიჭებელი არამარტო კანონსაწინააღმდეგო აქტის, არამედ მოქმედების გაუქმებისაგანაც.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული აქტის მიმართ კანონიერი ნდობა გამოირიცხება, თუ ეს აქტი გამოიცა დაინტერესებული პირის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ყალბი დოკუმენტის, არასწორი ინფორმაციის წარდგენა, ზეწოლა, მოტყუება, ქრთამის მიცემა და სხვა, რასაც, განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ქონია, შესაბამისად, ადგილი არ აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-60¹ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ კანონიერი ნდობის გამომრიცხავ გარემოებას - დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე მიურსელ ერენი თურქეთის წინააღმდეგ, დაადგინა, რომ კანონიერი ნდობის პრინციპის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული განათლების უფლების დარღვევა.

თავი II. ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი

38. რომელია სწორი მსჯელობა?

- ა. ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ წყვეტს მხოლოდ საერთო ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო;
- ბ. ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ წყვეტს მხოლოდ სასამართლო;
- გ. ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ წყვეტს მხოლოდ საერთო ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში - სასამართლო;
- დ. ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ წყვეტს ამისთვის სპეციალურად შექმნილი კოლეგიური ორგანო.

39. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნით, თუ:

- ა. შეუძლია თვითონ განახორციელოს მოქმედება სამართლებრივი ან ფაქტობრივი მიზეზების გამო;
- ბ. არ გააჩნია მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ფაქტების საკმარისი ცოდნა, ხოლო ამ ცოდნას ფლობს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო;
- გ. არ აქვს წვდომა დოკუმენტებზე ან სხვა რაიმე მტკიცებულებაზე, რომელიც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად;
- დ. არ აქვს მოქმედების საკუთარი საშუალებით შესრულებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსები.

40. რა შემთხვევაშია ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი დაამოწმოს სხვა ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის ასლი?

- ა. თუ დოკუმენტის შინაარსი არ არის შეცვლილი და არ არის დარღვეულია მისი მთლიანობა;
- ბ. თუ დედანის და ასლის შინაარსი შეესაბამება ერთმანეთს;
- გ. თუ დოკუმენტი გამოცემულია მისი ქვემდგომი ორგანოს მიერ;
- დ. ყველა ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის დროს.

41. რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს დოკუმენტის ასლის დამოწმების დროს შედგენილი დამოწმების ფურცელი?

- ა. მხოლოდ პასუხისმგებელი პირის შესახებ ინფორმაციას;
- ბ. მხოლოდ დოკუმენტის დასახელებას და დამოწმების ადგილს;
- გ. დოკუმენტის დასახელებას, დამოწმების ადგილს და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერას;
- დ. არ არის სავალდებულო დამოწმების ფურცლის შედგენა.

42. ადმინისტრაციული ორგანო:

- ა. უფლებამოსილია დაამოწმოს მხოლოდ მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ან სხვა დოკუმენტების ასლები, თუ დედანის და ასლების შინაარსი შეესაბამება ერთმანეთს;
- ბ. უფლებამოსილია დაამოწმოს მის მიერ ან მისი ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ან სხვა დოკუმენტების ასლები, თუ დედანის და ასლის შინაარსი შეესაბამება ერთმანეთს;
- გ. უფლებამოსილია დაამოწმოს მის მიერ ან მისი ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ან სხვა დოკუმენტების ასლები, თუმცა მათ არ აქვთ ოფიციალური ძალა;
- დ. არ არის უფლებამოსილი დაამოწმოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტები ან სხვა დოკუმენტები, ვინაიდან მათ არ აქვთ ოფიციალური ძალა.

43. საზოგადოებრივ ექსპერტი შეიძლება იყოს:

- ა. მხოლოდ ფიზიკური პირი;
- ბ. იურიდიული პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში;
- გ. შესაბამისი განათლებისა და არანაკლებ 10 წლის გამოცდილების მქონე პირი;
- დ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო და საექსპერტო ორგანოები და საზოგადოებრივი საექსპერტო დაწესებულების წევრი პირები.

44. რომელი მსჯელობაა სწორი?

- ა. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნა არ არის სავალდებულო ადმინისტრაციული ორგანოსათვის;
- ბ. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნა სავალდებულოა ადმინისტრაციული ორგანოსათვის;
- გ. ადმინისტრაციული ორგანო არ არის ვალდებული წარუდგინოს ექსპერტს საექსპერტო დასკვნისათვის აუცილებელი ინფორმაცია;
- დ. ექსპერტის დასკვნის გამოყენება და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება სავალდებულო არ არის.

45. რა შემთხვევაშია კონფიდენციალური დასკვნის წარმდგენი ექსპერტის ვინაობა?

- ა. ექსპერტის ვინაობა ყველა შემთხვევაში აღინიშნება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებაში;
- ბ. ექსპერტის ვინაობა კონფიდენციალურია თუ დასკვნა შეეხება სახელმწიფო საიდუმლოებას;
- გ. ექსპერტის ვინაობა კონფიდენციალურია თუ დასკვნა შეეხება სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის საკითხს;
- დ. ექსპერტის ვინაობა კონფიდენციალურია თუ დასკვნა შეეხება სამეცნიერო საგრანტო ან ინოვაციური პროექტის დაფინანსების კონკურსის/კონკურსების ფარგლებში წარდგენილი პროექტების შეფასებას.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 16. ადმინისტრაციული ორგანოს ურთიერთდახმარების ვალდებულება საქმე Nზს-292(2კ-19) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-5 მუხლზე, რომლის თანახმად, დეპარტამენტი დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესაბამისი ლიცენზიებით, გარემოზე ზემოქმედების ნებართვების, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების, ასევე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, მათ შორის სახელმწიფო ტყის ფონდისა და დაცულ ტერიტორიებზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისათვის. სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, რეგულირების ობიექტებთან, საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების განმარტებას და აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მის ხელთ არსებული საშუალებებით აღმოაჩინოს აუცილებელი სამართლებრივი დახმარება სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის დახმარების გასაწევად, აუცილებელია შესაბამისი წერილობითი თხოვნა ან რაიმე დოკუმენტის არსებობა, რაც განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე წარმოდგენილი არ არის.

თავი III. ინფორმაციის თავისუფლება

46. რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. საჯარო დაწესებულება არის ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში;

ბ. საჯარო დაწესებულება არის ადმინისტრაციული ორგანო, მუნიციპალური ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში;

გ. საჯარო დაწესებულება არის ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში;

დ. საჯარო დაწესებულება არის ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.

47. კოლეგიური საჯარო დაწესებულება არის:

ა. საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო სამზე მეტი პირისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს;

ბ. საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ოთხზე მეტი პირისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს;

გ. საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი პირისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს;

დ. საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ხუთზე მეტი პირისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს.

48. რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრი არის საჯარო მოსამსახურე, რომელიც ხმის უფლებით მონაწილეობს კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში;

ბ. კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრი არის საჯარო მოსამსახურე, რომელიც ხმის უფლებით მონაწილეობს კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში ან მომზადებაში;

გ. კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრი არის საჯარო მოსამსახურე, რომელიც ხმის უფლებით მონაწილეობს კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მომზადებაში;

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

49. გამოქვეყნება ეს არის:

ა. ინფორმაციის პროაქტიურად გამოქვეყნება;

ბ. საჯარო ინფორმაციის პროაქტიურად გამოქვეყნება;

გ. საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა და საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება;

დ. საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა, ასევე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება.

50. საჯარო მონაცემთა ბაზა ეს არის საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ სისტემურად:

ა. შეგროვებული მონაცემები;

ბ. დამუშავებული მონაცემები;

გ. შენახული მონაცემები;

დ. ყველა პასუხი სწორია.

51. კანონმდებლობის დარღვევის საშიშროება ან ვითარება, როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში რეალური საფრთხე ექმნება საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირებას არის:

- ა. გარდაუვალობა;
- ბ. გადაუდებელი მდგომარეობა;
- გ. გადაუდებელი აუცილებლობა;
- დ. საზოგადოებრივი აუცილებლობა.

52. პერსონალური მონაცემების დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება:

- ა. საქართველოს კონსტიტუციით;
- ბ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით;
- გ. პრემიერ მინისტრის 2013 წლის 14 ნოემბრის №121 ბრძანებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
- დ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 14 ნოემბრის №121 დადგენილებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.

53. კომერციული საიდუმლოებას განეკუთვნება:

- ა. ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის შესახებ;
- ბ. ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე ფორმულის შესახებ;
- გ. ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე პროცესის შესახებ;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

54. საჯარო დაწესებულება ვალდებულია:

- ა. 14 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ინფორმაცია;
- ბ. 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ინფორმაცია;
- გ. 7 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ინფორმაცია;
- დ. 15 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ინფორმაცია.

55. პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია:

- ა. რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას;
- ბ. რომელიც წარმოადგენს სხვის კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას;
- გ. რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას;

დ. რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას.

56. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია განისაზღვრება:

- ა. სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობით;
- ბ. სახელმწიფო იდუმალების შესახებ კანონმდებლობით;
- გ. სახელმწიფოს შესახებ კანონმდებლობით;
- დ. სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობით.

57. საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა:

- ა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა;
- ბ. კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა;
- გ. კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა;
- დ. კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა.

58. თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან:

- ა. პრივილეგიით;
- ბ. დისკრეციით;
- გ. აღმასრულებელი პრივილეგიით;
- დ. აღმასრულებელი დისკრეციით.

59. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების და მისი ვადის გაგრძელების შესახებ შეაქვთ:

- ა. სამეწარმეო რეესტრში;
- ბ. სამოქალაქო რეესტრში;
- გ. საჯარო რეესტრში;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

60. თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია:

- ა. ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები;
- ბ. ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები, გარდა ამ კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- გ. ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- დ. ღიად წარმართოს თავისი სხდომები.

61. რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ საიდუმლო საჯარო ინფორმაციის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების დახურული სხდომის ოქმის გონივრულ ფარგლებში გამოცალკეებადი ნებისმიერი ნაწილი არ უნდა გამოქვეყნდეს;

ბ. საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ საიდუმლო საჯარო ინფორმაციის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების დახურული სხდომის ოქმის გონივრულ ფარგლებში უნდა გამოქვეყნდეს;

გ. საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღებამდე საიდუმლო საჯარო ინფორმაციის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების დახურული სხდომის ოქმის გონივრულ ფარგლებში გამოცალკეებადი ნებისმიერი ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს;

დ. საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ საიდუმლო საჯარო ინფორმაციის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების დახურული სხდომის ოქმის გონივრულ ფარგლებში გამოცალკეებადი ნებისმიერი ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს.

62. კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია:

ა. ორი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე მისი დახურვის შესახებ;

ბ. სამი დღით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე მისი დახურვის შესახებ;

გ. ხუთი დღით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე მისი დახურვის შესახებ;

დ. ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

63. კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაუდებელი აუცილებლობისას სხდომის ჩატარების ან სხდომის დახურვის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია:

ა. გადაწყვეტილების მიღებიდან 4 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი;

ბ. გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი;

გ. გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი;

დ. გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.

64. სარჩელი გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული სხდომის, ასევე სხდომის დახურვის კანონიერების შესახებ სასამართლოს უნდა წარედგინოს კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის ჩატარებიდან:

ა. ერთი თვის ვადაში;

- ბ. 30 დღის ვადაში;
- გ. 20 დღის ვადაში;
- დ. ორი თვის ვადაში.

65. საჯარო დაწესებულება ვალდებულია:

ა. შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 3 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია;

ბ. შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია;

გ. შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 4 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია;

დ. შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 5 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია.

66. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ან გაცემულ დოკუმენტში მონაცემები შეიძლება შეტანილ იქნეს:

- ა. მექანიკური ან/და ელექტრონული საშუალებებით;
- ბ. მექანიკური და ელექტრონული საშუალებებით;
- გ. მექანიკური ან ელექტრონული საშუალებებით;
- დ. მექანიკური საშუალებებით.

67. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე:

- ა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა;
- ბ. საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

გ. საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

დ. საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

68. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას სადაც:

ა. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი;

ბ. აუცილებელი არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი;

გ. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი;

დ. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი.

69. სხვისი კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა:

ა. წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით დამოწმებულ თანხმობას;

ბ. წარადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას;

გ. წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას;

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

70. რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საჯარო დაწესებულებისათვის საკითხის გადასაწყვეტად, თუ იგი წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია;

ბ. საჯარო დაწესებულება ვალდებულია სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საჯარო დაწესებულებისათვის საკითხის გადასაწყვეტად;

გ. საჯარო დაწესებულება არ არის ვალდებულია სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საჯარო დაწესებულებისათვის საკითხის გადასაწყვეტად;

დ. საჯარო დაწესებულება ვალდებულია სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელი არ არის საჯარო დაწესებულებისათვის საკითხის გადასაწყვეტად, თუ იგი წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია.

71. საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა:

- ა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის;
- ბ. დასაშვებია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის;
- გ. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა;
- დ. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, მათ შორის ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებაზე.

72. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან:

- ა. არა უგვიანეს 11 დღისა;
- ბ. არა უგვიანეს 12 დღისა;
- გ. არა უგვიანეს 14 დღისა;
- დ. არა უგვიანეს 10 დღისა.

73. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება:

- ა. ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან;
- ბ. არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან;
- გ. არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან;
- დ. არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან.

74. საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს:

- ა. 3 დღეში;
- ბ. 6 დღეში;
- გ. 2 დღეში;
- დ. დაუყოვნებლივ.

75. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 4 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას;
- ბ. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან

საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას;

გ. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას;

დ. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 6 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

76. დაუშვებელია გასაიდუმლოვდეს ინფორმაცია, რომელიც ეხება:

ა. კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგებს;

ბ. ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ სამიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

გ. საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია;

დ. ყველა პასუხი სწორია.

77. საჯარო დაწესებულება ვალდებულია:

ა. გაახმაუროს პირის პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის გარეშე, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად;

ბ. არ გაახმაუროს პირის პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად. თანამდებობის პირის, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის პერსონალური მონაცემები საჯაროა;

გ. არ გაახმაუროს პირის პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის გარეშე. თანამდებობის პირის, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის პერსონალური მონაცემები საჯაროა;

დ. გაახმაუროს პირის პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის გარეშე.

78. პირს აქვს უფლება, საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება:

ა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვისას, საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;

ბ. არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისას და დამუშავებისას;

გ. საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მიერ ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას;

დ. ყველა პასუხი სწორია.

79. სასამართლოს უფლება აქვს გამოითხოვოს და განიხილოს გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით. სასამართლოს მხარის შუამდგომლობით უფლება აქვს ეს განხილვა აწარმოოს:

- ა. დახურულ სხდომაზე;
- ბ. ღია სხდომაზე;
- გ. ნაწილობრივ დახურულ სხდომაზე;
- დ. საჯარო სხდომაზე.

80. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 11 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს ანგარიში;
- ბ. საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს ანგარიში;
- გ. საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 14 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს ანგარიში;
- დ. საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 12 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს ანგარიში.

81. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებებისა, ღიაა, თუ იგი შექმნილი, გაგზავნილი ან მიღებულია:

- ა. 1991 წლის 28 ოქტომბრამდე;
- ბ. 1992 წლის 28 ოქტომბრამდე;
- გ. 1993 წლის 28 ოქტომბრამდე;
- დ. 1990 წლის 28 ოქტომბრამდე.

სასამართლო პრაქტიკა

თავი 1 - მუხლი 2.1. „ნ“; თავი 3 - მუხლი 27², 27³. საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის იდენტიფიცირებისა და მისი დაცვის სტანდარტი, კომერციული საიდუმლოება საქმე Nზს-33-32(კ-16) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

სზაკ-ის 2.1 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საიდუმლო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან

კომერციულ საიდუმლოებას. ამდენად, კომერციული საიდუმლოება არის საიდუმლო ინფორმაციის ერთ-ერთი სახეობა.

კომერციული საიდუმლოების დეფინიციას განსაზღვრავს და ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის პროცედურას ადგენს სზაკ-ის 27² მუხლი, რომლის თანახმად, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას (27² მუხლის 1-ლი ნაწ.). ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

ამდენად, ინფორმაციისათვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭება მოითხოვს ინფორმაციის კომერციული საიდუმლოებისადმი მიკუთვნების დოკუმენტურ დადასტურებას. პერსონალური მონაცემების დაცვისაგან განსხვავებით კომერციული საიდუმლოების შემთხვევაში მისი დაცვა იმთავითვე არ არის პრეზუმირებული, ინფორმაციის დაცვის ინტერესი ამ შემთხვევაში თავისთავად არ იგულისხმება. პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი რეჟიმისაგან განსხვავებით, ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის, მისთვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭების სავალდებულო პირობას წარმოადგენს ნების გამოხატვა. ამასთანავე ინფორმაციის გასაიდუმლოება არ არის დამოკიდებული მხოლოდ სუბიექტის ნება-სურვილზე და მოსაზრებაზე. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებისთვის მფლობელს, ნების გამოხატვის გარდა, უნდა გააჩნდეს საჯარო დაწესებულებაში შენახული ინფორმაციის დაცულობის მიმართ გამართლებული, პატივსადები ინტერესი, რაც განპირობებულია საიდუმლოების მფლობელის შესაძლო თვითნებობის შეზღუდვის საჭიროებით, ვინაიდან კომერციულ საიდუმლოებად ინფორმაციის გამოცხადება აკისრებს სხვებს საიდუმლოების რეჟიმის დაცვის ვალდებულებას, ანიჭებს ინფორმაციის მფლობელს განსაკუთრებულ უფლებებს, ხოლო სახელმწიფოს ამ უფლებების უზრუნველყოფის პოზიტიურ ვალდებულებებს. ინფორმაციის მფლობელის უფლება წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავად უფლების ცნებასთან, უკეთეს იგი მხოლოდ სუბიექტურ შეხედულებაზე იქნება დამოკიდებული და არ დააკმაყოფილებდა რაიმე უნივერსალობის და ობიექტურობის კრიტერიუმს, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი და არა სუბიექტური გრძნობები.

კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნევა ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია კომერციული ღირებულება, რომლის გამჟღავნებაც ზიანის მომტანია პირის კონკურენტუნარიანობისათვის. პირი, რომელსაც შეეხება ინფორმაცია, თავად განსაზღვრავს ინფორმაციის ღირებულებას მისთვის და თავადვე ახდენს ინფორმაციის გასაიდუმლოების საკითხის ინიცირებას, მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ინფორმაციის მისაწვდომობა საფრთხის შემცველია მისთვის. სზაკ-ის 82-ე მუხლის თანახმად, განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა, თუ სურს ამ ინფორმაციის საიდუმლოების უზრუნველყოფა. შესაბამისად, მასვე ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს თუ რა საფრთხეების მატარებელია მისთვის ინფორმაციის ღია დატოვება. ამდენად, მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მატარებელია, მოსარჩელეს ეკისრება.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებას მოითხოვს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოსაგან. ადმინისტრაციულ ორგანოში შესაძლოა სხვა პირთა კომერციული საიდუმლოება ინახებოდეს, საიდუმლოების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფაზე ადმინისტრაციული ორგანო არის ვალდებული, მაგრამ თავად ამ ორგანოს საკუთარი კომერციული საიდუმლოება არ გააჩნია, ადმინისტრაციულ ორგანოსთან დაკავშირებული არცერთი ინფორმაცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად.

სხვა პირის კომერციული საიდუმლოება ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკებისათვის სამსახურებრივი საიდუმლოების სტატუსით უნდა ინახებოდეს ანუ ადგილი აქვს კომერციული საიდუმლოების ერთგვარ ტრანსფორმირებას სამსახურებრივი საიდუმლოების რეჟიმში. სზაკ-ის 27³ მუხლის მიხედვით, პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემს ან კომერციულ საიდუმლოებას. დაცვის განსხვავებულ რეჟიმს განაპირობებს განსხვავებული სტატუსის მქონე სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცემა.

სზაკ-ის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია არის ღია და ხელმისაწვდომი ყველასათვის მანამ, სანამ საპირისპირო არ იქნება დადგენილი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს ინფორმაციის გაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ინფორმაცია კანონით დადგენილი წესით გასაიდუმლოებულია, უკეთეს ინფორმაცია მოცემულ შემთხვევაში განეკუთვნება ინფორმაციის მიმწოდებელი პირის კომერციულ საიდუმლოებას.

კომერციული საიდუმლოება არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც კომერციული ღირებულება აქვს ან ამ ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს მოგების მიღება საწარმოს ან ფიზიკური პირის მიერ. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს გეგმის, პროცესის, ფორმულის სახით და ეხებოდეს საქონლის წარმოებას, გადამუშავებას, მომზადებას ან

მომსახურების გაწევას. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება წარმოადგენდეს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს. კომერციულად მიიჩნევა ასევე ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე. საიდუმლოების მფლობელის დაცვა ხდება მის მიერ არა მხოლოდ რაიმე განსაკუთრებული ინფორმაციის (მაგ., ბაზარზე დიდი მოთხოვნილების მქონე საქონლის შემადგენლობა) მფლობელობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არამედ ნებისმიერი მესამე პირების არამართლზომიერი ჩარევისაგან დაცვისათვის. საუბარია კომერციული საიდუმლოების მფლობელის უფლებაზე მისთვის სასურველი რეჟიმის დაცვაზე, ასეთ დროს უზრუნველყოფილია საიდუმლოების სამართლებრივი რეჟიმის არამართლზომიერი დარღვევისაგან დაცვა. კომერციული საიდუმლოების დაცვა არის საიდუმლოების მფლობელის ნორმალური საქმიანობის, ფუნქციონირების დაცვა და არა ავტორობის, გამომგონებლობის და ა.შ. დაცვა. მოცემულ შემთხვევაში კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების მოთხოვნა არ ეხება ტექნიკურ მონაცემებს (საიდუმლოების მფლობელს შეუძლია პატენტირების შესაძლებლობის ნაცვლად აირჩიოს მის ხელთ არსებული ტექნიკური ხასიათის მონაცემების საიდუმლო სარგებლობა, ასეთი უპირატესობის დაკარგვის რისკით ნებისმიერი ობიექტურად შედგარი საიდუმლოების დარღვევის შედეგად. ასეთი არჩევანის მოტივი შეიძლება იყოს ტექნიკური მონაცემების არაპატენტუნარიანობა ან სხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზი). კომერციულ საიდუმლოებას შეიძლება შეადგენდეს როგორც ტექნიკური (ნახაზი, მოდელი, შტამპი), ასევე საქმიანი (მიწოდების და რეალიზაციის არხები, კლიენტურის სია, ხელშეკრულებები) ხასიათის მონაცემები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს პირისათვის. ინფორმაცია, რომელიც შეადგენს კომერციულ საიდუმლოებას, არის ნებისმიერი ხასიათის მონაცემი (საწარმოო, ტექნიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა), მათ შორის, პროფესიონალური საქმიანობის განხორციელების საშუალების შესახებ მონაცემები, რომლებსაც აქვთ მოქმედი ან პოტენციური კომერციული ღირებულება მათი მესამე პირების მიერ არცოდნის გამო და რომელთა მიმართ მესამე პირებს არ აქვთ თავისუფალი წვდომის შესაძლებლობა კანონის საფუძველზე და ამ მონაცემების მიმართ ამოქმედებულია კომერციული საიდუმლოების რეჟიმი. განსახილველ შემთხვევაში კომერციული საიდუმლოების გამოცხადების მოთხოვნა ეხება საქმიანი ხასიათის მონაცემების (დადებული ხელშეკრულებების) კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებას. ვინაიდან ინფორმაცია, რომლის კონფიდენციალურად ცნობას ითხოვს მოსარჩელე, არის არა პირველადი ანუ არ არის შექმნილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, არამედ ნაწარმოებია, შექმნილია ხელშეკრულების მხარეების მიერ, ხოლო საიდუმლო ინფორმაცია შეიძლება იყოს საჯარო დაწესებულებაში არა მხოლოდ შექმნილი, არამედ აგრეთვე მიღებული და დაცული ინფორმაცია (სზაკ-ის 2.1 მუხ. „ნ“ ქვეპუნქტი), შესაბამისად, ინფორმაციის მფლობელები (ხელშეკრულების მხარეები) დამოუკიდებლად წყვეტენ ინფორმაციისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის სტატუსის მინიჭების შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოში ინიცირების საკითხს. კომერციული საიდუმლოება ქმნის კონფიდენციალური ინფორმაციის რეჟიმს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მის მფლობელს შეინარჩუნოს ბაზარზე მდგომარეობა ან მიიღოს სხვა კომერციული მოგება, გაზარდოს შემოსავალი, თავი აარიდოს გაუთვალისწინებელ დანახარჯებს. ინფორმაციის კონფიდენციალობა გულისხმობს კანონის საფუძველზე დადგენილ სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, პირის (მფლობელის) თანხმობის გარეშე მესამე პირებისათვის გადაცემის აკრძალვას (კანონით პირდაპირ

გათვალისწინებული შემთხვევების გარდა), პირის (ინფორმაციის მფლობელის) უფლებას დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის საკითხი.

უკვე აღინიშნა, რომ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა საჭიროებს ინფორმაციის მფლობელის ნების გამოხატვას. კომერციული საიდუმლოება, როგორც სამართლით დაცული ობიექტი, არ არსებობს ინფორმაციის მფლობელის გარეშე (ამით განსხვავდება ის ნოუ-ჰაუსგან, რომელიც შესაძლოა არსებობდეს მფლობელისაგან დამოუკიდებლად). საიდუმლოების მფლობელის გამართლებულ პატივსაცემ ინტერესთან და ინფორმაციის გაუფრცვლელობასთან ერთად, საიდუმლო ინფორმაციის ერთ-ერთი ნიშანი არის აგრეთვე მფლობელის ნება დაიცვას ინფორმაციის საიდუმლოება მესამე პირებისაგან. კონფიდენციალობა არის ინფორმაციის თვისება, მისი ნიშანი, რომელიც მიცემულია მისთვის დაინტერესებული პირის მიერ. შესაბამისად, პირის ვალდებულება არ დაუშვას მისი გავრცელება, არის ამ თვისებების შედეგი. მოცემულ შემთხვევაში ინფორმაციის მფლობელი არის არა ერთი, არამედ რამოდენიმე პირი (ელექტროენერჯის წარმოების და გატარების ხელშეკრულებების მხარეები). კომერციული საიდუმლოების სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის ბუნებიდან გამომდინარე, ინფორმაციისათვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭება შექმნის ვითარებას, რომლის პირობებში ის იმპერატიული, შესასრულებლად სავალდებულო იქნება იმ პირისთვის, რომელსაც ის წარედგინება (მოცემულ შემთხვევაში კომისიისათვის) და დისპოზიციური იქნება ინფორმაციის წარმდგენი სუბიექტისათვის (მოცემულ შემთხვევაში სს „...“) და იმ პირებისათვის, რომლებსაც ის უშუალოდ ეხება, კერძოდ ელექტროენერჯის გენერაციის და გატარების სუბიექტებისათვის ანუ სს „...“ მიერ დადებული შესაბამისი ხელშეკრულებების კონტრაქტებისათვის.

საიდუმლოება გულისხმობს ერთგვარ მონოპოლიას ინფორმაციაზე, ინფორმაციის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას ინფორმაციაზე, მეორე მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა საიდუმლო ინფორმაციის დასაცავად, მათ ეკრძალებათ ამ ინფორმაციის გადაცემა, გამოქვეყნება, ნებისმიერი საშუალებებით გავრცელება. ამასთანავე მესამე პირებს ევალებათ ამ ინფორმაციის მოპოვებისაგან თავის შეკავება. სწორედ ასეთ სამართლებრივ რეჟიმს ქმნის საწარმოო - კომერციული საიდუმლოება. უკვე აღინიშნა, რომ კომერციული საიდუმლოების დაცვა დისპოზიციურია ინფორმაციის მფლობელისათვის. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ისეთი ინფორმაციის კომერციული საიდუმლოების რეჟიმში დაცვას, ინფორმაციის გავრცელების აკრძალვას, რომელსაც თავად ინფორმაციის მფლობელი ავრცელებს. საიდუმლოება არის ინფორმაცია მისი მფლობელისთვის, მაგრამ მესამე პირების მიმართ საიდუმლოება ენტროპიის, არცოდნის, გაურკვევლობის სახით ავლენს თავს. ამასში ვლინდება საიდუმლოების ფენომენის ორმაგი, პოლარული, ამბივალენტური ხასიათი. უფლება საიდუმლოებაზე მოქმედებს მანამ, სანამ დაცულია ინფორმაციაზე ფაქტობრივი მონოპოლია, აგრეთვე სახეზეა მისი დაცვის კანონით გათვალისწინებული პირობები.

ინფორმაციის მისაწვდომობა უკარგავს მას კომერციული ღირებულების ხარისხს. ინფორმაციაზე მონოპოლიის შენარჩუნება დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა თავად იმ პირზე, რომელმაც უნდა მიიღოს სათანადო ზომები ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვისა და ფაქტობრივი მონოპოლიის შენარჩუნებისათვის. განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულებებისათვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭება არ იქნება

ხელშეკრულებების კონტრაქტებისათვის, როგორც ინფორმაციის მფლობელებისათვის, ხელშეკრულებებში ასახული ინფორმაციის (გასაყიდი ელექტროენერჯისა და გატარების მომსახურების ფასის, ოდენობის, ამ ხელშეკრულებებში ასახული სხვა ინფორმაციების) გავრცელების დამაზრკოლებელი გარემოება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ინფორმაციის ერთიანობის, განუყოფლობის თვისებიდან გამომდინარე, მისი გავრცელება აზრს უკარგავს მის დაცვას.

ინფორმაციის კონფიდენციალურობის კატეგორიისადმი მიკუთვნება გულისხმობს თავისუფალი შეღწევისაგან დაცვას და მათი დაცვის ეფექტური სისტემის არსებობას. საიდუმლო ინფორმაცია სამართლის დაცვის განსაკუთრებულ ობიექტად იქცევა, საიდუმლოების დაცვის საშუალებანია: საიდუმლოების უფლების აღიარება, საიდუმლოების რეჟიმის დამრღვევის მოქმედების შეწყვეტა, ზიანის ანაზღაურება და სხვა, საშუალებები, რომლებზედაც შესაძლოა მიუთითოს საიდუმლოების მფლობელმა.

საიდუმლოების დაცვაში კანონმდებელი იყენებს ღირებულებათა შეფასების მეთოდს, პროორიტეტთა გარკვეულ სისტემას, პროპორციულობას, მოქმედებს უკიდურესი აუცილებლობის პრინციპი: ნაკლები სოციალური ღირებულება უფრო მნიშვნელოვანი სოციალური ღირებულების დაცვას ეწირება (სზაკ-ის 99.2 მუხ.). ინფორმაციის საიდუმლოდ გამოცხადების უფლებას უპირისპირდება ადმინისტრაციული წარმოების ინფორმაციის საჯაროობის ვალდებულება, რომელიც ემსახურება საქმიანობის გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვას.

თ ა ვ ი IV . ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ - ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი ა ქ ტ ი

82. ზეპირად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებიდან რამდენ დღეში უნდა გამოიცეს წერილობით?

- ა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ზეპირი ფორმით გამოცემა დაუშვებელია;
- ბ. 3 დღის ვადაში;
- გ. 5 დღის ვადაში;
- დ. 7 დღის ვადაში.

83. ზეპირი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობითი ფორმით გამოცემა დასაშვებია, თუ:

- ა. დაინტერესებული მხარის მოთხოვნით;
- ბ. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს;
- გ. კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

84. რომელი მსჯელობაა სწორი?

- ა. საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი;

- ბ. საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო დროშა;
- გ. საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს ორგანოს გერბი;
- დ. არ არის სავალდებულო, რომ საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე გამოსახულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო გერბი.

85. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უნდა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები:

- ა. ნორმატიული აქტის სათაური;
- ბ. ნორმატიული აქტის მიღების თარიღი, ადგილი, ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა;
- გ. უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა და სარეგისტრაციო ნომერი;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

86. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმების შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ისეთ გარემოებებს, რომელიც არ იყო შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში.

სწორედ მოიქცევა თუ არა სასამართლო თუ მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გააუქმებს აღნიშნული საფუძველით?

- ა. არა, რამდენადაც წერილობით გამოცემული აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას;
- ბ. დიახ, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს;
- გ. დიახ, რადგან მხარე უთითებს ამ გარემოებებზე, სასამართლო ვალდებულია გაიზიაროს მხარის ახსნა-განმარტებები;
- დ. არა, რადგან ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს, თუ ადმინისტრაციული ორგანოსათვის ცნობილია მისი გამოცემის წინაპირობები.

87. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ:

- ა. ის გამოცემულია დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე და არ ზღუდავს მესამე პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს;
- ბ. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების გარეშე გამოცემა დაუშვებელია;
- გ. დაინტერესებული მხარისათვის არ არის ცნობილი ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- დ. კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას.

88. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის:

- ა. გამოცემისთანავე;
- ბ. გამოცემიდან 15 დღის შემდეგ;
- გ. მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს;
- დ. 10 დღის ვადაში.

89. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაგზავნასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება:

- ა. დაინტერესებულ პირს;
- ბ. ადმინისტრაციულ ორგანოს;
- გ. ადმინისტრაციული წარმოების მხარეებს;
- დ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ზემდგომ თანამდებობის პირს.

90. რომელია სწორი მსჯელობა?

- ა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოქვეყნდება ყველა შემთხვევაში;
- ბ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოქვეყნდება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
- გ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოქვეყნდება იმ შემთხვევაში, თუ ეს მითითებულია აქტში;
- დ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოქვეყნდება მხოლოდ გამომცემი ორგანოს ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებით.

91. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა შეიძლება შეიცვალოს გამოქვეყნებით თუ:

- ა. არა, კანონი არ ითვალისწინებს ოფიციალური გაცნობის გამოქვეყნებით შეცვლას;
- ბ. დიახ, თუ აქტი ეხება 10 პირზე მეტს;
- გ. დიახ, თუ აქტი ეხება 20 პირზე მეტს;
- დ. დიახ, თუ აქტი ეხება 50 პირზე მეტს.

92. რომელი მსჯელობა არ არის სწორი?

- ა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში;
- ბ. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც;
- გ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს 2-ჯერ მაინც;
- დ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოცხადდეს საჯაროდ.

93. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს:

- ა. მისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნას;
- ბ. საჯაროდ გამოცხადებას;
- გ. მისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფოსტის მეშვეობით გაგზავნას;
- დ. შეტყობინების გაცემას, რომ აქტი მიღებულია.

94. არის თუ არა ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს შეცდომა?

- ა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გაასწოროს ტექნიკური ან გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები;
- ბ. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეიტანოს მხოლოდ არსებითი ხასიათის შესწორება;
- გ. ადმინისტრაციული ორგანო არაა უფლებამოსილი გაასწოროს ტექნიკური შეცდომა;
- დ. მხოლოდ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოა უფლებამოსილი გაასწოროს ტექნიკური ან გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომა.

95. რომელია სწორი მსჯელობა?

- ა. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა დაუშვებელია;
- ბ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- გ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;
- დ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა არ ნიშნავს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

96. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ:

- ა. მისი აღსრულება სავალდებულოა გამოცემისთანავე;
- ბ. მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზის გამო;
- გ. მისი შესრულება გამოიწვევს პირის კანონიერი უფლების და ინტერესის განმსაზღვრელი აქტის უკანონოდ გამოცხადებას;
- დ. ის ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და არსებითად არის დარღვეული მისი მიღებისა და მომზადების წესი.

97. თუ შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება:

- ა. ბათილად;
- ბ. ძალადაკარგულად;
- გ. გაუქმებულად;
- დ. არარად.

98. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ:

- ა. გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- ბ. მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას;
- გ. ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები;
- დ. მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო.

99. აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება იქნეს ცნობილი ბათილად თუ:

- ა. დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს აქტის მიმართ;
- ბ. აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს;
- გ. აქტი არღვევს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს;
- დ. მისი აღსრულება სავალდებულოა გამოცემისთანავე.

100. კანონიერი ნდობა არსებობს, თუ:

- ა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დაინტერესებულმა პირმა განახორციელა მოქმედება, რაც არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს;
- ბ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება განაპირობა დაინტერესებული პირის უკანონო მოქმედებამ;
- გ. ადმინისტრაციულმა ორგანომ ანაზღაურა მიყენებული ზიანი;
- დ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დაინტერესებულმა პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო აქტის ბათილად ცნობით მას მიაღგება ზიანი.

101. სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება შეწყვეტილად ითვლება:

- ა. მხოლოდ მისი ძალაში შესვლის დღიდან;
- ბ. მხოლოდ მისი ბათილად ცნობის დღიდან;
- გ. მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით;
- დ. ნებისმიერი ზემოაღნიშნულიდან ერთ-ერთი.

102. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?

- ა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს;
- ბ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს მხარის კანონიერი ინტერესის არსებობის შემთხვევაში;
- გ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს როგორც აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, ასევე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს და სასამართლოს;

დ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს მხოლოდ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

103. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება გამოიწვევს თუ არა ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სხვა ნაწილების ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას?

ა. დიახ, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს მთლიანად ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას;

ბ. არა, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სხვა ნაწილების ძალადაკარგულად გამოცხადებას;

გ. დიახ, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხოლოდ ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება შეუძლებელია;

დ. დიახ, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება იწვევს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას.

104. ვის აქვს უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში შეიტანოს ცვლილებები და დამატებები?

ა. მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს;

ბ. მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომ ორგანოს;

გ. მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელ პირს ინდივიდუალურად;

დ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაუშვებელია.

105. აქვს თუ არა უფლება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ მისი გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მის მიერ ძალადაკარგულად ცნობის შემდგომ პირს მოსთხოვოს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გამოცემული დოკუმენტის დაბრუნება?

ა. არა, რადგან ძალადაკარგულადაა ცნობილი ამ დოკუმენტის საფუძველზე დადებული აქტი;

ბ. არა, რადგან გაცემული უფლების დამდგენი დოკუმენტის დაბრუნებას კანონი არ ითვალისწინებს;

გ. დიახ, რადგან მას აქვს უფლება პირს მოსთხოვოს ამ აქტის საფუძველზე გამოცემული და რაიმე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის დაბრუნება;

დ. არა, რადგან აქტის ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, ავტომატურად უქმდება ამ აქტის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები.

სასამართლო პრაქტიკა

თავი 1 - მუხლი 2.1 „დ“; თავი 4 - მუხლები 51, 53, 54, 56, 57, 58.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

საქმე №ბს-365-360(კ-16) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

სახელმწიფო გასაცემელთან დაკავშირებით ურთიერთობის შინაარსის კონკრეტულად განსაზღვრა ხდება ინდივიდუალური აქტის გამოცემით. კანონი განსაზღვრავს წინაპირობებს, რომელთა არსებობისას ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ჩაებას კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში, კანონით განსაზღვრული აბსტრაქტულ-გენერალური მოწესრიგება საჭიროებს მისი კონკრეტულ-ინდივიდუალური შემთხვევისადმი მისადაგებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მეშვეობით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ ის არის კანონის მოთხოვნების ცალკეულ შემთხვევებს და კონკრეტულ პირებზე გავრცელების საშუალება. სახელმწიფო ხელისუფლება კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად თავისი საქმიანობით უშუალოდ კი არ უპირისპირდება მოქალაქეს, არამედ გამოსცემს სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზეც მიიღება კონკრეტული ზომა, როგორც სამართლიანი, განსაზღვრული და სავალდებულო ძალის მქონე ქმედება. სწორედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქმნის აქტის ამოქმედების შემდგომ მისი თვითაღსრულების პირობას. აღნიშნულში ვლინდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებით სამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს შესაძლებლობას პირის ნების საწინააღმდეგოდ, მის ხელთ არსებული კანონით დადგენილი აღსრულების საშუალებების გამოყენებით აღსრულოს აქტი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების სამართლებრივი ფუნქცია იმაში ვლინდება, რომ ის არის აღსრულების დაწყების აუცილებელი წინაპირობა.

პირის უფლებებისა და მოვალეობების დაწესების, შეცვლის, შეწყვეტის ან დადასტურებისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება, გამოცემა და აღსრულება, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტა უკავშირდება სზაკ-ით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურის ჩატარებას, თუ სპეციალური კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აქტის გამოცემის პროცესში დაიცვას სზაკ-ით დადგენილი, მოცემულ შემთხვევაში მარტივი ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნები, როგორცაა წარმოებაში დანტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა (მე-13, 95-ე მუხ.), საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა (53-ე მუხ.) და სხვა.

სზაკ-ის 51.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წერილობითი ან ზეპირი ფორმით. უკეთეს ზეპირი ფორმით გამოცემული აქტი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან თუ დანტერესებული მხარე აქტის წერილობითი ფორმით გამოცემას მოითხოვს, ზეპირი ფორმით გამოცემული აქტი 3 დღის ვადაში უნდა გამოიცეს წერილობითი ფორმით (სზაკ-ის 51.2 მუხ.). სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შეწყვეტა ზღუდავს მოსარჩელის სოციალური უზრუნველყოფის უფლებას. ფულადი სოციალური დახმარება, რომლის მეშვეობით სახელმწიფო ელემენტარული საარსებო პირობების შექმნით ზრუნავს პენსიონერზე, არის მიზნობრივი, პერიოდული სოციალური სუბსიდიით პენსიონერის უზრუნველყოფა. პენსიის შეჩერება-შეწყვეტა არის შემზღუდავი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ამძიმებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, ზღუდავს თავის დროზე აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით პენსიონერისათვის მინიჭებული სოციალური უზრუნველყოფის უფლებას, სამი დღეშიოდ დანიშნული სახელმწიფო გასაცემლის მიღებას. სზაკ-ის მე-13, 95.2 მუხლების შესაბამისად,

ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ პირს. სზაკ-ი არ ადგენს წარმოების დაწყების ვადას, როდესაც კანონით დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად და არა განცხადების საფუძველზე არის აქტი გამოსაცემი. იგულისხმება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ წარმოება უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვალდებულების წარმოშობისთანავე.

საკასაციო სსამართლო აღნიშნავს, რომ აქტის გამოქვეყნება, მისი ადრესატისთვის გაცნობა არის ადმინისტრაციული წარმოების ფინალი და მისი ნაყოფი - წარმოების შედეგად გამოცემული გადაწყვეტილება, ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალური გაცნობით (სზაკ-ის 54-ე მუხ.). სწორედ აქტის ძალაში შესვლით ანუ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობის შემდეგ ხდება შესაბამისი ადრესატის უფლებამოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, შესაბამისად, სწორედ ამ მომენტიდან პირს ეძლევა გასაჩივრების შესაძლებლობა. აქტის ოფიციალური გაცნობის სამართლებრივი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნულით დასტურდება მისი შინაარსის გაცნობა მხარის მიერ. ოფიციალურ გაცნობად ვერ ჩაითვლება პირისათვის აქტის შინაარსის შეტყობა არაოფიციალური წყაროდან. შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი აქტის შესრულება და გასაჩივრება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა არამართო აქტის კანონიერების კრიტერიუმია, არამედ მისი არსებობის წინაპირობაც. როგორც კანონი შედის ძალაში მისი ოფიციალური გამოქვეყნებით, ისე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიც შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს ადრესატისათვის მისი ოფიციალური გაცნობით. კანონმდებლობა არ შეიცავს რაიმე მითითებას პენსიის ცვლილებასთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის განსაკუთრებულ წესზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სპეციალური რეგულაციის არარსებობის შემთხვევაში მოქმედებს სზაკ-ით დადგენილი წესები. სზაკ-ის შესაბამისად აქტის ოფიციალური გაცნობის სახეობა: დაინტერესებული მხარისათვის აქტის გადაცემა ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნა (სზაკ-ის 58-ე მუხ.), აქტის გამოქვეყნება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ბეჭდვით ორგანოში (სზაკ-ის 56-ე მუხ.) და საჯარო გამოცხადება (სზაკ-ის 57-ე მუხ.). ამდენად, კანონმდებლობა ითვალისწინებს აქტის ოფიციალურად გაცნობის მკაცრად ფორმალიზებულ და ნაკლებად ფორმალიზებულ, ანუ მარტივ ფორმებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისათვის გაცნობის ამ ფორმების გამოყენება დაკავშირებულია ადმინისტრაციული წარმოების ფორმებთან და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატთა რაოდენობასთან, ასევე მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელობის ხარისხთან. ოფიციალობის თვალსაზრისით აქტის გაცნობის ზემოაღნიშნული ფორმები თანაბარი სამართლებრივი ძალის მქონეა და თანაბარ სამართლებრივ შედეგებს იწვევს. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება ადრესატისათვის აქტის გაცნობა რომელიმე მითითებული საშუალებით. შიდა მოხმარების დოკუმენტში (ე.წ. „სამმართველო ინფორმაციაში“) შეჭერება-შეწყვეტის ფიქსაცია ვერ იქნება მიჩნეული ოფიციალური გაცნობის სახეობად - საჯარო გამოცხადებად, რომელიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსება (სზაკ-ის 57-ე მუხ.). მოპასუხე

ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარმოუდგენია შიდა მოხმარების დოკუმენტაციაში აღრიცხვიანობისათვის ოფიციალური გაცნობის სტატუსის მინიჭების დამადასტურებელი მტკიცებულებები, საპენსიო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დებულებას, რომლის მიხედვით პენსიის შერჩერების საფუძვლების წარმოშობა ან შერჩერების სიაში შეყვანა ავტომატურად ნიშნავს მხარის ინფორმირებას, მოპასუხე ასეთ აქტზე მითითებას ვერ ახდენს. ის, რომ შერჩერების საფუძველი არსებობს, თავისთავად არ გულისხმობს პენსიის დარღვევის შერჩერებას, გლდან-ნაძალადევის ცენტრის გადაწყვეტილებები პენსიის გაცემის შერჩერების, ხოლო შემდგომში შეწყვეტის შესახებ წარმოადგენს არა რეალურ, არამედ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, პირის უფლებას აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ძალაში შედის ადრესატის მიერ ოფიციალურად დადგენილი წესით გაცნობიდან. აქტის გამოცემის საფუძვლის ცოდნა შესაძლოა გახდეს აქტის დასაბუთების გარეშე გამოცემის და არა საერთოდ მისი სათანადოდ გამოცემა- შეტყობინების ვალდებულებაზე უარის თქმის საფუძველი.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისათვის ჩაბარებასთან დაკავშირებულ დავაში მტკიცების ტვირთი ეკისრება არა ადრესატს, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს. სახელმწიფო გასაცემლების შერჩერება-შეწყვეტის შესახებ აქტები ძალაში შედის მისი ადრესატისათვის ჩაბარების დღიდან. ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება კანონმდებლობის იმპერატიული დანაწესის - პენსიის შერჩერება- შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების დაინტერესებული პირისათვის ჩაბარება, შესაბამისად არ დასტურდება აგრეთვე მათი ძალაში შესვლა.

თავი 1 - მუხლი 5; თავი 2 - მუხლი 60 არ არა აქტი

საქმე №ზს-1037(კ-18) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

ზემოაღნიშნულთან ერთად მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი ეხება არა გასაჩივრებული აქტების ბათილობის, არამედ შს მინისტრის უფლებამოსილების ფარგლებს, შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში დასაქმებულ პირთა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის შესაძლებლობას. აქტის არარად ცნობა დამოკიდებულია სამართალდარღვევის ხასიათზე. ადმინისტრაციული აქტის არარად ცნობა ყველაზე რადიკალური ზომია, აღნიშნული შესაძლოა უფლებამოსილების მნიშვნელოვანი გადამეტების და უფლების მნიშვნელოვანი შეზღუდვის შემთხვევაში. საკასაციო პალატა თვლის, რომ სახეზეა სზაკ-ის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, აღნიშნული ნორმისა და სზაკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილს შორის არსებული კოლიზია სპეციალური და უფრო ნორმის განახლებული რედაქციის, ანუ 60.1 მუხლის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. სზაკ-ის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი წარმოადგენს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემაზე არაუფლებამოსილ პირს, ვინაიდან საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციის ...ის (მთავარი სამმართველოს ...ის) სამსახურიდან

გათავისუფლება განეკუთვნებოდა არა შს მინისტრის, არამედ საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის უფლებამოსილებათა რიგს.

კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე (სზაკ-ის მე-5 მუხ.), ყველა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაიცვას კანონის მოთხოვნები და არ დაუშვას მისი დარღვევა. ადმინისტრაციულ ორგანოს (კერძო სამართლის სუბიექტისგან განსხვავებით) ეკრძალება იმ უფლებამოსილებების განხორციელება, რომლებსაც კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს, ანუ მოქმედებს პრინციპი - რაც ნებადართული არ არის, - აკრძალულია. მართალია არ არის გამორიცხული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით გაუთვალისწინებელი ფუნქციების შესრულება უკეთეს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება ან სამართლებრივი აქტი არ ეწინააღმდეგება კანონს და ადმინისტრაციული ორგანო არ ცდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ზოგადი უფლებამოსილებების საზღვრებს, მაგრამ ამასთანავე, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია შემზღუდავი სამართლებრივი აქტების გამოცემა მხოლოდ კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე (სზაკ-ის 5.2 მუხ.).

სზაკ-ის 60-ე მუხლის თანახმად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონის მოთხოვნათა დარღვევით გამოცემა ყოველთვის არ წარმოშობს მისი არარა აქტად მიჩნევის საფუძველს. როგორც კანონიერი, ისე უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, განსხვავებით არარა ადმინისტრაციული აქტისაგან, მისი გამოცემის მომენტიდან მოქმედებს - საჩივრისა და სარჩელის შეტანის ვადის გასვლის შემდეგ ხდება ყველასთვის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე, ხოლო არარა აქტი გამოცემისთანავე არარაა, ის არ ცვლის სამართლებრივ მდგომარეობას, რის გამოც არარა აქტის მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადები, აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნისგან განსხვავებით არარად ცნობის მოთხოვნის დასმა არ არის შეზღუდული მკაცრი ვადით. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა სამსახურებრივი ურთიერთობები, რომლებიც განსაკუთრებული დინამიურობით გამოირჩევა, დაკავშირებულია ხელფასის სახით პერიოდულ გადახდებთან, საკითხი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სამართლებრივი აქტის არარად ცნობის შესახებ უნდა დაისვას გონივრულ ვადაში. სასამართლოს უფლების მნიშვნელობის მიუხედავად ის არ არის აბსოლუტური უფლება. გონივრულ ვადაში სარჩელის აღძვრის მოთხოვნის არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არამართო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგებოდა, სამართალურთიერთობის მონაწილე ვალდებულია დროულად იზრუნოს საკუთარი უფლებების განხორციელებასა და დაცვაზე, რითიც იქმნება გონივრულ ვადაში დავის გადაწყვეტის შესაძლებლობა.

თ ა ვ ი V . ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

106. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება:

ა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ;

- ბ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები;
- გ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

107. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს როგორც:

- ა. ადმინისტრაციული სამართლის სუბიექტი;
- ბ. სამოქალაქო სამართლის სუბიექტი;
- გ. საერთაშორისო სამართლის სუბიექტი;
- დ. სისხლის სამართლის სუბიექტი.

108. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, რომელი ფორმულირებაა სწორი:

- ა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას და კანონმდებლობას;
- ბ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას;
- გ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას;
- დ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონმდებლობას.

109. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა შესაბამისმა უწყებამ პრივატიზება განახორციელა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, იმ მიზნით, რომ, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და რეგიონის განვითარების მიზნით, მყიდველს დაევალა ახალი ქარხნის მშენებლობა. ხელშეკრულების დადენის შემდგომ, აღმოჩნდა რომ ქონებაზე რეგისტრირებული იყო იჯარა, მოიჯარე კი ქონების პრივატიზების თაობაზე არ იყო ინფორმირებული. ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე მოიჯარესათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება?

- ა. ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა ვალდებულება ინფორმაციის მიწოდების თაობაზე;
- ბ. ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდა უფლებამოსილება ინფორმაციის მიწოდების თაობაზე;
- გ. ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდა ვალდებულება ინფორმაციის მიწოდების თაობაზე;
- დ. ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდა უფლებამოსილება ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.

110. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, შესაძლებელია თუ არა ადმინისტრაციული ხელშეკრულება დაიდოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ნაცვლად?

- ა. შესაძლებელია;

- ბ. არ არის შესაძლებელი;
- გ. ნაწილობრივ შესაძლებელია;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

111. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს:

- ა. ზეპირად.
- ბ. წერილობითი ფორმით.
- გ. ზეპირად და წერილობითი ფორმით.
- დ. მხოლოდ წერილობითი ფორმით.

112. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას აწესრიგებს:

- ა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- გ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და სამოქალაქო კოდექსი;
- დ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

113. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გამას“ შორის დაიდო ადმინისტრაციული ხელშეკრულება, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით. შპს „გამამ“ ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის შემდეგ, განაცხადა რომ, მას შეეძლო ტრანსპორტით უზრუნველყოფის ნაცვლად, განეხორციელებინა გზების რეაბილიტაცია, რაც ხელშეკრულების არსებით ცვლილებად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და მოითხოვა ხელშეკრულების გაუქმება. ჰქონდა თუ არა ხსენებული მოთხოვნის დაყენების უფლებამოსილება მერიას?

- ა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ჰქონდა ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლებამოსილება;
- ბ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას არ ჰქონდა ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლებამოსილება;
- გ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ნაწილობრივ ჰქონდა ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლებამოსილება;
- დ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ჰქონდა ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის ვალდებულება.

სასამართლო პრაქტიკა

თავი 1 - მუხლი 2.1 „ზ“; თავი 5 - მუხლი 65¹

ადმინისტრაციული ხელშეკრულება

საქმე Nზს-1134(გ-19) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავის საგნობრივი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, უნდა დადგინდეს სადავო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი.

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი გულისხმობს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას, არამედ ძირითადი, უშუალო ფუნქციის განსახორციელებლად ხელშეკრულების დადებას. სხვაგვარად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას მიენიჭებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სტატუსი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება ხელშეკრულებას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება. შესაბამისად, მის შეწყვეტასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს. ამასთან, მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობანი.

კონკრეტულ შემთხვევაში, აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე კრძო სამართლის იურიდიულ პირს - შპს „...ოს“ სათანადო საფასურის სანაცვლოდ აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაეცა უძრავი ქონება, მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება გადაეხადა შესაბამისი საფასური უძრავი ქონებით სარგებლობის სანაცვლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარე ადმინისტრაციულ ორგანოს არ მოუხდენია მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების შედეგად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების (რეალაქტის) განხორციელების მოვალეობის წარმოქმნას, ხელშეკრულების დადების შედეგად მხარის საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღჭურვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა ორგანომ შპს „...ოს“,

შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ, აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადასცა უძრავი ქონება. ამდენად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოქმნის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას.

„...ოსათვის“ ...თან ერთად მოსასვენებელი სივრცის მოწყობის ვალდებულების დაკისრება, თავისთავად არ ნიშნავს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების პირობას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად, დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელშიც ადმინისტრაციული ორგანო არ არის აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებით. ამასთან, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა (სუსგ 29.06.2017წ., № ბს-73-72(კ-17); 29.06.2017წ. №ბს-959-950(კ-16)).

თავი VI. ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება

114. რომელი არ განეკუთვნება ადმინისტრაციული წარმოების სახეს?

- ა. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება;
- ბ. რთული ადმინისტრაციული წარმოება;
- გ. ფორმარული ადმინისტრაციული წარმოება;
- დ. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

115. ესპანეთის მოქალაქე ჯონმა, რომელიც რამოდენიმე წელია ცხოვრობს საქართველოში, მიმართა სსიპ იუსტიციის სახლს მოქალაქეობის მიღების თაობაზე და წარადგინა განცხადება ინგლისურ ენაზე. ჯონის განცხადებაზე დადგინდა ხარვეზი და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განისაზღვრა 2 დღიანი ვადა დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის წარსადგენად. სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სსიპ იუსტიციის სახლმა?

- ა. ადმინისტრაციული ორგანოს განსაზღვრული ვადა უნდა იყოს არანაკლები 2 დღისა;
- ბ. ადმინისტრაციული ორგანოს განსაზღვრული ვადა უნდა იყოს არანაკლები 3 დღისა;
- გ. ადმინისტრაციული ორგანოს განსაზღვრული ვადა უნდა იყოს არანაკლები 5 დღისა;
- დ. ადმინისტრაციული ორგანოს განსაზღვრული ვადა უნდა იყოს არანაკლები 7 დღისა.

116. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოებისას ვინ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს?

- ა. პასუხისმგებელი თანამდებობის პირი;
- ბ. ნებისმიერი თანამშრომელი;
- გ. ნებისმიერი დაინტერესებული პირი;
- დ. პასუხისმგებელი თანამდებობის პირი ან მისი ოფიციალური წარმომადგენელი.

117. სსიპ იუსტიციის სახლს უძრავი ქონების ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა დაინტერესებული პირის (მესაკუთრის) მეგობარმა, იმ მოტივით, რომ მესაკუთრეს

არ ჰქონდა დრო განცხადების წარსადგენად, რამდენად აქვს ზემოაღნიშნულ პირს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლება?

- ა. არ აქვს;
- ბ. ნებისმიერ პირს აქვს უფლება;
- გ. აქვს უფლება;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი;

118. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დაინტერესებული პირის მიერ განცხადების წარდგენიდან რა ვადაში იწყება ადმინისტრაციული წარმოება?

- ა. განცხადების წარდგენიდან 3 დღის ვადაში;
- ბ. განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან;
- გ. განცხადების წარდგენიდან 7 დღის ვადაში;
- დ. განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში.

119. მოქალაქემ გადაწყვიტა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნება, მეგობარმა ურჩია რომ მიემართა სსიპ იუსტიციის სახლისათვის, თუმცა ლევანს დაეზარა შორს წასვლა და შპს-ს რეგისტრაციის მიზნით, განცხადებით მიმართა, მის სახლთან ახლოს მდებარე გამგეობას.

სწორად მოიქცა თუ არა ლევანი განცხადების არაუფლებამოსილ ორგანოში წარდგენით?

- ა. სწორად მოიქცა;
- ბ. არ მოიქცა სწორად, განცხადება უნდა შეეტანა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში;
- გ. არ მოიქცა სწორად, განცხადება უნდა შეეტანა მერიაში;
- დ. სწორად მოიქცა, შეეძლო ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში შეეტანა განცხადება.

120. მოქალაქე სატელეფონო საშუალებით დაუკავშირდა სსიპ - იუსტიციის სახლს და მოითხოვა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დასამზადებლად განცხადების ზეპირად ჩაბარება. რაზეც ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი განაცხადა და მოითხოვა განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენა. სწორად მოიქცა თუ არა იუსტიციის სახლი?

- ა. სწორად მოიქცა, რადგანაც განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით;
- ბ. არ მოიქცა სწორად, განცხადება შეიძლება იყოს ზეპირი ფორმით;
- გ. არ მოიქცა სწორად;
- დ. სწორად მოიქცა.

121. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს განცხადებით მიმართა მოქალაქემ და მოითხოვა სოციალური დახმარების დანიშვნა. ადმინისტრაციულმა ორგანომ განაცხადი იმავე დღესვე გაატარა რეგისტრაციაში, თუმცა თარიღი და ნომერი არ დაუსვია განცხადებაზე. სწორად მოიქცა თუ არა ადმინისტრაციული ორგანო?

- ა. სწორად მოიქცა, განაცხადზე რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის დასმა არ არის სავალდებულო;
- ბ. არ მოიქცა სწორად, განაცხადზე რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის დასმა არის აუცილებელი;
- გ. სწორად მოიქცა, განაცხადზე რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის დასმა არ არის აუცილებელი;

დ. არ მოიქცა სწორად, განაცხადზე რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის დასმა არის სავალდებულო.

122. მოქალაქე წინომ განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ნებართვის მიღება, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ განცხადება 10 დღის მერე გადაუგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას.

სწორად მოიქცა თუ არა საჯარო რეესტრი?

ა. სწორად მოიქცა;

ბ. არ მოიქცა სწორად, განცხადება უნდა გადაეგზავნა 5 დღის ვადაში;

გ. არ მოიქცა სწორად, განცხადება უნდა გადაეგზავნა 7 დღის ვადაში;

დ. არ მოიქცა სწორად, განცხადება უნდა გადაეგზავნა დაუყოვნებლივ.

123. მოქალაქემ განცხადებით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს და თან დაურთო ყველა ის დოკუმენტი რაც გათვალისწინებული იყო კანონით, თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ დამატებით მოითხოვა სხვა ისეთი ინფორმაცია/დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომელიც არ იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს ზემოაღნიშნული მოთხოვნის უფლებამოსილება?

ა. არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება;

ბ. ჰქონდა ამის უფლებამოსილება;

გ. ნაწილობრივ ჰქონდა;

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

124. დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს და ამასთან, დააყენა მოითხოვა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის საიდუმლოლობის უზრუნველყოფის თაობაზე, რაზეც ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი განუცხადა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ჰქონდა თუ არა დაინტერესებულ პირს აღნიშნული მოთხოვნის უფლებამოსილება?

ა. არ ჰქონდა უფლებამოსილება;

ბ. არ ჰქონდა უფლებამოსილება, გარდა გამონაკლისისა;

გ. ჰქონდა უფლებამოსილება;

დ. ჰქონდა უფლებამოსილება, განსაკუთრებულ შემთხვევაში.

125. ქ. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა მოქალაქემ და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის მიღება. ადმინისტრაციულმა ორგანომ დამატებით მოითხოვა გეოლოგიური დასკვნის წარმოდგენა და მხარეს ამისათვის განუსაზღვრა 3 დღიანი ვადა. სწორად მოიქცა თუ არა ქ. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია?

ა. არ მოიქცა სწორად, ვადა უნდა განესაზღვრა არანაკლებ 15 დღისა;

ბ. არ მოიქცა სწორად, ვადა უნდა განესაზღვრა არანაკლებ 5 დღისა;

გ. სწორად მოიქცა ვადა უნდა განესაზღვრა არანაკლებ 3 დღისა;

დ. სწორად მოიქცა ვადა უნდა განესაზღვრა საჭიროებისამებრ.

126. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ წერილით მიმართა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა ორი კვირის ვადაში, მოსაზრების წარმოდგენა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იმ რაიონში მდებარე უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით. მერიამ განსაზღვრულ ვადაში ვერ უზრუნველყო მოსაზრების წარმოდგენა, შესაბამისად სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება ქონების განკარგვასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ჰქონდა თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება?

- ა. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ჰქონდა უფლებამოსილება;
- ბ. ჰქონდა უფლებამოსილება;
- გ. არ ჰქონდა უფლებამოსილება;
- დ. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილება არ ჰქონდა.

127. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო:

- ა. ვალდებულია განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები;
- ბ. ვალდებულია გააცნოს განცხადების განხილვის წესი;
- გ. ვალდებულია მიუთითოს განცხადებაში დამზებული შეცდომების შესახებ;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

128. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დაასრულეთ:

- ა. ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით;
- ბ. ყველას აქვს ვალდებულება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით;
- გ. ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან მეგობრის მეშვეობით;
- დ. ყველას აქვს ვალდებულება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან მხოლოდ საკუთარი თავის მეშვეობით.

129. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დაინტერესებული პირის მიერ წარმომადგენლის დანიშვნის შემთხვევაში, პირისათვის განკუთვნილი ყველა დოკუმენტი ეგზავნება:

- ა. დაინტერესებულ პირს;
- ბ. წარმომადგენელს;
- გ. დაინტერესებულ პირს და წარმომადგენელს;
- დ. არ არის განსაზღვრული.

130. უკრაინის მოქალაქემ სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის მიზნით, განცხადებით მიმართა სსიპ იუსტიციის სახლს. იქიდან გამომდინარე, რომ დაინტერესებულ პირს არ გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ადმინისტრაციულმა ორგანომ 3 დღის ვადაში მოითხოვა საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული

წარმომადგენლის დანიშვნა. ჰქონდა თუ არა აღნიშნული მოთხოვნის უფლებამოსილება სსიპ იუსტიციის სახლს?

- ა. დიახ, მას ჰქონდა ამის უფლებამოსილება;
- ბ. არა, მას უნდა განესაზღვრა 7 დღიანი ვადა;
- გ. არა, არ ჰქონდა უფლებამოსილება;
- დ. არა, მას უნდა განესაზღვრა 15 დღიანი ვადა.

131. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, რომელი მსჯელობაა სწორი?

- ა. წარმომადგენლად შეიძლება დაინიშნოს ფიზიკური პირი;
- ბ. წარმომადგენლად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ფიზიკური პირი;
- გ. წარმომადგენლად შეიძლება დაინიშნოს იურიდიული პირი;
- დ. წარმომადგენლად შეიძლება დაინიშნოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.

132. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით მიმართეს შენგელაიას ქუჩის მაცხოვრებლებმა და მოითხოვეს დასასვენებელი პარკის მოწყობა. განცხადებას ხელს აწერდა 35 მაცხოვრებელი. იქიდან გამომდინარე, რომ განმცხადებლებმა არ დანიშნეს წარმომადგენელი, ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი ინიციატივით შეარჩია ერთ-ერთი განმცხადებელი, რომელიც იყო ბოლო ხელმომწერი. სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ?

- ა. სწორი გადაწყვეტილება მიიღო;
- ბ. არ იყო შეზღუდული არჩევანში;
- გ. არ მიიღო სწორი გადაწყვეტილება, უნდა აერჩია ანბანის მიხედვით;
- დ. არ მიიღო სწორი გადაწყვეტილება.

133. მოქალაქემ მიმართა ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული ქონებაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ამასთან თავის ინიციატივით დაუკვეთა გეოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება ერთ-ერთ კერძო კომპანიას. ექსპერტის დასკვნის ხარჯების ანაზღაურება კი მერიას მოთხოვა. რაზეც უარი მიიღო. სწორად მოიქცა თუ არა ადმინისტრაციული ორგანო?

- ა. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო ხარჯები აენაზღაურებინა;
- ბ. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო ხარჯები აენაზღაურებინა;
- გ. ადმინისტრაციული ორგანო არ იყო ვალდებული ხარჯები აენაზღაურებინა;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

134. მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს განსახილველად დაეწერა საკუთარი ძმიშვილის განცხადება, მოადგილემ აღნიშნული გარემოებისა და თვითაც ილების შესახებ აცნობა მერს. სწორად მოიქცა თუ არა მოადგილე?

- ა. ვალდებული არ იყო თვითაც ილება გაეკეთებინა;
- ბ. უფლებამოსილი არ იყო თვითაც ილება გაეკეთებინა;
- გ. უფლებამოსილი იყო თვითაც ილება გაეკეთებინა;
- დ. ვალდებული იყო თვითაც ილება გაეკეთებინა.

135. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დანტერესებული მხარე ვალდებულია აცილების შესახებ განცხადება წარადგინოს:

ა. ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ან იმ მომენტიდან 2 დღის განმავლობაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ფაქტი ან გარემოება, რომელიც იძლევა აცილების საფუძველს;

ბ. ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ან იმ მომენტიდან 5 დღის განმავლობაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ფაქტი ან გარემოება, რომელიც იძლევა აცილების საფუძველს;

გ. ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 7 დღის განმავლობაში;

დ. იმ მომენტიდან 7 დღის განმავლობაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ფაქტი ან გარემოება, რომელიც იძლევა აცილების საფუძველს.

136. მოქალაქემ განცხადებით მიმართა ქ. ქუთაისის მერიას და მოითხოვა ნებართვის მიღება საცხოვრებელი სახის სახეცვლილებასთან დაკავშირებით, განცხადებას თან დაურთო შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია, თუმცა მერიამ დაადგინა ხარვეზი, რადგანაც დოკუმენტაციას აკლდა უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და პირს განუსაზღვრა 7 დღიანი ვადა კორექტირებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად. მოქალაქემ ვერ უზრუნველყო ხარვეზის აღმოფხვრა იმ მიზეზით, რომ დასჭირდა გადაუდებელი ოპერაცია, გამოჯანმრთელებიდან 1 თვის შემდგომ მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს გაშვებული ვადის აღდგენის თაობაზე, რაზეც ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი უთხრა. სწორად მოქცა თუ არა ქ. ქუთაისის მერია?

ა. არ იყო ვალდებული აღედგინა ვადა;

ბ. უფლებამოსილი იყო აღედგინა ვადა;

გ. არ იყო უფლებამოსილი აღედგინა ვადა;

დ. ვალდებული იყო აღედგინა ვადა.

137. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირთა რაოდენობა შეადგენდა 100 განმცხადებელს, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება, თითოეული მათგანის ინფორმირების ნაცვლად, ოფიციალურად გამოექვეყნებინა ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. ადმინისტრაციული ორგანო:

ა. არ იყო უფლებამოსილი გამოექვეყნებინა ცნობა;

ბ. ვალდებული იყო თითოეული განმცხადებლის ინფორმირება მოეხდინა;

გ. ვალდებული იყო პირველი ათი განმცხადებლის ინფორმირება მოეხდინა;

დ. უფლებამოსილი იყო გამოექვეყნებინა ცნობა.

138. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დაუშვებელია ინდივიდუალური აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც:

ა. არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანო მიერ;

ბ. კანონით დადგენილი წესით, არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანო მიერ;

გ. არ არის გამოკვლეული ექსპერტის მიერ;

დ. არ არის გამოკვლეული სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

139. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დროს, მოწმისა და ექსპერტის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა ხდება:

- ა. ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად;
- ბ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად;
- გ. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად;
- დ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

140. ადმინისტრაციულ ორგანოს, საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, შუამდგომლობა წარუდგინა დაინტერესებულმა მხარემ, ადმინისტრაციულმა ორგანომ 2 დღის ვადაში მიიღო გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. სწორად მოიქცა თუ არა ადმინისტრაციული ორგანო?

- ა. არ მოიქცა სწორად, ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა შუამდგომლობა;
- ბ. სწორად მოიქცა. ვალდებული არ იყო დაეკმაყოფილებინა შუამდგომლობა;
- გ. არ მოიქცა სწორად, ნაწილობრივ უნდა დაეკმაყოფილებინა შუამდგომლობა;
- დ. არცერთი პასუხი არაა სწორი.

141. სსიპ იუსტიციის სახლს, მიმართა დაინტერესებულმა პირმა და მოითხოვა საქმეში არსებული ხელშეკრულების ასლების გამოთხოვა, ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსთხოვა როგორც ასლის გადაღების, ასევე მომსახურების გადასახადი. ჰქონდა თუ არა აღნიშნულის უფლებამოსილება სსიპ იუსტიციის სახლს?

- ა. არ ჰქონდა;
- ბ. არ ჰქონდა, რადგანაც არ შეიძლება დაწესდეს გადასახადი დოკუმენტის ასლის მისაღებად;
- გ. ჰქონდა მოთხოვნის უფლებამოსილება;
- დ. საჭიროებისამებთ ჰქონდა მოთხოვნის უფლებამოსილება.

142. ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართა მოქალაქემ და და მოითხოვა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზება, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაიწყო წარმოება და მიიღო გადაწყვეტილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ვადის 4 თვით განსაზღვრის თაობაზე. ჰქონდა თუ არა აღნიშნული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს?

- ა. არა. რადგანაც, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს;
- ბ. არა. რადგანაც, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს;
- გ. არა. რადგანაც, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს;
- დ. დიახ, რადგანაც, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 თვეს.

143. განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემამდე განმცხადებელმა მოითხოვა განცხადების უარყოფელ გარემოებათა შესახებ საკუთარი აზრის წარდგენა, რაზეც ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი განუცხადა. სწორად მოიქცა თუ არა ადმინისტრაციული ორგანო?

- ა. სწორად მოიქცა, რადგანაც განმცხადებელს არ ჰქონდა მოთხოვნის უფლებამოსილება;
- ბ. არ მოიქცა სწორად, ვალდებული იყო მიეცა განმცხადებლისთვის აზრის წარდგენის შესაძლებლობა;
- გ. სწორად მოიქცა, რადგანაც არ იყო ვალდებული;
- დ. შეეძლო საჭიროებისამებრ მოქცეულიყო.

144. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ერთსა და იმავე საკითხზე განცხადების ხელახლა წარდგენა შესაძლებელია:

- ა. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ;
- ბ. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის საზიანოდ;
- გ. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, შეიცვალა ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ;
- დ. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, შეიცვალა ადმინისტრაციული ორგანოს საზიანოდ.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 72; მუხლი 95. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება

საქმე №8ს-806-798(კ-15) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

სზაკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ტარდება თუ კანონმდებლობით არ განისაზღვრება აქტის გამოცემის მიზნით ჩასატარებელი ადმინისტრაციული წარმოების სახეობა. ვინაიდან წარმოების სახე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით არ არის დადგენილი, გამოყენებული უნდა იქნეს მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. ფორმალური წარმოებისაგან განსხვავებით მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დროს დასაშვებია საკითხის გადაწყვეტა ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცეს კანონით დადგენილი პროცედურული წესების დაცვით. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში არ არის სავალდებულო, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ჩააბას ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარე (სზაკ-ის 95.1 მუხ.). ამასთანავე, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა აცნობოს პირს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, თუ იზღუდება მისი კანონიერი ინტერესი, მას უნდა მიეცეს მისი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა (სზაკ-ის 95.2, 13 მუხ.). ვინაიდან სადავო აქტით მოხდა ვ. გ-ას მდგომარეობის გაუარესება, ამდენად საჭირო იყო მისი შეტყობინება ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში ანიჭებს მას წარმოების მასალების გაცნობის, შუამდგომლობის დასმის, მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კვალიფიციური და ობიექტური აქტის გამოცემას. ამდენად, დაინტერესებული პირის

ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის უზრუნველყოფად ზომების მიუღებლობა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უდავოდ ადასტურებს ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ხარვეზიანობას.

თავი VII. ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში

145. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს:

ა. მხოლოდ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო. გამონაკლისს წარმოადგენს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის უფლება – გადაგზავნოს განცხადება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ან დაუბრუნოს იგი განმცხადებელს, თუ მასში დასმული საკითხების გადაწყვეტა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება;

ბ. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხვა თანამდებობის პირებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ;

გ. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად;

დ. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოში ხელმძღვანელის მიერ სპეციალურად ამისათვის დანიშნული თანამდებობის პირი, რომელიც იმავდროულად საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირიცაა.

146. მოქალაქემ განცხადება შეიტანა კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში, ისეთ საკითხზე რომლის გადაწყვეტა არ განეკუთვნებოდა ამ ორგანოს უფლებამოსილებას, შესაბამისად, უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა განცხადება გადააგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

სწორედ მოიქცა თუ არა აღნიშნული თანამდებობის პირი?

ა. არა, ვინაიდან თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით ყველა გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო;

ბ. დიახ, ვინაიდან თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო. გამონაკლისს წარმოადგენს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის უფლება - გადააგზავნოს განცხადება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, თუ მასში დასმული საკითხის გადაწყვეტა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება;

გ. დიახ, ვინაიდან კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით ყველა გადაწყვეტილება მიიღება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ;

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

147. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს – საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ხელმძღვანელმა თანამდებობის პირმა – კომისიის თავმჯდომარემ მათთან შეცდომით წარდგენილი განცხადება გადაუგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამ უკანსკნელმა განცხადება უკან დაუბრუნა კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოს და მიუთითა, რომ განცხადების გადაგზავნის საკითხი ექვემდებარებოდა კოლეგიური წესით განხილვას.

სწორია თუ არა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის ქმედება?

ა. არა, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების გადაგზავნის თაობაზე გადაწყვეტილება უნდა მიეღო კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოს, რადგან კოლეგიურ ორგანოში შეტანილ ყველა განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ყოველთვის იღებს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო;

ბ. დიახ, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებს;

გ. დიახ, აღნიშნული თანამდებობის პირი უფლებამოსილი იყო ერთპიროვნულად მიეღო გადაწყვეტილება განცხადების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის თაობაზე;

დ. არა, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარე ვალდებული იყო განცხადების ქვემდებარეობის საკითხი გამოერკვია კომისიის სხდომაზე, განმცხადებელთან შეთანხმებით.

148. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ქვორუმი და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ხმათა რაოდენობა შეადგენს?

ა. ზოგადი წესი დარეგულირებული არ არის;

ბ. მსგავსი საკითხი რეგულირდება ინდივიდუალურად შესაბამისი კანონმდებლობით;

გ. ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა და გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი;

დ. ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 5 წევრისა და გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

149. რამდენად სავალდებულოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომაზე ოქმის შედგენა და ვინ აწერს მას ხელს?

ა. სხდომის ოქმის შედგენა სავალდებულო არ არის;

ბ. სხდომის ოქმის შედგენა სავალდებულოა და მას ხელს აწერს სხდომის ყველა მონაწილე;

გ. სხდომის ოქმის შედგენა სავალდებულოა და მას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე;

დ. სხდომის ოქმის შედგენა სავალდებულოა და მას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, აგრეთვე მდივანი, თუ ის მონაწილეობდა ოქმის შედგენაში.

150. რა ფორმით მიიღება გადაწყვეტილება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე?

- ა. გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია წერილობითი ან ზეპირი ფორმით;
- ბ. გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ზეპირი ფორმით;
- გ. გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

151. რა შემთხვევაში არის შესაძლებელი, რომ არ გამოქვეყნდეს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი და გამოქვეყნდეს მხოლოდ ცნობა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ?

- ა. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის გამოქვეყნება არ არის სავალდებულო;
- ბ. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი დიდი მოცულობისაა და კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია საკუთარი ვებგვერდი;
- გ. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი არ შეეხება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან გარემოებებს;
- დ. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი დიდი მოცულობისაა.

152. თუ დასკვნის არსებობას ითვალისწინებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი და არ მოხდა მისი დადგენილ ვადაში წარმოდგენა, არის თუ არა უფლებამოსილი კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო მიიღოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?

- ა. არა, დაუშვებელია კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანომ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიიღოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნის არსებობის გარეშე, თუ დასკვნის არსებობა სავალდებულოა კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული აქტით;
- ბ. არა, ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნის გარეშე, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია;
- გ. დიახ, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით დასკვნის წარუდგენლობამ, არ შეიძლება დააბრკოლოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება;
- დ. დიახ, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით დასკვნის წარუდგენლობის შემთხვევაში კანონით პირდაპირ გათვალისწინებულია კოლეგიური ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების საკითხი.

153. ვის აქვს უფლება წარადგინოს საკუთარი მოსაზრება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით და რისი მითითებაა სავალდებულო?

- ა. ყველას აქვს უფლება წარადგინოს საკუთარი მოსაზრება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით ვინაობის მითითების გარეშე;
- ბ. ყველას აქვს უფლება წარადგინოს საკუთარი მოსაზრება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით ვინაობის მითითებით;

გ. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი პროფესიული უნარებისა და ცოდნის მქონე პირებს, რომელიც უნდა იქნეს დასაბუთებული მოსაზრებასთან ერთად;

დ. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 103; მუხლი 106¹.

კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები

საქმე №3/440-18 თბილისის საქალაქო სასამართლო

სასამართლო განმარტავს, რომ კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოების წესებს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VII თავი. აღნიშნული კოდექსის 103-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები, ხოლო 1² ნაწილის მიხედვით, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების მიმართ ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო, აგრეთვე მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული წესები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების უფლებას მქონე კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება ამავე ორგანოს გადაწყვეტილებით, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე წერილობითია და წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ამავე კოდექსის 106² მუხლის თანახმად, 1) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს ამ კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად ან კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდზე; 2) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ; 3) ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობაში აღნიშნება: ა) იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება; ბ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების ვადა; გ) იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მისამართი, რომელშიც შესაძლებელია მოსაზრებების წარდგენა; დ) მოსაზრებების წარდგენის

ვადა; 1064 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ყველას აქვს უფლება წარადგინოს საკუთარი მოსაზრება კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით, ხოლო 106⁵ მუხლის შესაბამისად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა განისაზღვრება კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა, ხოლო ამავე კოდექსის 121-ე მუხლის თანახმად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე თავის სასარჩელო მოთხოვნის ერთ-ერთ არგუმენტად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ სადავო დადგენილებები მიღებული იქნა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით. კერძოდ, მოსარჩელე შა—ი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ გამოქვეყნებულა გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, ასევე, არ გამოქვეყნებულა ცნობა ზეპირი მოსმენის ჩატარების დროის, ადგილისა და დაინტერესებული მხარეების დასწრების შესაძლებლობის შესახებ.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დარღვეული გასაჩივრებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღების კანონმდებლობით დადგენილი პროცედურული ნორმები. ამდენად, მოსარჩელე მხარის არგუმენტაცია ამ ნაწილში დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული სასამართლოს მიერ.

თავი VIII. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება

154. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- ა. ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით;
- ბ. ეს არაპირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით;
- გ. ეს წარმოადგენს აუცილებლობას;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

155. დაინტერესებული მხარის უარი ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღებაზე:

- ა. არ აჩერებს ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებას;
- ბ. აჩერებს ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებას;
- გ. არ აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას;
- დ. აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას.

156. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დროს:

- ა. დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს თავისი მოსაზრება ადმინისტრაციული წარმოების ყველა გარემოებასთან დაკავშირებით;
- ბ. დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს თავისი შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების ყველა გარემოებასთან დაკავშირებით;
- გ. დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს თავისი მოსაზრება ან შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების ყველა გარემოებასთან დაკავშირებით;
- დ. დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს თავისი პოზიცია.

157. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დროს:

- ა. მოწმე ვალდებულია მისცეს ჩვენება, ხოლო ექსპერტი – დასკვნა;
- ბ. მოწმე ვალდებულია მისცეს დასკვნა, ხოლო ექსპერტი – ჩვენება;
- გ. მოწმე ვალდებულია არ არის მისცეს ჩვენება, ხოლო ექსპერტმა – დასკვნა;
- დ. მოწმე ვალდებულია მისცეს ჩვენება, ხოლო ექსპერტი არ არის ვალდებული მისცეს – დასკვნა.

158. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს:

- ა. დაესწროს მოწმის ან ექსპერტის დაკითხვას;
- ბ. დაუსვას მათ შეკითხვები;
- გ. გაეცნოს ექსპერტის წერილობით დასკვნას, დაესწროს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

159. დაინტერესებული მხარის მიერ მოწვეული მოწმის ან ექსპერტის ხარჯებს ანაზღაურებს:

- ა. დაინტერესებული მხარე;
- ბ. სასამართლო;
- გ. სახელმწიფო;
- დ. თავად მოწმე და ექსპერტი.

160. დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეცნობოთ ზეპირი მოსმენის შესახებ მის გამართვამდე:
ა. 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად;
ბ. 8 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად;
გ. 9 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად;
დ. 10 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

161. რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. თუ დაინტერესებულ მხარეთა რიცხვი აღემატება 20-ს, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული მხარეები ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ცნობის გამოქვეყნების მეშვეობით;
ბ. თუ დაინტერესებულ მხარეთა რიცხვი აღემატება 30-ს, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული მხარეები ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ცნობის გამოქვეყნების მეშვეობით;
გ. თუ დაინტერესებულ მხარეთა რიცხვი აღემატება 40-ს, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული მხარეები ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ცნობის გამოქვეყნების მეშვეობით;
დ. თუ დაინტერესებულ მხარეთა რიცხვი აღემატება 50-ს, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული მხარეები ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ცნობის გამოქვეყნების მეშვეობით.

162. ზეპირი მოსმენა არ უნდა გრძელდებოდეს:

ა. ერთ სამუშაო დღეზე მეტს;
ბ. ორ სამუშაო დღეზე მეტს;
გ. 6 საათზე დღეზე მეტს;
დ. 8 საათზე დღეზე მეტს.

163. სხდომა ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებით საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომა დახურულად გამოაცხადოს:

ა. პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;
ბ. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;
გ. კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;
დ. ყველა პასუხი სწორია.

164. ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ:

ა. ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს, ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელს, დაინტერესებულ მხარეს, განხილვაზე მოწვეულ ექსპერტს, მოწმეს;
ბ. ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს, ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელს, დაინტერესებულ მხარეს;
გ. ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს, ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელს, დაინტერესებულ მხარეს, განხილვაზე მოწვეულ ექსპერტს;
დ. ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს, ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელს, დაინტერესებულ მხარეს, მოწმეს.

165. ზეპირი მოსმენით ჩატარებულ სხდომის ოქმში უნდა მითითოს:

- ა. ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;
- ბ. სხდომის თავმჯდომარის, ზეპირ მოსმენაში მონაწილე დაინტერესებული მხარის, ექსპერტის, მოწმის ვინაობა;
- გ. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგის აღწერა;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

166. თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ზეპირი მოსმენის გამართვიდან:

- ა. 3 დღის ვადაში;
- ბ. 6 დღის ვადაში;
- გ. 5 დღის ვადაში;
- დ. 2 დღის ვადაში.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 107.

ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება

საქმე №8ს-922(კ-20) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 107-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არარის გათვალისწინებული.

საკვსაცხო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ამავე კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით კი, დადგენილია, რომ საქმის გარემოებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია: ა) გამოითხოვოს დოკუმენტები; ბ) შეაგროვოს ცნობები; გ) მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს; დ) დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი; ე) დანიშნოს ექსპერტიზა; ვ) გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები; ზ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

საკვსაცხო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკითხის განხილვისას, ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული მხოლოდ განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით, საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება გულისხმობს არა მხოლოდ მასთან წარდგენილი მტკიცებულებების სრულად გამოკვლევის, არამედ როგ შემთხვევებში დამატებითი მტკიცებულებების მოძიების საჭიროებასაც.

თავი 4 - მუხლი - 53; თავი 6 - მუხლი 80; თავი 8 - მუხლი 108, მუხლი 114

ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება

საქმე №8ს-813-807(კ-11) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის 4.1 მუხლის თანახმად, კომისია თავის ფუნქციებს ახორციელებს სზაკ-ის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონითა და საქართველოს პრეზიდენტის 15.09.07 წ. 1525 ბრძანებულებით განსაზღვრული წესით. კომისიას, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის განხილვისას, გარდა კანონისა და ბრძანებულებით დადგენილი ნორმების დაცვისა, გააჩნდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი ნორმების მოთხოვნათა დაცვის ვალდებულება, რომელთა დაცვა წარმოადგენდა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების სავალდებულო პირობას. სზაკ-ის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებსა ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. კომისიის 07.10.10 წ. 1224 ოქმით 79-ე საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ნაკვეთისათვის მართლზომიერი მფლობელობის კატეგორიის მინიჭება გამორიცხავდა კომისიის მიერ საკითხის განხილვას. კომისიის 07.10.10 წ. გადაწყვეტილება შეიცავს მხოლოდ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საკუთრების აღიარებისას მიწის ნაკვეთს მიენიჭა მართლზომიერი მფლობელობის კატეგორია, რის გამოც საკითხის განხილვა სცილდებოდა კომისიის კომპეტენციის ფარგლებს. სზაკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამასთან აქტის დასაბუთება უნდა ეყრდნობოდეს ადმინისტრაციული წარმოების დროს საკითხის ყოველმხრივ გამოკვლევას. ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. სზაკ-ის 80.1. მუხლის თანახმად, თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არაუგვიანეს 5 დღისა გადაუზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. კანონის აღნიშნული ნორმების შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, თუ მოცემული საკითხი სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს. უკეთეს კომისია მიიჩნევდა, რომ მ. ბ-ის მიერ მოთხოვნილი საკითხის განხილვა საჯარო რეესტრის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, აღნიშნული უნდა გამხდარიყო არა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ უფლებამოსილი ორგანოსათვის მასალების გადაგზავნის საფუძველი. ასეთ შემთხვევაში კომისიას გააჩნდა ვალდებულება მ. ბ-ის განცხადება თანდართული მასალით გადაეგზავნა უფლებამოსილი ადმინისტრაციული

ორგანოსთვის – საჯარო რეესტრისათვის. იმ შემთხვევაში თუ კომისია ვერ დაადგენდა საკითხის განხილვაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს ან მიიჩნევდა რომ საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, მას შეეძლო შესაბამისი დასაბუთებით განცხადება დაებრუნებია მ. ბ-ისათვის. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესის თანახმად (სზაკ-ის 108-ე მუხ.) დანტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს თავისი მოსაზრება ან შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების ყველა გარემოებასთან დაკავშირებით. სზაკ-ის 111.4 მუხლის თანახმად, დანტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს საჭმესთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება. სზაკ-ის მე-80 მუხლის მე-3 ნაწილი მოითხოვს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში განხილვების და მასზე დართული საბუთების გადაგზავნას შესაბამისი დასაბუთებით. მოცემულ შემთხვევაში კომისია შემოიფარგლა მოსაზრებით იმის შესახებ, რომ განსახილველი საკითხი სცილდებოდა მისი კომპეტენციის ფარგლებს, რითაც უგულვებელყო კანონის მოთხოვნები და სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცა გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე.

თავი IX. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება

167. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით გამოიცემა თუ იგი ეხება:

- ა. სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვას;
- ბ. ლიცენზირებას;
- გ. გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემას;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

168. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი წესით, შეიძლება გამოიცეს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს;
- ბ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი წესით, შეიძლება გამოიცეს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ეხება პირთა ვიწრო წრის ინტერესებს;
- გ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი წესით, შეიძლება გამოიცეს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ეხება კონკრეტული პირის ინტერესებს;
- დ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი წესით, შეიძლება გამოიცეს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ეხება პირთა განუსაზღვრელი წრის ინტერესებს.

169. საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობაში უნდა მითითდეს:

- ა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა;
- ბ. საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა;

- გ. განცხადების ან/და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

170. რომელი მსჯელობა სწორი:

- ა. ყველას აქვს უფლება დაუბრკოლებლად გაეცნოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ დოკუმენტებს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელშიც მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტების საჯაროდ გაცნობისათვის წარდგენა შეიძლება მოხდეს სხვა ადმინისტრაციული ორგანოში, ამ უკანასკნელის თანხმობით;
- ბ. ყველას აქვს უფლება დაუბრკოლებლად გაეცნოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ დოკუმენტებს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელშიც მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტების საჯაროდ გაცნობისათვის წარდგენა შეიძლება მოხდეს სხვა ადმინისტრაციული ორგანოში, ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე;
- გ. დაინტერესებულ პირებს უფლება დაუბრკოლებლად გაეცნოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ დოკუმენტებს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელშიც მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტების საჯაროდ გაცნობისათვის წარდგენა შეიძლება მოხდეს სხვა ადმინისტრაციული ორგანოში, ამ უკანასკნელის თანხმობით;
- დ. ყველას აქვს უფლება დაუბრკოლებლად გაეცნოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ დოკუმენტებს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელშიც მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტების საჯაროდ გაცნობისათვის წარდგენა შეიძლება მოხდეს სხვა ადმინისტრაციული ორგანოში, ამ უკანასკნელის თანხმობით.

171. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ განცხადების ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან ყველას აქვს უფლება, წარადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება:

- ა. 20 დღის განმავლობაში;
- ბ. 21 დღის განმავლობაში;
- გ. 10 დღის განმავლობაში;
- დ. 7 დღის განმავლობაში.

172. ადმინისტრაციული ორგანო კერძო პირების მიერ წარდგენილ მოსაზრებებს რეგისტრაციიდან:

- ა. ორი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს;

- ბ. სამი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს;
- გ. ერთი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს;
- დ. ოთხი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს.

173. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია:

- ა. განცხადების რეგისტრაციიდან ორი თვის განმავლობაში მოამზადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;
- ბ. განცხადების რეგისტრაციიდან სამი თვის განმავლობაში მოამზადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;
- გ. განცხადების რეგისტრაციიდან ოთხი თვის განმავლობაში მოამზადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;
- დ. განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში მოამზადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი.

174. ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ზეპირი მოსმენის გამართვიდან:

- ა. 11 დღის ვადაში;
- ბ. 12 დღის ვადაში;
- გ. 10 დღის ვადაში;
- დ. 14 დღის ვადაში.

175. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუცილებლად დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს;
- ბ. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუცილებლად არ უნდა გამოქვეყნდეს;
- გ. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუცილებლად იმავე დღეს უნდა გამოქვეყნდეს;
- დ. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 115, მუხლი 116, მუხლი 120, მუხლი 121.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება

საქმე №ბს-154(კ-20) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაწყვეტის გამოხატულებას წარმოადგენს **ზოგადი**

ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 თავით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულება, იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი შეეხება მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას (ზაგ-ის 115.2 მუხლი). საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დამახასიათებელია თავისებურებები, რომლებიც განასხვავებს მას მარტივი ადმინისტრაციული წარმოებისაგან. ამ სახის წარმოების შემთხვევაში ივარაუდება, რომ საჯარო წარმოების მიმართ განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით მეტი მოსაზრებები და მტკიცებულებები უნდა იქნეს წარდგენილი. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გამოაქვეყნოს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს წარმოების ჩატარებაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა და საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა (ზაგ-ის 116-ე მუხლი). ამასთან, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ზეპირი მოსმენით და აუცილებლად აქვეყნებს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ზაგ-ის 120.1, 121-ე მუხლები).

მუხლი 110, მუხლი 115, მუხლი 120.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება

საქმე №8ს-167-161(კ-10) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას სზაგ-ის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესების გამოყენებას. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ასევე ითვალისწინებდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულებას, კერძოდ მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის - ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენას საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების სავალდებულო ეტაპს წარმოადგენს ზეპირი მოსმენის გამართვა (სზაგ-ის 120-ე მუხ.), ზეპირი მოსმენის გამართვა არ არის დამოკიდებული მოსაზრებების წარდგენაზე, უკანასკნელი შეადგენს დაინტერესებული პირის უფლებას და არა ვალდებულებას. დამკვეთის მიერ საინფორმაციო დაფის (ბანერის) გამოკვრა, საინფორმაციო დაფაზე დაინტერესებული პირისათვის განცხადების მიღებიდან 20 დღის განმავლობაში ნებართვის გამცემ ორგანოში განმარტების მიღების და საკუთარი მოსაზრებების წარდგენის უფლება (სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი „მშენებლობის ნებართვის შესახებ“ კანონის 8.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი) არ ცვლის სზაგ-ის IX თავით განსაზღვრული ზეპირი მოსმენის გამართვის, ზეპირი მოსმენის გამართვის შესახებ სზაგ-ის 110-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით დაინტერესებული პირების შეტყობინების ვალდებულებას.

ადმინისტრაციულ ორგანოს არ განუზღვრია საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას გასამართი ზეპირი განხილვის ადგილი და თარიღი, მოსმენის გამართვის დრო, ამდენად

ხსენებულ აქტში არ არის დადგენილი ის, რასაც ემსახურებოდა აღნიშნული აქტის გამოცემა. შესაბამისად, კასატორები მოკლებული იყვნენ სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაძლებლობას მონაწილეობა მიეღოთ საჯარო განხილვაში, ფაქტობრივად ადგილი არ ჰქონია საჯარო წარმოების ჩატარებას, ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუსრულებია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115.2 მუხლის მოთხოვნა მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესების გამოყენების შესახებ, სზაკ-ის 60¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს ქმნის.

თავი XI. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი

176. რა შემთხვევაში უნდა გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მხოლოდ დამოუკიდებელმა ორგანომ (სავალდებულო მანდატირება)?

- ა. კონცესიის გაცემისას, თუ კონცესიის ფასი აღემატება 250,000 ლარს;
- ბ. სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, თუ ფასი აღემატება 100,000 ლარს;
- გ. სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, თუ ფასი აღემატება 1,000,000 ლარს;
- დ. სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

177. ვინ არის უფლებამოსილი დანიშნოს დამოუკიდებელი ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის გადასაწყვეტად:

- ა. საქართველოს პრეზიდენტი;
- ბ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი;
- გ. საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს პრემიერ-მინისტრი;
- დ. სასამართლო.

178. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება გასაჩივრდეს:

- ა. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტთან;
- ბ. ჯერ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო შემდეგ სასამართლოში;
- გ. ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან პირდაპირ სასამართლოში, დანტერესებული პირის სურვილის შესაბამისად;
- დ. მხოლოდ სასამართლოში.

179. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ:

- ა. დასაშვებია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ზემდგომ ინსტანციაში;

- ბ. დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ზემდგომ ინსტანციაში. იგი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში;
- გ. დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ზემდგომ ინსტანციაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- დ. დასაშვებია მხოლოდ სასამართლოში გასაჩივრება, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 158. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი

საქმე Nზს-873-742-კ-04 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XI თავის მოთხოვნების დარღვევით პრივატიზაციის განხორციელების შესახებ. სზაკი XI თავი ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებას დანიშნოს ადმინისტრაციული საჩივრის გადასაწყვეტად დამოუკიდებელი ორგანო. კანონმდებლობით განსაზღვრული საქართველოს პრეზიდენტის სხვა უფლებამოსილებათა მიმართ დამოუკიდებელი ორგანოს დანიშვნა არ დაიშვება. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილებათა გადაცემა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით ან ბრძანებულებით არის გათვალისწინებული.

თავი XII. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება

180. ვინ აღსრულებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი:

- ა. მისი გამომცემი ორგანო;
- ბ. დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო;
- გ. აღმასრულებელი;
- დ. დაინტერესებული მხარე.

181. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უფლებამოსილების:

- ა. ერთჯერადად დელეგირება;
- ბ. მხოლოდ კონკრეტული ვადით დელეგირება;
- გ. როგორც ერთჯერადი, ისე განსაზღვრული ვადით დელეგირება;

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

182. ვის აქვს უფლებამოსილება შეზღუდოს აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) უფლებამოსილება:

ა. სასამართლოს;

ბ. აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელს;

გ. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ინდივიდუალური ადინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

183. რა შემთხვევაშია შესაძლებელი პირმა უარი განაცხადოს აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულებაზე:

ა. ყველა ვალდებულია შეასრულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) კანონიერი მოთხოვნა;

ბ. თუ აღნიშნული პირი არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი;

გ. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულებაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას ან სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნებას, რომლის დაცვის ვალდებულებაც მას კანონით აკისრია;

დ. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულებაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას ან გამოიწვევს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნებას, რომლის დაცვის ვალდებულებაც მას კანონით აკისრია.

184. თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ მიიღო განცხადების შეტანიდან მე-14 დღეს, ხოლო უზრუნველყოფის საშუალებად განისაზღვრა სხვა პირისათვის აქტის აღსრულების დავალება, თუმცა შემდგომში დადგინდა, რომ აქტის აღსრულება შესაძლებელი იყო მხოლოდ შესაბამისი პირის მიერ ნების გამოვლენით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანომ, ახალი გადაწყვეტილების მიუღებლად, უზრუნველყოფის თავდაპირველი საშუალება შეცვალა ჯარიმით.

კანონიერია ორგანოს ქმედებები?

ა. ორგანოს ქმედებები კანონიერია, რადგან ორგანომ განცხადების წარდგენიდან 2 კვირის ვადაში მიიღო გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ და უზრუნველყოფის ღონისძიებად საბოლოოდ გამოიყენა ჯარიმა;

ბ. ორგანოს ქმედებები უკანონოა, რადგან მართალია ორგანომ დადგინდა 2 კვირის ვადაში მიიღო გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, თუმცა ორგანოს უფლება არ ჰქონდა ახალი გადაწყვეტილების გამოუცემლად შეცვალა აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება;

გ. ორგანოს ქმედებები უკანონოა, რადგან ორგანომ დადგენილი 10-დღიანი ვადის დარღვევით მიიღო გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ და ახალი გადაწყვეტილების მიუღებლად შეცვალა აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება;

დ. ორგანოს ქმედებები კანონიერია, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განცხადების შეტანიდან 10 დღიან ვადაში გამოიყენოს კოდექსით გათვალისწინებული აღსრულების უზრუნველყოფის ნებისმიერი საშუალება.

185. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა დაინტერესებულმა პირმა იმ საფუძველზე, რომ იგი მიწვეული არ ყოფილა გადაწყვეტილების მიღებისას მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში და მას არ მიეცა საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა.

საფუძველიანია დაინტერესებული პირის მოთხოვნა?

ა. საფუძველიანია, რადგან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს დაინტერესებული პირის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში;

ბ. საფუძველიანია, რადგან დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით;

გ. უსაფუძველოა, რადგან ზემოაღნიშნული დანაწესები არ ვრცელდება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მიმართ;

დ. უსაფუძველოა, რადგან ადმინისტრაციული წარმოებისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის ჩაატაროს ზეპირი მოსმენა.

186. ადმინისტრაციულმა ორგანომ თავის მიერ გამოცემული აქტის აღსრულება დაავალა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც უარი განაცხადა მის აღსრულებაზე იმ მოტივით, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, აქტს აღსრულებს მისი გამომცემი ორგანო.

კანონიერია ადმინისტრაციული ორგანოს უარი?

ა. უარი კანონიერია, რადგან ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აღსრულებს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო;

ბ. ეს საკითხი კოდექსით მოწესრიგებული არ არის და უნდა გადაწყდეს აღსასრულებელი აქტით დადგენილი წესით;

გ. უარი უკანონოა, რადგან ამგვარი აქტის აღსრულება შეიძლება განახორციელოს სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომაც, რა დროსაც გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებები ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების შესახებ;

დ. უარი უკანონოა, რადგან ამგვარი დავალება ადმინისტრაციულმა ორგანომ შეიძლება განახორციელოს მხოლოდ ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ.

187. რა შემთხვევაში გამოიყენება ჯარიმა, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება?

ა. როდესაც უკვე გამოყენებულმა აღსრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებამ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს;

ბ. როდესაც აღსასრულებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივიაქტი, რომელიც დაინტერესებული მხარის ფინანსურ ინტერესს ეხება;

გ. ჯარიმას, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველყოფის საშალებას, ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს;
დ. როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი პირის მიერ ნების გამოვლენით.

188. ადმინისტრაციულმა ორგანომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიმართ, აღსრულების უზრუნველყოფის საშალებად გამოიყენა უშუალო იძულების ღონისძიება. კანონიერია ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება?

ა. უკანონოა, რადგან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული დებულებები არ ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიმართ;

ბ. კანონიერია იმ შემთხვევაში, თუ აღსრულების სხვა საშალების გამოყენებას არაეფექტურად მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანო;

გ. უკანონოა, რადგან აღსრულების უზრუნველყოფის საშალებად პირველ რიგში უნდა გამოყენებულიყო ჯარიმა;

დ. კანონიერია, რადგან უშუალო იძულება აღსრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახეა.

189. რომელი მსჯელობაა სწორი?

ა. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ასეთი საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ კერძო პირი;

ბ. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ასეთი საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;

გ. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ასეთი საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ სახელმწიფო ორგანო;

დ. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ასეთი საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება.

190. ვინ არის პასუხისმგებელი სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის?

ა. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო;

ბ. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას

მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია შესაბამისი სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი;

გ. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია შესაბამისი სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს სახელმწიფო მოსამსახურე;

დ. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება.

191. რა შემთხვევაში შეიძლება გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება ზეპირად?

ა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება გამოიცემა მხოლოდ წერილობითი ფორმით;

ბ. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გამოიცეს ზეპირად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი;

გ. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ადამიანის სიცოცხლეს, ან სხვაგვარად შეუძლებელია დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გამოიცეს ზეპირად;

დ. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გამოიცეს ზეპირად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

192. ბრომელი მსჯელობაა სწორი?

ა. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მხოლოდ განსაზღვრული ვადით დელეგირება;

ბ. ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს დავალებით ახდენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უფლებამოსილების როგორც ერთჯერადი, ისე განსაზღვრული ვადით დელეგირებას;

გ. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უფლებამოსილების მხოლოდ ერთჯერადი დელეგირება;

დ. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უფლებამოსილების როგორც ერთჯერადი, ისე განსაზღვრული ვადით დელეგირება.

193. რომელი მსჯელობაა სწორი?

ა. პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, უნდა მიეცეს 10 დღიანი ვადა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულებისათვის;

ბ. პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, უნდა მიეცეს 1 თვიანი ვადა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულებისათვის;

გ. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ზუსტად განსაზღვროს, თუ რა მოქმედების განხორციელება ევალება პირს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისათვის და აღნიშნულის საფუძველზე უნდა განისაზღვროს შესაბამისი ვადა;

დ. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ზუსტად განსაზღვროს, თუ რა მოქმედების განხორციელება ევალება პირს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისათვის და აღნიშნულის საფუძველზე უნდა განისაზღვროს შესრულების ვადა, მაგრამ არაუმეტეს 2 თვისა.

194. ვინ არის ვალდებული გაიღოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯები?

ა. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს პირი, რომელსაც დაკისრებული აქვს აღსრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება;

ბ. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს პირი, რომელიც უარს იტყვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულებაზე;

გ. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს პირი, რომელსაც ევალება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება;

დ. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც არის პასუხისმგებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებაზე.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 162 გადაწყვეტილების აღსრულება

საქმე №8ს-905(გ-19) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ო. ნ-ის მიერ სატრანსპორტო სამართალდარღვევის ჩადენა, რაც სადავო არ გამხდარა და შესაბამისად არ არის მოცემული დავის საგანი. ო. ნ-ი

პატრულ-ინსპექტორის მიერ დაჯარიმდა სამართალდარღვევათა კოდექსის 121.3 მუხლის საფუძველზე 1000 ლარით და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის შესახებ (ტ.1, ს.ფ. 29, 30), თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება საჭიროება აღსრულებას, რადგან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებლობა აზრს უკარგავს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, კონკრეტული დარღვევის გამოვლენასა და მასზე რეაგირებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, როგორც წესი, გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს (სზაკ-ის 162.1 მუხ.), თუმცა დაიშვება აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირება (სზაკ-ის 162.3 მუხ.). დელეგირებისას კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანო მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს გადასცემს მესამე პირს, რომელიც შესაძლოა იყოს როგორც კერძო პირი, ასევე ადმინისტრაციული ორგანო. დელეგირების შედეგად სუბიექტი აღიჭურვება კონკრეტულ სფეროში საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებებით და მოქმედებს მინიჭებული უფლება-მოვალეობების ფარგლებში. ამასთანავე, დელეგირებული უფლებამოსილებების მოცულობა, ვადა და სუბიექტი განისაზღვრება შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის მატარებელი ორგანოს მიერ. დელეგირება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ასევე ფუნქციის მიმღებ სუბიექტთან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებით ან მათი ერთობლივი გამოყენებით.

თ ა ვ ი X I I I . ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ა ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ს ა ჩ ი ვ ა რ თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ

195. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება აქვს:

- ა. ადმინისტრაციულ ორგანოს;
- ბ. ნებისმიერ პირს;
- გ. საქართველოს მოქალაქეს;
- დ. დაინტერესებულ მხარეს.

196. რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. ცალკე გასაჩივრებას ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს;

ბ. ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს;

გ. ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის კანონიერ ინტერესს;

დ. ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას.

197. ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს:

ა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო;

ბ. ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანო;

გ. საქართველოს მთავრობა;

დ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.

198. ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს:

ა. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო;

ბ. ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანო;

გ. სხვა ადმინისტრაციული ორგანო;

დ. საქართველოს მთავრობა.

199. ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილი უნდა იყოს:

ა. ზეპირად;

ბ. ზეპირად და ასევე წერილობით;

გ. წერილობით;

დ. როგორც წერილობით ასევე ზეპირად.

200. რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ორი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ბ. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან სამი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

გ. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

დ. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ოთხი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

201. რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს 30 დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ;

ბ. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ;

გ. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს 29 დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ;

დ. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ორი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ.

202. ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსში უნდა აღინიშნოს:

ა. გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;

ბ. მოთხოვნა;

გ. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება;

დ. ყველა პასუხი სწორია.

203. ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ:

ა. არ არის გასული ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა;

ბ. ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია უფლებამოსილი პირის მიერ;

გ. ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმავე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;

დ. სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

204. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია:

ა. ადმინისტრაციული საჩივრის მიღებასა ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე მისცეს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს 4 დღის ვადაში;

ბ. ადმინისტრაციული საჩივრის მიღებასა ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე მისცეს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს 5 დღის ვადაში;

გ. ადმინისტრაციული საჩივრის მიღებას ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე მისცეს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს 3 დღის ვადაში;

დ. ადმინისტრაციული საჩივრის მიღებას ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე მისცეს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს 7 დღის ვადაში.

205. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს:

- ა. ორი თვის ვადაში;
- ბ. სამი თვის ვადაში;
- გ. ერთი თვის ვადაში;
- დ. ხუთი თვის ვადაში.

206. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს:

- ა. ორი თვით;
- ბ. სამი თვით;
- გ. 30 დღით;
- დ. ერთი თვით.

207. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

- ა. გამოიწვევს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ხარჯების გაზრდას;
- ბ. წარმოადგენს პოლიციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით;
- გ. გამოცემულია საგანგებო ან საომარ მდგომარეობაში შესაბამისი კანონის საფუძველზე;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

208. დაუშვებელია:

- ა. ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს პირმა, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებაში;
- ბ. ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს პირმა, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაში;
- გ. ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს პირმა, რომელიც არ მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებაში ან გამოცემაში;

დ. ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს პირმა, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებაში ან გამოცემაში.

209. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა:

- ა. აჩერებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას – შეცვალოს, ძალადაკარგულად ან ბათილად გამოაცხადოს იგი;
- ბ. არ აჩერებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას – შეცვალოს, ძალადაკარგულად ან ბათილად გამოაცხადოს იგი;
- გ. არ აჩერებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას – შეცვალოს, ბათილად გამოაცხადოს იგი;
- დ. არ აჩერებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას – შეცვალოს, ძალადაკარგულად გამოაცხადოს იგი.

210. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან ბათილად გამოცხადების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია:

- ა. 5 დღის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს;
- ბ. 6 დღის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს;
- გ. 7 დღის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს;
- დ. 8 დღის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს.

211. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა უნდა:

- ა. გაგრძელდეს;
- ბ. არ უნდა გაგრძელდეს;
- გ. გაგრძელდეს, თუ დაინტერესებული მხარე მოითხოვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებას;
- დ. გაგრძელდეს, თუ დაინტერესებული მხარე მოითხოვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას.

212. ადმინისტრაციულ საჩივარზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე უარის განცხადების უფლება აქვს:

- ა. ნებისმიერ პირს;
- ბ. ადმინისტრაციულ ორგანოს;
- გ. საჩივრის წარმდგენ პირს;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

213. უარი ადმინისტრაციულ საჩივარზე განცხადებული უნდა იქნეს:

- ა. წერილობით;

- ბ. ზეპირად;
- გ. ელექტრონულად;
- დ. მხოლოდ ზეპირად.

214. რომელი მსჯელობა სწორი:

- ა. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა არ აჩერებს მის განხილვას, თუ განცხადების განუხილველობას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვნელოვანი ზიანი;
- ბ. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა არ აჩერებს მის განხილვას, თუ საჩივრის განუხილველობას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ან მნიშვნელოვანი ზიანი;
- გ. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა აჩერებს მის განხილვას, თუ საჩივრის განუხილველობას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვნელოვანი ზიანი;
- დ. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა არ აჩერებს მის განხილვას, თუ საჩივრის განუხილველობას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვნელოვანი ზიანი.

215. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო იხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს მასში აღნიშნული:

- ა. მოთხოვნის ფარგლებში;
- ბ. საკითხის ფარგლებში;
- გ. წინადადების ფარგლებში;
- დ. მოთხოვნის ფარგლებში, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ შეუძლია გასცდეს მათ.

216. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია:

- ა. მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ნებისმიერ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა;
- ბ. მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა;
- გ. არ მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა;
- დ. არ მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ნებისმიერ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა.

217. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია:

- ა. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ზეპირად აცნობოს ყველა იმ პირს, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში და უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში;
- ბ. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს ყველა იმ პირს, რომელიც არ მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში და უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში;

დ. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის ასლის მიღებიდან 8 დღის განმავლობაში წარუდგინოს ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ორგანოს მოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ყველა მასალა და საკუთარი წერილობითი დასკვნა ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე.

220. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირი, აგრეთვე სხვა დაინტერესებული მხარე საკუთარ მოსაზრებას, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებულ დამატებით დოკუმენტებს წარადგენს ზეპირი სხდომის გამართვამდე:

- ა. არა უგვიანეს 3 დღისა;
- ბ. არა უგვიანეს 7 დღისა;
- გ. არა უგვიანეს 5 დღისა;
- დ. არა უგვიანეს 14 დღისა.

221. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენის გაუმართავად, თუ:

- ა. არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი;
- ბ. არ არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი;
- გ. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ზოგიერთი დაინტერესებული მხარე თანახმაა საქმის განხილვაზე ზეპირი მოსმენის გაუმართავად;
- დ. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ერთერთი დაინტერესებული მხარე თანახმაა საქმის განხილვაზე ზეპირი მოსმენის გაუმართავად.

222. ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ა. ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- ბ. ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
- გ. ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

223. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია:

- ა. არ შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას;
- ბ. შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას;
- გ. შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს არ ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას;
- დ. შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას.

224. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს:

- ა. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;
- ბ. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;
- გ. აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;
- დ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

225. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია:

- ა. ძალადაკარგულად გამოაცხადოს, აგრეთვე შეცვალოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- ბ. ბათილად გამოაცხადოს, აგრეთვე შეცვალოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- გ. ბათილად ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს, აგრეთვე შეცვალოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- დ. ბათილად ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

226. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის:

- ა. შეიძლება დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რამე გადასახადი;
- ბ. არ შეიძლება დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რამე გადასახადი;
- გ. არ შეიძლება დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი;
- დ. არ შეიძლება დაწესდეს რამე გადასახადი.

სასამართლო პრაქტიკა

თავი 7 - მუხლი 103, 106, 107; თავი 9 - მუხლი 115; თავი 13 – 185.

ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დროს საქმე №8ს-36-36(კ-09) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საკსაცო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლზე (ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესი), რომლის თანახმად, თუ ამ თავით (თავი XIII - ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით) სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავში კი მოცემულია ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი და მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. ამავე კოდექსის VII თავში (ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში) შემავალი 103-ე მუხლის (ადმინისტრაციული წარმოების წესი კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში) პირველ ნაწილშიც მითითებულია, რომ თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად და ამ თავში აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით. ხსენებული კოდექსის 106-ე მუხლით რეგლამენტირებულია კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომის ოქმი, რომლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ყველა

სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, აგრეთვე – მდივანი, თუ ის მონაწილეობდა ოქმის შედგენაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზემოხსენებული ნორმების შეჯერებით, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მართალია, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისათვის ხსენებული კოდექსი ითვალისწინებს სპეციალურ ნორმებს, მაგრამ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება, როგორც სპეციალური წარმოება, არ არის განყენებული, ნორმატიულად და პროცედურულად აბსოლუტურად გამიჯნული წარმოება და იგი იმავდროულად, ხორციელდება ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებების კანონით დადგენილ ლეგალურ ფარგლებში რეალიზებითაც, ადმინისტრაციული წარმოების იმ სახის, კერძოდ, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით, რომელსაც, მათ შორის, ეძღვნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავი, რადგან ამ კოდექსის 185-ე მუხლის ნორმა არ შეიცავს რაიმე მითითებას ამავე კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებების მხოლოდ ნაწილის გამოყენებაზე. ამასთან, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას ადმინისტრაციული ორგანო არ დგას ადმინისტრაციული წარმოების სახის არჩევანის წინაშე, რადგან აღნიშნული კანონითაა რეგლამენტრებული, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლში, შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირ არის მითითებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე და იმავდროულად, ამავე მუხლში არ არის ბლანკეტური მითითება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII და IX თავებს დებულებებზე, რომლებიც, შესაბამისად, ითვალისწინებს ფორმალური და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების სახეებს. აღნიშნული ასევე დასტურდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 107-ე მუხლისა და 115-ე მუხლის პირველი ნაწილების ნორმებით, რომლებითაც ხსენებული თავებით დადგენილი წესების შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. გარდა ამისა, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისაგან განსხვავებით (შესაბამის შემთხვევაში, სასამართლო სხდომის ოქმი), ადმინისტრაციული წარმოების სხდომის ოქმზე სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერის არარსებობა, თავისთავად, არ წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას და ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების სხდომის ოქმზე სხდომის თავმჯდომარის მხოლოდ ხელმოწერლობა დამოუკიდებლად ვერ გახდება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან ამგვარ საფუძველს საჯარო სამართლის სფეროში შემაგალი შესაბამისი მატერიალურ-საკანონმდებლო აქტი - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს.

თ ა ვ ი X I V . ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი ო რ გ ა ნ ო ს პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა

227. ზოგად ადმინისტრაციული კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება:

- ა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესი;
- ბ. საქართველოს კონსტიტუციის დადგენილი წესი;
- გ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი;
- დ. საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესი.

228. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია:

- ა. ადმინისტრაციული ორგანო;
- ბ. საქართველოს პარლამენტი;
- გ. საქართველოს მთავრობა;
- დ. სახელმწიფო.

229. მუნიციპალიტეტის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია:

- ა. ადმინისტრაციული ორგანო;
- ბ. მუნიციპალიტეტი;
- გ. საქართველოს მთავრობა;
- დ. სახელმწიფო.

230. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია:

- ა. ადმინისტრაციული ორგანო;
- ბ. მუნიციპალიტეტი;
- გ. სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი;
- დ. სახელმწიფო.

231. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე;
- ბ. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო ინტერესების შეფასების საფუძველზე;
- გ. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 208, მუხლი 209.

ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა

საქმე Nზს-616(კ-19) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო პალატა ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოებს, რომ ა. ჟ-ს მიერ მითითებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის წარმომშობი ნორმებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს იმ ქმედების უკანონობა, რომლითაც პირს ადგება ზიანი. მოსარჩელის მოსაზრებით, მას ზიანი ადგება მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის მინიჭებით, რომელიც ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების დასაშვებ სახეობებად არ ითვალისწინებს სასაქონლო მშენებლობას.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ხანდაზმულობის საერთო - 10 წლიანი ვადის გავრცელების თაობაზე, რადგან აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს სკ-ის 1008-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამი წელს შეადგენს. ამასთან, კასატორის მიერ მითითებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლითაც გამოყენებულ იქნა ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა, შეეხება უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებას, რომლის ხანდაზმულობის ვადაც დადგენილი არაა საქართველოს კანონმდებლობის რომელიმე სპეციალური ნორმით, განსხვავებით დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისგან, რაც განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენს ა. ჟ-ს სასარჩელო მოთხოვნას. შესაბამისად, საკასაციო საჩივარში მითითებული საკასაციო სასამართლოს აქტების მოცემული საქმის გადაწყვეტისთვის გამოყენება არარელევანტურია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სამართალწარმოების ფარგლებში სასამართლო მოკლებული იყო სზაკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების შესაძლებლობას. სკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამართალურთიერთობა შესაძლოა წარმოიშვას დელიქტის შედეგად. სზაკ-ის 209-ე მუხლს არ მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის ის ნაწილი, რომელშიც ამომწურავადა ჩამოთვლილი დელიქტური ვალდებულებების შემთხვევები, კერძოდ სკ-ის დელიქტური ვალდებულებების კარი. დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას წარმოადგენს უმართლობა, კანონმდებლობის მოთხოვნის დარღვევა, რომლის საფუძველზე წარმოიშობა ზიანი, პირველი წარმოშობს მეორეს. სზაკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სამართალურთიერთობა წარმოიშობა არა სამართალდარღვევის, არამედ მართლზომიერი ღონისძიების შედეგად, რაც იწვევს ადმინისტრაციული ორგანოსთვის განცხადებით მიმართვის საჭიროებას და ამ უკანასკნელის მხრიდან მოთხოვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას. განსახილველ შემთხვევაში, მოცემულ საქმეზე ქალაქმშენებლობითი დოკუმენტის მიმღები მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ასეთი მიმართვისა და მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების არსებობა არ დასტურდება. დელიქტისაგან განსხვავებით, რომლის მიმართ მოქმედებს ზიანის სრული ანაზღაურების პრინციპი, მათ შორის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების პრინციპი, სზაკ-ის 209-ე მუხლის საფუძველზე ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესებს შეფასების საფუძველზე (209-ე მუხ. მე-2 ნაწ.). ადმინისტრაციული წარმოება და ადმინისტრაციული სასამართლოწარმოება განსხვავდება ერთმანეთისგან, რის გამოც ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების ფარგლებში სზაკ-ის 209-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე არადელიქტური მოთხოვნის არსებობის საკითხის თავდაპირველი განხილვა და გადაწყვეტა

ენააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ადმინისტრაციული წარმოების დროს საჭიროა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების განსაზღვრა, მათ შესახებ ინფორმაციის მოძიება, მოძიებული ინფორმაციის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის ფაქტობრივ შემაჯგნელობასთან შესაბამისობის დადგენა და სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა. ადმინისტრაციული ორგანოს მითითებული ფუნქციების მთლიანად სასამართლოზე გადაბარების შემთხვევაში, სასამართლო სრულად ჩაანაცვლებდა ადმინისტრაციულ ორგანოს და განახორციელებდა საჯარო მმართველობას, რაც დაუშვებელია (სუსგ №ბს-1350(2კ-19), 05.02.2020). ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს ხორციელდება სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის (გადაწყვეტილებების) კანონიერებაზე (სუსგ №ბს-166-165(კ-16), 14.07.2016), ამდენად კონტროლის განსახორციელებლად თავდაპირველად უნდა არსებობდეს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება არადელიქტური მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაგ-ის 209.1 მუხლის საფუძველზე მოთხოვნა წარმოიშობა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული მართლზომიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არსებითი ზიანის გამოწვევის შემთხვევაში, ამის საპირისპიროდ, სასარჩელო მოთხოვნა ემყარება ზიანის გამომწვევი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის უკანონობაზე მითითებასა და დასაბუთებას.

დამტკიცებული რეკომენდაციები, სზაგ-ის 209.1 მუხლთან ერთობლიობაში ადასტურებს პირის შესაძლებლობას, მის მიმართ სოციალური ვალდებულების ტვირთის კანონიერად, მაგრამ სხვა მესაკუთრეებთან შედარებით არათანაბრად დაკისრების შემთხვევაშიც, მოითხოვოს სამართლებრივი გზებით გათანაბრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თ ა ვ ი X V I . გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

232. გიორგი გიორგაძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მერიის, მესამე პირის ნიკა ნიკაშვილის წინააღმდეგ. მოსარჩელემ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის დადგენილების (აღმჭურველი აქტის) ბათილად ცნობა მოითხოვა.

აქვს თუ არა სასამართლოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება?

ა. არ აქვს, სასამართლო ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს იყენებს მხოლოდ იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან მიმართებით, რომელიც აღნიშნული კოდექსის ამოქმედების შემდეგ გამოიცა;

ბ. არ აქვს უფლება, რადგან არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება;

გ. უფლება აქვს, თუ პირმა აღნიშნული აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

სასამართლო პრაქტიკა

თავი 2 - მუხლი 60¹; თავი 16 - მუხლი 218.

აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადება

საქმე №8ს-201-195(კ-09) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საქმის არსებითი განხილვის გარეშე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენდა სადავო აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის საფუძველზე იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების განხორციელება – სახლთმფლობელობის საჯარო რეესტრში მოპასუხის სახელზე რეგისტრაცია, აღმჭურველი აქტის მიმართ აქტის ადრესატის მხრივ კანონიერი ნდობის არსებობა (სზაკ-ის 60¹ მუხ.).

საკვსაცხო სსამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ სადავო აქტის გაუქმება გამორიცხული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის იმპერატიული დანაწესის გამო. ხსენებული ნორმის თანახმად „არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. საკვსაცხო პალატამ ჩათვალა, რომ სზაკ-ის 218-ე მუხლით კოდექსის ძალაში შესვლამდე გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის წინაპირობების შეკვეცა არ გამორიცხავდა სსამართლოს მხრიდან სადავო აქტის მისი გამოცემის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობაზე მსჯელობის შესაძლებლობას.

საკვსაცხო პალატამ ასევე განმარტა, რომ ადმინისტრაციული აქტი, როგორც გენერალური მოწესრიგების, სამართლის ნორმის კონკრეტიზაციის და ინდივიდუალიზაციის აქტი, უნდა ემყარებოდეს სამართლებრივ საფუძველს მიუხედავად აქტის აღმჭურველი თუ ამკრძალავი ხასიათისა, რამდენადაც ერთი პირისათვის აღმჭურველი ხასიათის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლოა მესამე პირებს უფლებების შეზღუდვა. საკვსაცხო სსამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო აქტი შეიცავდა როგორც აღმჭურველ, ასევე შემზღუდავ ნაწილს. უკანასკნელი კი ყოველთვის საჭიროებდა საკანონმდებლო საფუძველს. საკვსაცხო პალატამ განმარტა, რომ სზაკ-ის 218-ე მუხლის მოქმედება ვრცელდებოდა იმ შემთხვევებზე, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ ზღუდავდა მესამე პირის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, სწორედ ასეთი აქტების მიმართ ხსენებული მუხლი აღიქმებოდა ერთგვარ „ამნისტიად“ და სახელდობრ ასეთი აქტების მიმართ იყო მუხლში გათვალისწინებული საგამონაკლისო წესები.

უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, სზაკ-ის 218-ე მუხლი არ ვრცელდებოდა ისეთი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ, რომლებიც ზღუდავდნენ მესამე პირების უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ანუ თუ სხვა

პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა შეუძლებელი იყო მოცემული აღმჭურველი აქტის გაუქმების გარეშე.

საკვასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სზაკ-ის 218-ე მუხლი ვერ იქნებოდა მიჩნეული სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვის ნებართვად, ამგვარი მიდგომა მოკლებული იყო რაიმე სამართლებრივ საფუძვლებს, აშკარად უპირისპირებდა ხსენებულ ნორმას იერარქიით ზემდგომ, კერძოდ კონსტიტუციურ ნორმებს, ფაქტობრივად უტოლდებოდა სასამართლოს უფლებაზე უარის თქმას, რომელიც თავისი არსით ყველა სხვა უფლების გარანტიას წარმოადგენ.

ტესტები და სასამართლო პრაქტიკა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში

I თავი. ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებანი

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს:

- ა. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს;
- ბ. საერთაშორისო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს;
- გ. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვის საპროცესო წესებს;
- დ. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების გადაწყვეტის საპროცესო წესებს.

2. თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება:

- ა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებანი;
- ბ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის დებულებანი;
- გ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი;
- დ. შრომის სამართლის კოდექსის დებულებანი.

3. სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს:

- ა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან;
- ბ. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა;
- გ. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

4. ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტაც მის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

- ა. დაუშვებელია;
- ბ. ნაწილობრივ დაუშვებელია;
- გ. დასაშვებია;
- დ. ნაწილობრივ დასაშვებია.

5. სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით:

- ა. არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა;
- ბ. გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა;

- გ. არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ორჯერადი წარდგენის შესაძლებლობა;
- დ. არ გამოიყენა ადმინისტრაციული განცხადების ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

6. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის:

- ა. მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით;
- ბ. მე-2 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით;
- გ. მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით;
- დ. მე-5 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით.

7. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს:

- ა. არ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს;
- ბ. არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;
- გ. არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას;
- დ. არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონმდებლობას.

8. ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ:

- ა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით;
- ბ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით;
- გ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით;
- დ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით.

9. სასამართლო უფლებამოსილია:

- ა. მხარის ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად;
- ბ. მესამე პირის ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად;
- გ. თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად;
- დ. თავისი ინიციატივით არ მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 2. სასამართლოს განსჯადობა

საქმე №ზს-1134(გ-19) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების

ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებსადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევსათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავის საგნობრივი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, უნდა დადგინდეს სადავო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი.

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი გულისხმობს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას, არამედ ძირითადად, უშუალო ფუნქციის განსახორციელებლად ხელშეკრულების დადებას. სხვაგვარად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას მიენიჭებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სტატუსი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო სამართალურიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურიერთობა უკავშირდება ხელშეკრულებას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა როგს განეკუთვნება. შესაბამისად, მის შეწყვეტასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს. ამასთან, მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე, სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობანი.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამოიჯანსაღის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების შედეგად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების (რეალაქტის) განხორციელების მოვალეობის წარმოქმნას, ხელშეკრულების დადების შედეგად მხარის საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღჭურვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

მუხლი 2. განსჯადობა

საქმე №844-828(გ-12) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი მარეგისტრირებული ორგანო. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა მხოლოდ სადავო სამართალურიერთობის სუბიექტური შემადგენლობის ანუ იმის გამო, რომ მოთხოვნის ადრესატი არის ადმინისტრაციული ორგანო, არამედ აგრეთვე სადავო სამართალურიერთობის საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობიდან წარმოშობის, სადავო სამართალურიერთობის ბუნების გამო. განსჯადობის სუბიექტთა თეორია, მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად გამოიყენება გამოიჯანსაღის კრიტერიუმად, ფორმალურია და მოკლებულია სამართალურიერთობის გაანალიზების, მისი არსის წვდომის უნარს. განსჯადობის საკითხში კანონმდებელმა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა სადავო სამართალურიერთობის ბუნებას და არა მის მონაწილეებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამავე კოდექსის 2.2 მუხლი კიდევ უფრო

აკონკრეტებს ადმინისტრაციული დავის საგანს (ტაქსაცია). აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული (ენუმერაცია).

კანონმდებლის მითითება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში: იმ შემთხვევაში, თუ სამართალურთიერთობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის ან სხვა კერძო-სამართლებრივი წყაროს ნორმებით, დავა სამოქალაქო კატეგორიისაა, უკეთუ ურთიერთობის მარგულირებელი ნორმა მოცულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ან საჯარო სამართლის სხვა წყაროთი, დავა ადმინისტრაციულ კატეგორიას განეკუთვნება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რამდენადაც სამეწარმეო რეესტრში ცვლილების შეტანა რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი ნორმებით. სამეწარმეო საქმიანობა „მეწარმეთა შესახებ“ კანონით მოწესრიგებული კერძო-სამართლებრივი საქმიანობის ფორმაა. სამეწარმეო ურთიერთობის მონაწილეებს, როგორც კერძო სამართლებრივი ბრუნვის სუბიექტებს, შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46.3 მუხლის მიხედვით შპს-ს პარტნიორებს უფლება აქვთ გაასხვისონ თავიანთი წილი (მიმოქცევადი უფლება) საზოგადოების კაპიტალში. ამრიგად, შპს-ს პარტნიორთა მიერ წილების გასხვისება სამოქალაქო სამართლებრივი მოქმედებაა, რომელიც შეეხება პარტნიორთა და მესამე პირთა ინტერესებს.

მუხლი 2. განსჯადობა

საქმე №8ს-912(გ-18) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

სასკ-ის 26-ე მუხლის თანახმად სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს.

სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში. იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნა ემყარება საჯარო კანონმდებლობას, დავა განსახილველად ექვემდებარება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობების ბუნებას. **გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შინაარსს, დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს.** მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოპასუხე ფიზიკური პირისაგან ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსის ნორმებით არის მოწესრიგებული. სასკ-ის 2.1 „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, **ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანი შეიძლება, იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე.** მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ადრესატი არის არა ადმინისტრაციული ორგანო, არამედ - ფიზიკური პირი, ვ. დ-ი. ამდენად, სახეზე არ არის სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დავის საგანი, კერძოდ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საქმის განსჯადობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის ბუნება. ის რომ მოცემული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი არის დისციპლინური გადაცდომა, რომელიც მოწესრიგებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობით, ვერ აქცევს მოცემულ დავას ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადად. განსახილველი საქმის დავის საგანი ეხება არა დისციპლინურ წარმოებას, მოპასუხის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას (საქმის მასალების მიხედვით მოპასუხე - ვ. დ-ი 2015 წლის აგვისტოდან დათხოვნილია შს სამინისტროდან, რაც გამორიცხავს მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებას), არამედ ზიანის ანაზღაურებას.

მოცემულ შემთხვევაში იკვეთება ადმინისტრაციული ორგანოს **კერძო ინტერესი - მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება.** საქმის მასალების მიხედვით შს სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ 27.01.2015წ. №184559 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება და სამსახურებრივი შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ ვ. დ-მა ჩაიდინა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა1“ (სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება), „ბ“ (სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება) და „გ“ (ქონებრივი ზიანის მიყენება) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რაც გამოიხატა ღამის ხედვის მოწყობილობა „ზაგემი“-ს N...დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ შეიარაღებაში შესაბამისი ინფორმაციის წარუდგენლობაში, ი. ქ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან დათხოვნის შემდეგ 2013 წლის ინვენტარიზაციისას აღნიშნული მოწყობილობის შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე ახალ მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე მიუბარებლობაში, რის შედეგადაც მოწყობილობა დაიკარგა, რითაც შს სამინისტროს მიადგა ქონებრივი ზიანი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საგნობრივი

განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს უშუალოდ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები და შესაბამისად ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით უნდა გადაწყდეს. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებს ეფუძნება, ხოლო ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობების არსებობა, კერძოდ მოპასუხის ქმედების შედეგად ზიანის მიყენების, ზიანსა და ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის, ქმედების მართლწინააღმდეგობის, ბრალის კუმულატიურად არსებობის დადგენა შეადგენს არა განსჯადობის, არამედ დავის არსებითი განხილვის საგანს. ის გარემოება, რომ დავის გადაწყვეტა საჭიროებს მოპასუხის ვ. დ-ის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მართლზომიერების გარკვევას, არ განაპირობებს დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას. თავისთავად დელიქტური პასუხისმგებლობა, როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებაა, რომლის სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ბრალი. შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და შედეგს შორის, ანუ მოვალის მოქმედება უნდა იყოს არა მარტო ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო, არამედ ზიანი უნდა იყოს ამ ქმედებით გამოწვეული უშუალო შედეგი. რაც შეეხება დავის განხილვის პროცესში სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმებთან ერთად საჯარო-სამართლებრივი ნორმების გამოყენების შესაძლო საჭიროების შექმნას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს, მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოება სასამართლო დავის გადაწყვეტისას უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად.

II თავი. განსჯადობა

10. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც:

- ა. არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე;
- ბ. არ მოქმედებს ორი მაგისტრატი მოსამართლე;
- გ. არ მოქმედებს სამი მაგისტრატი მოსამართლე;
- დ. მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

11. მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს:

- ა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე წარდგენილ საქმეებს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით;

- ბ. სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე;
- გ. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

12. მაგისტრატის მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს:

- ა. საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით;
- ბ. მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე;
- გ. შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის ან პენიტენციური დაწესებულების მიმართვის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ;
- დ. ყველა პასუხი სწორია

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 5. რაიონული სასამართლოს განსჯადი საქმე №ბს-1361(გ-19) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმადაც, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი მაგისტრატის მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხს განიხილავს მაგისტრატის მოსამართლე და საქმე, მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განხილვას, თუ კონკრეტულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არ მოქმედებს მაგისტრატის მოსამართლე.

„საერთო სასამართლოებს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ მაგისტრატის მოსამართლეები. მაგისტრატის მოსამართლე ეწოდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. მაგისტრატის მოსამართლის სამოქმედო ტერიტორია და რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. მაგისტრატის მოსამართლეების შემადგენლობას რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

საკვსაცხო სასამართლო აღნიშნავს, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 131 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გურჯაანის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა გურჯაანის, ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. იმავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვრა 2 მოსამართლით, რომელთაგან: 1 მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილებას განახორციელებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში.

საკვსაცხო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია, თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმე გადააგზავნა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მაგრამ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედებს მაგისტრატი სასამართლო, რომლის კომპეტენციაშიც, მათ შორის, შედის სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა.

ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შესაძლო სამართალდარღვევა ჩადენილი იყო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დავა ტერიტორიულად ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლოს ქვემდებარეა.

III თავი. მიუკერძოებლობა, აცილება

13. მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში:

- ა. თუ იგი ამ საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში;
- ბ. თუ იგი მსგავს საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში;
- გ. თუ იგი ამ საქმესთან დაკავშირებით ადრე არ მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში;
- დ. თუ იგი ამ საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა წარმოებაში.

14. გიორგი გორგაძემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ნინიძის მიმართ. საქმის განხილვისას გორგაძემ მოითხოვა მოსამართლის აცილება იმ საფუძველით, რომ მოსამართლე აღნიშნულ საქმეზე ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზეც იღებდა მონაწილეობას. რა გადაწყვეტილებას მიიღებს მოსამართლე?

- ა. არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, რადგან არ არსებობს მოსამართლის თვითაცილების საფუძველი;
- ბ. არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, რადგან არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული აცილების რომელიმე საფუძველი;
- გ. დააკმაყოფილებს შუამდგომლობას რადგან, მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ იგი ამ საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში.
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 7. საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებითი მონაწილეობის დაუშვებლობა საქმე Nზ-1477-2(ზ-16) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. ბ-ის მოსაზრება, რომ სსკ-ის მე-7 მუხლის საფუძველზე მოსამართლე მ. ვაჩაძეს ეკრძალებოდა სადავო განჩინებაზე ხელმოწერა, საფუძველს მოკლებულია, რადგან სსკ-ის მე-7 მუხლის მიხედვით მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ იგი ამ საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება მოსამართლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ ორგანოში განსახილველ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთანავე, რაც შეეხება სსკ-ის 29-ე მუხლის დანაწესს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნორმა ადგენს ერთი და იმავე საქმის განხილვაში სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის დაუშვებლობას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, 23.06.2009წ. განჩინება, რომელიც მოსამართლე მ. ვაჩაძის მონაწილეობით არის მიღებული, გამოტანილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ანუ იმავე ინსტანციის სასამართლოს მიერ, რომელმაც მიიღო 03.11.2016წ. განჩინება ნ. ბ-ის კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

IV თავი. პროცესის ხარჯები

15. სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება:

- ა. სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე;
- ბ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII³ თავით გათვალისწინებულ საქმეებზე;
- გ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII⁷ თავით გათვალისწინებულ საქმეებზე;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

16. საქმის შეწყვეტის შემთხვევაში:

- ა. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა იმატებს;
- ბ. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრდება;
- გ. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განაწილდება;
- დ. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა იზრდება.

17. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე:

- ა. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არ არის ანაზღაუროს პროცესის ხარჯები;
- ბ. დაინტერესებული მხარე ვალდებულია ანაზღაუროს პროცესის ხარჯები;
- გ. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ანაზღაუროს პროცესის ხარჯები;
- დ. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ანაზღაუროს სახელმწიფო ბაჟი.

18. თუ მხარე, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს სასამართლოს ხარჯები, რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან შედგება, მაშინ სასამართლო ხარჯები:

- ა. მათ შორის ნაწილდება თანაბრად;
- ბ. მათ შორის ნაწილდება პროპორციულად;
- გ. მათ შორის ნაწილდება;
- დ. მათ შორის ნაწილდება პროცენტულად.

19. სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად:

- ა. თუ სასამართლო წარმოება არ დასრულდა მორიგებით და მხარეები ვერ შეთანხმდნენ ხარჯების განაწილებაზე, ამასთან მხარე არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისაგან;
- ბ. თუ სასამართლო წარმოება დასრულდა მორიგებით და მხარეები ვერ შეთანხმდნენ ხარჯების განაწილებაზე, ამასთან მხარე არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისაგან;
- გ. თუ სასამართლო წარმოება დასრულდა მორიგებით და მხარეები ვერ შეთანხმდნენ ხარჯების განაწილებაზე, ამასთან მხარე არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისაგან;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

20. სასამართლოს გარეშე ხარჯებს თითოეული მათგანი ანაზღაურებს:

- ა. თანაბრად;
- ბ. პროპორციულად;
- გ. შეთანხმებით;
- დ. დამოუკიდებლად.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 11. სასამართლოს გარეშე ხარჯები

საქმე №ბს-1330-1315(კ-11) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის გაწეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მესამე ნაწილი). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მხარის მიერ გაწეული ხარჯების ოდენობა, თუკი ამკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია.

V თავი. საპროცესო ვადები. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

21. რა შემთხვევაში არ დაიწყება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დინება?

ა. თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი;

ბ. თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით არ განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი;

გ. თუ მხარეს ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ;

დ. გასაჩივრების ვადის დინება ყველა შემთხვევაში იწყება მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადებიდან.

22. თუ მხარეს კანონით დადგენილი წესით არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ, რა ვადაშია შესაძლებელი აქტის გასაჩივრება?

ა. სასამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი თვის განმავლობაში;

ბ. სასამართლოს აქტის გამოტანიდან სამი თვის განმავლობაში;

გ. სასამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში;

დ. გასაჩივრება შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

23. რა შემთხვევაში უგზავნის სასამართლოს მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების ასლებს?

ა. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აქტი ექვემდებარება გასაჩივრებას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში;

ბ. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აქტი ექვემდებარება გასაჩივრებას იმავე სასამართლოში;

გ. იმ შემთხვევაში თუ აქტი ექვემდებარება გასაჩივრებას;

დ. მხარეს უფლება აქვს მიიღოს ამ დოკუმენტის ასლი საკუთარი ხარჯით ან გააკეთოს ამონაწერი სასამართლოს კანცელარიაში.

24. ვის ეგზავნება სასამართლო დოკუმენტები თუ პირი არ არის რეგისტრირებული საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის გარეშე?

ა. ეგზავნება პირის ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს;

ბ. ეგზავნება მასთან ნებისმიერი ფორმით დაკავშირებულ პირს;

გ. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს უზრუნველყონ დოკუმენტის ჩაბარება;

დ. სასამართლოს მოთხოვნით ასეთი პირი ვალდებულია დანიშნოს სხვა პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება დოკუმენტებს მიღებაზე.

25. რა ვადა არის დადგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოში საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვისთვის?

ა. 10 დღე;

ბ. 1 თვე; ხოლო თუ განსახილველი საქმე განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვისა;

გ. 2 თვე;

დ. 2 თვეს, ხოლო თუ განსახილველი საქმე განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვისა.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 12. გასაჩივრების ვადის ათვლა

საქმე №8ს-854-836 (კ-12) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტება

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ „საქპატენტის“ გადაწყვეტილების გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლა უნდა მომხდარიყო გადაწყვეტილების მიღებიდან და არა უფლებამოსილი პირის მიერ გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მითითებული მოსაზრება და აღნიშნა, რომ აქტის გაცნობამდე გასაჩივრების დაშვება გამოიწვევდა საჩივრის მიზნის - კონტროლის განხორციელების უარყოფას. ადმინისტრაციული აქტის იმ პირისათვის ოფიციალური გაცნობის მოთხოვნა, ვის მიმართაც არის იგი გამოცემული, კანონმდებლობის კატეგორიული იმპერატივია, ვინაიდან აქტის გამოქვეყნება, მისი ადრესატისთვის გაცნობა არის ადმინისტრაციული წარმოების ფინალი და მისი ნაყოფი - წარმოების შედეგად გამოცემული გადაწყვეტილება ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალური გაცნობით. აქტის ძალაში შესვლის განსაზღვრა მნიშვნელოვანია აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადების დასაცავად. სწორედ აქტის ძალაში შესვლის, ანუ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობით იწყება მისი გასაჩივრების ვადების ათვლა, გაცნობის შემდეგ ხდება შესაბამისი ადრესატის უფლებამოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, შესაბამისად, სწორედ ამ მომენტიდან პირს ეძლევა გასაჩივრების შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“ მადრიდის შეთანხმება, „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესები“ და ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული 27.06.1989წ. ოქმი არ იძლევა საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მფლობელისათვის, ეროვნულ განმცხადებელთან შედარებით, გასაჩივრების უფრო ნაკლები ვადის განსაზღვრის საფუძველს. აღნიშნულის მიუხედავად, მოცემულ საქმეში საერთაშორისო ნიშნის მფლობელს, გადაწყვეტილების გამოტანიდან გასაჩივრების ვადის ათვლის გამო, ეროვნულ განმცხადებელთან შედარებით, ფაქტიურად მიეცა საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრულ ვადაზე რამდენიმე კვირით შემცირებული ვადა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიმე ობიექტური საფუძველი ასეთი დიფერენცირებული მიდგომისთვის არ არსებობდა. პალატამ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ნიშნის დაცვაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს იმავე პირობებით, რა პირობებიც არის დადგენილი ნაციონალური რეგისტრაციისათვის, ასევე დაინტერესებულ პირს ეძლევა ისეთივე უფლება გასაჩივრებისთვის, როგორც განცხადების შეტანის ქვეყანაში. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს განსხვავებულ მიდგომას, უკეთეს არსებული განსხვავება იძლევა განსხვავებული მიდგომის მართლზომიერების დასაბუთების შესაძლებლობას. უფლების დაცვის შედარებით

არახელსაყრელი სამართლებრივი რეჟიმის დამკვიდრებას საერთაშორისო ნიშნის მფლობელისთვის არ აქვს გონივრული საფუძველი.

საკასაციო პალატის აზრით, აქტის ოფიციალური გაცნობის სამართლებრივი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მხარე ადასტურებს მისი შინაარსის გაცნობას. გასაჩივრების ვადის ათვლა არ ხდება მაშინაც კი, როდესაც პირისთვის აქტის შინაარსი ცნობილი გახდა არაოფიციალური წყაროდან. საჩივრის უფლება წარმოიშობა გამოცემული აქტით უფლების დარღვევით, რომელიც მხოლოდ ძალაში შესული აქტით არის შესაძლებელი, აქტი უნდა შეიცავდეს მითითებას მისი გასაჩივრების წესის შესახებ. შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი აქტის შესრულება და გასაჩივრება. აქტის ოფიციალურად გაცნობით პირისთვის ცნობილი ხდება რა გახდა უარის თქმის საფუძველი და შესაბამისად, ექნება თუ არა პერსპექტივა მის საჩივარს, აგრეთვე ის, თუ რა სამართლებრივი საშუალებებით შეძლებს თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ადმინისტრაციული საჩივრის უფლების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის სხვა უფლებების და ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს, რაც განაპირობებს საჩივრის უფლების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობას.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი საქმიანობით უნდა უზრუნველყოს ეროვნული განმცხადებლისათვის და საერთაშორისო ნიშნის მფლობელისათვის უარყოფითი გადაწყვეტილების კანონით განსაზღვრული სამი თვის ვადაში გასაჩივრების უფლებით რეალური სარგებლობა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართლმსაჯულება არის იურისდიქციული საქმიანობის სახეობა, რომელიც ეხება დავის გადაწყვეტას, კონფლიქტის გადაჭრას, დარღვეული უფლებების აღდგენას ან კანონიერი ინტერესის დაცვას, სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა გახდეს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამასთანავე, ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მხარისათვის გაცნობის პროცესის ორგანიზაციის, აპარატის საქმიანობის ორგანიზაციის საკითხი მმართველობის სფეროს განეკუთვნება და სცილდება სასამართლო საქმიანობის სფეროს.

VI თავი. მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში; სასამართლოს მეგობარი

26. ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ:

- ა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული ფიზიკური და იურიდიული პირები;
- ბ. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო ან სახელმწიფოსაგან დელეგირებული უფლებების საფუძველზე კერძო პირი;
- გ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირები, ასევე, ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება;
- დ. ადმინისტრაციული ორგანოები და მხოლოდ ფიზიკური პირები.

27. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილი იყო ადვოკატით, რაც სადავო გახადა მოსარჩელე მხარემ. მოსამართლემ მოსამზადებელ სხდომაზე იმსჯელა ადვოკატის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლად დაშვების საკითხზე.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ა. დაუშვებს ადვოკატს თუ დავის საგნის ღირებულება 500,000 ლარს აღემატება;

ბ. არ დაუშვებს ადვოკატს, რადგან თუ მხარე სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/მუნიციპალიტეტია, სასამართლოში მას წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი;

გ. არ დაუშვებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადვოკატს, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლად, რადგან წარმომადგენელი შეიძლება იყოს მხოლოდ საჯარო მოხელე, რომელიც ამ ადმინისტრაციულ ორგანოში მსახურობს;

დ. დაუშვებს, რადგან სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია თავის წარმომადგენლად დანიშნოს ადვოკატი.

28. გიორგი გიორგაძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მიმართ. გიორგი გიორგაძემ პაექრობის ეტაპზე სასამართლოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა და მოითხოვა სასკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მესამე პირად ნიკო ნიკოლაძის ჩართვა. სასამართლომ უარი უთხრა მხარეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

კანონიერია თუ არა სასამართლოს ქმედება?

ა. კანონიერია, რადგან მხოლოდ მოსამზადებელ ეტაპზე ჰქონდა გიორგი გიორგაძეს უფლება მიემართა სასამართლოსთვის საქმეში მესამე პირად ნიკო ნიკოლაძის ჩართვის თაობაზე;

ბ. კანონიერია, რადგან თავად ნიკო ნიკოლაძეს უნდა ეშუამდგომლა სასამართლოს წინაშე და მოეთხოვა საქმეში მესამე პირად ჩართვა;

გ. კანონიერია, რადგან მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში აუცილებელი მოწვევის მესამე პირად;

დ. უკანონოა, რადგან სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად.

29. ვის შეუძლია გაასაჩივროს საქმეში მესამე პირად ჩართვის შესახებ მიღებული განჩინება?

ა. მხოლოდ მოსარჩელეს და მოპასუხეს კერძო საჩივრით;

ბ. ყველა იმ პირს, ვისაც ამ საქმეზე გამოტანილი განჩინებების/გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ;

გ. მესამე პირად ჩაბმაზე გამოტანილი განჩინება ცალკე არ საჩივრდება. ის შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ შემთხვევითად გადაწყვეტილებასთან ერთად;

დ. სავალდებულო მოწვევის მესამე პირს, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში, შეუძლია გაასაჩივროს მიღებული განჩინება კერძო საჩივრით.

30. სასამართლო მეგობრის მიერ წერილობითი მოსაზრება სასამართლოში წარდგენილ იქნა არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე, თუმცა მოსამართლემ უარი თქვა მის მიღებაზე იმ საფუძველით, რომ მოსაზრების წარდგენის მიზანს მოპასუხის მხარდაჭერა წარმოადგენდა.

ჰქონდა თუ არა მოსამართლეს აღნიშნულის უფლებამოსილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16¹ მუხლის შესაბამისად?

ა. ჰქონდა, რადგან თუ წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერაა მოსამართლე მას არ მიიღებს;

ბ. არ ჰქონდა, რადგან წერილობითი მოსაზრება სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნეს მოსამზადებელ სხდომაზე საქმის განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე;

გ. არ ჰქონდა, რადგან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი წერილობითი მოსაზრების წარდგენის შემთხვევაში მოსამართლის მიერ მის მიღებაზე უარის თქმის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. კანონით მოსამართლე უფლებამოსილია არ გაიზიაროს წერილობითი მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები;

დ. არ ჰქონდა, რადგან სასამართლო საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე იწვევს სასამართლო მეგობარს მისი პოზიციის მოსასმენად და amicus curia წერილობით მოსაზრებას სასამართლოში არ წარადგენს.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 16. მესამე პირი

საქმე №3ბ/2108-15 თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

სააპელაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მე-3 პირის ინსტიტუტის თავისებურებაზე ადმინისტრაციულ პროცესში და აღნიშნავს, მე-3 პირის ინსტიტუტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ საპროცესო ინსტრუმენტს, რომელიც მოქმედებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ მხარეებს ადმინისტრაციულ პროცესში, თუმცა შესაძლოა სასამართლოს გადაწყვეტილებით მათ განესაზღვროთ გარკვეული უფლება მოვალეობები. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი პრინციპულად განასხვავებს მარტივი და სავალდებულო მოწვევას მე-3 პირებს, ორივე მოწვევას მე-3 პირების საერთო მახასიათებელს წარმოადგენს მათივე სამართლებრივი ინტერესის დაცვის საჭიროება. პროცესში მესამე პირად მოწვევა არ ატარებს ზოგად ხასიათს და მიმართულია არა მოსარჩელის ან მოპასუხის ინტერესებს, არამედ უშუალოდ იმ პირის სამართლებრივი ინტერესების დაცვისაკენ, რომელიც მოწვეულია მე-3 პირის სტატუსით, რათა მას მიეცეს შესაძლებლობა თავიდან აიცილოს ის არახელსაყრელი შედეგი, ანუ ის ზემოქმედება, რაც შესაძლოა დადგეს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ამასთან, რამდენადაც მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მოწვეული მე-3 პირი სარგებლობს მოსარჩელის, მოპასუხის ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, ამავე მუხლის საფუძველზე გაკეთებულია დათქმა, რომლის თანახმადაც, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პროცესუალური სტატუსის მინიჭება შესაძლებელი ხდება იმ პირობებში, თუ ეს სუბიექტი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

სასამართლოს მიერ გ. ფ.-ს, გ. კ.-ს და გ. კ.-ს სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში, ბათილად იქნება ცნობილი ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის 2014 წლის XX ნოემბრის

№XX-XX დადგენილება, რაც შედეგობრივი თვალსაზრისით ნიშნავს, ბმა „დ. დ. ე.-ს“ მიერ ზონირების ცვლილების თაობაზე წარდგენილი განცხადების უარყოფას.

სააკველიციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე დავის გადაწყვეტის პირობებში, სასამართლო მიიღებს იმ სახის გადაწყვეტილებას, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ აისახება ბმა „დ. დ. ე.-ს“ უფლებებსა და მის კანონიერ ინტერესებზე. შესაბამისად, მას უნდა მიენიჭოს სავალდებულო მოწვევის მე-3 პირის სტატუსი, რომელიც თავის თავში აერთიანებს მოსარჩელისა და მოპასუხის პროცესუალურ უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 16. მესამე პირი

საქმე №ბს-516-509(კს-15) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით კი, ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა.

საქმის მასალებით არ დგინდება ფინანსთა სამინისტროს ზუსტი საპროცესო სტატუსი, იგი დავაში მონაწილეობს მესამე პირად, თუმცა არ არის განსაზღვრული სამინისტრო სავალდებულო თუ ჩვეულებრივი მოწვევის მესამე პირად არის ჩაბმული საქმეში, თუმცა, საკვსაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში, გადაწყვეტია, გააჩნია, თუ არა ფინანსთა სამინისტროს დამოუკიდებელი იურიდიული ინტერესი და ახდენს თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილება მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებზე პირდაპირ, უშუალო გავლენას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების მარტივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა სავალდებულო ჩაბმის ფორმა სახეზეა, თუ მესამე პირი იმ სამართალურთიერთობის მონაწილეა, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილებების გამოტანაა შესაძლებელი. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადაწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესები, ხოლო რაც შეეხება აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობებიც შეიძლება განისაზღვროს.

სსკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჩაბმული მესამე პირი არ არის უფლებამოსილი გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან ამ სახის მესამე პირის იურიდიულ ინტერესებს სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს პოტენციურად, სავარაუდოდ. ამდენად, კანონმდებელი პროცესის ამ მონაწილეს, განსხვავებით მე-16 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირისა, არ აღჭურავს უფლებამოსილებით სადავო გახადოს სასამართლოს გადაწყვეტილება, მესამე პირთა ასეთ დიფერენციაციას განაპირობებს ის გარემოება, რომ სავალდებულო მოწვევის მესამე პირის (16.2 მუხლი) საქმეში ჩაბმა იმპერატიულად არის რეგლამენტირებული, ანუ პირი იმ სამართალურთიერთობის

სუბიექტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანის არეალში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეები, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადავო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესებზე.

მუხლი 16. მესამე პირი

საქმე Nზს-500-493(3კ-კს-15) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების მარტივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა სავალდებულო ჩაბმის ფორმა სახეზეა, თუ მესამე პირი იმ სამართალურთიერთობის მონაწილეა, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადაწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესები, ხოლო რაც შეეხება აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობებიც შეიძლება განისაზღვროს.

სსკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჩაბმული მესამე პირი არ არის უფლებამოსილი გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან ამ სახის მესამე პირის იურიდიულ ინტერესებს სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს პოტენციურად, სავარაუდოდ. ამდენად, კანონმდებელი პროცესის ამ მონაწილეს, განსხვავებით მე-16 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირისა, არ აღჭურავს უფლებამოსილებით სადავო გახადოს სასამართლოს გადაწყვეტილება, მესამე პირთა ასეთ დიფერენციაციას განაპირობებს ის გარემოება, რომ სავალდებულო მოწვევის მესამე პირის (16.2 მუხლი) საქმეში ჩაბმა იმპერატიულად არის რეგლამენტირებული ანუ პირი იმ სამართალურთიერთობის სუბიექტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანის არეალში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეები, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადავო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესებზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.5. მუხლის მიხედვით აუცილებელი მოწვევის საფუძველზე ჩაბმული მესამე პირი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი) სარგებლობს მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი სტატუსის მესამე პირი აღჭურვილია მხარის ყველა საპროცესო უფლებით, მათ შორის, სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებით; ამასთან ერთად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლით გათვალისწინებული მესამე პირი მხარის უფლება-მოვალეობებს იძენს საქმეში ჩაბმის შემდეგ. მხარე სადავოდ ვერ გახდის გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია იმ დროს, როცა იგი სამართალურთიერთობის მონაწილე არ იყო. მესამე პირის საქმეში ჩაბმის საფუძველი წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა ის სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე ხდება იმგვარად, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებებსა და ინტერესებს პირდაპირ შეიძლება შეეხოს. სწორედ ამ დროიდან უნდა მიეცეს მას საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით საქმის განხილვაში მონაწილეობის საშუალება, ამასთან, ამ უფლების რეალიზება არ გულისხმობს ამ მომენტამდე მისი მონაწილეობის გარეშე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების უკანონობას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ ამ უკანასკნელს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმის სამართლიანი მოსმენის უფლება შეეზღუდა.

კონვენციის აღნიშნული ნორმა მრავალ ასპექტს მოიცავს, მათ შორის, სასამართლოს ხელმისაწვდომობისა და საქმის სამართლიანი მოსმენის უფლებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის 6.1 მუხლი ყველას ანიჭებს უფლებას აღძრას სასამართლოს წინაშე მის უფლებებსა თუ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივარი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია, იყოს შეზღუდვის საგანი, ვინაიდან თავისი სამართლებრივი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მოწესრიგებას, გამოყენებული შეზღუდვა არ უნდა იყოს იმგვარი ხასიათის, რომ თავისთავად უფლების არსი დაირღვეს (CASE OF PHILIS v. GREECE).

VII თავი. სასამართლო მტკიცებულებები

31. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთი ეკისრება:

- ა. იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, აქტის არარა აქტად აღიარების თაობაზე წარდგენილ სარჩელებზე, რომელმაც გამოსცა ეს აქტი;
- ბ. იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, აქტის ბათილად ცნობის თაობაზე წარდგენილ სარჩელებზე, რომელმაც გამოსცა ეს აქტი;
- გ. იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ წარდგენილ სარჩელებზე, რომელმაც გამოსცა ეს აქტი;
- დ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი სწორია.

32. საქალაქო სასამართლოს განჩინებით ქ. თბილისის მერიას დაევალა ადმინისტრაციული საქმის წარმოების მასალების ასლების სასამართლოში წარდგენა განჩინების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში. ამავე განჩინებით განისაზღვრა მოსამზადებელი სხდომის თარიღი 2 თვის შემდეგ. მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადდა ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელი და არც მტკიცებულებები წარუდგენია სასამართლოში. მოსამართლემ მიიღო განჩინება ადმინისტრაციული ორგანოს დაჯარიმების შესახებ და კვლავ გამოითხოვა ადმინისტრაციულ ორგანოში საქმის წარმოების მასალები.

კანონიერია თუ არა მოსამართლის ქმედება?

ა. უკანონოა, რადგან თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან;

ბ. კანონიერია, რადგან თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან;

გ. უკანონოა, რადგან სასამართლოს არ აქვს უფლება დააჯარიმოს ადმინისტრაციული ორგანო მტკიცებულებათა წარუდგენლობის გამო. სასამართლოს უფლება აქვს მხოლოდ განმეორებით მოითხოვოს მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენა;

დ. კანონიერია, რადგან თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან.

33. პაექრობის ეტაპზე სასამართლოსთვის ცნობილი გახდა ისეთი მტკიცებულებების შესახებ, რომელიც მანამდე მხარეთა მიერ არ ყოფილა წარდგენილი სასამართლოში. მოსამართლემ ადგილზე თათბირით მიიღო განჩინება მხარისათვის მტკიცებულებათა წარმოდგენის დავალების შესახებ, რადგან მიიჩნია, რომ აღნიშნულ მტკიცებულებებს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. სასამართლო სხდომა გადადო 2 კვირით.

სწორია თუ არა სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება?

ა. არა, რადგან სასამართლო მტკიცებულებებს იკვლევს მოსამზადებელ ეტაპზე. პაექრობის ეტაპზე, როცა მტკიცებულებების გამოკვლევა უკვე დასრულებულია მოსამართლეს არ აქვს უფლება დაავალოს მხარეს ახალი მტკიცებულებების წარდგენა, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს იგი საქმის გადაწყვეტისათვის;

ბ. არა, რადგან სასამართლო არ იყო უფლებამოსილი მხარის შუამდგომლობის გარეშე დაევალებინა მოწინააღმდეგე მხარისათვის მტკიცებულებების წარდგენა;

გ. არა, რადგან პაექრობის ეტაპზე მტკიცებულებების წარდგენის დავალდებულების შესახებ განჩინებას სასამართლო იღებს სათათბირო ოთახში. ამასთან, განჩინება უნდა იყოს დასაბუთებული;

დ. დიახ, რადგან სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

34. სასამართლო (მოსამართლე) გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერების შემოწმების მიზნით საქმეს იხილავს:

- ა. ღია სასამართლო სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობის 10-მდე შეზღუდვით;
- ბ. დახურულ სასამართლო სხდომაზე 10-მდე დამსწრის თანდასწრებით;
- გ. დახურულ სხდომაზე მხარეთა დასწრების გარეშე;
- დ. დახურულ სასამართლო სხდომაზე მხარეთა დასწრებით.

35. გორგი გორგაძემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა აქტის ბათილად ცნობა. სხდომაზე მხარემ ზეპირი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საოქმო განჩინებების პროექტებისა და სხვა მოსამზადებელი მასალების გაცნობა. მოსამართლემ ადგილზე თათბირით ნაწილობრივ დააკმაყოფილა მხარეს შუამდგომლობა. კერძოდ, მხარეს უარი უთხრა მოსამზადებელი მასალების გაცნობაზე, ხოლო საოქმო განჩინების პროექტის გადაცემის ნაწილში შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

კანონიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

- ა. კანონიერია, ვინაიდან მხარეს არ აქვს უფლება გაეცნოს მოსამზადებელ მასალებს, ხოლო საოქმო განჩინების პროექტის გაცნობის უფლება აქვს ნებისმიერ დროს;
- ბ. უკანონოა, ვინაიდან მხარეს არ აქვს უფლება გაეცნოს საოქმო განჩინების პროექტს, ხოლო მოსამზადებელი მასალების გაცნობის უფლება აქვს ნებისმიერ დროს;
- გ. უკანონოა, რადგან განჩინება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიიღება სათათბირო ოთახში;
- დ. უკანონოა, რადგან მხარეს არ აქვს უფლება გაეცნოს სასამართლოს აქტების პროექტებს, ისევე როგორც სხვა მოსამზადებელ მასალებს.

სასამართლო პრაქტიკა

თავი I - მუხლი 4; თავი VII - მუხლი 19.

მტკიცებულებების შეგროვება სასამართლოს მიერ

საქმე №8ს-600(კ-20)საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ საქმე განიხილა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიიღო ზეპირი მოსმენის გარეშე. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიუთითა ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედ ინკვიზიციურობის პრინციპზე და მასზე დაყრდნობით მხარეთა მონაწილეობის გარეშე გამოიკვლია და შეაფასა ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არც ადმინისტრაციული წარმოების და არც პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში მსჯელობის საგნად არ ქცეულა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ

თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი შეჯიბრებითობის პრინციპი პირდაპირ უკავშირდება კონსტიტუციით რეგლამენტირებულ სამართლიანი სსამართლოს კონსტიტუციურ უფლებას. შეჯიბრებითი პროცესი ეფუძნება მხარეთა უფლებრივ თანასწორობას, აღიჭურვონ თანაბარი საპროცესო ინსტრუმენტებით და გამოიყენონ ისინი თავიანთი პოზიციების სსარგებლო არგუმენტების წარდგენის მიზნით. შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეებს აძლევს სამართალწარმოებაზე სამართლებრივი გავლენის მოხდენის, მტკიცებულების მოპოვება-წარდგენისა და საკუთარი ინტერესების დაცვის გონივრულ და თანასწორ შესაძლებლობას. შეჯიბრებითობის პრინციპის არსი ეფუძნება რწმენას, რომ სათანადოდ მომზადებული მხარეები სსამართლოს წარუდგენენ საკმარის ინფორმაციასა და არგუმენტებს, მაშინ, როდესაც სსამართლოს ძირითად ამოცანას მხარეთათვის ამგვარ მოქმედებათა განხორციელების შესაძლებლობებს უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სსამართლო აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედების პირობებში, სამართალწარმოების მონაწილეები აღჭურვილნი არიან უფლებით, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები საქმესთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებთან, განსაკუთრებით კი ისეთ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, რომლებსაც საქმის გადაწყვეტის თვალსაზრისით ენიჭებათ არსებითი მნიშვნელობა. საპროცესო კანონმდებლობით მხარეთა მიერ საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის სხდომაზე მოსაზრებათა გამოთქმის უფლების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ ისეთ პირობებში, როდესაც მხარეები სადავოდ არ ხდიან საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით მოწმდება. განსახილველ შემთხვევაში კი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით, კერძოდ, სააპელაციო სსამართლოში დავის განხილვის პროცესში კასატორს - გ. ლ-ს არ მიეცა შესაძლებლობა, გამოეთქვა საკუთარი მოსაზრებები უფლება ასალიარებელი მიწის ნაკვეთის სივრცით-ტერიტორიულ მდებარეობასთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად კი, იმ გარემოებასთან მიმართებით, რომელმაც, საბოლოოდ, მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს თქმა გამოიწვია.

ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით განმტკიცებული ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენება ავტომატურად გულისხმობს საქმესთან მიმართებით ისეთი მტკიცებულებების სსამართლოს მიერ მოპოვება-მოძიებას ან ისეთი ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევას, რომელიც ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ გამოკვლეულა და შეფასებულა. შესაბამისად, ინკვიზიციურობის პრინციპის ადმინისტრაციულ პროცესში რეალიზება აუცილებელს ხდის საქმეზე ზეპირი მოსმენის გამართვას და მოპოვებულ მტკიცებულებებთან თუ გარემოებებთან მიმართებით, მხარეთა მოსაზრებების მოსმენას. საკასაციო პალატა, ასევე, განმარტავს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ქვეშ მოაზრებული ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური

პრინციპის არსი სახელისუფლებო შტოთა შორის ურთიერთმაკონტროლებელი, ურთიერთგამაწონასწორებელი და ურთიერთდამაბალანსებელი მექანიზმის შექმნაში მდგომარეობს. აღნიშნული პრინციპის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლება აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ფუნქციით არის აღჭურვილი. სასამართლო ხელისუფლების რევიზორული ბუნება კი დაუშვებელს ხდის სასამართლოს მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციის შეთავსებას და მის მიერ მმართველობითი ღონისძიების განხორციელებას. კონსტიტუციით გაგლებული სახელისუფლებო ზღვრის პარალელურად კი, სასამართლო ხელისუფლების მაკონტროლებელი ფუნქცია კიდევ უფრო მეტად იზოჭება მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე იღებს. ასეთ დროს კონტროლის შეზღუდული ფარგლებიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლების გათვალისწინებით, შეამოწმოს მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, რომელიც, თავის მხრივ, საჯარო და კერძო ინტერესთა ურთიერთშეპირისპირებასა და ურთიერთდამაბალანსებას უნდა დაეფუძნოს. დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების პროცესში კი, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულება შეცვალოს სასამართლოს მიხედულებით.

საკვსაცხო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ფორმალური თვალსაზრისით არ შეიცავს სათანადო დასაბუთებას, კერძოდ, მასში კონკრეტულად არ არის გადმოცემული ის გარემოებები, რომელიც მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას შეუსაბამოს ხდიდა დედაქალაქის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პირობებსა და მიწის განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან. მიუხედავად აღნიშნულისა, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მიერ გაკეთებულმა განმარტებებმა დააკონკრეტა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული ის აბსტრაქტული, განზოგადებული მიზეზები, რომლებიც გ. ლ-ას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად იქცა. სააპელაციო სასამართლომ კი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან შეუსაბამობა არა ადმინისტრაციული ორგანოს განმარტებების კვალდაკვალ, არამედ საკუთარი ინიციატივით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა, რის შედეგადაც, სასამართლომ გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გადმოცემულ განზოგადებული შინაარსის დანაწესებს, ფაქტობრივად, მიანიჭა ის აზრი, რაც მისთვის ადმინისტრაციულ ორგანოს არ მიუნიჭებია.

საკვსაცხო სასამართლო განმარტავს, რომ დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძველად დაედოს ფაქტობრივი გარემოება/მტკიცებულება, რომელიც სამართალწარმოების პროცესში მხარეთა აქტიური მონაწილეობით სათანადო წესით არ ყოფილა გამოკვლეული და რომელთან დაკავშირებითაც მხარეებს არ მისცემიათ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უარყოფის საფუძველად გამოიყენა ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართალწარმოების პროცესში გამოუკვლეველი ისეთი გარემოება, რომლის არსებობაზე დაყრდნობითაც, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე (მათ შორის, არც წარმოდგენილ შესაგებელში) არ უცდია გ. ლ-ას სარჩელის საფუძველიანობის გამორიცხვა. შესაბამისად, მხარეებს არ

მისცემიათ აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებების წარდგენისა და ხსენებული ფაქტობრივი გარემოების მხარდაჭერისა თუ უარყოფის შესაძლებლობა. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვით კასატორს მოესპო შესაძლებლობა, გამოეთქვა მოსაზრებები იმ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელმაც, საბოლოოდ, მის მიერ წარმოდგენილი სარჩელის ბედი გადაწყვიტა.

VII¹ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით

36. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის თანახმად, მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, ვინ გამოსცემს ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე?

- ა. რაიონული სასამართლოს მოსამართლე;
- ბ. საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;
- გ. მაგისტრატი მოსამართლე;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

37. გამონაკლისი შემთხვევის გარდა, მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა როდის უნდა წარედგინოს მოსამართლეს?

- ა. მეწარმის შემოწმების დაწყების შემდგომ;
- ბ. მეწარმის შემოწმების დასრულების შემდგომ;
- გ. მეწარმის შემოწმების დაწყების წინ;
- დ. მეწარმის შემოწმების დასრულების წინ.

38. მოსამართლე გადაწყვეტილებას მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს შუამდგომლობის წარდგენიდან:

- ა. 24 საათში;
- ბ. 48 საათში;
- გ. 72 საათში;
- დ. დაუყოვნებლივ.

39. მაკონტროლებელი ორგანოსთვის მიწოდებულ იქნა ინფორმაცია, ერთ-ერთი კომპანიის მიერ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისათვის ვადაგასული პროდუქციის მიწოდების შესახებ. შესაბამისად, მაკონტროლებელი ორგანო მყისიერად შევიდა საწარმოში და შეაჩრა მათი საქმიანობა, შემდგომ კი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ბრძანების გამოცემის თაობაზე. სასამართლომ კანონით დადგენილ ვადებში, გამოსცა ბრძანება მეწარმისა საქმიანობის შემოწმების შესახებ. აღნიშნული ბრძანება კი კომპანიის წარმომადგენელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით, თუმცა მოსამართლემ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა, კომპანიამ საკასაციო წესით სცადა ბრძანების გასაჩივრება, რაზეც უარი ეთქვა.

ჰქონდა თუ უფლებამოსილება კომპანიას საკასაციო წესით გაესაჩივრებინა ბრძანება?

- ა. ჰქონდა, რადგანაც მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით;
- ბ. არ ჰქონდა, რადგანაც მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ ბრძანება არ შეიძლება გასაჩივრდეს;
- გ. არ ჰქონდა, რადგანაც მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით;
- დ. ჰქონდა, რადგანაც მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ ბრძანება უნდა გასაჩივრდეს საკასაციო წესით.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 21² მეწარმის საქმიანობის შემოწმება

საქმე №3ბ/433-16 თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს ადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VIII თავი და „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 212 მუხლის თანახმად, მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მოსამართლეს წარედგინება მეწარმის შემოწმების დაწყებამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც შეიძლება მეყსეული და უშუალო საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უშიშროებას, ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ან/და მტკიცებულებებს, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა შემოწმების საგნის ნაწილში და დაუყოვნებლივ მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით. **თუ საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეუძლებელია ან იგი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საწარმოს ანდა ამას მოითხოვს მეწარმე, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია დაიწყოს მეწარმის შემოწმება და 24 საათის განმავლობაში შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს. შუამდგომლობის წარდგენისას მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს თუ რაში მდგომარეობდა შემოწმების გადაუდებელი აუცილებლობა.**

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დგინდება, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მხრიდან შუამდგომლობის წარდგენა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 2016 წლის 24 თებერვალს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 14 იანვრის №40 ბრძანებით დამტკიცებული „კერძო დაცვითი საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებისა და პასუხისმგებლობის წესის“ მე-3 მუხლის თანახმად, შემოწმებულ იქნა შპს „ი. ს.-ს“ საქმიანობის შესაბამისობა“ კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი დარღვევები: მცველი დაცვით საქმიანობას ახორციელებდა დაცვითი ორგანიზაციისთვის დამტკიცებული მცველის სამსახურეობრივი ფორმის ტანსაცმლის ნიმუშის ტარების წესის დარღვევით და მცველი დაცვით საქმიანობას ახორციელებდა მცველის მოწმობის გარეშე. ჩაითვალა, რომ შემოწმების გადადებით საფრთხე ექმნებოდა მტკიცებულებებს და შემოწმება ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობით.

საქმის მასალების შეფასება სააპელაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებული ბრძანების მიღებისას არ შეამოწმა წარმოდგენილი შუამდგომლობის შესაბამისობა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21² მუხლის ზემოთ აღნიშნულ დანაწესებთან და შუამდგომლობაში აღძრულ მოთხოვნას არ მისცა სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ შუამდგომლობაში აღნიშნული გარემოებები არ ქმნის გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით მეწარმის საქმიანობის შემოწმების საფუძველს და ვერ ასაბუთებს შემოწმების მყისიერების საჭიროებას. სააპელაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს სამართალდარღვევის გამოვლენის ყოველი კონკრეტული შემთხვევა იქცეს საწარმოს შემოწმების უპირობო საფუძვლად და სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენა გაიგივდეს იმ პროცედურასთან რაც უკავშირდება საწარმოს სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს.

VII³ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით

40. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ:

- ა. მსხვერპლს/სავარაუდო მსხვერპლს და მისი ოჯახის წევრს;
- ბ. მსხვერპლს;
- გ. მსხვერპლს/სავარაუდო მსხვერპლს;
- დ. მსხვერპლს და მისი ოჯახის წევრს.

41. სასამართლოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს?

- ა. შემაკავებელი ორდერი;
- ბ. დამცავი ორდერი;
- გ. ბრძანება;
- დ. განჩინება.

42. ლიკამ თავისი მოძალადე ქმრისგან თავის დაცვის მიზნით, მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა დამცავი ორდერის გამოცემა, მოსამართლემ ლიკას განცხადება განიხილა და 15 დღის შემდგომ მიიღო გადაწყვეტილება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

- ა. არა, მოსამართლეს გადაწყვეტილება უნდა მიეღო დაუყოვნებლივ;
- ბ. არა, მოსამართლეს გადაწყვეტილება უნდა მიეღო 1 კვირის ვადაში;
- გ. დიახ, მოსამართლეს შეეძლო გადაწყვეტილება მიეღო 1 თვის ვადაში;
- დ. არა, მოსამართლეს გადაწყვეტილება უნდა მიეღო 10 დღის ვადაში.

43. შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე სარჩელის წარდგენა:

- ა. აჩერებს გამოცემული შემაკავებელი ორდერის მოქმედებას;
- ბ. წყვეტს გამოცემული შემაკავებელი ორდერის მოქმედებას;
- გ. არ აჩერებს გამოცემული შემაკავებელი ორდერის მოქმედებას;
- დ. დროებით აჩერებს გამოცემული შემაკავებელი ორდერის მოქმედებას.

44. რომელი ფორმულირებაა სწორი?:

- ა. დამცავი ორდერი ამოქმედდება გამოცემისთანავე;
- ბ. დამცავი ორდერი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე;
- გ. დამცავი ორდერი ამოქმედდება გამოცემიდან 24 საათში;
- დ. დამცავი ორდერი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 24 საათში.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 21¹⁴ ფსიქოლოგიური ძალადობა

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის გადაწყვეტილება

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹² მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ მსხვერპლს/სავარაუდო მსხვერპლს და მისი ოჯახის წევრს, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹³ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე სასამართლოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს დამცავი ორდერი. თავის მხრივ, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამცავი ორდერი გამოიცემა 6 თვემდე ვადით. მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ზემოაღნიშნული კანონის მე-4 მუხლი განმარტავს ძალადობის თითოეული ზემოაღნიშნული ფორმის არსს: ა) ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ბ) ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას; გ) იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებებია, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება; დ) სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ; ე) ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას; ე1) არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების უგულვებელყოფა – მშობლის (მშობლების), სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე.

ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსხვერპლი არის ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრელმა ჯგუფმა (შემდგომ – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი). მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომლის კანონიერი ინტერესები უგულვებელყოფილია და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა. ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების, 142 მუხლის, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და მე-6 პუნქტის მიზნებისთვის მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომელიც სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე ფაქტობრივად იმყოფება/ცხოვრობს სხვა პასუხისმგებელ პირთან ან ნებისმიერ სხვა პირთან, რომელმაც დაარღვია მისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით, და რომელიც მოძალადისგან სოციალურმა მუშაკმა განაცალკევა. მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმეა, ხოლო ამავე მუხლის „ვ1“ ქვეპუნქტის თანახმად, სავარაუდო მსხვერპლი არის პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ არის მსხვერპლი, და რომელიც მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის მიზნით შესაბამის სამსახურს/ორგანოს/მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს მიმართავს, თავის მხრივ, ამავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის

მიხედვით, ოჯახის წევრად, მოიაზრება დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწვეიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, ხოლო „თ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ მოძალადე არის ოჯახის წევრი, რომელიც არღვევს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს უგულბებლყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით. მოძალადედ მიიჩნევა აგრეთვე ოჯახის წევრი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ან ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას. ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების, 142 მუხლის, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და მე-6 პუნქტის მიზნებისთვის მოძალადედ მიიჩნევა აგრეთვე სხვა პასუხისმგებელი პირი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც არღვევს სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე მასთან ფაქტობრივად მყოფი/მცხოვრები არასრულწლოვნის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს უგულბებლყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით.

ზემოხსენებული კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქოსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები. ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

მუხლი 21¹⁴. ფსიქოლოგიური ძალადობა
თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის გადაწყვეტილება

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმე და „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმე, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა

საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹⁴ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შემაკავებელი ორდერის გამოცემის წესი და მოქმედების ვადა განისაზღვრება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე სარჩელს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამ კოდექსით დადგენილი წესით, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლო სარჩელს წარდგენიდან 3 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის გაუქმების ან ნაწილობრივ გაუქმების ან მის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო მე-10 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობისათვის ან/და ოჯახში ძალადობისათვის დამახასიათებელ ქმედებათა ერთობლიობას, ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს... ეს კანონი, ამ კანონით დადგენილ თავისებურებათა გათვალისწინებით, ვრცელდება ასევე იმ ურთიერთობებზე, რომლებითაც ირღვევა არასრულწლოვნის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები უფლებებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 10.1 მუხლის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები, ამავე მუხლის 36 ნაწილის თანახმად, შემაკავებელი ორდერი ამოქმედდება გამოცემისთანავე. იგი 24 საათის განმავლობაში ეგზავნება/ზბარდება მსხვერპლსა და მოძალადეს, ხოლო შემაკავებელი ორდერის ერთი ეგზემპლარი რჩება მის გამომცემ ორგანოში, ხოლო ამავე კოდექსის 12.4 მუხლის თანახმად კი, შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1 თვემდე ვადით.

სასამართლო აღნიშნავს, რომ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის

კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

მითითებული კანონის მე-4 მუხლი განმარტავს ძალადობის თითოეული ზემოაღნიშნული ფორმის არსს: ა) ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს; ბ) ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას; გ) იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებათა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება; დ) სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ; ე) ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას; ე1) არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა – მშობლის (მშობლების), სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე.

ამრიგად, სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით დადასტურებულია ----- მიერ, ----- მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი, რაც ფსიქოლოგიური ძალადობის კანონით გათვალისწინებული დეფინიციის შესაბამისია და იგი შემაკავებელი ორდერის გამოცემის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, სასამართლო განმარტავს, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა არ შეიძლება გამოირიცხოს იმით, თუ ვის მიერ იყო პროვოცირებული კონფლიქტი ან დავის რომელი მხარეა მართალი, თითოეული პირი თავის მოქმედებაზეა პასუხისმგებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ერთი მხარის მიერ კონფლიქტის პროვოცირება არ შეიძლება გახდეს მეორე პირის მიერ ძალადობის გამართლების საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, მხარეებმა დაადასტურეს, რომ მათ შორის არის დაძაბული ურთიერთობა და შესაბამისად კონფლიქტი, რაც თავის მხრივ, ძალადობის განხორციელებას გულისხმობს. შესაბამისად, მათი ერთ საცხოვრებელ ბინაში ცხოვრება გონივრულ ეჭვს წარმოშობს ერთმანეთის მიმართ ძალადობის თაობაზე.

**VII⁴ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება
არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით
პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით**

45. მაგისტრატმა მოსამართლემ განიხილა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საკითხი და გამოიტანა დადგენილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით უარის თქმის თაობაზე, კანონიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

- ა. უკანონოა, რადგან მაგისტრატი მოსამართლეს არა აქვს უფლება განიხილოს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საკითხი;
- ბ. უკანონოა, რადგან მოსამართლეს უნდა გამოეცა ბრძანება და არა დადგენილება;
- გ. კანონიერია, რადგან მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილია განიხილოს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საკითხი, მაგრამ მას უნდა გამოეცა ბრძანება და არა დადგენილება;
- დ. კანონიერია, რადგან მაგისტრატ მოსამართლე უფლებამოსილია განიხილოს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საკითხი და გამოსცეს დადგენილება.

46. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ბრძანების გამოცემის თხოვნით მოსამართლეს/სასამართლოს მიმართავს:

- ა. იმ ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ან პენიტენციური დაწესებულება, რომელშიც პაციენტი/მსჯავრდებული იმყოფება, პაციენტის/მსჯავრდებულის სტაციონარში მოთავსებიდან ან უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულებიდან დადებითი დასკვნის მიღებიდან 72 საათის ვადაში;
- ბ. იმ ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ან პენიტენციური დაწესებულება, რომელშიც პაციენტი/მსჯავრდებული იმყოფება, პაციენტის/მსჯავრდებულის სტაციონარში მოთავსებიდან ან უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულებიდან დადებითი დასკვნის მიღებიდან 48 საათის ვადაში;
- გ. იმ ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია, რომელშიც პაციენტი იმყოფება, მისი სტაციონარში მოთავსებიდან ან უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულებიდან დადებითი დასკვნის მიღებიდან 72 საათის ვადაში;
- დ. იმ ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია, რომელშიც პაციენტი იმყოფება, მისი სტაციონარში მოთავსებიდან ან უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულებიდან დადებითი დასკვნის მიღებიდან 48 საათის ვადაში.

47. რომელი მსჯელობაა სწორი?

- ა. მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე;
- ბ. მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად, ღია სასამართლო სხდომაზე;

გ. მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად. სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს დახურულ სასამართლო სხდომაზე, თუ ამის თაობაზე წინასწარ არის წარდგენილი წერილობითი შუამდგომლობა;

დ. მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად. სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს ღია სასამართლო სხდომაზე, თუ ამის თაობაზე წინასწარ არის წარდგენილი წერილობითი შუამდგომლობა.

48. ფსიქიატრიულმა დაწესებულებამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით უცხო ქვეყნის მოქალაქის სტაციონარში მოთავსების მოთხოვნით. სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე გამოსცა ბრძანება, რომლითაც დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

კანონიერია თუ არა სამართლოს მოქმედება?

ა. კანონიერია რადგან სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. ამასთან, უცხო ქვეყნის მოქალაქე შესაძლებელია მოთავსდეს სტაციონარში არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით;

ბ. უკანონოა, რადგან სასამართლო არ არის უფლებამოსილი შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე;

გ. უკანონოა, რადგან სასამართლოს არა აქვს უფლება უცხო ქვეყნის მოქალაქე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მოათავსოს სტაციონარში;

დ. უკანონოა, რადგან ფსიქიატრიული დაწესებულება არ არის უფლებამოსილი შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების მოთხოვნით.

49. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ საქმის განხილვისას, იმ მიზეზით, რომ მსჯავრდებულმა ვერ შეძლო ადვოკატის აყვანა საკუთარი სახსრებით, იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე ადვოკატის დანიშვნის შესახებ. სასამართლომ იმსჯელა დასახელებულ შუამდგომლობაზე და არ დააკმაყოფილა იგი იმ საფუძველით, რომ არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდა მსჯავრდებულის მიერ ადვოკატის აყვანის შეუძლებლობას.

კანონიერია თუ არა სასამართლოს მოქმედება?

ა. დიახ, რადგან არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ საქმის განხილვისას, არ არის სავალდებულო ადვოკატის მონაწილეობა;

ბ. არა, რადგან არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ საქმის განხილვისას, თუ მსჯავრდებულს არა აქვს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, სასამართლო ვალდებულია დაუნიშნოს მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე;

გ. დიახ, რადგან არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ საქმის განხილვისას, თუ მსჯავრდებულს არა აქვს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, სასამართლო ვალდებულია დაუნიშნოს მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული დაასაბუთებს

ადვოკატის ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს;

დ. არა, რადგან არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ საქმის განხილვისას, სასამართლო ვალდებულია დაუნიშნოს მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, თუ მსჯავრდებულს ადვოკატი არ დაუნიშნა სასჯელაღსრულებითმა დაწესებულებამ, სადაც იხდის სასჯელს.

50. რომელი მსჯელობაა სწორი?

ა. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების (ან მოთავსებაზე უარის თქმის) შესახებ მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) ძალაში შედის მხარეებისათვის ბრძანების (დადგენილების) ასლის ჩაბარებიდან;

ბ. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების (ან მოთავსებაზე უარის თქმის) შესახებ მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) ძალაში შედის მხარეებისათვის ბრძანების (დადგენილების) გამოცხადებისთანავე;

გ. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების (ან მოთავსებაზე უარის თქმის) შესახებ მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) ძალაში შედის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ;

დ. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების (ან მოთავსებაზე უარის თქმის) შესახებ მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) ძალაში შედის ბრძანების (დადგენილების) სააპელაციო სასამართლოს მიერ ძალაში დატოვების შემდეგ.

51. საექსპერტო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მსჯავრდებულისათვის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის შესახებ. სასამართლომ საქმე განიხილა დახურულ სასამართლო სხდომაზე და გამოსცა ბრძანება, რომლითაც შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ბრძანებაში მიუთითა, რომ პირი შესაბამის სტაციონარში უნდა ყოფილიყო პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამოწურვამდე, არა უმეტეს 6 თვისა.

შეაფასეთ სასამართლოს მოქმედების კანონიერება.

ა. კანონიერია რადგან სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს დახურულ სასამართლო სხდომაზე, ამასთან, მსჯავრდებული პირი შესაძლოა მოთავსდეს შესაბამის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამოწურვამდე, არა უმეტეს 6 თვისა;

ბ. უკანონოა, რადგან სასამართლო არ არის უფლებამოსილი შუამდგომლობა განიხილოს დახურულ სასამართლო სხდომაზე;

გ. უკანონოა, რადგან სასამართლოს არა აქვს უფლება მსჯავრდებული პირი მოათავსოს შესაბამის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით;

დ. უკანონოა, რადგან ამ შემთხვევაში არ გამოიყენება 6 თვიანი ვადა.

52. სასამართლომ განიხილა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საკითხი და გამოსცა ბრძანება, რომლითაც მოათავსა პირი

შესაბამის სტაციონარში პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამოწურვამდე, არა უმეტეს 6 თვისა. შესაბამისი ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნისა და დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე აღნიშნული ვადა გაგრძელდა არა უმეტეს 6 თვისა. შესაბამისი ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნისა და დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე აღნიშნული ვადა კიდევ ერთხელ გაგრძელდა სასამართლოს ბრძანებით იგივე ვადით. ჯამში პაციენტი დაწესებულებაში იმყოფებოდა 18 თვის განმავლობაში. შეაფასეთ სასამართლოს მოქმედება.

ა. კანონიერია, რადგან სასამართლო უფლებამოსილია არანებაყოფლობითი მკურნალობისას ყოველ ჯერზე გააგრძელოს 6 თვიანი ვადა თუ არ არის ამოწურული პაციენტის მკურნალობის კრიტერიუმები;

ბ. უკანონოა, რადგან არანებაყოფლობითი მკურნალობის დროს პირი სტაციონარში შესაძლებელია მოთავსდეს მხოლოდ 6 თვით და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება;

გ. უკანონოა, რადგან არანებაყოფლობითი მკურნალობის დროს პირი სტაციონარში შესაძლებელია მოთავსდეს მხოლოდ 6 თვით და ამ ვადის გაგრძელება დაიშვება ერთჯერადად 3 თვით;

დ. უკანონოა, რადგან არანებაყოფლობითი მკურნალობის დროს პირი სტაციონარში შესაძლებელია მოთავსდეს მხოლოდ 6 თვით და ამ ვადის გაგრძელება დაიშვება ერთჯერადად 6 თვით.

53. რა ვადაში განიხილება ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელების შესახებ?

ა. მიმართვა განიხილება ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან ერთ სამუშაო დღის ვადაში;

ბ. მიმართვა განიხილება ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 24 საათში;

გ. მიმართვა განიხილება ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 48 საათში;

დ. მიმართვა განიხილება ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 72 საათში.

54. ვის აქვს უფლება, გაასაჩივროს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანება (დადგენილება)?

ა. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) შეიძლება გაასაჩივროს მხოლოდ ფსიქიატრიული დაწესებულების ან სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ სააპელაციო სასამართლოში;

ბ. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) შეიძლება გაასაჩივროს მხოლოდ პაციენტმა/მსჯავრდებულმა სააპელაციო სასამართლოში;

გ. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) შეიძლება გაასაჩივროს ფსიქიატრიული დაწესებულების ან სასჯელაღსრულების დაწესებულების

ადმინისტრაციამ, პაციენტმა/მსჯავრდებულმა, მისმა ადვოკატმა, კანონიერმა წარმომადგენელმა ან/და ნათესავმა სააპელაციო სასამართლოში.

დ. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) შეიძლება გაასაჩივროს მხოლოდ პაციენტის/მსჯავრდებულის ადვოკატმა, სააპელაციო სასამართლოში.

55. საქალაქო სასამართლოს ბრძანებით არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მსჯავრდებული პირი მოთავსდა სტაციონარში სასჯელის მოხდის პერიოდში. აღნიშნული ბრძანება პროკურორის მიერ მისი გადაცემიდან 26 საათში გასაჩივრებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც დააკმაყოფილა აღნიშნული საჩივარი და ბრძანებით გააუქმა საქალაქო სასამართლოს დადგენილება. შეაფასეთ სააპელაციო სასამართლოს მოქმედება.

ა. კანონიერია, რადგან სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია საქალაქო სასამართლოს ბრძანება გააუქმოს ბრძანებით;

ბ. კანონიერია, რადგან მსჯავრდებული პირი მოთავსება სტაციონარში დაუშვებელია, სასჯელის მოხდის პერიოდში;

გ. უკანონოა, რადგან პროკურორის მიერ დარღვეულია ბრძანების გასაჩივრების ვადა;

დ. უკანონოა, რადგან პროკურორს არა აქვს უფლება გაასაჩივროს საქალაქო სასამართლოს ბრძანება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მსჯავრდებული პირის სტაციონარში მოთავსების თაობაზე.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 21¹⁸. ფსიქოლოგიური ძალადობა

საქმე №38/647 (330311120003550343) თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹⁸ მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მიმართვის დასაბუთებულობის შემოწმებისა და „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების შეფასების შემდეგ, მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პაციენტის სტაციონარში მოთავსების შესახებ არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამოწურვამდე, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა.

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულაში მითითებულია, რომ საქართველო, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, აღიარებს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობა არის ადამიანის ჯანმრთელობის ფუნდამენტური ნაწილი და საზოგადოების კეთილდღეობის აუცილებელი პირობა, ხოლო ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებების დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა, და ამ კანონით განსაზღვრავს ფსიქიატრიული დახმარების სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს. კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია უზრუნველყოს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის ფსიქიატრიული დახმარების ხელმისაწვდომობა და უწყვეტობა, აღნიშნულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და ღირსების დაცვა და განსაზღვროს ფსიქიატრიის დარგის მუშაკთა უფლებები და მოვალეობანი.

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი ადგენს, თუ რა შემთხვევაში და რა საფუძვლების არსებობისას უნდა მოხდეს პაციენტის იძულებითი მოთავსება სტაციონარში ფსიქიატრიული დახმარების მიზნით. აღნიშნულის აუცილებლობა დგება მაშინ, თუ პირს ფსიქიკური აშლილობის გამო არ გააჩნია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და მისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევა შეუძლებელია სტაციონარში მოთავსების გარეშე, აგრეთვე ა) თუკი დახმარების დაყოვნება საფრთხეს შეუქმნის პაციენტის ან სხვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას; ბ) თუ პაციენტმა საკუთარი მოქმედებით შეიძლება მიიღოს ან სხვას მიაყენოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი. ამავე კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: ფსიქიკური აშლილობა არის პირის ძირითადი ფსიქიკური ფუნქციების დარღვევა ან ქცევის აშლის გამოხატველ სიმპტომთა ჯგუფი, რომელიც იწვევს პიროვნულ დისფუნქციას, არღვევს გარემოსთან ადაპტაციის პროცესს; ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი დგინდება საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტების მიხედვით; „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი არის პირის შესაძლებლობა, შეაფასოს საკუთარი ფსიქიკური ჯანმრთელობა, სამედიცინო ჩარევის მიზანი და მკურნალობის მოსალოდნელი შედეგი; შესაბამისად, ტერმინ „გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს“ კანონი, მიზნებიდან გამომდინარე, უკავშირებს პირს უნარს, შეაფასოს საკუთარი ფსიქიკური ჯანმრთელობა, სამედიცინო ჩარევის მიზანი და მკურნალობის მოსალოდნელი შედეგი. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლში მოხსენიებული ტერმინის „გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის“ განმარტება უნდა მოხდეს კანონის მიზნებიდან გამომდინარე და მის შესაბამისად. პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ არსებული შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ №-- ამბულატორიული ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის თანახმად, ირკვევა, რომ პაციენტი ს----ლ ე-----ი გარეგნულად მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია, ჰიპომიმიკურია, დაძაბულია, მოუსვენარი, კონტაქტში ერთვის

დაძაბულად, იმპულსურად, მოცულია საკუთარი ავადმყოფური განცდებით, საუბრობს მოჭარბებულად, მისთვის საინტერესო თემებზე, არ უსმენს შეკითხვებს, საჭიროებს დამატებით ჩაკითხვას, პასუხობს დაყოვნებით, ხშირად არაარსებითად, მეტყველების ტემპი რამდენადმე აჩქარებული, საუბრობს მონოტონურად, მოკლებულია თხრობის ელფერს, შეინიშნება მომატებული შფოთვა, ორიენტაცია ადგილში, დროში, გარემოსა და საკუთარ ვინაობაში ფორმალური. ავლენს უნდობლობას ექიმების მიმართ. ეჩხუბება ერთ ექიმს, უყვირის მას, აბრალებს სიფილისის დიაგნოზს. აქტიური ყურადღების მობილიზაციას ვერ ახერხებს. მეხსიერების მხრივ რეპროდუქცია გამწვანებული. მოვლენების გახსენება, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით თხრობა უჭირს. შეინიშნება გვერდითი ასოციაციების სიჭარბე. მსჯელობა ფორმალური, მოკლებული დასაბუთებას, ლოგიკურობას. აზროვნება პარალოგიური, სტერეოტიპული, ქცევები იმპულსური, გაუწონასწორებელი, გუნება-განწყობა დაქვეითებული, გამოთქვამს დამოკიდებულების ბოდვით იდეებს. სმენითი ჰალუციაციების არსებობას უარყოფს, თუმცა ობიექტური დაკვირვებით შეინიშნება საორიენტაციო სმენითი რეფლექსის დაძაბვა. აწეული გამდიზიანებლობა, ემოციური ლაბილობა, იმპულსურობა, ქცევები გაუწონასწორებელი. კრიტიკა საკუთარი ავადმყოფური მდგომარეობის და ქცევების მიმართ ფორმალური, დაქვეითებული.

VII⁵ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება
საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის
ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით

56. გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოიყენება:

- ა. მაგისტრატი მოსამართლის ან რაიონული/საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ბრძანება;
- ბ. რაიონული/საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ბრძანება;
- გ. მაგისტრატი მოსამართლის ან რაიონული/საქალაქო სასამართლოს მოსამართლის დადგენილება;
- დ. რაიონული/საქალაქო სასამართლოს მოსამართლის დადგენილება.

57. გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა განიხილება:

- ა. შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის ვადაში;
- ბ. შუამდგომლობის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;
- გ. შუამდგომლობის წარდგენიდან 14 დღის ვადაში;
- დ. შუამდგომლობის წარდგენიდან 30 დღის ვადაში.

58. რომელი მსჯელობაა სწორი?

- ა. გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე მოსამართლის ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარისათვის ბრძანების ეფემპლარის გადაცემიდან 48 საათში, ხოლო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება შეტანიდან 10 დღის ვადაში;
- ბ. გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე მოსამართლის ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარისათვის ბრძანების ეფემპლარის გადაცემიდან 24 საათში, ხოლო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება შეტანიდან 14 დღის ვადაში;
- გ. გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე მოსამართლის ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარისათვის ბრძანების ეფემპლარის გადაცემიდან 48 საათში, ხოლო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება შეტანიდან 14 დღის ვადაში;
- დ. გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე მოსამართლის ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარისათვის ბრძანების ეფემპლარის გადაცემიდან 72 საათში, ხოლო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება შეტანიდან 10 დღის ვადაში.

სასამართლო პრაქტიკა

თავი VI^F ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია

საქმე №3/ბ-191-2019 (100311219002962932) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 23 მაისის სასამართლო სხდომაზე სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა დავის საგნის არარსებობის გამო იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე შპს „მ--“-ის (ს/ნ --) მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. შუამდგომლობას წარმომადგენელმა დაურთო შედარების აქტი 01.01.2019-დან 23.05.2019-მდე, რომლის მიხედვით შპს „მ--“-ს (ს/ნ --) ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ გააჩნია და ერიცხება ზედმეტობა 629,59 ლარის ოდენობით და ქონებაზე ყადაღის გაუქმების შესახებ შემოსავლების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის 2019 წლის --ის №-- ბრძანება, რომლის მიხედვითაც გაუქმებულ იქნა შემოსავლების სამსახურის 2018 წლის --ის №-- ბრძანება „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ“ და შპს „მ--“-ის (ს/ნ --) ქონების მიმართ ყადაღა ჩაითვალა მოხსნილად.

სააპელაციო პალატა საქმის მასალებს შესწავლისა და შუამდგომლობის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და შეწყდეს საქმის წარმოება, შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად განხორციელოს შემდეგი ღონისძიებები: ა) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა; ბ) მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა; გ) ქონებაზე ყადაღის დადება; დ) ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია; ე) სპანკო ანგარიშზე საივკასო დავალების წარდგენა; ვ) გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება; ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების რიგითობის არჩევა, ამავე კოდექსით დადგენილი შემთხვევების გარდა, ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს.

მითითებულ ნორმებზე დაყრდნობით სასამართლო განმარტავს, რომ სწორედ გადაუხდელი გადასახადის ან/და სანქციის სახით დაკისრებული თანხის ამოღების უზრუნველსაყოფად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის პირველი ნაწილი საგადასახადო ორგანოს ანიჭებს უფლებას სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაადოს ყადაღა პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მოცულობის ფარგლებში. სასამართლო აღნიშნავს, რომ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვის პროცესუალური წესი მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII⁵ თავში, რომლის მიხედვითაც შუამდგომლობის განხილვისათვის სავალდებულო პირობას წარმოადგენს დავის საგნის არსებობა. კერძოდ, სახეზე უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო ვალდებულება, ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად პირის კუთვნილი დაყადაღებული ქონება და საგადასახადო ორგანო უნდა ითხოვდეს ამ ქონების რეალიზაციას. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის არც აღიარებული საგადასახადო ვალდებულება და არც დაყადაღებული ქონება, რომელიც აღიარებული საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად უნდა იქნას რეალიზებული, ამასთან შემოსავლების სამსახური ითხოვს საქმის წარმოების შეწყვეტას.

**VII⁶ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება
საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის
მიცემასთან დაკავშირებით**

59. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებულ დავაზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს საერთაშორისო დაცვის მქონე პირს ან თავშესაფრის მამიებელს:

- ა. საქართველოს სახელმწიფო ენაზე, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისთვის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში;
- ბ. მისთვის გასაგებ ენაზე, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისთვის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში;
- გ. საქართველოს სახელმწიფო ენაზე, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში;
- დ. მისთვის გასაგებ ენაზე, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

60. რაიონული (საქალაქო) სასამართლო საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებულ დავას განიხილავს და გამოტანილ გადაწყვეტილებას მხარეებს უგზავნის

- ა. სარჩელის სასამართლოში წარდგენიდან 2 თვის ვადაში, ხოლო თუ განსახილველი საქმე განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვისა;
- ბ. სარჩელის სასამართლოში წარდგენიდან 1 თვის ვადაში, ხოლო თუ განსახილველი საქმე განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 1 თვისა;
- გ. სარჩელის სასამართლოში წარდგენიდან 2 თვის ვადაში;
- დ. სარჩელის სასამართლოში წარდგენიდან 1 თვის ვადაში.

61. რომელი მსჯელობაა სწორი?

- ა. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანება მხარისათვის მისი გადაცემიდან 15 დღის ვადაში და გადაწყვეტილება მიიღება სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 1 თვის ვადაში;
- ბ. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანება მხარისათვის მისი გადაცემიდან 15 დღის ვადაში და გადაწყვეტილება მიიღება სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 2 თვის ვადაში;
- გ. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანება მხარისათვის მისი გადაცემიდან 30 დღის ვადაში და გადაწყვეტილება მიიღება სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 1 თვის ვადაში;

დ. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანება მხარისათვის მისი გადაცემიდან 30 დღის ვადაში და გადაწყვეტილება მიიღება სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 2 თვის ვადაში.

სასამართლო პრაქტიკა

თავი VII⁴

საქმე №3/7144-17 თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაეროს 1951 წლის კონვენციის შესაბამისად, ცნება „ლტოლვილი“ ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელიც საფუძვლიანი შიშის გამო შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.

სასამართლო განმარტავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, მათ შორის, „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციასა და „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1967 წლის ოქმს, და ემსახურება საქართველოს მიერ ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა სამართლის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის სამართლებრივ სტატუსს, უფლება-მოვალეობებს, სამართლებრივ გარანტიებს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის სოციალურ-ეკონომიკურ გარანტიებს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და გაუქმების საფუძვლებსა და პროცედურებს. „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია თავშესაფრის მაძიებლის ცნება, კერძოდ, თავშესაფრის მაძიებელი არის პირი, რომელიც ამ კანონის საფუძველზე ითხოვს სამართლებრივ დაცვას ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების გზით; ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ლტოლვილის სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, იმყოფება საქართველოში, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო, და არ შეუძლია ან არ სურს, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით. ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი რეგლამენტირებულია ამავე საკანონმდებლო აქტის მე-3 მუხლში.

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს და: ა)

რომელიც იძულებული იყო დაეტოვებინა თავისი წარმოშობის ქვეყანა ძალადობის, გარე აგრესიის, ოკუპაციის, შიგა კონფლიქტების, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ან საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვანი დარღვევის გამო; ბ) რომელიც სამართლებრივი საფუძვლებს, კერძოდ, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლიდან (წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) ან ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო აქტებიდან გამომდინარე არგამეგების სხვა ვალდებულებების) გამო არ შეიძლება იძულებით დაბრუნებულ იქნეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში და რომელსაც არ შეუძლია გაემგზავროს სხვა ქვეყანაში; გ) რომლის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში შეიძლება სერიოზული საფრთხე შეექმნას მის სიცოცხლეს ან დაირღვეს მისი უფლებები.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლო განმარტავს, რომ **ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის აუცილებელია დადგინდეს, რომ მაძიებელს აქვს საფუძვლიანი შიში, რომ ის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში გახდება დევნის მსხვერპლი გარკვეული გარემოებების გამო (რასის, რელიგიის, აღმსარებლობის გამო და სხვა), ხოლო ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებისთვის კი უნდა გამოვლინდეს, რომ პირი უკვე გახდა იძულებული დაეტოვებინა ქვეყანა ნორმაში მითითებული გარემოებების გამო.**

სასამართლო აღნიშნავს, რომ თავშესაფრის მინიჭების თაობაზე განცხადების არსებითად განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს სადავო პერიოდში ადგენდა „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი, რომლის მე-2 პუნქტს თანახმად, განცხადების რეგისტრაციიდან 5 თვის განმავლობაში სამინისტრო თავშესაფრის მაძიებელს უტარებს გასაუბრებას. ამავე ნორმის მე-3 პუნქტის მიხედვით, სამინისტროს სტრუქტურული ერთეული ამზადებს დასკვნას თავშესაფრის მიცემის ან თავშესაფრის მიცემაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ემყარება: ა) თავშესაფრის მაძიებლის ანკეტირებას; ბ) თავშესაფრის მაძიებელთან გასაუბრებას; გ) თავშესაფრის მაძიებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და მოყვანილი ფაქტების უტყუარობის, ასევე მისი ქცევის სანდოობის ანალიზს; დ) თავშესაფრის მაძიებლისა და მისი თანმხლები ოჯახის წევრებისაგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმებას; ე) თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას; ვ) თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყნიდან გაქცევის, მესამე ქვეყნის გავლით ტრანზიტის, საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის გარემოებათა ყოველმხრივ შესწავლის შედეგებს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, თავშესაფრის მიცემის ან თავშესაფრის მიცემაზე უარის თქმის შესახებ დასკვნაზე დაყრდნობით სამინისტრო წყვეტს, აკმაყოფილებს თუ არა თავშესაფრის მაძიებელი ამ კანონის მე-2 მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს. თუ თავშესაფრის მაძიებელი არ აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს, სამინისტრო განიხილავს თავშესაფრის მაძიებლის ამ კანონის მე-4 მუხლით დადგენილ კრიტერიუმებთან შესატყვისობის საკითხს. თუ თავშესაფრის მაძიებელი არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 და მე-4 მუხლების მოთხოვნებს, სამინისტრო უარს ამბობს მისთვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე.

„ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის 28 ივლისის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ამ კონვენციის მიზნებისათვის „ლტოლვილი“ ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელიც: (1) მიიჩნევა ლტოლვილად 1926 წლის 12 მაისისა და 1928 წლის 30 ივნისის ან 1933

წლის 28 ოქტომბრისა და 1938 წლის 10 თებერვლის კონვენციებით, 1939 წლის 14 სექტემბრის ოქმით ან ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებით; ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მისი საქმიანობის პერიოდში მიღებული დადგენილებები სტატუსზე არაუფლებამოსილების შესახებ ხელს არ შეუშლის იმას, რომ ლტოლვილების სტატუსი მიენიჭოს იმ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ ნაწილის მე-2 პუნქტით დადგენილ პირობებს; (2) 1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენების შედეგად და საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით, ან არ გააჩნია რა გარკვეული მოქალაქეობა და მსგავს მოვლენათა შედეგად იმყოფება რა თავის ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ 2017 წლის 15 ივნისს, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქემ ბ-----ს ა-----მა (დაბ:21.04.1985წ.) განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, თავშესაფრის მიცემისა და ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თხოვნით. ასევე დადგენილია, რომ აღნიშნულ განცხადების განხილვასთან დაკავშირებით, ბ-----ს ა-----თან ჩატარდა გასაუბრება.

სასამართლო განმარტავს, რომ „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენცია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებულ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს, ამასთან, 1951 წლის კონვენციისეული ზემოთ მოყვანილი ცნება შედგება დამდგენი პირობებისგან, რომლებიც აყალიბებს იმის განსაზღვრის კრიტერიუმებს, არის თუ არა თავშესაფრის მაძიებელი პირი ლტოლვილი, რომელზე დაყრდნობითაც განისაზღვრება ლტოლვილის სტატუსთან აღნიშნული პირის შესაბამისობა. ეს პირობები ადგენს შემდეგ საფუძვლებს: დევნის საფუძვლიანი შიში; დევნა, რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის მიზეზით; მოქალაქეობის /ყოფილი საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყოფნა განსახილველ სარჩელში მითითებული დავის საგნის ფარგლებში, იმისათვის, რომ დადასტურდეს მოსარჩელის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში გასაუბრებისას და სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტების საფუძვლიანობა, სასამართლომ უნდა შეაფასოს მოსარჩელის მიმართ დევნის განხორციელების საფუძვლიანი შიშის არსებობის ნამდვილობის საკითხი.

დევნა, ასევე დევნის საფუძვლიანი შიში უკავშირდება პიროვნების ისეთ პირობებში ყოფნას, როდესაც მის მიმართ სისტემატურად ხორციელდება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებული უფლებების დარღვევა, ხოლო პირი ქვეყნის ხელისუფლებისგან ვერ იცავს თავს, ერთ შემთხვევაში იმის გამო, რომ თავად ხელისუფლებისგან მოდის აღნიშნული ქმედებები, ხოლო მეორე შემთხვევაში ხელისუფლება ვერ ან არ იცავს მას.

პიროვნება, რომელიც უარს განაცხადებს წარმოშობის ან საცხოვრებელი ქვეყნის დაცვაზე, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა ლტოლვილად, თუ სურვილის არქონა უკავშირდება დევნის დასაბუთებულ შიშს. ამდენად, ლტოლვილის ცნებიდან გამომდინარე, ლტოლვილი არის პირი, რომელსაც არ აქვს არჩევანის შესაძლებლობა, დატოვოს თუ არა თავისი საცხოვრებელი ქვეყანა. იგი იძულებულია მოიქცეს ასე დევნის საფუძვლიანი შიშის გამო. დევნა კი უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებათა ისეთ დარღვევას, როგორც არის წამება, შეურაცხყოფა, ძალადობა და სხვა ზიანის მიყენება და წარმოადგენდეს ქვეყნის დატოვების - უკიდურესი ქმედების შედეგს.

მოსარჩელის მითითებით, თავშესაფრის მაძიებელი შიშობს, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში მის სიცოცხლეს დაემუქრება საფრთხე "ფეთოს" ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მისი გარემოცვის მხრიდან, ასევე მისი შიში დაკავშირებულია წარმოშობის ქვეყანაში განმცხადებლის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმესთან, რის გამოც მას ელოდება დაპატიმრება.

საქმეში არსებული, მათ შორის, საექსტრადიციო მსალებით, დადგენილია, რომ თავშესაფრის მაძიებლის - -- --ის მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, „ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების, შენახვის“ და „განზრახ დაჭრის“ დანაშაულის ჩადენის გამო, რასაც სადავოდ არც მოსარჩელე ხდის.

სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პერიოდში მოქმედი „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლტოლვილის სტატუსი არ მიენიჭება პირს, რომელმაც საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩაიდინა არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული საქართველოს მიერ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებამდე.

სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ასევე დღეს მოქმედ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლზეც, რომელიც მიუთითებს ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის სამართლებრივ საფუძვლებზე, ამ მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს არ მიენიჭება ლტოლვილის სტატუსი (გამორიცხება ლტოლვილის სტატუსიდან), თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-15 მუხლის მოთხოვნებს, თუმცა მის მიმართ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მან საქართველოს მიერ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებამდე საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩაიდინა არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

ამასთან, სასამართლო მიუთითებს „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის პირველი მუხლის „F“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, კონვენცია არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლის მიმართაც სერიოზული საფუძველი არსებობს ვარაუდისა, რომ მან ჩაიდინა არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის გარეთ, მანამ, სანამ ქვეყანაში ლტოლვილად იქნეს მიღებული. სასამართლო განმარტავს, რომ ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის დებულების გამოყენებისას აუცილებელია გაიმიჯნოს თავშესაფრის მაძიებლის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და იმ დევნის ხარისხი, რომლისაც მას ეშინია. თუ პირს აქვს ძალიან სასტიკი დევნის საფუძვლიანი. შიში, მაგალითად დევნის, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას, დანაშაული უნდა იყოს ძალიან მძიმე იმისთვის, რომ ასეთ პირზე გავრცელდეს ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის დებულების მოქმედება. თუ

დევნის ხარისხი ნაკლებად მწვავეა, საჭიროა შევსდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, რათა დადგინდეს, თავშესაფრის მაძიებელი სინამდვილეში მართლმსაჯულებას გაურბის თუ არა, ან მისი კრიმინალური ხასიათი რამდენად გადაწონის მისი როგორც bona fide (კეთილსინდისიერი) ლტოლვილის სტატუსს.

სასამართლო მიუთითებს, რომ პირის ლტოლვილის სტატუსს განსაზღვრავს საფუძვლიანი შიში, რაც მდგომარეობს არა მხოლოდ შესაბამისი პირის განწყობაში, არამედ პირის განწყობა გამყარებული უნდა იყოს ობიექტური გარემოებებით. ამდენად, „საფუძვლიანი შიში“ შედგება სუბიექტური და ობიექტური ელემენტებისაგან. თავშესაფრის მაძიებელმა უნდა დაასაბუთოს პირადად მას რატომ აქვს დევნის შიში. 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლის ან თავისუფლებისათვის საფრთხე რასის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულებების ან კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის გამო ყოველთვის წარმოადგენს დევნას. დევნა განსხვავდება საერთო სამართლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად დანიშნული სასჯელისგან. ადამიანები, რომლებიც სამართლებრივ დევნას ან სასჯელს გაურბიან, როგორც წესი არ ითვლებიან ლტოლვილებად. ზოგადი განმარტების თანახმად, ლტოლვილი უსამართლობის მსხვერპლი ან პოტენციური მსხვერპლია და არა პირი, რომელიც მართლმსაჯულებას გაურბის. სასამართლო იზიარებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის, ინდივიდუალური პროფილის, განმცხადებლის გამოცდილებისა და მსგავს მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სიტუაციის გათვალისწინებით, არ იკვეთება იმის შესაძლებლობა, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში განმცხადებელი დადგეს დევნის საფუძვლიანი შიშის რისკის ქვეშ. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სახელმძღვანელო პრონციპების თანახმად, დევნა უნდა განსხვავდებოდეს საერთო სამართლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად მისჯილი სასჯელისაგან.

ადამიანები, რომლებიც სამართლებრივ დევნას ან სასჯელს გაურბიან, როგორც წესი არ ითვლებიან ლტოლვილებად. დადგენილია, რომ ---ს --ის მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე "ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების, შენახვის" და "განზრახ დაჭრის" დანაშაულის ჩადენის გამო. სასამართლო იზიარებს მოპასუხის პოზიციას და განმარტავს, რომ, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, ასევე სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით.

სასამართლო ასევე, იზიარებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ არ იკვეთება რაიმე ისეთი სახის გარემოება, რაც მიუთითებს საფუძვლიანი შიშის არსებობაზე ამ ტერმინის „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციის გაგებით.

კერძოდ, თავშესაფრის მაძიებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან არ იკვეთება მის წინააღმდეგ მიმდინარე დისკრიმინაციული სახის ქმედებები რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების, ან პოლიტიკური შეხედულებების გამო. რაც შეეხება თავშესაფრის მაძიებლის წინააღმდეგ თურქეთის რესპუბლიკაში მიმდინარე სისხლისამართლებრივ დევნას, სამართავლომ ჩათვალა, რომ საკითხის

განხილვა სცილდება მის კომპეტენციას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამინისტრომ მიიჩნია, რომ თავშესაფრის მამიებლის მიმართ არ იკვეთება საფუძვლიანი შიშის არსებობა ამ ტერმინის „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციის გაგებით და „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, თავშესაფრის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით მიგრაციის, რეპატრაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია ბ--ს ა--ისთვის, როგორც ლტოლვილის, ისე ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება.

ამდენად, სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელე ბ--ს ა--ის მიმართ ადგილი აქვს სისხლისსამართლებრივ დევნას და განმცხადებელს არ გააჩნია ისეთი სახის ინდივიდუალური გარემოება, რომ ექსტრადირებისა და საპატიმრო პირობებში მოთავსების შემთხვევაში დადგეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკის ქვეშ.

**VII⁷ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება
პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული
პირისათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის
ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით**

62. რომელი მსჯელობაა სწორი?

- ა. უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი პირველი რიგის მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს არაუგვიანეს 2012 წლის 1 იანვრისა წარუდგენს სასამართლოს;
- ბ. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი წარედგინება თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოებს;
- გ. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი წარედგინება რეპრესირებული პირის/მისი პირველი რიგის მემკვიდრის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესაბამის სასამართლოს;
- დ. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის რამდენიმე პირველი რიგის მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში ფულადი კომპენსაცია არ გაცემა.

63. რა ოდენობის სახელმწიფო ბაჟია გათვალისწინებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებული სარჩელით მიმართვისთვის?

- ა. მოთხოვნილი კომპენსაციის 3%;
- ბ. 100 ლარი;
- გ. 50 ლარი;
- დ. ფულადი კომპენსაციის შესახებ სარჩელი განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისგან.

64. რა ოდენობის ფულადი კომპენსაცია შეიძლება იყოს მოთხოვნილი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისა ან მისი პირველი რიგის მემკვიდრის მიერ
- ა. 1000 ლარი;
 - ბ. 2000 ლარი;
 - გ. არანაკლებ 1000 და არაუმეტეს 2000 ლარისა;
 - დ. რეპრესიების შედეგად მიყენებული ზიანის შესაბამისად.

სასამართლო პრაქტიკა

თავი VI ფულადი კომპენსაციის გაცემა

საქმე №3/2813-18 თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლო მიუთითებს, რომ განჩინებაში კლავს და იური კილამები საქართველოს წინააღმდეგ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საკანონმდებლო ვაკუუმის პრობლემა და მიუთითა საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და საბიუჯეტო ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე, რათა 1997 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-9 მუხლში გათვალისწინებულ პირებს მიეცეთ აღნიშნული დებულებით გარანტირებული უფლებით ეფექტური სარგებლობის შესაძლებლობა (განჩინების 85-ე პარაგრაფი); სასამართლო აღნიშნავს, რომ ევროპული სასამართლოს განჩინება არ უთითებს ასანაზღაურებელი კომპენსაციის კონკრეტულ ოდენობაზე, არამედ უთითებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე განჩინებით განსაზღვრულ ღონისძიებათა ფარგლებში და საკუთარი დისკრეციის შესაბამისად, უზრუნველყოს საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოფხვრა.

ევროსასამართლოს ზემოთ აღნიშნული განჩინების აღსრულების მიზნით საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ შემუშავებული იქნა საკანონმდებლო რეგულაციები და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონსა და ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში. ამასთან, 2014 წლის 31 ოქტომბრის განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით (ცვლილება ამოქმედდა 2015 წლის 1 იანვრიდან) „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: 1. პირს, რომელმაც რეპრესია განიცადა თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილას გამწესების, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსების სახით ან გარდაიცვალა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად და აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, შეიძლება მიეცეს ფულადი კომპენსაცია. ამ პირის გარდაცვალების შემთხვევაში ფულადი კომპენსაცია შეიძლება მიეცეს მის პირველი რიგის მემკვიდრეს. 2. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი პირველი რიგის მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი წარუდგენს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. 3. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი განიხილება ამ კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21⁶ მუხლში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ამ მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი პირველი რიგის მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს არაუგვიანეს 2018 წლის

1 იანვრისა წარუდგენს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს რეპრესირებული პირის/მისი პირველი რიგის მემკვიდრის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამ თავის მიზნებისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია – დასავლეთ საქართველოს. ამავე კოდექსის 21²⁹ მუხლის თანახმად: ამ თავით გათვალისწინებული სამართალწარმოებისას მოპასუხეა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; ფულადი კომპენსაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული იძულების სხვადასხვა ფორმის სიმძიმის, აგრეთვე რეპრესირებული პირის ან მისი პირველი რიგის მემკვიდრის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით; ფულადი კომპენსაციის ოდენობაა არანაკლებ 1000 და არაუმეტეს 2000 ლარისა.

-- სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს 1949 წლის 15 მაისის დადგენილები, სსკ 58-10 და 58-11 მუხლების საფუძველზე გადასახლებული იყო კრასნოიარსკის მხარეში, საიდანაც გათავისუფლდა 1958 წლის 24 ივლისს. რუსთავის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით -- აღიარებული იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

რაც შეეხება ფულადი კომპენსაციის ოდენობას, სასამართლო აღნიშნავს შემდეგს:

კლავს და იური კილაძეების საქმეზე ევროსასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაში საუბარია სახელმწიფოს ვალდებულებაზე უზრუნველყოს არსებული საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოფხვრა; კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით შემოღებული რეგულაციების პირობებში სადღეისოდ დადგენილია კომპენსაციის ზღვრული ოდენობა, რომელთა კონკრეტული მოსარჩელისათვის მიკუთვნებისას სასამართლო ეყრდნობა

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესს, კერძოდ: ფულადი კომპენსაციის ოდენობას, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული იძულების სხვადასხვა ფორმის სიმძიმის, აგრეთვე რეპრესირებული პირის ან მისი პირველი რიგის მემკვიდრის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, ადგენს სასამართლო. ფულადი კომპენსაციის ოდენობაა არანაკლებ 1000 და არაუმეტეს 2000 ლარისა. ამდენად, კანონმდებლობით დადგენილი კომპენსაციის ფარგლებში გასაცემი თანხის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ხსენებულ ნორმაში დადგენილ კრიტერიუმებს.

სასამართლო ასევე მოიხმობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2014 წლის 31 ოქტომბრის №2763-1ს კანონის პირველ მუხლს, რომლის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლს/მისი პირველი რიგის მემკვიდრეს, რომლის მიმართაც თბილისის საქალაქო სასამართლომ ამ კანონის ამოქმედებამდე მიიღო გადაწყვეტილება და რომლისთვის მიკუთვნებული ფულადი კომპენსაციის ოდენობაც ამ კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვარზე ნაკლებია, უფლება აქვს, ხელახლა მიმართოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით და მოითხოვოს ფულადი კომპენსაციის ამ კანონით

დადგენილი ოდენობის ფარგლებში მიკუთვნება. ამ შემთხვევაში საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე.

სასამართლო ასევე მიუთითებს, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ 1997 წლის კანონის პრეამბულაზე, რომლის მიხედვითაც ქართული სახელმწიფო აღიარებს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მიერ განცდილ მორალურ და ფიზიკურ ზიანს, რომელიც არ შეერაცხება ქართულ სახელმწიფოს, ასევე მათ მიერ შეტანილ წვლილს თავისუფალი საქართველოს შექმნის საქმეში.

**VII⁹ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება
არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან
დაკავშირებულ საქმეებზე**

65. არასრულწლოვნთა რევერირების ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფის შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება, შუამდგომლობის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან:

- ა. 7 კალენდარული დღის ვადაში;
- ბ. 5 კალენდარული დღის ვადაში;
- გ. 3 კალენდარული დღის ვადაში;
- დ. 10 კალენდარული დღის ვადაში.

66. არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლო საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შუამდგომლობის წარდგენიდან:

- ა. 15 კალენდარული დღის ვადაში;
- ბ. 10 კალენდარული დღის ვადაში;
- გ. ერთი თვის ვადაში;
- დ. სამი თვის ვადაში.

67. თბილისის საქალაქო სასამართლომ არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებული საქმე განიხილა ღია სასამართლო სხდომაზე, მიუხედავად იმისა, რომ მხარე ითხოვდა არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით, საქმის დახურულ სხდომაზე განხილვას.

ჰქონდა თუ არა სასამართლოს ამის უფლებამოსილება?

- ა. მოსამართლეს საქმე უნდა განეხილა დახურულ სასამართლო სხდომაზე;
- ბ. მოსამართლეს საქმე უნდა განეხილა ღია სასამართლო სხდომაზე;
- გ. მოსამართლეს თავად უნდა მიეღო გადაწყვეტილება;
- დ. არცერთი პასუხი არაა სწორი.

**VII¹⁰ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება უცხოელის
საქართველოდან გამეგებასთან დაკავშირებით**

68. რომელი მსჯელობაა სწორი?

- ა. მაგისტრატის მოსამართლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს დადგენილებას უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე;
- ბ. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს დადგენილებას უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე;
- გ. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე;
- დ. მაგისტრატის მოსამართლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე.

69. რომელი მსჯელობაა სწორი?

- ა. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს და გამოსცეს ბრძანება უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე ან მიიღოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
- ბ. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობის მიღებიდან 60 დღის განმავლობაში ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს და გამოსცეს ბრძანება უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე ან მიიღოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
- გ. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში ზეპირი მოსმენით განიხილოს და გამოსცეს ბრძანება უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე ან მიიღოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
- დ. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობის მიღებიდან 60 დღის განმავლობაში ზეპირი მოსმენით განიხილოს და გამოსცეს ბრძანება უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე ან მიიღოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

70. მოსამართლე უფლებამოსილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცეს ბრძანება

- ა. უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ;
- ბ. უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადის გაგრძელების შესახებ;
- გ. დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომის შეფარდების შესახებ;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

71. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში მხარისათვის მისი გადაცემიდან:

- ა. 2 დღის განმავლობაში და განიხილება მისი შეტანიდან 14 დღის განმავლობაში;
- ბ. 5 დღის განმავლობაში და განიხილება მისი შეტანიდან 14 დღის განმავლობაში;

გ. 2 დღის განმავლობაში და განიხილება მისი შეტანიდან 30 დღის განმავლობაში;
დ. 5 დღის განმავლობაში და განიხილება მისი შეტანიდან 30 დღის განმავლობაში.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 21³⁹ უცხოელის საქართველოდან გაძევება
თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის გადაწყვეტილება

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21³⁹ მუხლის თანახმად, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე.

„არსაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული აღსასრულებელი სამართლებრივი აქტის გაუქმების, მსჯავრდებულის გარდაცვალების ან „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მსჯავრდებულის საქართველოდან გაძევების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში სააღსრულებო წარმოება წყდება.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის თანახმად, უცხოელის საქართველოდან გაძევების სამართლებრივი საფუძველია ეს კანონი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტები.

ამავე კანონის 51-ე მუხლის მიხედვით, უცხოელი შეიძლება გაძევებულ იქნეს საქართველოდან, თუ: ა) იგი კანონიერი საფუძვლის გარეშე შემოვიდა საქართველოში; ბ) აღარ არსებობს საქართველოში მისი შემდგომი ყოფნის კანონიერი საფუძველი; გ) საქართველოში მისი ყოფნა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს; დ) მისი საქართველოდან გაძევება აუცილებელია საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფი სხვა პირების ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით; ე) იგი სისტემატურად არღვევს საქართველოს კანონმდებლობას; ვ) მან საქართველოში შემოსვლის ან ყოფნის კანონიერი საფუძველი ყალბი ან იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტის წარდგენით მოიპოვა; ზ) მას განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს 1 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა – სასჯელის მოხდის შემდეგ; თ) მას შეფარდებული აქვს არსაპატიმრო სასჯელი – სასჯელის მოხდამდე, ან დანიშნული აქვს პირობითი მსჯავრი – გამოსაცდელი ვადის გასვლამდე.

მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის განაჩენით (საქმე №010100-----) თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ----- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“

ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით. აღნიშნული განაჩენი გასაჩივრდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის განაჩენით (საქმე №1/ზ-108-2015) განაჩენი დარჩა უცვლელი. აღნიშნული განაჩენი კვლავ გასაჩივრდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით (საქმე №1/აგ 70-2015) 2014 წლის 24 დეკემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება ----- მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება დაკვალიფიცირებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (31 ივლისიდან რედაქცია). დანარჩენ ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელი. განაჩენი გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში და 2015 წლის 16 დეკემბრის განაჩენით (საქმე №335აპ-15) მსჯავრდებულ ----- სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამდენად, არსებობს ----- საქართველოდან გაძევების საფუძველი.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის თანახმად, საქართველოში მყოფ უცხოელს საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილებით ეძლევა უცხოელის საქართველოდან გაძევების საკითხის განხილვის უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ განსაზღვრული გონივრული ვადა – 10-დან 30 კალენდარულ დღემდე, რომლის განმავლობაშიც მან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გაღების გარეშე უნდა დატოვოს საქართველო. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების შემთხვევაში უცხოელს დაეკისრება ადმინისტრაციული ჯარიმა. ამ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“-„თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რომელიმე საფუძველით უცხოელის საქართველოდან გაძევებისას იგი საქართველოს ნებაყოფლობით დატოვების დასადასტურებლად სასამართლოს წარუდგენს შესაბამის მტკიცებულებებს.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე თანახმად, უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილებას აღასრულებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით. სახელმწიფო დაწესებულებები ვალდებული არიან, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყონ უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულებას.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის თანახმად, უცხოელი შეიძლება გაძევებულ იქნეს: ა) მისი მოქალაქეობის ქვეყანაში ან იმ სახელმწიფოში, რომელშიც მას აქვს კანონიერი ცხოვრების უფლება; ბ) იმ სახელმწიფოში, საიდანაც იგი შემოვიდა საქართველოში; გ) ნებისმიერ სახელმწიფოში, რომელთანაც საქართველოს დადებული აქვს რეადმისიის ან სხვა შესაბამისი ორმხრივი ხელშეკრულება; დ) ნებისმიერ სახელმწიფოში, რომელიც თანხმობას აცხადებს მის მიღებაზე.

VII¹¹ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება
საგადასახადო ორგანოს მიერ კომერციული ბანკისგან პირის

შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე

72. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე პირის ადგილსამყოფლის მიხედვით;
- ბ. კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე პირის სურვილის მიხედვით;
- გ. კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მითითებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე პირის ადგილსამყოფლის მიხედვით;
- დ. კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას ფინანსური პოლიციის შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

73. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმებისას (ამ შემოწმების ფარგლებში) კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, თუ:

- ა. საგადასახადო ორგანომ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთხელ მაინც მიმართა ინფორმაციის წარდგენის თაობაზე;
- ბ. ფინანსურმა პოლიციამ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთხელ მაინც მიმართა ინფორმაციის წარდგენის თაობაზე, მაგრამ მან აღნიშნული ინფორმაცია დადგენილ ვადაში არ წარუდგინა;
- გ. საგადასახადო ორგანომ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთხელ მაინც მიმართა ინფორმაციის წარდგენის თაობაზე, მაგრამ მან აღნიშნული ინფორმაცია დადგენილ ვადაში არ წარუდგინა;
- დ. საგადასახადო ორგანომ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ორჯერ მაინც მიმართა ინფორმაციის წარდგენის თაობაზე, მაგრამ მან აღნიშნული ინფორმაცია დადგენილ ვადაში არ წარუდგინა.

74. შუამდგომლობაში, გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმებისას (ამ შემოწმების ფარგლებში), კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, უნდა მიეთითოს:

- ა. იმ პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის შესახებ ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო;
- ბ. კომერციული ბანკის დასახელება, საიდანაც უნდა იქნეს მიღებული ინფორმაცია;
- გ. საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის აღწერა;

დ. ყველა პასუხი სწორია.

75. მოსამართლე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ამ შუამდგომლობის წარდგენიდან:

- ა. 14 დღის ვადაში;
- ბ. 15 დღის ვადაში;
- გ. 16 დღის ვადაში;
- დ. 17 დღის ვადაში.

76. მოსამართლე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს:

- ა. კოლეგიურად;
- ბ. ზეპირი მოსმენით;
- გ. დაუსწრებლად;
- დ. ერთპიროვნულად.

77. სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა ან მათი მოწვევის შეუძლებლობა:

- ა. იწვევს საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას;
- ბ. არ იწვევს საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას;
- გ. არ იწვევს ფინანსური პოლიციის შუამდგომლობის განხილვის გადადებას;
- დ. არ იწვევს საგადასახადო ორგანოს წარდგინების განხილვის გადადებას.

78. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს:

- ა. დაუსაბუთებელ ბრძანებას;
- ბ. დასაბუთებულ ბრძანებას;
- გ. დასაბუთებულ მოთხოვნას;
- დ. დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

79. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას, და მასში აღინიშნება:

- ა. ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ. ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;
- გ. საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

80. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას, და მასში აღინიშნება:

- ა. საგადასახადო ორგანო, რომელსაც უნდა გადაეცეს მოთხოვნილი ინფორმაცია;
- ბ. კომერციული ბანკი, რომელმაც საგადასახადო ორგანოს უნდა მიაწოდოს პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია;
- გ. ინფორმაციის მიწოდების ფორმა და ვადა;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

81. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას, შუამდგომლობის არდაკმაყოფილების შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:

- ა. ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ. ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;
- გ. საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

82. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. მოსამართლის ბრძანება დგება 4 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე – პირს, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზედაც გამოიცა ბრძანება, მესამე – კომერციულ ბანკს, ხოლო მეოთხე რჩება სასამართლოში;
- ბ. მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე – პირს, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზედაც გამოიცა ბრძანება;
- გ. მოსამართლის ბრძანება დგება 2 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე – პირს, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზედაც გამოიცა ბრძანება;
- დ. მოსამართლის ბრძანება დგება 4 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე – პირს, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზედაც გამოიცა ბრძანება, მესამე – კომერციულ ბანკს, ხოლო ქვეყნდება სასამართლოში.

83. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან:

- ა. 72 საათში;
- ბ. 58 საათში;
- გ. 48 საათში;
- დ. 24 საათში.

84. საჩივარი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება შეტანიდან:

- ა. 10 დღის ვადაში;
- ბ. 14 დღის ვადაში;
- გ. 15 დღის ვადაში;
- დ. 7 დღის ვადაში.

85. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება:

- ა. საბოლოოა და მაგრამ საჩივრდება;
- ბ. საჩივრდება;
- გ. საბოლოოა და არ საჩივრდება;
- დ. საჩივრდება უზენაეს სასამართლოში.

სასამართლო პრაქტიკა

კომერციული ბანკისაგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება
საქმე №3/41-19 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21⁴⁵ მუხლის თანახმად, კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21⁴⁶ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმებისას (ამ შემოწმების ფარგლებში) კომერციული ბანკისაგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, თუ საგადასახადო ორგანომ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთხელ მაინც მიმართა ინფორმაციის წარდგენის თაობაზე, მაგრამ მან აღნიშნული ინფორმაცია დადგენილ ვადაში არ წარუდგინა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. მასში უნდა მიეთითოს: ა) იმ პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის შესახებ ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო; ბ) კომერციული ბანკის დასახელება, საიდანაც უნდა იქნეს მიღებული ინფორმაცია; გ) საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის აღწერა; დ) საგადასახადო ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღების ფორმა და ვადა.

ამავე კოდექსის 21⁴⁶ მუხლის მე-2 ნაწილების თანახმად მოსამართლე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ამ შუამდგომლობის წარდგენიდან 14 დღის ვადაში. მოსამართლე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად.

სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობენ საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი და ის პირი/მისი წარმომადგენელი, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანების გამოცემასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეთა მოწვევა ვერ ხერხდება), ხოლო 21⁴⁷ მუხლის მე-4 ნაწილით საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ.

**VII^{1 2} თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება
საგადასახადო ორგანოს მიერ საქართველოს საერთაშორისო
ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის
კომერციული ბანკისაგან პირის შესახებ კონფიდენციალური
ინფორმაციის მოპოვების თაობაზე**

86. რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე კომერციული ბანკის ადგილსამყოფლის მიხედვით;

ბ. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე კომერციული ბანკის ადგილსამყოფლის მიხედვით;

გ. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე კომერციული ბანკის ფილიალის მიხედვით;

დ. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე გადაწყვეტილებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე კომერციული ბანკის ადგილსამყოფლის მიხედვით.

87. საგადასახადო ორგანო სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, სადაც უნდა მიეთითოს:

- ა. იმ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის შესახებ ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო;
- ბ. კომერციული ბანკის დასახელება, საიდანაც უნდა იქნეს მიღებული ინფორმაცია;
- გ. საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის აღწერა;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

88. მოსამართლე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ამ შუამდგომლობის წარდგენიდან:

- ა. 10 დღის ვადაში;
- ბ. 15 დღის ვადაში;
- გ. 14 დღის ვადაში;
- დ. 18 დღის ვადაში.

89. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური

ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მოსამართლის ბრძანებაში, დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა აღინიშნოს:

- ა. ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ. ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;
- გ. საქართველოს საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

90. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მოსამართლის ბრძანებაში, დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა აღინიშნოს:

- ა. კომერციული ბანკი, რომელმაც საგადასახადო ორგანოს უნდა მიაწოდოს პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია;
- ბ. ინფორმაციის მიწოდების ფორმა და ვადა;
- გ. განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

91. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მოსამართლის ბრძანებაში, არდაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა აღინიშნოს:

- ა. ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ. ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;
- გ. საქართველოს საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

92. რომელი მსჯელობა სწორი:

- ა. მოსამართლის ბრძანება დგება 2 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე – კომერციულ ბანკს;
- ბ. მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე – კომერციულ ბანკს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში;
- გ. მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე – ეროვნულ ბანკს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში;
- დ. მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე – კომერციულ ბანკს, ხოლო მესამე ქვეყნდება სასამართლოში.

93. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანოს ბრძანების გამომცემ სასამართლოში მისთვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან:

- ა. 48 საათში;
- ბ. 24 საათში;
- გ. 36 საათში;
- დ. 42 საათში.

94. საჩივარი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება შეტანიდან:

- ა. 14 დღის ვადაში;
- ბ. 12 დღის ვადაში;
- გ. 13 დღის ვადაში;
- დ. 10 დღის ვადაში.

**VII¹³ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება
„ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს
კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული
პირის არანებაყოფლობით იზოლაციასთან დაკავშირებით**

95. რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის მიმართვის საფუძველზე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ბრძანებას გამოსცემს მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მაგისტრატი მოსამართლე არ მოქმედებს, – რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის ადგილსამყოფლის მიხედვით;

ბ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის მიმართვის საფუძველზე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ბრძანებას გამოსცემს მოსამართლე;

გ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის მიმართვის საფუძველზე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებას გამოსცემს მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მაგისტრატი მოსამართლე არ მოქმედებს, – რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის ადგილსამყოფლის მიხედვით;

დ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის მიმართვის საფუძველზე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ბრძანებას გამოსცემს მაგისტრატი მოსამართლე.

96. რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ბრძანების გამოცემის

- ა. დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილავს;
- ბ. ღია სასამართლო სხდომაზე განიხილავს;
- გ. საჯარო სასამართლო სხდომაზე განიხილავს;
- დ. ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილავს.

100. მოსამართლე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმეს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილავს. სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა მონაწილეობაც აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალწარმოების უზრუნველსაყოფად. საქმის განხილვაში პაციენტის მონაწილეობა აუცილებელია, თუ ეს საფრთხეს არ შეუქმნის სხვა პირების ჯანმრთელობას. საქმის განხილვაში, პაციენტის გარდა, უნდა მონაწილეობდნენ:

- ა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის წარმომადგენლები;
- ბ. პაციენტის ადვოკატი;
- გ. არსებობის შემთხვევაში – პაციენტის სხვა კანონიერი წარმომადგენელი;
- დ. ყველა პასუხის სწორია.

101. პაციენტი, მისი ადვოკატი ან/და სხვა კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია:

- ა. მოითხოვოს სხვა პირთა დაკითხვაც, რომელთა ჩვენებას საქმესთან დაკავშირებით შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს;
- ბ. მისცეს განმარტებები სასამართლოს და ჩამოაყალიბოს საპირისპირო მოსაზრებები;
- გ. მოითხოვოს სხვა პირთა დაკითხვაც, რომელთა ჩვენებას საქმესთან დაკავშირებით შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. პაციენტი, მისი ადვოკატი ან/და სხვა კანონიერი წარმომადგენელი ასევე უფლებამოსილია მისცეს განმარტებები სასამართლოს და ჩამოაყალიბოს საპირისპირო მოსაზრებები;
- დ. ყველა პასუხის სწორია.

102. სასამართლო სხდომაზე დგება ოქმი. მიმართვის დასაბუთებულობის შემოწმებისა და „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების შეფასების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძვლის ამოწურვამდე, მაგრამ:

- ა. არაუმეტეს 6 თვისა მოთავსების შესახებ;
- ბ. არაუმეტეს 7 თვისა მოთავსების შესახებ;
- გ. არაუმეტეს 8 თვისა მოთავსების შესახებ;
- დ. არაუმეტეს 9 თვისა მოთავსების შესახებ.

103. თუ არ არსებობს პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის კანონით დადგენილი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს:

- ა. ბრძანება;
- ბ. გადაწყვეტილება;
- გ. დადგენილება;
- დ. მიმართვა.

104. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანებაში მიეთითება:

- ა. ბრძანების გამოცემის თარიღი და ადგილი;
- ბ. მოსამართლის გვარი;
- გ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ის ადგილობრივი ერთეული, რომელმაც სასამართლოს მიმართვა წარუდგინა;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

105. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანებაში მიეთითება:

- ა. ბრძანების მოქმედების ვადა, რომელიც 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. მოსამართლის ბრძანებაში, როგორც წესი, მიეთითება, რომ იგი პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძვლის ამოწურვამდე მოქმედებს, რასაც ადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეული სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის/„ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული სამედიცინო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე;
- ბ. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება, რომელმაც უნდა შეასრულოს მოსამართლის ბრძანება;
- გ. მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

106. პაციენტის არანებაყოფლობით იზოლაციაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის დადგენილებაში მიეთითება:

- ა. დადგენილების გამოტანის თარიღი და ადგილი;
- ბ. მოსამართლის გვარი;
- გ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ის ადგილობრივი ერთეული, რომელმაც სასამართლოს მიმართვა წარუდგინა;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

107. პაციენტის არანებაყოფლობით იზოლაციაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის დადგენილებაში მიეთითება:

- ა. სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეები;
- ბ. პაციენტის ვინაობა;
- გ. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება, რომელმაც უნდა შეასრულოს მოსამართლის დადგენილება;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

108. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანება მოქმედებს პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძვლის ამოწურვამდე, მაგრამ ბრძანების მოქმედების ვადა:

- ა. 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს;
- ბ. 8 თვეს არ უნდა აღემატებოდეს;
- გ. 9 თვეს არ უნდა აღემატებოდეს;
- დ. 10 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

109. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივი ერთეულის მიმართვას სასამართლო განიხილავს მისი წარდგენიდან:

- ა. 72 საათში;
- ბ. 24 საათში;
- გ. 12 საათში;
- დ. 2 დღეში.

110. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებიდან პაციენტის გაწერის თაობაზე გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობება:

- ა. მაგისტრატ მოსამართლეს ან/და შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს;
- ბ. მაგისტრატ მოსამართლეს;
- გ. შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს;
- დ. მაგისტრატ მოსამართლეს და შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

111. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანება/დადგენილება შეიძლება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს:

- ა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისმა ადგილობრივმა ერთეულმა;
- ბ. პაციენტმა;
- გ. ადვოკატმა, მშობელმა ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

112. მოსამართლის ბრძანების/დადგენილების გაუქმების შესახებ საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების/დადგენილების გამომცემ/გამომტან სასამართლოში მხარისთვის ბრძანების/დადგენილების ძალის გადაცემიდან:

- ა. 48 საათში;
- ბ. 24 საათში;
- გ. 36 საათში;
- დ. 42 საათში.

113. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ მოსამართლის ბრძანებას აუქმებს დადგენილებით, ხოლო გასაჩივრებულ მოსამართლის დადგენილებას – ბრძანებით;
- ბ. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ მოსამართლის ბრძანებას აუქმებს ბრძანებით, ხოლო გასაჩივრებულ მოსამართლის დადგენილებას – დადგენილებით;
- გ. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ მოსამართლის გადაწყვეტილებას აუქმებს ბრძანებით, ხოლო გასაჩივრებულ მოსამართლის დადგენილებას – დადგენილებით;
- დ. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ მოსამართლის ბრძანებას აუქმებს ბრძანებით, ხოლო გასაჩივრებულ მოსამართლის დადგენილებას – გადაწყვეტილებით.

**VII¹⁴ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის
უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო ორგანოს**

გადაწყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით

114. პირს, რომლის მიმართაც არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა უფლება აქვს:

- ა. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი წარუდგინოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში;
- ბ. ქონებრივი ან/და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნით ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელით მიმართოს სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს;
- გ. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი წარუდგინოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებიდან 12 თვის ვადაში;
- დ. ქონებრივი ან/და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნით ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელით მიმართოს სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში.

115. რომელი მსჯელობაა სწორი?

- ა. პირს, რომლის მიმართაც არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის გადაწყვეტილება კომპენსაციის მიღების მიზნით პირველ რიგში მიმართავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს;
- ბ. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო არ მიიჩნევს დადგენილად პირის მიმართ კონვენციის დარღვევის ფაქტს და იკვლევს საქმის გარემოებებს;
- გ. ფულადი კომპენსაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას რაიონული (საქალაქო) სასამართლო იღებს პირის მიმართ კონვენციით განსაზღვრული ადამიანის უფლებების დარღვევის სიმძიმისა და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით;
- დ. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარდგენისთვის აუცილებელია 50 ლარიანი ბაჟის გადახდა.

VII¹⁵ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისათვის სამუშაო პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით

116. შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისათვის სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების, ნაწილობრივ დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება?

- ა. შუამდგომლობის ფორმით;
- ბ. განჩინების ფორმით;

- გ. ბრძანების ფორმით;
- დ. არცერთი პასუხი არაა სწორი.

117. შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების შესახებ შუამდგომლობა სასამართლოში წარდგენილ იქნა 2021 წლის 5 სექტემბერს 15:00 საათზე. სასამართლომ 6 სექტემბრის 18:00 საათზე მხარეები მოიწვია შუამდგომლობის ზეპირ განხილვაზე. საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენელი, რის საფუძველზეც მოსამართლემ საქმის განხილვა კიდევ 2 დღით გადადო.

კანონიერია თუ არა მოსამართლის ქმედება?

ა. კანონიერია, რადგან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის დებულებები. შესაბამისად, მხარის გამოუცხადებლობის გამო მოსამართლეს მხოლოდ საქმის გადადების უფლებამოსილება ჰქონდა;

ბ. უკანონოა, რადგან მოსამართლემ სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების შესახებ შუამდგომლობა უნდა განიხილოს შუამდგომლობის წარდგენიდან 48 საათში;

გ. კანონიერია, რადგან, მოსამართლე ვალდებულია დაიცვას მხარეთა თანასწორობა და შეეჯიბრებითი პროცესის პრინციპები, რათა უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით მხარეთა სარგებლობის შესაძლებლობა;

დ. უკანონოა, რადგან შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების შესახებ შუამდგომლობას სასამართლო 48 საათის განმავლობაში განიხილავს. თუ ზეპირი განხილვის ჩანიშვნა ხელს შეუწყობს საქმის გარემოებათა გარკვევას სასამართლო სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის თაობაზე ატყობინებს მხარეებს, თუმცა მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

118. სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების, ნაწილობრივ დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე საჩივარი შეიტანება ამ განჩინების მიმდებარე სასამართლოში, მხარისთვის განჩინების ასლის გადაცემიდან:

ა. 48 საათში;

ბ. 24 საათში;

გ. საჩივრის წარდგენა დაუშვებელია;

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

VII¹⁶ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებასთან დაკავშირებით

119. პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს:

ა. საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

ბ. მაგისტრატი მოსამართლე;

გ. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე;

დ. საგადასახადო ორგანო.

120. რომელი ფორმულირებაა სწორი?

ა. გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება შესაძლოა გასაჩივრდეს საკასაციო წესით;

ბ. გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;

გ. გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;

დ. გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 21³⁹ ცრუმაგიერ პირებად ცნობა

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის გადაწყვეტილება

საქართველოს კონსტიტუცია საგადასახადო კანონმდებლობას მიაკუთვნებს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას (მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი), რითაც ხაზს უსვამს მის როლს სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებაში. გადასახადების აკრეფის ფუნქცია სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო დანიშნულების ფუნქციაა. **გადასახადები არის სახელმწიფო, თუ სხვადასხვა დონის ბიუჯეტის შევსების უმთავრესი წყარო და საჯარო ამოცანების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი მატერიალური წინაპირობა.**

საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება ადგენს, რომ სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, აწესრიგებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს (საგადასახადო კოდექსის პირველი მუხლი).

გადასახადის გადახდის ვალდებულება ასახულია საგადასახადო კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად, პირი ვალდებულია გადაიხადოს ამ კოდექსით დაწესებული საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. ამავე კოდექსის

მე-6 მულის პირველი ნაწილის თანახმად, გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

გადასახადის გადამხდელის მხრიდან კუთვნილი საგადასახადო ვალდებულების უპირობო შესრულებაზე მიუთითებს ასევე საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, შეასრულოს საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

კონსტიტუციით გათვალისწინებული პრინციპის ჯეროვნად აღსრულების მიზნით, საგადასახადო კოდექსი საგადასახადო ორგანოს ბოჭავს კონკრეტული სამართლებრივი ნორმებით, რათა ბიუჯეტის წინაშე ანგარიშგება განხორციელდეს პირის ძირითადი უფლებების დარღვევის გარეშე. საგადასახადო ორგანოთა ვალდებულებები გათვალისწინებულია საგადასახადო კოდექსის 51-ე მუხლით, რომლის „ა“, „ბ“, „რ“ ქვეპუნქტების მიხედვით, საგადასახადო ორგანოები ვალდებულნი არიან, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დაიცვან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, იმოქმედონ ამ კოდექსისა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტების მოთხოვნათა შესაბამისად და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებაში, დაიცვან გადასახადის გადამხდელთა უფლებები და სახელმწიფოს ინტერესები, გადასახადის გადამხდელს წარუდგინონ საგადასახადო მოთხოვნა, ხოლო მისი შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ამ კოდექსით დადგენილი წესით მიიღონ ზომები მისი შესრულების უზრუნველსაყოფად. ამასთან, ამავე ნორმატიული აქტის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი საგადასახადო ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადასახადის გადამხდელისაგან საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებით დადგენილ ვადაში ამოიღონ გადაუხდელი გადასახადი ან/და სანქციის სახით დაკისრებული თანხა.

მითითებულ ნორმათა შინაარსის გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ საგადასახადო ვალდებულების შესრულების პროცესში გადასახადის გადამხდელები, ისევე როგორც, საგადასახადო ორგანოები იმყოფებიან სამართლებრივი ბოჭავს პირობებში. აღნიშნული მიზნით მათ მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს შესაბამის კანონმდებლობასთან. კანონი კი თავის მხრივ უნდა იყოს ნათელი, არაორაზროვანი და განჭვრეტადი, რათა მოცემულ ურთიერთობაში მონაწილე ყოველი პირისათვის ნათელი იყოს განხორციელებული ოპერაციის სამართლებრივი შედეგები.

„განჭვრეტადი და არაორაზროვანი კანონმდებლობა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პირის დაცვას სამართალშემფარდებლის თვითნებობისგან, მეორე მხრივ კი, ადგენს გარანტიას, რომ პირმა მიიღოს მკაფიო შეტყობინება სახელმწიფოსგან, რათა მოახერხოს ნორმის სწორი აღქმა, განსაზღვროს, რომელი ქმედებაა კანონით აკრძალული და რომელ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განჭვრიტოს საკუთარ ქმედებაში აკრძალული ქმედების ნიშნები და

წარმართოს საკუთარი ქცევა კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.).

გადასახადის გადამხდელთა მხრიდან საგადასახადო ვალდებულებების შესრულებისას არსებობს საფრთხე, რომ შესაძლოა, გადამხდელმა შეგნებულად, მიზანმიმართულად სცადოს, თავი აარიდოს ვალდებულებების შესრულებას. ასეთ შემთხვევათა პრევენციის მიზნით საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს გადამხდელის ქონებით საგადასახადო დავალიანების შესრულების უზრუნველყოფას.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები გათვალისწინებულია საგადასახადო კოდექსის 35-ე თავში. მოცემული ნორმატიული აქტის 238-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: ა) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა; ბ) მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა; გ) ქონებაზე ყადაღის დადება; დ) ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია; ე) სპანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა; ვ) გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება.

ამგვარად, საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, ვალდებულების უზრუნველყოფა განახორციელოს გადასახადის გადამხდელის კუთვნილი ქონებით, ამა თუ იმ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მეშვეობით.

სასამართლო განმარტავს, რომ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის კანონით დადგენილი ღონისძიებების გამოყენება იწვევს პირის კანონით დაცული უფლებების, მათ შორის, საკუთრებით თავისუფლად სარგებლობისა და განკარგვის შეზღუდვას. ამასთან, მსგავსი ღონისძიებების გატარება ემსახურება საჯარო ლეგიტიმურ მიზანს - საგადასახადო ვალდებულების შესრულებას და მათი გამოყენების საფუძველი სწორედ გადასახადის გადამხდელის ქმედება - საგადასახადო ვალდებულების ჯეროვანი შეუსრულებლობაა. ამრიგად, კანონით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობისას, გადასახადის გადამხდელისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ეს გამოიწვევს მის მიმართ სათანადო ღონისძიებების გამოყენებას, რათა აღსრულდეს კანონით დადგენილი ვალდებულება. საგადასახადო უზრუნველყოფის საგანი ხდება გადამხდელის ქონება. საგადასახადო უზრუნველყოფის საგანი მესამე პირის ქონება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მესამე პირს აქვს გადასახადის გადამხდელის დავალიანება, რომლის გადახდის ვადაც დამდგარია ან როდესაც მესამე პირი იძენს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით დატვირთულ ქონებას. გარდა აღნიშნულისა, საგადასახადო კანონმდებლობა იცნობს ერთმანეთის ცრუმამიერ პირებად ცნობის ინსტიტუტს, რომლის დროსაც გადახდევინების მიქცევა ხდება არა გადასახადის გადამხდელის, არამედ მესამე პირის ქონებაზე, როდესაც დასტურდება, რომ გადასახადის გადამხდელი გამოყენებული იყო გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით.

საგადასახადო კოდექსით უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება გათვალისწინებულია როგორც გადასახადის გადამხდელთა ქონების მიმართ, ასევე, მესამე პირთა მიმართ,

რომელთაც გააჩნიათ გადასახადის გადამხდელთა ვადამოსული დავალიანება (240-ე მუხლი). გარდა აღნიშნულისა, საგადასახადო კოდექსი კანონით დადგენილი წინაპირობებს არსებობისას საგადასახადო ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას, განახორციელოს უზრუნველყოფის ღონისძიებები ასევე გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერი პირის დადგენის შემთხვევაში. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები. ამდენად, მოცემული ნორმა პირთა ცრუმაგიერად ცნობის კომპეტენციას მიაკუთვნებს სასამართლოს. სასამართლოს მიერ პირთა ცრუმაგიერად ცნობის შემთხვევაში კი, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უზრუნველყოფის ღონისძიება ამ პირთა მიმართ.

საგადასახადო ვალდებულებისთვის თავის არიდების ერთ-ერთ მექანიზმს შესაძლოა, წარმოადგენდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენება კომპანიის დამფუძნებელთა მხრიდან, როდესაც გადასახადის გადამხდელი სუბიექტის მიღმა რეალურად სხვა სუბიექტი მოქმედებს, გადამხდელს კი არ გააჩნია საკმარისი ქონება, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მიქცევა. ამ დროს რეალურად მოქმედი სუბიექტი „ცრუმაგიერ პირად“ იყენებს ფორმალურად დაფუძნებულ სუბიექტს, რათა სამეწარმეო საქმიანობიდან თავად მიიღოს ფინანსური სარგებელი, გადასახადის გადახდის ვალდებულება კი დაეკისროს ცრუმაგიერ პირს, რომელსაც არ გააჩნია დავალიანების დასაფარად საკმარისი სახსრები.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში გამონაკლისის სახით დასაშვებია „კორპორაციული საფარველის“ რღვევა და გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრება. საგადასახადო სამართალში კი საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გადასახადის გადახდევინების მიზნით უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებას ცრუმაგიერი პირის აღიარების შემთხვევაში მესამე პირზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების თანახმად, „როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია გამოყენებულია თავისი მეპატრონეების და მენეჯერების მიერ, უბრალოდ, როგორც ფასადი თაღლითური ქმედებებისთვის, ჩარევა კორპორატიულ საიდუმლოებაში/საკუთრებაში შეიძლება იყოს პრობლემის სათანადო გადაჭრა, რათა დაცული იყოს მისი კრედიტორების უფლებები, მათ შორის, სახელმწიფოსიც. თუმცა, უნდა არსებობდეს ნათლად განსაზღვრული წესები.“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „ხადარკოვსკი და ლებედევი რუსეთის წინააღმდეგ“).

სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელე უფლებამოსილი იქნება, განახორციელოს უზრუნველყოფის ღონისძიება

დამფუძნებლის კუთვნილ ქონებაზე, შესაბამისად მნიშვნელოვანია, გამოკვლეულ იქნეს და უტყუარად დადგინდეს მისი ქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კანონით დაწესებულ რეგულაციებთან, რათა უსაფუძვლოდ არ მოხდეს პირის კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლების გაუმართლებელი ხელყოფა.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ცრუმაგიერად ცნობის კონკრეტული წინაპირობები. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, პირები ცრუმაგიერად მიიჩნევიან, თუკი: 1) პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან, ამასთან, 2) ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისაგან თავის არიდების მიზნით. ამდენად, არსებული რეგულაცია ადგენს ორ ძირითად პირობას, რომელიც უნდა არსებობდეს ერთობლიობაში, რათა დადგინდეს პირთა ცრუმაგიერობა. ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, შეუძლებელი უნდა იყოს პირთა განსხვავება ერთმანეთისგან. სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებული ჩანაწერი არ მოიაზრებს პირთა ფიზიოლოგიურ თუ საიდენტიფიკაციო მონაცემთა შორის განსხვავებას (ასეთ შემთხვევაში სადავო გარემოებაც არ იარსებებდა), არამედ გადასახადის გადამხდელთა განსხვავება შეუძლებელი უნდა იყოს მათი საქმიანობის არსიდან გამომდინარე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარება შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლისის სახით და დაუშვებელია, ეს მექანიზმი იქცეს გადასახადის გადახდევინების ჩვეულებრივ მიღებულ წესად, რა დროსაც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტის ვალდებულებების გადახდევინების მიქცევა მოხდება მასთან დაკავშირებულ პირებზე, რომლებსაც მისგან განსხვავებით, გარკვეული ქონება გააჩნიათ. ამგვარი პრაქტიკის თავიდან აცილების მიზნით, სასამართლოს აუცილებლად მიაჩნია, მკვეთრად განისაზღვროს კრიტერიუმები, ნიშნები, რომლებიც მსგავს ურთიერთობას ახასიათებს. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ცრუმაგიერ პირად აღიარება საკმაოდ რთული პროცესია და საკმარისი არ არის მხოლოდ ზედაპირული მინიშნებები, რაც გარკვეულ ექვებს ბადებს. აუცილებელია მყარად დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენა, რაც კომპანიის მესვეურთა ფარულ განზრახვას გამოააშკარავებს. ცრუმაგიერი პირის მეშვეობით სამეწარმეო საქმიანობა, როგორც წესი, წინასწარ დაგეგმილი, შეფარული სქემის მიხედვით მიმდინარეობს და მისი გამოვლენა იოლი არ არის, რადგან სუბიექტი ამოფარებულია საკანონმდებლო რეგულაციებს, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპს, რომლიდანაც გამონაკლისის დაშვება მხოლოდ კანონითვე დადგენილ ფარგლებშია შესაძლებელი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელემ - საგადასახადო ორგანომ უნდა უზრუნველჰყოფს სასამართლოსთვის ურთიერთკავშირში მყოფი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობის წარმოდგენა, რომელთა დეტალურად გაანალიზებაც სარწმუნო საფუძველს შექმნის ცრუმაგიერ პირად აღიარებისთვის.

როგორც ზემოთ აღნიშნა, ცრუმაგიერ პირად აღიარება, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტი, მოითხოვს მკაფიოდ გამოხატული კრიტერიუმების განსაზღვრას, რაც მიანიშნებს პასუხისმგებელი სუბიექტის ერთგვარ „ფასადად“ გამოყენებაზე. მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა დადასტურდეს, რომ რეალურად მოქმედი პირი საქმიანობიდან თავად იღებს სარგებელს, საგადასახადო ურთიერთობებში კი თავისი თავის ნაცვლად რთავს სხვა სუბიექტს, რომელიც ფინანსურად არ არის საკმარისად უზრუნველყოფილი, რათა შეასრულოს ეს ვალდებულებები.

ცრუმაგიერი პირის შესახებ დოქტრინა წარმოიშვა აშშ-ში Alter Ego-ს („მეორე მე“) სახელწოდებით, რომლის მიხედვითაც, კომპანია წარმოადგენს მისი მაკონტროლებელი სუბიექტის „მეორე მე“-ს, მისგან მხოლოდ ფორმალურად არის განცალკევებული და მოქმედებს მის ინტერესებში. შედეგად კი, საგადასახადო ვალდებულებები მასთან აკუმულირდება მაშინ, როდესაც საამისოდ საკმარისი რესურსი არ გააჩნია, რის გამოც ვალდებულებები რჩება შეუსრულებელი.

ე.წ. „კორპორატიული საფარველი“ მიჯნავს კომპანიას მისი დამფუძნებლებისგან, რაც პასუხისმგებლობის შეზღუდვაში გამოიხატება. შედეგად, კომპანია წარმოადგენს მისი დამფუძნებლებისგან განცალკევებულ სუბიექტს. კომპანიის ქონება გამოჯნულია დამფუძნებლების ქონებისგან. როდესაც დამფუძნებელი კომპანიას ცრუმაგიერ პირად იყენებს, ასეთი გამოიჯნა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც კანონის საფუძველზე ცალკე სუბიექტად რეგისტრაციაში ვლინდება. რეალურად კი ქონება არის ადრეული და დამფუძნებელი (ფიზიკური ან იურიდიული პირი) ისე სარგებლობს ამ ქონებით, როგორც საკუთარი ქონებით.

არ არის გამორიცხული, რომ ერთ პირს ჰყავდეს რამდენიმე ასეთი ცრუმაგიერი პირი, ასევე - რამდენიმე პირი (მაგალითად - რამდენიმე დამფუძნებელი) იყენებდეს ერთ ან რამდენიმე სუბიექტს „მეორე მე“-დ. თუმცა, სასამართლოს მიაჩნია, რომ ცრუმაგიერი პირის შესახებ დოქტრინას კატეგორიულად ემიჯნება იმგვარი განმარტება, რომ კომპანიასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირი, მათ შორის ისინიც, ვინც მხოლოდ „იარაღად“, დამხმარე პირებად არიან გამოყენებული მაკონტროლებელი სუბიექტის მხრიდან, მათ საქმიანობაში ჩართული ყველა პირი, თუკი მათ გარკვეული ქონება გააჩნიათ, სასამართლომ აღიაროს ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად. ცრუმაგიერობის დადგენისთვის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ერთი და იმავე პირების დასაქმება სხვადასხვა საწარმოებში და ამ გზით ერთი კომპანიის მხრიდან მეორის მართვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ეს დასაქმებული ფიზიკური პირი ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებს წარმოადგენენ. ცრუმაგიერ პირად აღიარების დოქტრინა, როგორც ზემოთ აღნიშნა, პასუხისმგებლობის შეზღუდვის წესიდან ცალკეულ გამონაკლისს წარმოადგენს და ეფუძნება განსაზღვრული წინაპირობების არსებობას. დაუშვებელია, ამ სამართლებრივი ინსტრუმენტის გამოყენება უფრო ფართოდ და მისი გავრცელება ყველა შესაძლო დაკავშირებულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე, რომლებსაც რაიმე საერთო აქვთ მაკონტროლებელ სუბიექტთან და მის ცრუმაგიერ პირთან. გადასახადის გადახდევინების ლეგიტიმური მიზანი ვერ გაამართლებს ყოველგვარ ჩარევას საკუთრების უფლებაში, რომელიც სცდება კანონით რეგულირებულ ფარგლებს.

საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლი მესამე პირის ქონებაზე გადახდევინების მიქცევას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი გადასახადის გადახდელს იყენებდა ცრუმაგიერ პირად, გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით.

სასამართლო მიიჩნევს, რომ დაუშვებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის იმგვარი ფართო განმარტება, რაც გამოიწვევს კომპანიასთან დაკავშირებული ყველა პირის ცრუმაგიერ პირად აღიარებას მხოლოდ იმ გარემოების დადგენის საფუძველზე, რომ ეს პირები (რომლებიც შეიძლება, იყვნენ საწარმოში დასაქმებული ან გარეშე პირები) რაიმე ფორმით გამოყენებულნი იყვნენ გადასახადისგან თავის

არიდებაში. ყველა მათგანის უპირობო გაიგივება საწარმოსთან და მის ინტერესებთან გაუმართლებელია, თუკი ისინი მხოლოდ დამხმარე პირებად იყვნენ გამოყენებული. ამგვარი მიდგომა გამოიწვევს საკუთრების კონსტიტუციური უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას. ამდენად, ნორმის განმარტების მიზნებისთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საკუთრების უფლების შეზღუდვის კანონით დადგენილი ლეგიტიმური საფუძველი - ყველა ის კრიტერიუმი, რომელსაც საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლი განსაზღვრავს და ის დოქტრინალური განმარტებები, რაც alter ego-ს ინსტიტუტთან მიმართებაში არსებობს. საქმის ფაქტობრივი გარემოებები უნდა შეფასდეს სწორედ ამ კრიტერიუმების მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების მიხედვით, „საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის სახეზე უნდა იყოს გადასახადის გადახდელის განსხვავების შეუძლებლობა სხვა იმ პირისაგან, რომელიც გამოყენებული არის გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით ანუ გადასახადის გადახდელი პირი, რომელსაც გააჩნია საგადასახადო ვალდებულებები, მისი გადახდისაგან თავის არიდების მიზნით ისეთ კავშირში შედის სხვა პირთან, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი არის მათი განსხვავება.“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ზს-103-96(კ-13)).

„ცრუმაგიერ პირებად აღიარების შესახებ სარჩელის მიზანია დადგინდეს, რომ სხვა პირი წარმოადგენს საგადასახადო კოდექსით გადასახადის გადახდაზე ვალდებული პირის - გადახდელის ცრუმაგიერ პირს. ასეთი აღიარება შესაძლებლობას აძლევს საგადასახადო ორგანოს გადასახადის გადახდელის შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენოს ცრუმაგიერი პირის მიმართ.“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ზს-1546-1476 (კ-09)).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შინაარსიდან ცხადია, რომ კანონმდებელი არ მიუთითებს კონკრეტულ გარემოებებზე, რომელთა ერთობლიობა ქმნის ცრუმაგიერ პირებად აღიარების საფუძველს. ამასთან, „ცრუმაგიერი პირის დეფინიცია უნდა აკმაყოფილებდეს ორ კრიტერიუმს: ა) რეალური და ცრუმაგიერი პირი ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს; ბ) ცრუმაგიერი პირი უნდა იყოს გამოყენებული გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის თავის არიდების მიზნით (იგულისხმება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ღონისძიებები: საგადასახადო გირავნობა ან იპოთეკა, მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა, ქონებაზე ყადაღის დადება, ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია, საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა, გადასახადის გადახდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება). ცრუმაგიერ პირს წარმოშობს რეალური პირის ქმედება - თავი აარიდოს გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებას და შესაბამისი ქონება მანამდე გადასცეს ცრუმაგიერ პირს, ვიდრე მის მიმართ განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის განჩინება საქმეზე №ზს-167-165(კ-17)).

ამდენად, ცრუმაგიერ პირებად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენისას საგადასახადო ორგანომ უნდა დაამტკიცოს მოპასუხეთა ქმედებების ისეთი ჯაჭვის არსებობა, რაც დაადასტურებს

რეალური და ცრუმაგიერი პირების განსხვავების შეუძლებლობასა და ცრუმაგიერი პირის გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის თავის ასარიდებლად შექმნასა თუ გამოიყენება.

სასამართლო კიდეც ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვინაიდან ცრუმაგიერ პირებად ცნობა უშუალოდ არის დაკავშირებული პირის საკუთრების უფლების შეზღუდვასთან, მის ქონებაზე საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებასთან, აუცილებელია, რომ აღნიშნული ფაქტი დადგინდეს კანონით დადგენილი ყველა დანაწესის სრული დაცვითა და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად. აღნიშნული, ასევე, დაკავშირებული არის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან, რამეთუ მხოლოდ კონკრეტული ერთი ფაქტის საფუძველზე პირთა ერთმანეთის ცრუმაგიერად ცნობამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დაუცველ მდგომარეობაში ყოფნა, მისი უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების უკანონო ხელყოფა.

განსახილველ შემთხვევაში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ დადასტურდეს ცრუმაგიერი მფლობელობის ფაქტი, სავალდებულოა დადგინდეს, რომ მოპასუხე – გადასახადის გადამხდელი საწარმოს დამფუძნებელი და დირექტორი პირადი ეკონომიური ინტერესების საფუძველზე მოქმედებდა გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას იყენებდა ამ მიზნებისთვის. აღნიშნული გარემოების დადგენის თვალსაზრისით, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტის დადასტურებას, რომ მის მიერ დაფუძნებულ კომპანიას არ გააჩნია რეალური დამოუკიდებლობა, შექმნილია ფორმალურად, საწარმო გამოიყენება მისი პარტნიორის (ამავდროულად – დირექტორის) პარტნიორის ვალდებულებების დასაფარავად და საწარმოს დამოუკიდებლობის ხარისხი არ იძლევა დამფუძნებელი სუბიექტისგან მისი გამიჯვნის შესაძლებლობას.

ცრუმაგიერ პირად აღიარების ერთ-ერთი კრიტერიუმი - ერთმანეთისგან განუსხვავებლობა ვლინდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს სუბიექტებს შორის ინტერესების აღრევას ან ქონების აღრევას.

alter ego-ს დოქტრინის მიხედვით, როგორც წესი, „ინსტრუმენტის“ როლში თავად გადასახადის გადამხდელი საწარმო გვევლინება, რადგან მისი პასუხისმგებლობის გამიჯვნას ბოროტად იყენებს რეალურად მოქმედი პირი. გადასახადის გადამხდელი ამ შემთხვევაში არის მისი „მეორე მე“, ფორმალურად განცალკევებული სუბიექტი, როგორც გადასახადისგან თავის არიდების იარაღი.

„საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როცა კომპანიის პარტნიორების საქმიანობა მიმართულია გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების შექმნისაკენ და კომპანია გამოიყენება, როგორც გადასახადებისაგან თავის არიდების „ინსტრუმენტი“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014, იხ., Fastrich in Baumbach/Hueck GmbHG Kommentar, 20. Aufl., §13, Rn.45; Wiedmann ZGR 2003, 283, 288; BGH GmbHHR 1986, S.78; BGH GmbHHR 1994, S.390; BGH GmbHHR 2006, S.426; BGH GmbHHR 2007, S.927; Bayer/Lutter in Lutter/Hommelhoff GmbHG Komm., 18. Aufl. §13, Rn.19; BGH GmbHHR 2008, S.805; Altmeppen ZIP 2008, S.1205f; Heeg/Manthey GmbHHR 2008, S.800f; Altmeppen in Roth/Altmeppen

GmbHG Komm. 7.Aufl., §13,Rn.149; Altmeppen, Abschied von Durchgriff in “Kapitalgesellschaft” NJW 2007, s.2657; BGH GmbHR 2007, S.927; Liebischer in MüKo zum GmbHG Anh. §13,Rn.593).

„ინსტრუმენტად“ გამოყენება, როგორც წესი, ხდება პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების ხარჯზე. კომპანია, რომლის პასუხისმგებლობაც მხოლოდ მის სახელზე რიცხული ქონებით შემოიფარგლება, არ ასრულებს ვალდებულებებს საამისოდ საკმარისი ქონების არარსებობის გამო. რეალურად კი მის უკან დგას სუბიექტი, რომელიც ქმნის ამ სქემას და შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტს იყენებს საკუთარი ინტერესებისთვის.

„შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმა ეკონომიკური თვალსაზრისით ცალსახად გამართლებულია, რადგან იურიდიული პირის დაფუძნების ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა სწორედ ქონების გამიჯვნის პრინციპია, რომელიც მიზნად ისახავს, ერთის მხრივ, კომპანიის დამფუძნებელთა პირადი ქონების დაცვას კომპანიის კრედიტორთა მოთხოვნებისაგან და, მეორეს მხრივ, კომპანიის ქონების დაცვას დირექტორებისა და პარტნიორების მიერ აღნიშნული ქონების პირადი სარგებლობისათვის უკანონო გამოყენებისაგან.

შეზღუდული პასუხისმგებლობა, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მიხედვით, არ წარმოადგენს პრობლემას კომპანიის ნებაყოფლობით კრედიტორებთან მიმართებაში, რომლებსაც გააჩნიათ მოლაპარაკების საშუალება (bargaining power), რათა ხელშეკრულების მეშვეობით თავიდან აიცილონ რისკები, რომლებიც წარმოიშობა კომპანიასთან გარიგებაში შესვლის დროს. თუმცა ეს თეორია არ ითვალისწინებს არასახელშეკრულებო (არანებაყოფლობით) კრედიტორებს, როგორც არიან დელიქტის საფუძველზე წარმოშობილი კრედიტორები, რომლებსაც არ შეუძლიათ შევიდნენ კომპანიასთან, მის დირექტორებთან და პარტნიორებთან წინასწარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მათ მიმართ დელიქტიდან გამომდინარე კომპანიის ვალდებულებების წარმოშობამდე. იგივე შეიძლება ითქვას საგადასახადო ვალდებულებების შედეგად წარმოშობილ კრედიტორზე სახელმწიფოს სახით, რომელიც, საგადასახადო ვალდებულებების არანებაყოფლობითი ხასიათიდან გამომდინარე, ასევე არასახელშეკრულებო კრედიტორების რიგს მიეკუთვნება.“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014).

„გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული საფუძველია კომპანიის „არაადექვატური კაპიტალიზაცია“. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების მიზნებისათვის არაადექვატური კაპიტალიზაცია არ გულისხმობს კანონით დადგენილი მინიმალური კაპიტალის ქონას (მრავალ ქვეყანაში, საქართველოს ჩათვლით, ასეთი მოთხოვნა კომპანიების მიმართ აღარ არსებობს). არაადექვატურ კაპიტალიზაციაში იგულისხმება ის შემთხვევა, როცა კომპანიის კაპიტალი ძალიან მცირე ან შეუსაბამოა იმ კომპანიის საქმიანობის სახისათვის და იმ რისკების დასაზღვევად, რომელსაც კომპანიის ბიზნეს საქმიანობა წარმოშობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება მოსალოდნელი ეკონომიკური საჭიროებები და არა ფორმალურ-სამართლებრივი მოთხოვნები. „არაადექვატური კაპიტალიზაციის“ ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასახელშეკრულებო (არანებაყოფლობით) კრედიტორებთან მიმართებაში პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისას.

გამჭოლი პასუხისმგებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“. ამ ელემენტის დარღვევაა, როცა არ ხდება დირექტორებისა და პარტნიორების კრებების მოწვევა და/ან ჩატარება, როცა პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული, როცა ხდება პარტნიორებისა და კომპანიის ქონების აღრევა, როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით, ან როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014).

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის პერსონალური პასუხისმგებლობა დგება, როდესაც საზოგადოების ქონების და პირადი ქონების გამიჯვნა გაუმჭვირვალე საბუღალტრო აღრიცხვის მეშვეობით ან სხვა გზით არის შეზღუდული და ეს აბრკოლებს კომპანიის კუთვნილი ქონების გამიჯვნას. ამიტომ ამ დროს შესაძლოა, არ ფუნქციონირებდეს კაპიტალის შენარჩუნების შესახებ ნორმები, რომელთა დაცვაც კომპანიის ქონების ფარგლებში პასუხისმგებლობის შეზღუდვისთვის სავალდებულო დიზაინსების საშუალებას წარმოადგენს (გერმანიის ფედერალური სასამართლოს განმარტება საქმეზე: 13.04.1994-II ZR 16/93, იხ. <https://www.iww.de/quellenmaterial/id/1143>).

ამგვარად, ქონების აღრევას ადგილი აქვს, როდესაც საზოგადოების საკუთრებისა და პირადი საკუთრების ურთიერთგამიჯვნა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება კაპიტალის გამიჯვნის პრინციპიდან და შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორს პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება.

ასეთ დროს პასუხისმგებლობა, როგორც წესი, ეკისრება მაკონტროლებელ პარტნიორს, რომელსაც გადამწყვეტი გავლენა აქვს საზოგადოების საქმიანობაზე. ნაკლებად გავლენიან პარტნიორს, რომლის როლიც მინიმალურია, შესაძლოა, კომპანიის პასუხისმგებლობის შეზღუდვის გამომრიცხავი გარემოებების არსებობისას პირადი პასუხისმგებლობა არ დაეკისროს (გერმანიის ფედერალური სასამართლოს განმარტება საქმეზე: 13.04.1994-II ZR 16/93, იხ. <https://www.iww.de/quellenmaterial/id/1143>).

პერსონალური პასუხისმგებლობის საფუძველი შესაძლოა, გახდეს, როდესაც, მაგალითად, პარტნიორი იყენებს საზოგადოების ქონებას, როგორც საკუთარს, პირად დანახარჯებს იხდის საზოგადოების კაპიტალიდან. ასევე, თუკი დამფუძნებელი კომპანია არ მიიღწავს თავის საკუთარ საქმიანობას შვილობილი კომპანიის საქმიანობისგან, ორივე კომპანია მოქმედებს, როგორც ერთი მთლიანობა, მათი საქმიანობის პოლიტიკა არსებითად ერთი და იგივეა, ჰყავთ ერთი და იგივე ხელმძღვანელები, ან ორივე კომპანიის მმართველობის ორგანოთა სხდომები ერთად ტარდება. ან ერთი პარტნიორი მართო ან როგორც მაკონტროლებელი პარტნიორი ფლობს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ საზოგადოებას და განსაზღვრავს მათ პოლიტიკას, ფინანსებს, საქმიან პრაქტიკას.

იმისათვის, რომ პარტნიორს პასუხისმგებლობა დაეკისროს, აუცილებელია, არსებობდეს მოტყუება ან სხვა არამართლზომიერი ქმედება, რის გამოც კრედიტორის ინტერესების დასაცავად, საჭირო ხდება პასუხისმგებლობის დაკისრება პარტნიორისთვის. მოსარჩელის ინტერესების წინააღმდეგ მას განხორციელებული უნდა ჰქონდეს რაიმე არამართლზომიერი

ქმედება. თუკი საზოგადოების ქონება გადაეცა პარტნიორს კრედიტორის ინტერესების საზიანოდ, ეს პარტნიორი პასუხს აგებს გადაცემული ქონებით. პასუხისმგებლობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვება ემსახურება კრედიტორის ინტერესების დაცვას, უსამართლო შედეგების თავიდან აცილებას ინტერესების დაბალანსების გზით.

იმის გამოსავლენად, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმა მხოლოდ ფორმალურ-სამართლებრივ ინსტრუმენტად არის გამოყენებული, როგორც საერთო სამართლის, ისე - კონტინენტურ-ევროპული სამართლის დოქტრინაში რამდენიმე ნიშანს გამოყოფენ: საზოგადოება გვევლინება, როგორც არცთუ მკვეთრად გამოიჯვანადი სუბიექტი; საზოგადოების საკუთრების ობიექტები და კაპიტალი აღრეულია პარტნიორის პირად საკუთრებასთან; საბუღალტრო წიგნები არ იწარმოება დადგენილი წესის მიხედვით; დირექტორები არ მუშაობენ კვალიფიციურად; აქციონერთა და დირექტორთა საბჭოს კრებები მოწესრიგებულად არ ტარდება; არ არის დაცული სხვა საკორპორაციო-სამართლებრივი ფორმალობები; საზოგადოების გადახდის უუნარობა/არასაკმარისი კაპიტალიზაცია.

სასამართლო განმარტავს, რომ ცრუმაგიერ პირებად აღიარების ინსტიტუტი არის საგადასახადო კოდექსით დადგენილი სპეციალური მექანიზმი, პასუხისმგებლობის შეზღუდვის არამართლობიერი გამოყენების წინააღმდეგ მოქმედი ბერკეტი, რომლის გამოყენების უფლებაც გააჩნია შემოსავლების სამსახურს გადასახადის გადახდევინების მიზნებისთვის. თუმცა, ეს ნორმა გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც დასტურდება სუბიექტების საქმიანობის და ინტერესების ისეთი ხარისხის ურთიერთაღრევა, როცა ისინი მხოლოდ ფორმალური ნიშნებით ემიჯნებიან ერთმანეთს, სინამდვილეში კი ერთ მთლიანობას წარმოადგენენ. დაუშვებელია ამ ინსტიტუტის გამოყენება საგადასახადო ვალდებულებებისგან თავის არიდების ყველა ფორმის მიმართ. მაგალითად, თუკი ერთჯერადად დაიღო გარიგება საწარმოდან ქონების გარიდების მიზნით და ამ ოპერაციაში მონაწილეობდა დაკავშირებული პირი, ეს ჯერ კიდევ არ ქმნის საკმარის საფუძველს ამ პირის ცრუმაგიერად აღიარებისათვის. აუცილებელია დადგინდეს ზემოთ აღწერილი ყველა წინაპირობის არსებობა, რაც ქმნის alter ego-ს მოცემულობას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს, რომლის არსებობაც უნდა დაადგინოს სასამართლომ, წარმოადგენს გადასახადის გადახდელის მიერ სხვა პირის გამოყენება გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით. თავის არიდების მიზანი ცრუმაგიერი პირების შემთხვევაში სახეზეა, როდესაც ფაქტობრივად არსებულ ორ ან მეტ პირს შორის განხორციელებული ოპერაცია მიმართულია საერთო მიზნის მიღწევისკენ. ეს მიზანი კი წარმოადგენს საგადასახადო ვალდებულების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისაგან თავის არიდებას. ამრიგად, როდესაც თავის არიდების მიზანი იკვეთება რომელიმე კონკრეტული ოპერაციის განხორციელებაში, უნდა შეფასდეს, ემსახურება თუ არა იგი უზრუნველყოფის ღონისძიებისგან თავის არიდებას. მოცემული სახის რეგულაცია იძლევა ფართო შეფასების არეალს, ვინაიდან არ არის დაკონკრეტებული, თუ რა გარემოებათა პირობებში, რომელი ქმედება შეიძლება შეფასდეს უზრუნველყოფის ღონისძიებისგან თავის არიდებად. კანონი არ აკონკრეტებს, რომ აღნიშნული მიზანი შესაძლებელია მიღწეულ იქნეს დანტერესებულ პირთა მიერ კანონისმიერი თუ უკანონო გზებით. ასეთ პირობებში კი გადახდელთა მიერ კანონით ნებადართული ქმედება უფლებამოსილ პირთა მიერ

შესაძლებელია შეფასდეს, როგორც უკანონო. ეს კი გადასახადის გადამხდელთ ჩაყენებს უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. სასამართლოს მოსაზრებით, სამართლებრივი რეგულაციის მსგავს პირობებში, პირთა მიერ განხორციელებული ოპერაციის მიზანი უნდა იქნეს უტყუარად დადგენილი, ეჭვს არ უნდა იწვევდეს გადამხდელთა ქმედება ემსახურება რიგით საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას თუ გადასახადებისგან თავის არიდებას. ვარაუდის საფუძველზე სასამართლოს დაუმჯობესებლად მიაჩნია პირთა ცრუმაგიერად ცნობა, რამაც შედეგობრივად შესაძლებელია გამოიწვიოს მოპასუხეთა კონსტიტუციური უფლებების ხელყოფა.

სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დივიდენდის ბუნებისა და გაცემის წესის განსაზღვრასა და სადავო შემთხვევაში მისი გაცემის მიზნის დადგენას, კერძოდ, უნდა დადგინდეს, დამფუძნებლის ქმედებები მიმართული იყო თუ არა საგადასახადო ვალდებულების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების თავის არიდებისკენ. ამასთან, სასამართლო განმარტავს, რომ ასეთი მიზანი უნდა დასტურდებოდეს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შეფასებიდან და მხოლოდ ეჭვი, რომელიც არ დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით ან არ გამომდინარეობს პირთა ქმედებების შეფასებიდან, არ შეიძლება გახდეს პირის უფლებების შეზღუდვის კანონიერი საფუძველი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით განმარტებულია, რომ დივიდენდი არის აქციონერის/მოწილის მიერ აქციებიდან ან უფლებებიდან (წილებიდან) მიღებული (მათ შორის, პრივილეგირებული აქციებიდან პროცენტის სახით მიღებული) ნებისმიერი

შემოსავალი, რომელიც მიიღება მოგების განაწილების შედეგად და რომელსაც იურიდიული პირი უნაწილებს აქციონერებს/მოწილებს, კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების/უფლებების პროპორციულად ან პროპორციის დაცვის გარეშე. ამასთანავე, დივიდენდს არ მიეკუთვნება: ა) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ან აქციის/წილის გამოსყიდვისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა (განაცემი), რომელიც არ აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) აქციონერის/მოწილის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობის ფარგლებს; ბ) იურიდიული პირის აქციონერზე/მოწილზე განხორციელებული გადახდა ამავე იურიდიული პირის აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემით.

საზოგადოების მიერ დივიდენდის გაცემის წესს და პირობებს აწესრიგებს საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), რომლის მე-8 მუხლის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება.

სასამართლო აღნიშნავს, რომ დივიდენდი წარმოადგენს იურიდიული პირის მოგების ისეთი განაწილებით მიღებულ შემოსავალს, რომელზე უფლებაც მოპოვებულია ამ იურიდიული პირის წილის/აქციის ფლობით. დივიდენდის მიღება საწარმოს პარტნიორის უფლებაა და სწორედ ეს უფლება განაპირობებს მის ინტერესს, გააჩნდეს წილი სამეწარმეო საზოგადოებაში.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საგადასახადო შემოწმების აქტით ჩაითვალა, რომ შპს „ი-----ის“ დამფუძნებელს აღებული ჰქონდა დივიდენდი საწარმოდან, რადგან შემოწმებით დადგენილ შემოსავალსა და ხარჯებს შორის დადებითი სხვაობა დაფიქსირდა. სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, შემოწმების აქტში დაფიქსირებული მოცემული არგუმენტაცია არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ა-----ს-----მ განზრახ, მიზანმიმართულად მიიყვანა საწარმო გადახდის უუნარობის მდგომარეობამდე. სასამართლო ვერ ჩათვლის დადასტურებულად ასევე იმ გარემოებას, რომ შპს „ი ის“ ლიკვიდაციის დაწყების დროს საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის ვარაუდი მოსალოდნელი იყო.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 268-ე მუხლის პირველ ნაწილის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი იღებს საგადასახადო შემოწმების აქტის საფუძველზე გადასახადების ან/და სანქციების დარიცხვის ან არდარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას, რომლის ასლი წარედგინება გადასახადის გადამხდელს შესაბამის საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად, ხოლო ამავე კოდექსის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგადასახადო მოთხოვნა არის საგადასახადო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა ამ კოდექსით დადგენილი წესით. ამდენად, საგადასახადო შემოწმების მიმდინარეობა ავტომატურად არ ნიშნავს პირისათვის საგადასახადო ვალდებულების

განსაზღვრას, რომლის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებისაგან თავის ასარიდებლადაც მოქმედებენ ცრუმაგიერი პირები.

სასამართლო ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ცრუმაგიერ პირებად ცნობის ნორმატიული რეგულირების საბოლოო მიზანს წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით ცრუმაგიერი პირის მიმართ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა, რასაც საგადასახადო ორგანო ვერ ადასტურებს განსახილველ შემთხვევაში.

განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით განსაზღვრული აღიარებითი სარჩელი, რომლის ფარგლებშიც ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობისას კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის აღიარება (დადასტურება). სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელე არის ვალდებული, სარწმუნოდ დაასაბუთოს თავისი სარჩელი, მიუთითოს სარჩელის დაკმაყოფილებისთვის საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები და წარმოუდგინოს სასამართლოს მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც ხელი მიუწვდება გადასახადის გადამხდელის და მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე, ხოლო თუ მტკიცებულებათა მოპოვებას თავად ვერ შეძლებს, მხარე აღჭურვილია საპროცესო უფლებით, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს ინფორმაციის გამოთხოვა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნის მოპასუხეების ცრუმაგიერ პირებად აღიარებისა და სარჩელის

დაკმაყოფილების საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**VII¹⁷ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება
ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებასთან
დაკავშირებით**

121. პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს:

- ა. საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;
- ბ. მაგისტრატი მოსამართლე;
- გ. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე;
- დ. საგადასახადო ორგანო.

122. რომელი ფორმულირებაა სწორი?

- ა. გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება შესაძლოა გასაჩივრდეს საკასაციო წესით;
 - ბ. გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;
 - გ. გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;
 - დ. გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების თაობაზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
-

**VII¹⁸ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება
ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე
შემოწმებასთან დაკავშირებით**

123. ვინ გამოსცემს ბრძანებას ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ?

- ა. მაგისტრატი მოსამართლე;
- ბ. სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო;
- გ. საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

124. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ სააგენტოს შუამდგომლობა მოსამართლეს როდის წარედგინება?

- ა. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შემდგომ;
- ბ. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების დასრულების-თანავე;

გ. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების დაწყებამდე 3 დღით ადრე;

დ. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების დაწყებამდე.

125. შესაძლებელია თუ არა, მოსამართლემ სააგენტოს შუამდგომლობა იმ ეკონომიკური აგენტისათვის/ეკონომიკური აგენტებისათვის შეუტყობინებლად განიხილოს რომელთა ადგილზე შემოწმებასაც ითხოვს სააგენტო.

ა. არ არის შესაძლებელი;

ბ. შესაძლებელია;

გ. კოდექსი არ ითვალისწინებს;

დ. არცერთი პასუხი არაა სწორი.

126. რამდენი ხნის ვადაში უნდა გაასაჩივროს სააგენტომ ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანება სააპელაციო სასამართლოში?

ა. მისთვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან (გაგზავნიდან) 48 საათის განმავლობაში;

ბ. მისთვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან (გაგზავნიდან) 24 საათის განმავლობაში;

გ. მისთვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან (გაგზავნიდან) 72 საათის განმავლობაში;

დ. დაუყოვნებლივ.

**VII¹⁹ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება
ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული
მხარისაგან ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით**

127. ვინ გამოსცემს ბრძანებას ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ ?

ა. საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

ბ. მაგისტრატი მოსამართლე;

გ. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე;

დ. საგადასახადო ორგანო.

128. რა ვადაში გამოსცემს მოსამართლე ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ ბრძანებას?

ა. შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში;

ბ. შუამდგომლობის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში;

გ. შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის განმავლობაში;

დ. შუამდგომლობის წარდგენიდან 7 დღის ვადაში.

**VII²⁰ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება
ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით
შეჩერებასთან დაკავშირებით**

129. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს:

- ა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;
- ბ. ქუთაისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე;
- გ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე;
- დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

130. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს:

- ა. აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისათვის საკმარის საფუძველს;
- ბ. აღნიშნული ღონისძიების გამოყენების საჭიროების დასაბუთებას;
- გ. აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისათვის საკმარის საფუძველს და მისი გამოყენების საჭიროების დასაბუთებას;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

131. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს წარდგენიდან:

- ა. 3 თვის განმავლობაში;
- ბ. 2 თვის განმავლობაში;
- გ. 4 თვის განმავლობაში;
- დ. 1 თვის განმავლობაში.

132. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით, რის შესახებაც ამ შუამდგომლობის წარდგენიდან:

- ა. არაუგვიანეს 1 დღისა ატყობინებს აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტს და მას საქმის მასალებს უგზავნის;
- ბ. არაუგვიანეს 2 დღისა ატყობინებს აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტს და მას საქმის მასალებს უგზავნის;
- გ. არაუგვიანეს 3 დღისა ატყობინებს აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტს და მას საქმის მასალებს უგზავნის;
- დ. არაუგვიანეს 4 დღისა ატყობინებს აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტს და მას საქმის მასალებს უგზავნის.

133. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის გადაწყვეტილება მიიღება:

- ა. ბრძანებულების ფორმით;
- ბ. ბრძანების ფორმით;
- გ. დადგენილების ფორმით;
- დ. გადაწყვეტილების ფორმით.

134. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან (გაგზავნიდან):

- ა. 5 დღის ვადაში;
- ბ. 6 დღის ვადაში;
- გ. 7 დღის ვადაში;
- დ. 8 დღის ვადაში.

135. სააპელაციო სასამართლო ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარს განიხილავს შეტანიდან:

- ა. 14 დღის განმავლობაში;
- ბ. 13 დღის განმავლობაში;
- გ. 12 დღის განმავლობაში;
- დ. 10 დღის განმავლობაში.

**VII²¹ თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება
ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის გაუქმებისა და
ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის საკითხებთან
დაკავშირებით**

136. მოსამართლე კონცენტრაციის გაუქმების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ შუამდგომლობის წარდგენიდან:

- ა. 3 თვის ვადაში;
- ბ. 3 თვის ვადაში;
- გ. 3 თვის ვადაში;
- დ. 3 თვის ვადაში.

137. მოსამართლე თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით, რის თაობაზედაც შუამდგომლობის წარდგენიდან:

- ა. არაუგვიანეს 7 დღისა ატყობინებს კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს და მათ საქმის მასალებს გადასცემს;
- ბ. არაუგვიანეს 8 დღისა ატყობინებს კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს და მათ საქმის მასალებს გადასცემს;
- გ. არაუგვიანეს 9 დღისა ატყობინებს კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს და მათ საქმის მასალებს გადასცემს;
- დ. არაუგვიანეს 10 დღისა ატყობინებს კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს და მათ საქმის მასალებს გადასცემს.

138. კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკური აგენტები უფლებამოსილი არიან მათთვის საქმის მასალების გადაცემიდან:

- ა. არაუგვიანეს 13 დღისა სასამართლოს წერილობით წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებები;
- ბ. არაუგვიანეს 12 დღისა სასამართლოს წერილობით წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებები;
- გ. არაუგვიანეს 11 დღისა სასამართლოს წერილობით წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებები;
- დ. არაუგვიანეს 10 დღისა სასამართლოს წერილობით წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებები.

139. მოსამართლე თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ/თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბრძანების ფორმით. ამ ბრძანებაში აღნიშნება:

- ა. ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ. განკარგულება კონცენტრაციის გაუქმების შესახებ ან განკარგულება კონცენტრაციის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისი ვადები და განსახორციელებელი ღონისძიებები;
- გ. მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

140. რომელი მსჯელობაა სწორი:

- ა. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტიდან. ამ ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას;
- ბ. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტამდე. ამ ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას;
- გ. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტიდან. ამ ბრძანების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას;
- დ. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის მითითება ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტიდან. ამ ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.

141. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარეებისათვის ბრძანების ეგზემპლარების გადაცემიდან:

- ა. 6 დღის ვადაში;
- ბ. 8 დღის ვადაში;
- გ. 5 დღის ვადაში;
- დ. 10 დღის ვადაში.

142. სააპელაციო სასამართლო თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარს განიხილავს შეტანიდან:

- ა. 5 თვის ვადაში;
- ბ. 1 თვის ვადაში;
- გ. 3 თვის ვადაში;
- დ. 2 თვის ვადაში.

143. უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობას ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის შესახებ უნდა დაერთოს:

- ა. დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის არაერთგზის დარღვევის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- ბ. ინფორმაცია ეკონომიკური აგენტის დაყოფის (საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების) შესაძლებლობის შესახებ;
- გ. საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის საჭირო სხვა ინფორმაცია;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

VIII თავი. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

144. 03.08.2015წ. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი წარადგინა სასამართლოში მოპასუხე ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ, ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის №XX საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, მიწის ნაკვეთისათვის თვითნებურად დაკავებულის სტატუსის მინიჭების, დ. ო.-ს მესაკუთრედ ცნობის ნაწილში და დ. ო.-ს სახელზე გაცემული №XXXX საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე. სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.08.2015წ. განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი. კერძოდ, მოსარჩელეს დაევალა დაეკონკრეტებინა თუ რაში გამოიხატებოდა მხარის კანონიერი ინტერესი. კანონიერია თუ არა სასამართლოს ქმედება?

- ა. კანონიერია, რადგან კანონიერი ინტერესის არსებობა ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული, ასეთ მონაცემებს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ სარჩელის აღძვრის საბაზის ფაქტები - უფლების დარღვევა, დარღვევის საშიშროება, რაც სარჩელში მხარეს არ ჰქონდა დაკონკრეტებული;
- ბ. უკანონოა, რადგან ხარვეზის ინსტიტუტს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს;
- გ. უკანონოა, რადგან აქტის ბათილობად ცნობის თაობაზე წარდგენილ სარჩელებში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს;
- დ. კანონიერია, რადგან სასკ-ის 22-ე–25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით მოსამართლეს უფლება აქვს მოსთხოვოს მხარეს მოთხოვნის საფუძვლის დაზუსტება სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე.

145. გიორგი გორგაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო, რადგან იგი წარდგენილ იქნა უშუალოდ ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში, თუმცა ბათილად ცნობის ნაცვლად აქტი ძალადაკარგულად გამოაცხადა.

კანონიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

- ა. კანონიერია, ვინაიდან საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების საფუძველზე მოსამართლეს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით შეცვალოს სასარჩელო მოთხოვნა;
- ბ. უკანონოა, ვინაიდან მოსამართლეს სარჩელი წარმოებაში არ უნდა მიეღო, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად სარჩელი სასამართლოში მხარემ უნდა წარადგინოს უშუალო ზიანის მიყენებიდან 1 თვეში;
- გ. კანონიერია, რადგან თუ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტის, მათ შორის, კომერციული ბანკის რეზოლუციის პროცესში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ბათილად გამოცხადებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფინანსური სექტორის ფუნქციონირებას და კომერციული ბანკის დეპოზიტართა კანონიერ უფლებებს და ინტერესებს, სასამართლო უფლებამოსილია ამ ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტი ბათილად გამოცხადების ნაცვლად ძალადაკარგულად გამოაცხადოს;
- დ. კანონიერია, რადგან თუ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტის, მათ შორის, კომერციული ბანკის რეზოლუციის პროცესში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ბათილად გამოცხადებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას ან/და კომერციული ბანკის დეპოზიტართა კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს, სასამართლო უფლებამოსილია ამ ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტი ბათილად გამოცხადების ნაცვლად ძალადაკარგულად გამოაცხადოს.

146. გიორგი გორგაძემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმის გაუქმება და ახალი აქტის გამოცემის დავალდებულება. მოპასუხემ აღნიშნა, რომ სარჩელი წარდგენილი იყო სასამართლოში უარის თქმის შესახებ ბრძანების მხარისათვის ჩაბარებიდან 1 თვისა და 2 დღის შემდეგ. შესაბამისად, მოითხოვა სარჩელის დაუშვებლად ცნობა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ა. განიხილავს საქმეს, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

ბ. დაუშვებლად ცნობს სარჩელს, რადგან, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში;

გ. დაუშვებლად ცნობს სარჩელს, რადგან მოსარჩელეს სარჩელი უნდა წარედგინა არა სასკ-ის 24-ე მუხლის არამედ 22-ე მუხლის საფუძველზე;

დ. განიხილავს საქმეს, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

147. გიორგი გიორგაძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიმართ სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხისთვის მისი სრულყოფილი მკურნალობის ჩატარების დავალების მოთხოვნით. მოსარჩელემ მიუთითა, რომ აღნიშნება ოფთალმოლოგიური, უროლოგიური და ფსიქიკური პრობლემები, ასევე დაავადებულია „ბ“ ჰეპატიტით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით გიორგი გიორგაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელისთვის სამკურნალო დაწესებულებაში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევა, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მას მიღებული ჰქონდა დანიშნულებით დადგენილი პრეპარატები, ხოლო „ბ“ ჰეპატიტის მკურნალობასთან დაკავშირებით სასამართლომ გაიზიარა ინფექციონისტიკის დასკვნა, რომ მკურნალობის დროს გამოყენებული უნდა ყოფილიყო საექიმო ტაქტიკა - ანტივირუსული მკურნალობის გადავადება და პაციენტზე მეთვალყურეობის დაწესება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გიორგი გიორგაძემ. მხარემ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ა. უცვლელად დატოვებს პირველი ინსტანციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას იმ საფუძველზე, რომ პაციენტის კოდექსის თანახმად, მსჯავრდებულის უფლება სამედიცინო მომსახურებაზე დამოკიდებულია ასეთი მომსახურების საჭიროებაზე, საჭიროების საკითხს წყვეტდა შესაბამისი სპეციალისტის მქონე ექიმი. შესაბამისად, სასამართლომ გაიზიარებს ინფექციონისტის კონსულტაცია ანტივირუსული თერაპიის მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით;

ბ. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას შეცვლით მიიღებს ახალ გადაწყვეტილებას და დააკმაყოფილებს აპელანტის მოთხოვნას, რადგან „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მიხედვით, სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებისთანავე პირს უფლება აქვს მოითხოვოს სათანადო სამედიცინო გამოკვლევა, დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და საჭიროებისამებრ - სამედიცინო მომსახურება;

გ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიიღებს ახალ გადაწყვეტილებას და დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს, რადგან სასკ-ის 33¹ მუხლის

შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო, სსკ-ის 24-ე მუხლში აღნიშნულ მიკუთვნებით სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს მოქმედების განხორციელებას;

დ. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების შეცვლით მიიღებს ახალ გადაწყვეტილებას და დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს, რადგან სსკ-ის 33¹ მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო, სსკ-ის 24-ე მუხლში აღნიშნულ მიკუთვნებით სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს მოქმედების განხორციელებას.

148. რა შემთხვევაში შეიძლება აღიძრას აღიარებითი სარჩელი:

ა. აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი;

ბ. აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-24 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, მათ საფუძველზე თუ გასული არ არის სარჩელის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა;

გ. აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელეს აქვს კანონიერი ინტერესი;

დ. აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას მხოლოდ აქტის არარად აღიარების მოთხოვნის შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი.

149. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებს დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებით დავები განიხილება:

ა. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით;

ბ. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით;

გ. მხარეთა შეთანხმებით სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წარმოების წესით;

დ. კერძო არბიტრაჟის მიერ.

150. ადმინისტრაციული საქმის განხილვის დროს სასამართლოებს შორის დავას წყვეტს?

ა. სააპელაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით;

ბ. საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით;

გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა დასაბუთებული განჩინებით;

დ. დავა სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დაუშვებელია.

151. გორის რაიონული სასამართლომ წარმოებაში მიიღო გიორგი გიორგაძის სარჩელი გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ. წარმოებაში მიღების განჩინებაში მოსამართლემ განსაზღვრა სხდომის თარიღი. განჩინება მხარეებს ჩაბარდათ კანონით დადგენილი წესით, თუმცა არცერთი მხარე არ გამოცხადდა სხდომაზე.

უფლებამოსილია თუ არა სასამართლო მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება?

ა. ადმინისტრაციული სამართალწარმოება დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს;

ბ. სასამართლო არ არის უფლებამოსილი მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ორივე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია საქმის წარმოება შეწყვიტოს;

გ. მოსამართლე უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ორივე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს;

დ. სასამართლო არ არის უფლებამოსილი მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ორივე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს.

152. რა შემთხვევაში და რა ეტაპზე მიიჩნევა სასამართლო საჭიროდ განმწესრიგებელი სხდომის ჩატარებას?

ა. სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამოწმებს სარჩელის დასაშვებობის საკითხს სასკ-ის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო განმწესრიგებელ სხდომას ნიშნავს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა საეჭვოა ან მოსამართლე მიიჩნევა, რომ სარჩელი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი;

ბ. სასამართლო მოსამზადებელ სხდომის ეტაპზე ამოწმებს სარჩელის დასაშვებობის საკითხს და დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა საეჭვოობისას მოსამზადებელ სხდომას საკუთარი ინიციატივით გადაზრდის განმწესრიგებელ სხდომაში;

გ. სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ნიშნავს განმწესრიგებელ სხდომას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საეჭვოა მოსარჩელის კანონიერი ინტერესის საკითხი;

დ. სასამართლო საქმის მოსამზადებელ ეტაპზე ამოწმებს სარჩელის დასაშვებობის საკითხს მხოლოდ ქმედების განხორციელების თაობაზე წარდგენილ სარჩელებზე.

153. გამარტივებული წესით საქმის განხილვა გულისხმობს:

ა. საქმეს განიხილავს მხარეთა დაუსწრებლად;

ბ. საქმეს განიხილავს და გადაწყვეტს მხარეთა დაუსწრებლად;

გ. მესამე პირისათვის სარჩელზე საკუთარი მოსაზრების წარდგენისათვის ვადის არ განსაზღვრას;

დ. მხარეებისათვის ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადის შემოკლებას.

154. მოსარჩელემ მოსამზადებელ სხდომამდე სასამართლოს მიმართა წერილობით შუამდგომლობით. მხარემ მოითხოვა საქმის დაჩქარებული წესით განხილვა და ექსპერტიზის დანიშვნა. მოსამართლემ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობები და

მოპასუხეს არ განუსაზღვრა ვადა ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარსადგენად.

კანონიერია თუ არა მოსამართლის ქმედება?

ა. კანონიერია რადგან, საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია არ განუსაზღვროს ვადა მოპასუხეს ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარსადგენად;

ბ. უკანონოა, რადგან დაჩქარებული წესით საქმის განხილვას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, ხოლო ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის უფლება აქვს როგორც მოპასუხეს, ისე მოსარჩელეს;

გ. უკანონოა, რადგან დაჩქარებული წესით საქმის განხილვის შუამდგომლობა მხარემ სარჩელში უნდა დააყენოს. სასარჩელო განცხადების წარდგენის შემდეგ აღნიშნული შუამდგომლობის დაყენების უფლება მხარეს არ აქვს;

დ. უკანონოა, რადგან დაჩქარებული წესით საქმის განხილვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსამართლე არ დაადგენს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადას.

155. მოქმედება, რომელსაც ასრულებს მოსამართლე პროცესის დაჩქარების მიზნით:

ა. დაჩქარებული წესით განიხილავს საქმეს;

ბ. ცვლის სასარჩელო მოთხოვნას და სცდება მის ფარგლებს;

გ. საქმეს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე;

დ. ეხმარება მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

156. რომელი ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობაა სწორი:

ა. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება ჩერდება, თუ ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან;

ბ. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება ჩერდება, თუ აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას;

გ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

დ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი სწორია.

157. გიორგი გიორგაძემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება. სარჩელში მხარემ იშუამდგომლა აქტის მოქმედების შეჩერებაზე. აღნიშნული მოთხოვნა მხარემ დაასაბუთა იმ გარემოებით, რომ გადაუდებელი აღსრულებით მას მიადგებოდა არსებითი ზიანი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სრულად შესაბამისობაში იყო საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 30¹ მუხლთან და დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა. სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება საჩივრით გასაჩივრა მოპასუხე მხარემ და აღნიშნა, რომ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე დასაშვებია თუ არსებობს დასაბუთებული ექვი ამ აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ

შეუძლებელი გახდება პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა. შესაბამისად, საჩივრით მოითხოვა პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განჩინების გაუქმება.

რა განჩინებას მიიღებს თბილისის სააპელაციო სასამართლო?

ა. თბილისის სააპელაციო სასამართლო დააკმაყოფილებს მოპასუხის მოთხოვნას, რადგან სასკ-ი არ ითვალისწინებს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას გადაუდებელი აღსრულებისას არსებითი ზიანის მიყენების საფუძველით;

ბ. თბილისის სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს საჩივარს წარმოებაში, რადგან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ განჩინება საჩივრდება გადაწყვეტილებასთან ერთად;

გ. თბილისის სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს საჩივარს წარმოებაში, რადგან სასამართლო განჩინებაზე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე დაიშვება მხოლოდ კერძო საჩივარი;

დ. თბილისის სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს საჩივარს წარმოებაში, რადგან სასკ-ი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას არ ითვალისწინებს.

158. რომელი მსჯელობაა მართებული?

ა. სასამართლოს შეუძლია სარჩელის აღძვრისას მხარის შუამდგომლობით შეაჩეროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, თუ მისი გადაუდებელი აღსრულებით პირს მიადგება არსებითი ზიანი ან შეუძლებელი გახდება პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა;

ბ. სასამართლოს შეუძლია სარჩელის წარმოებაში მიღებისას თავისი ინიციატივით შეაჩეროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ამ აქტის კანონიერების თაობაზე;

გ. სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მხარის შუამდგომლობით შეაჩეროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ამ აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულებით პირს მიადგება არსებითი ზიანი ან შეუძლებელი გახდება პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა;

დ. სასამართლოს შეუძლია სარჩელის აღძვრისას მხარის შუამდგომლობით შეაჩეროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ამ აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულებით პირს მიადგება არსებითი ზიანი ან შეუძლებელი გახდება პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა.

159. ვის აქვს უფლება მიიღოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ?

ა. მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს;

ბ. საქმის განმხილველ ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოს;

გ. მხარის შუამდგომლობის არსებობის შემთხვევაში ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოს;

დ. მხოლოდ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს.

160. 2018 წლის 11 დეკემბერს გიორგი გიორგაძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული ოფისის, თომა თომამძისა და ნიკა ნიკოლაძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის ახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დავალება, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ... ზედდების ნაწილში საკადასტრო კოდის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გაუქმება. ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ 2020 წლის 5 მარტს მიიღო დროებითი განჩინება, რომლითაც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, დავის საგანზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, აეკრძალა გიორგი გიორგაძის, თომა თომამძისა და ნიკა ნიკოლაძის თანასაკუთრების უფლებით რიცხული სადავო უძრავი ნივთების, მდებარე: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ..., საკადასტრო კოდები: ... და ..., გასხვისება და სხვაგვარი უფლებრივი დატვირთვის რეგისტრაცია.

კანონიერია თუ არა სასამართლოს ქმედება?

ა. კანონიერია, რადგან დავის საგანთან დაკავშირებით სასამართლოს ნებისმიერ დროს აქვს უფლება მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება;

ბ. კანონიერია, რადგან სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო;

გ. უკანონოა, რადგან, დროებითი განჩინების გამოტანის უფლება სასამართლოს აქვს მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე;

დ. უკანონოა, რადგან დროებითი განჩინება მიიღება მხოლოდ განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. ასევე, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო.

161. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ნიკო ნიკოლაძემ და მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე ადმინისტრაციულმა ორგანომ საკუთარი ინიციატივით ბათილად ცნობა გასაჩივრებული აქტი.

როგორ უნდა მოქცეს სასამართლო?

ა. უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება დავის საგნის არ არსებობის საფუძველით;

ბ. სარჩელი უნდა დატოვოს განუხილველად;

გ. მხარის კანონიერი ინტერესის არსებობისას და მისი მოთხოვნით, ბათილად ცნოს ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

დ. მხარის კანონიერი ინტერესის არსებობისას საკუთარი ინიციატივით ბათილად ცნოს ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

162. რა შემთხვევაშია სასამართლო უფლებამოსილო თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი?

ა. თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;

ბ. სადავო საკითხი არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას;

გ. თუ საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას;

დ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში.

სასამართლო პრაქტიკა

მუხლი 22. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქმე №33/2245-17 თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

სააპელაციო სასამართლო პირველ რიგში ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული პროცესის თავისებურებაზე და განმარტავს: ადმინისტრაციული სარჩელის განხილვა წარმოებს ორი საპროცესო სტადიის მეშვეობით: 1. სარჩელის დასაშვებობა; 2. სარჩელის დასაბუთებულობა.

მოსარჩელის მიერ უფლებების რეალიზაციის მიზნით გამოყენებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სარჩელის სახე. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის და ადმინისტრაციული პროცესისათვის დადგენილი დასაშვებობის კრიტერიუმების ანალიზი ცხადყოფს, მოსარჩელის უფლებებისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ან/და კანონიერი ინტერესების ხელყოფის ფაქტის დაუდასტურებლობა გამორიცხავს სასამართლოს მხრიდან პროცესის მე-2 სტადიაზე გადასვლის შესაძლებლობას, სწორედ აღნიშნულითაა განპირობებული სასამართლოს ვალდებულება სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე იმსჯელოს მოსარჩელის უფლებებთან მიმართებაში სადავო აქტის ზემოქმედების ფაქტორზე. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირდაპირ და უშუალო გავლენას უნდა ახდენდეს პირის უფლებაზე ან ინტერესებზე, ანუ სარჩელის შემტანს სარჩელში დასმული საკითხებისადმი უშუალო უფლებადამცავი ინტერესი უნდა ჰქონდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინტერესის არსებობა ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული, ასეთ მონაცემებს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ სარჩელის აღძვრის საბაზის ფაქტები - უფლების დარღვევა, დარღვევის საშიშროება.

სააპელაციო სასამართლო არ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიციას სადავო აქტის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობის თაობაზე და განმარტავს: მოსარჩელის ინტერესში და მისთვის მიყენებულ ზიანში იგულისხმება კონკრეტული კატეგორია, კერძოდ, ხელყოფა უნდა შეეხებოდეს მოსარჩელის იმ უფლებას, რომელიც დაცულია მატერიალური კანონმდებლობით და აქტის ბათილობის პირობებში

იძლევა პირის უფლებებში აღდგენის შესაძლებლობას. სააპელაციო პალატის აზრით, ინტერესი, რომელზედაც მიუთითებს კერძო საჩივრის ავტორი წარმოადგენს კანონიერ ინტერესს, რადგან სადავო ბრძანების ბათილად ცნობა წარმოშობს კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს, დაადასტურებს სადავო მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის საკუთრებით-სამართლებრივ უფლებებს. შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტა მოსარჩელის ინტერესზე მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია დაუსაბუთებლად. თუმცა, ამავდროულად სააპელაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული პროცესის მეორე თავისებურებაზე. როგორც აღნიშნა, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია შეცილებითი სარჩელი, რაც ნიშნავს იმას, რომ სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს ასკ-ის 22-ე მუხლის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული მუხლების ანალიზი, დ. ო.-ს და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნების შესწავლა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ წარდგენილი სარჩელი თავისი შინაარსით წარმოადგენს შეგებულ სარჩელს. ადმინისტრაციული ორგანო თავადვე ადასტურებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილება გამორიცხავს დ. ო.-ს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რამდენადაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-6 ნაწილი გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შეგებულ სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი უნდა შეფასდეს აღნიშნული საპროცესო შეზღუდვისათვის თავის არიდების მცდელობად, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული პროცესის არსს, საპროცესო შეზღუდვას შეგებულ სარჩელის დაუშვებლობის თაობაზე, აქცევს ფორმალურ, გამოუსადეგარ ნორმად და გზას უხსნის პარალელური სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას.

მუხლი 23, მუხლი 32, მუხლი 33.

აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

საქმე №ბს-797(კ-18) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

მოსარჩელის მოთხოვნა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ეხება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მმართველობითი ფუნქციის განხორციელების სამართლებრივი ფორმა. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება კონკრეტულ შემთხვევებში მმართველობითი ფუნქციის განხორციელების თაობაზე, სასამართლო ვერ შეითავსებს ამ ფუნქციებს. კანონმდებლობა გამონაკლისის სახით უშვებს სადავოდ ქცეული მმართველობითი ფუნქციის სასამართლოს მიერ განხორციელების შესაძლებლობას მთელი რიგი წინაპირობების დაცვით. სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის გარემოებების დამატებით გამოკვლევას, ამასთანავე, საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას (სსკ-ის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სწორედ უკანასკნელს განეკუთვნება მოცემულ შემთხვევაში 21-ე დავალების

კომპონენტების პრიორიტეტულობა, თითოეული ელემენტის (მაგალითის მოყვანა, უნარების დასახელება, უნარების განვითარების დასაბუთება) მნიშვნელობის განსაზღვრა.

სსსკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული მავალდებულებელი სარჩელით პირი სსსამართლოს მიმართავს არსებული მდგომარეობის შეცვლის და შესაბამისად, მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევის მიზნით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობის პირობებს სსსკ-ის 23-ე მუხლი, ხოლო სარჩელის საფუძვლიანობის პირობებს 33-ე მუხლი განსაზღვრავს. აქტის არსებობას, აქტის გამოცემაზე უარის თქმას უკავშირდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიზანია არა აქტის გამოცემაზე არსებული მდგომარეობის აღდგენა (სსსკ-ის 22-ე მუხ.), არამედ არსებული მდგომარეობის შეცვლა (სსსკ-ის 23-ე მუხ.) და მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევა (სუსგ 25.03.09წ. #ბს-1448-1406 (კს-08)). მოცემულ შემთხვევაში მავალდებულებელი სარჩელი, აქტის გამოცემის მოთხოვნა უცილობლად მოიცავს უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნას, რომლის ბათილად ცნობის გარეშე შეუძლებელია აქტის გამოცემის დავალება. შესაბამისად, სამინისტრო და სსიპ გამოცემისა და შეფასების ეროვნული ცენტრი მოცემულ დავაში სოლიდარულ მოპასუხეებს წარმოადგენენ, შესაბამისად ერთ-ერთის მიერ სააპელაციო სსსამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ადასტურებს გადაწყვეტილების სრულად გასაჩივრებას.

საერთო წესის თანახმად, მავალდებულებელი სარჩელის განხილვისას აქტის გამოცემაზე უარის კანონიერების დასადგენად აქცენტი კეთდება არა იმდენად უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლებზე, რამდენადაც აქტის გამოცემაზე, მოთხოვნილი აქტის გამოცემის წინაპირობების არსებობაზე. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა საგამოცდო კომისიის დისკრეციულ სფეროს შეეხება (სზაკ-ის 2.1 მუხ. „ლ“ ქვ.პ., მე-6, მე-7 მუხ.). უკვე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სსსამართლო არ არის უფლებამოსილი თავად გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ საკითხი განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, შესაბამისად, მოცემულ დავაში, საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების დისკრეციული ხასიათის გამო, ყურადღება უნდა გამახვილდეს უარის თქმის შესახებ საგამოცდო კომისიის სადავო აქტის კანონიერებაზე. ამდენად, უარის შესახებ აქტის არსებობა არსებით შედეგს იწვევს მოთხოვნილი აქტის გამოცემის საკითხის გადაწყვეტისათვის. საკვსაცო სსსამართლო აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების უშეცდომოდ განხორციელების მოთხოვნის უფლება იმით განსხვავდება ჩვეულებრივი გადაწყვეტილების მიმართ წარმოშობილი მოთხოვნის უფლებიდან, რომ პირველ შემთხვევაში აქცენტი კეთდება არა კონკრეტული შინაარსის გადაწყვეტილების მიღებაზე, არამედ დისკრეციული უფლებამოსილების უშეცდომოდ განხორციელებაზე. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში შეცდომად მიიჩნევა დასაბუთების ვალდებულების უგულებელყოფა მხოლოდ შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილ პრეტენზიაზე უარის დასაბუთების მეშვეობით არის შესაძლებელი საკითხზე გამოტანილი გადაწყვეტილების სისწორე. დასაბუთებიდან უნდა ირკვეოდეს, თუ რა გარემოებებმა და შეხედულებებმა მოახდინეს გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე. შესაბამისად, გადაწყვეტილების შემოწმებისას სსსამართლოსათვის თვალსაჩინო უნდა გახდეს თუ რა ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება დისკრეციული გადაწყვეტილება და მისი მიღების პროცესი. განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება სადავო აქტით მოსარჩელის უფლებების ხელყოფა.

სადავო აქტი მიღებულია უფლებამოსილი, კოლეგიური ორგანოს მიერ, გადაწყვეტილება მიღებულია ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების, საკითხის სრულად გამოკვლევის შედეგად, აქტი დასაბუთებულია.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ სარჩელთან (სსკ-ის 23-ე მუხ.) დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლოა ორი სახის იყოს: სასამართლოს შეუძლია დაავალოს აქტის გამოცემა ან თავად სასამართლომ მოაწესრიგოს სადავო საკითხი. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოპასუხემ არ შეასრულა კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლოს გადაწყვეტილების დანაწესი. დისკრეციული უფლებამოსილების სასამართლო კონტროლის თავისებურებაა ის, რომ სასამართლო არ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას და ამგვარად არ იჭრება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციაში. საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი 11.06.15წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილშივეა მითითებული, რომ სადავო აქტები ბათილად იქნა ცნობილი სადავო საკითხის გადაუწყვეტლად. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში მყოფ 11.06.15წ. გადაწყვეტილებაში სასამართლო პირდაპირ უთითებს, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი გადაამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა ანუ მისი დისკრეციის განხორციელების მართლობიერება, სასამართლომ აღნიშნა აგრეთვე, რომ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გადაწყვიტოს სადავო საკითხი, ვინაიდან სასერტიფიკაციო გამოცდაზე მიღებული ქულის მომატება კომისიის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

საქალაქო სასამართლოს 11.06.15წ. გადაწყვეტილება გამოტანილია სსკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, რომელიც სსკ-ის 23-ე და 31-ე, 33-ე მუხლებისაგან განსხვავებით ითვალისწინებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის არა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ აქტის გამოცემის დავალებას, არამედ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად დასაბუთებული აქტის გამოცემის დავალებას, ამასთანავე, სსკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობა არ გამორიცხავს ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად იმავე შინაარსის გადაწყვეტილების მიღებას (სუსგ 20.04.06წ. №ბს-1291-866(კ-05); 18.10.18წ. №ბს-368-368(კ-18); 04.10.2018წ. №ბს-567-567(კ-18)). ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმავე შინაარსის გადაწყვეტილების განმეორებით მიღების დაუშვებლობის, აღნიშნულით ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპის დარღვევის შესახებ. 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს არ ევალება კონკრეტული შინაარსის ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, ასეთ შემთხვევაში გასაჩივრებული აქტი უქმდება დავის გადაუწყვეტლად, გამოსაცემი აქტის შინაარსი დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შედეგებზე. სასამართლო გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული ორგანოსათვის კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება ხდება სასამართლო გადაწყვეტილების სსკ-ის 33-ე მუხლის და არა 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში. ამდენად, ის გარემოება, რომ ნ. მ-ის თავდაპირველი სარჩელის განხილვის შედეგად ქულის მომატებაზე უარის თქმის შესახებ აქტები ბათილად იქნა ცნობილი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საკითხის ხელახალი განხილვის შედეგად ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა,

არ ნიშნავს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დაუშვებლობას. გამოსაცემელი პირის უფლების დაცვა მოითხოვს იმას, რომ წერითი გამოცდების მიმართ გამომცემელის შეფასება იყოს სათანადოდ დასაბუთებული. №21 დავალებაზე გაცემული წერილობითი პასუხის თავდაპირველი შეფასება არ იყო დასაბუთებული, აქტი არ შეიცავდა რაიმე მოტივაციას, ასეთ პირობებში სასამართლომ მიიჩნია, რომ ქულის მომატების მოთხოვნის დაკმაყოფილება არ იყო გამორიცხული, რის გამოც დავის გადაწყვეტლად სადავო აქტები ბათილად იქნა ცნობილი და მოპასუხეებს დაევალიათ წერილობითი ნაშრომის ხელახალი შეფასება. ხელმეორე აქტი შეიცავს დამაჯერებელ დასაბუთებას. დისკრეციულ სფეროში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კონტროლის მიზანს, დასაბუთების ვალდებულების შეუსრულებლობა ასეთი უფლებამოსილების დარღვევით განხორციელებად ფასდება და შესაძლოა გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. სასამართლო ამოწმებს არა შერჩეული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, არამედ მის კანონიერება-დასაბუთებულობას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს, რომ მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე მისაღები, ოპტიმალური იყო არსებული შესაძლებლობებიდან და არა თავად განუსაზღვროს ორგანოს ალტერნატიული ზომებიდან გამოსაყენებელი ზომა, საწინააღმდეგო იქნებოდა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში შეჭრა, სასამართლო კონტროლის ფარგლების გადაცილებას, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევას (სუსგ 25.02.2014წ. №სს-421-410(კ-13)).

კანონმდებლობა ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ ადგენს დასაბუთების მოთხოვნას (სზაკ-ის 53-ე მუხ. 1-ლი ნაწ.), თუმცა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აქტის დასაბუთების საერთო იმპერატივი დამატებით მოთხოვნებს ითვალისწინებს (სზაკ-ის 53-ე მუხ. მე-4 ნაწ.). აქტის დასაბუთების შინაარსისა და მოცულობისადმი მოთხოვნები დეტერმინირებულია საკითხის თავისებურებებით. სხვა გადაწყვეტილების მსგავსად, მიხედულების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს მნიშვნელოვან ფაქტობრივ და სამართლებრივ ასპექტებზე მითითებას. დასაბუთებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისკრეციული აქტებისათვის, დასაბუთების არარსებობა არის აქტის გაუქმების საფუძველი (სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში შესაძლოა საკმარისად იქნეს მიჩნეული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთების სასამართლოსათვის წარდგენა). ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია რაიმე აღმატებული სტატუსი ან აბსოლუტური ძალაუფლება, რაც ავალდებულებს მას დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, ხსენებული ზრდის აქტის ხარისხს. წარდგენილ პრეტენზიასთან დაკავშირებით დასაბუთების მოთხოვნა სამართლებრივი სახელმწიფოს ჯანსაღი გამოვლინებაა. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება გულისხმობს გადაწყვეტილების შედეგის დასაბუთებას, რომლის მეშვეობით ორკვევა მიღებულ იქნა თუ არა უშეცდომო გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტი შეიცავს მითითებას იმ მოსაზრებებზე და გარემოებებზე, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს, არ დასტურდება კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება საქმის გარემოებების ან კანონის არასწორად განმარტების საფუძველზე. სადავო 31.10.16წ. აქტის შინაარსით დასტურდება, რომ კომისიამ სრულად დაადგინა საქმის გარემოებები, გაეცნო №21 დავალების შინაარსს, ნ. მ-ის წერილობით პასუხს, იხელმძღვანელა ცენტრის დირექტორის 22.07.14წ. №173/14 ბრძანებით დამტკიცებული სქემით, კომისიამ

გაანალიზა №21 დავალების ელემენტები, დავალებაზე გაცემული პასუხი. კომისიამ მიიჩნია, რომ დავალების პრობის მიხედვით აპლიკანტი ვალდებული იყო მოეყვანა დიაგრამის ეფექტიანი გამოყენების კონკრეტული მაგალითი, დაესახელებინა რომელი უნარების განვითარებას უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება და დაესაბუთებინა პასუხი. კომისიამ მიიჩნია, რომ მინიმუმ ორი განსხვავებული უნარის ნაცვლად დასახელებულია მხოლოდ ერთი, პასუხი არ არის დასაბუთებული, კომისიამ მიიჩნია, რომ დავალება სანახევროდ იყო შესრულებული. იმის გათვალისწინებით, რომ ღია ტიპის დავალება 4 ქულიანი იყო, ხოლო დავალება სანახევროდ იყო შესრულებული, კომისიამ იხელმძღვანელა 22.07.14წ. №173/14 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სქემით განსაზღვრული კრიტერიუმებით. აქტში გაანალიზებულია სქემით დადგენილი მოთხოვნები 2 ქულიანი და 3 ქულიანი შეფასებისათვის. კომისიამ აღნიშნა, რომ პასუხი არ შეიცავს მინიმუმ ორ განსხვავებულ უნარზე მითითებას, პასუხში არ იკვეთება არავითარი დასაბუთების მცდელობა, არ არის დასაბუთებული (თუნდაც სქემატურად), თუ რატომ უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება ამა თუ იმ უნარის განვითარებას, შეკითხვის 3 კომპონენტიდან ფაქტობრივად პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთზე, რაც კომისიის აზრით არ შეესაბამება 3 - ქულიანი შეფასების კრიტერიუმს, რომელიც მოითხოვს დავალებაზე გააზრებულ და სწორ მსჯელობას. ამდენად, არსებულ პასუხში 1 ქულის მომატების მოთხოვნაზე უარი დასაბუთებულია. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის დისკრეციული უფლებამოსილების გადაჭარბება, ფარგლების გადაცილება (სზაკ-ის მე-6 მუხ.), კომისიის სადავო გადაწყვეტილება არ სცილდება გონიერების და მიხედულების ფარგლებს, არ დასტურდება მოპასუხის მხრიდან თვითნებობის ჩადენა, დისკრეციული უფლებამოსილების იმ მიზნის საწინააღმდეგოდ განხორციელება, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება ორგანოს (სზაკ-ის 6.2 მუხ.), კომისიის მხრიდან არ დასტურდება არაობიექტურობა, ტენდენციურობა, მოსარჩელის მიმართ თანასწორობის პრინციპის დარღვევა, შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დაფუძნება არასრულ ან საქმისათვის მნიშვნელობის არმქონე ფაქტობრივ ან სამართლებრივ გარემოებებზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ კომისიამ ობიექტურად, ადეკვატურად შეაფასა წერილობითი პასუხი, სადავო გადაწყვეტილება არ დაფუძნებულია ისეთ გარემოებებზე, რომელიც არ იქნა სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული ადმინისტრაციული წარმოების დროს (სზაკ-ის 53-ე მუხ., 96-ე მუხ.).

მუხლი 24, მუხლი 33 მავალდებულებელი სარჩელი

საქმე №ბს-728-720(კ-16) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ აღძრა მავალდებელი სარჩელი, კერძოდ მის მოთხოვნას შეადგენდა ქმედების განხორციელების დავალება (სასკ-ის 24-ე მუხ.) და არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება (სასკ-ის 23-ე მუხ.). მავალდებელი სარჩელის აღძვრისას სარჩელის მოზანია ისეთი ქმედების განხორციელება ან ისეთი ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება, რაც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. მოცემულ შემთხვევაში სააკვეციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მავალდებელ სარჩელზე გადაწყვეტილების გამოტანის წესს, ვინაიდან გადაწყვეტილებით დადგინდა არა ქმედების განხორციელების

დავალება, არამედ მოპასუხეს დაევალა მსჯელობა მოთხოვნილი თანხის ანაზღაურებაზე. საპროცესო კანონმდებლობა მოითხოვს მიკუთვნებითი სარჩელის არსებით გადაწყვეტას, ასეთად ვერ ჩაითვლება მსჯელობის დავალება. ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათის მიუხედავად ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეში სარჩელზე უფლება არ კარგავს დისპოზიციურ ხასიათს, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმაზე, რომ სარჩელის სახის შერჩევა მოსარჩელის უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება, არ ადასტურებს სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების კანონიერებას. სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე აღძრული მავალელები სარჩელით მოსარჩელე მოპასუხისაგან მოითხოვს არა აქტის გაუქმებას ან გამოცემას, არამედ ქმედების (რეალაქტის) განხორციელებას ან ასეთი ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებას. სარჩელის აღნიშნული სახეობა შეცლებითი (სასკ-ის 22-ე მუხ.) და მავალელები (სასკ-ის 23-ე მუხ.) სარჩელებისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს ხელახალი განხილვისთვის საკითხის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაბრუნების ან აღნიშნულის შედეგად საკითხზე მსჯელობის დავალების შესაძლებლობას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე არ ითხოვდა სამართლებრივ მოწესრიგებას, ის მოითხოვდა უბრალოდ ფაქტობრივი მოქმედების განხორციელებას, თანხის გადახდას, ამ მიზნის მიღწევის საპროცესო საშუალებას წარმოადგენს სასკ-ის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის სახე. იმ შემთხვევაში თუ მოქმედი კანონმდებლობით ქმედების განხორციელებამდე აქტი უნდა გამოიცეს, რომლის გამოცემაზეც დანტერესებულ პირს ეთქვა უარი, ასეთ შემთხვევაში დასაშვებია სასკ-ის 23-ე და 24-ე მუხლებით გათვალისწინებული კომბინირებული სარჩელის აღძვრა. განსახილველ შემთხვევაში აღძრულია მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელი. მიკუთვნებითი სარჩელის (სასკ-ის 24-ე მუხ.) მიზანია რაიმე ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნა ან ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების დავალების მოთხოვნა. სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის გადაწყვეტით სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს მოქმედების განხორციელებას ან ამ მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებას და არა საკითხზე მსჯელობას. იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელეს ჰქონდა სახელმწიფოს საშინაო ვალის მექანიზმის დადგენის შემოღების დაჩქარების ინტერესი, ხოლო სასამართლო თვლიდა, რომ დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნა საჭიროებდა აგრეთვე დავალიანების ანაზღაურების კონკრეტული წესის შემოწმებას, უნდა მომხდარიყო სარჩელის დაზუსტება ან ტრანსფორმირება (სასკ-ის 281 მუხ.), რასაც ადგილი არ ჰქონია. სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირება, შეცვლა ან დაზუსტება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე მხარე ამგვარ პოზიციას გამოხატავს, რაც არ დასტურდება საქმის მასალებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 24-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის საფუძველიანობის შემოწმება ხდება სასკ-ის 33¹ მუხლის მიხედვით. მოთხოვნილი რეალაქტის მატერიალური კანონიერების შემოწმებისათვის მნიშვნელოვანია მისი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლების დადგენა.

მუხლი 29, მუხლი 31. მავალეებულებელი სარჩელი
საქმე №ბს-376-376(2კ-18) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში უფლების დროებითი დაცვის სამართლებრივი საშუალებები ამავე

კოდექსით განსაზღვრული სარჩელის სახეების მიხედვით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის ღონისძიება გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე, ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას წარმოადგენს, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ყველა სხვა სახის სარჩელთან მიმართებაში. განსახილველი კატეგორიის საქმეებზე სასარჩელო წარმოების დაწყებისას, მოსარჩელეს აქვს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება. მხარის შუამდგომლობის წარდგენისას, სასამართლო შესაბამისი შემოწმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. ასეთი სახის განჩინება უზრუნველყოფს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარ მოწესრიგებას, თუ ეს მოწესრიგება აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძველების გამო და უზრუნველყოფს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების თავიდან აცილებას. როგორც უკვე აღინიშნა, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მოხელის იმავე თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენის შესახებ. გადაწყვეტილების აღსრულების შედეგები არის განსხვავებული იმის გათვალისწინებით, თუ როგორ განხორციელდა უფლების დაცვა. თუკი სარჩელის განხილვის ეტაპზე მოხდება გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება უფლების დაცვის დროებითი საშუალების ფარგლებში, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხელე დაუყოვნებლივ იქნეს აღდგენილი იმავე თანამდებობაზე, რამდენადაც სადავო თანამდებობაზე არ მომხდარა სხვა პირის დანიშვნა. ხოლო თუ ეს უფლება არ არის გამოყენებული და მოხელის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე დანიშნულია სხვა პირი, ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს სამსახურში აღდგენილი მოხელის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნა იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები საჯარო სამსახურის ბიუროსათვის მიმართვის გზით, მოხელის საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფას ვაკანტურ თანამდებობაზე დასაქმების მიზნით, ხოლო თუ ამ გზითაც ვერ აღდგება მოხელე სამსახურში, აღნიშნული ეცნობება ბიუროს, რომელიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უკანონოდ გათავისუფლებულ მოხელეს ჩარიცხავს მოხელეთა რეზერვში 2 წლის ვადით, ამავდროულად, უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისათვის 6 თვის განმავლობაში კომპენსაციის გადახდის ვალდებულება ეკისრება იმ საჯარო დაწესებულებას, რომლიდანაც მოხდა პირის უკანონოდ გათავისუფლება. ამდენად, პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი უზრუნველყოფს მოხელეს იმ უფლებებით და შეღავათებით, რაც ამ კანონით არის დადგენილი. მოხელე საჯარო დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში დაცულია სწორედ ამ საჯარო-სამართლებრივი ნორმატიული აქტით, რომელიც ქმნის გარანტიას, რომ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით იქნება განხილული როგორც შრომითი მოწყობის, დაწინაურების, აგრეთვე, მისი გათავისუფლების საკითხიც.

IX თავი. აპელაცია და კასაცია, საქმის წარმოების განახლება

163. კომპანიამ სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელიც გულისხმობდა, ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის სასარგებლოდ თანხის გადახდევინებას, თანხის ოდენობა კი შეადგენდა 1500 ლარს.

კომპანიას საჩივრის სააპელაციო წესით განხილვაზე უარი ეთქვა, რადგანაც დავის საგნის ღირებულება იყო მცირე.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

ა. სწორად მოიქცა, სასამართლოს ჰქონდა ამის უფლებამოსილება;

ბ. არ მოიქცა სწორად, სააპელაციო საჩივარი დაიშვება, მიუხედავად სარჩელის ფასისა;

გ. სწორად მოიქცა, სააპელაციო საჩივრის დასაშვებად, არსებითია სარჩელი ფასის განსაზღვრა;

დ. არ მოიქცა სწორად, სასამართლოს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება.

164. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთპიროვნულად განიხილა მოქალაქის საჩივარი, რითაც იგი ითხოვდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსაგან საჯარო ინფორმაციის მიღებას. ჰქონდა თუ არა მოსამართლეს საქმის ერთპიროვნულად განხილვის უფლებამოსილება?

ა. მოსამართლეს ჰქონდა ამის უფლებამოსილება;

ბ. მოსამართლეს შეეძლო საჭიროებისამებრ მიეღო გადაწყვეტილება;

გ. მოსამართლეს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება;

დ. მოსამართლეს ჰქონდა ამის ვალდებულება.

165. რომელია სწორი ფორმულირება?

ა. ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 3 თვე;

ბ. ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 9 თვე;

გ. ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ არის განსაზღვრული კოდექსით;

დ. ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 6 თვე.

166. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს?

ა. 1 თვეს;

ბ. 3 თვეს;

გ. 6 თვეს;

დ. 2 თვეს.

167. დასაშვებია თუ არა საკასაციო წესით საქმის განხილვისას მესამე პირების ჩაბმა ?

ა. დასაშვებია;

ბ. დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მესამე პირების;

გ. არ არის დასაშვები;

დ. დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მესამე პირების.

სწორი პასუხები

ტესტები საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ სამართალში

- | | |
|-------|-------|
| 1. დ | 40. დ |
| 2. ბ | 41. ბ |
| 3. ბ | 42. ბ |
| 4. ა | 43. დ |
| 5. დ | 44. ა |
| 6. ბ | 45. დ |
| 7. ა | 46. ა |
| 8. ბ | 47. ბ |
| 9. ბ | 48. ბ |
| 10. ა | 49. ბ |
| 11. ბ | 50. დ |
| 12. დ | 51. ბ |
| 13. დ | 52. ბ |
| 14. ბ | 53. დ |
| 15. დ | 54. ბ |
| 16. დ | 55. ა |
| 17. დ | 56. დ |
| 18. ბ | 57. ა |
| 19. ბ | 58. ბ |
| 20. ბ | 59. ბ |
| 21. ბ | 60. ბ |
| 22. ა | 61. დ |
| 23. ბ | 62. დ |
| 24. ბ | 63. ბ |
| 25. ბ | 64. ა |
| 26. დ | 65. ბ |
| 27. ა | 66. ა |
| 28. ბ | 67. დ |
| 29. ბ | 68. ა |
| 30. დ | 69. ბ |
| 31. დ | 70. ა |
| 32. ა | 71. ბ |
| 33. ბ | 72. დ |
| 34. ბ | 73. ბ |
| 35. ა | 74. დ |
| 36. ბ | 75. ბ |
| 37. ა | 76. დ |
| 38. ბ | 77. ბ |
| 39. ბ | 78. დ |

- | | | | |
|------|---|------|---|
| 79. | ს | 122. | ბ |
| 80. | ბ | 123. | ს |
| 81. | ც | 124. | ბ |
| 82. | ბ | 125. | ბ |
| 83. | ც | 126. | ს |
| 84. | ს | 127. | ც |
| 85. | ც | 128. | ს |
| 86. | ბ | 129. | ბ |
| 87. | ს | 130. | ს |
| 88. | ბ | 131. | ბ |
| 89. | ბ | 132. | ც |
| 90. | ბ | 133. | ბ |
| 91. | ც | 134. | ბ |
| 92. | ბ | 135. | ს |
| 93. | ს | 136. | ბ |
| 94. | ს | 137. | ც |
| 95. | ბ | 138. | ბ |
| 96. | ბ | 139. | ც |
| 97. | ც | 140. | ბ |
| 98. | ბ | 141. | ბ |
| 99. | ბ | 142. | ბ |
| 100. | ც | 143. | ბ |
| 101. | ც | 144. | ს |
| 102. | ს | 145. | ს |
| 103. | ბ | 146. | ბ |
| 104. | ს | 147. | ბ |
| 105. | ბ | 148. | ბ |
| 106. | ბ | 149. | ც |
| 107. | ბ | 150. | ბ |
| 108. | ს | 151. | ბ |
| 109. | ბ | 152. | ს |
| 110. | ს | 153. | ს |
| 111. | ც | 154. | ს |
| 112. | ბ | 155. | ს |
| 113. | ს | 156. | ბ |
| 114. | ბ | 157. | ს |
| 115. | ბ | 158. | ც |
| 116. | ც | 159. | ს |
| 117. | ს | 160. | ს |
| 118. | ბ | 161. | ც |
| 119. | ბ | 162. | ს |
| 120. | ს | 163. | ც |
| 121. | ც | 164. | ს |

165. ღ
166. ბ
167. ღ
168. ა
169. ღ
170. ღ
171. ა
172. ბ
173. ღ
174. ბ
175. ღ
176. ბ
177. ბ
178. ღ
179. ბ
180. ა
181. ბ
182. ბ
183. ღ
184. ბ
185. ბ
186. ბ
187. ღ
188. ა
189. ბ
190. ა
191. ბ
192. ღ
193. ბ
194. ბ
195. ღ
196. ბ
197. ღ
198. ა

199. ბ
200. ბ
201. ბ
202. ღ
203. ღ
204. ბ
205. ბ
206. ღ
207. ღ
208. ღ
209. ბ
210. ა
211. ბ
212. ბ
213. ა
214. ღ
215. ა
216. ბ
217. ბ
218. ბ
219. ა
220. ბ
221. ა
222. ღ
223. ბ
224. ა
225. ბ
226. ბ
227. ბ
228. ღ
229. ბ
230. ბ
231. ბ
232. ბ

ტესტები საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში

- | | |
|-------|-------|
| 1. ა | 43. ბ |
| 2. ბ | 44. ა |
| 3. დ | 45. დ |
| 4. ა | 46. ბ |
| 5. ა | 47. ა |
| 6. ბ | 48. ბ |
| 7. ბ | 49. ბ |
| 8. დ | 50. ბ |
| 9. ბ | 51. დ |
| 10. ა | 52. ა |
| 11. დ | 53. დ |
| 12. დ | 54. ბ |
| 13. ა | 55. დ |
| 14. ბ | 56. ბ |
| 15. დ | 57. ბ |
| 16. ბ | 58. ა |
| 17. ბ | 59. ბ |
| 18. ა | 60. ბ |
| 19. ბ | 61. ა |
| 20. დ | 62. ბ |
| 21. ბ | 63. დ |
| 22. ბ | 64. ბ |
| 23. ბ | 65. დ |
| 24. დ | 66. ა |
| 25. დ | 67. ა |
| 26. ბ | 68. ბ |
| 27. დ | 69. ა |
| 28. დ | 70. დ |
| 29. დ | 71. ბ |
| 30. ა | 72. ა |
| 31. დ | 73. ბ |
| 32. ბ | 74. დ |
| 33. დ | 75. ა |
| 34. ბ | 76. დ |
| 35. დ | 77. ბ |
| 36. დ | 78. ბ |
| 37. ბ | 79. დ |
| 38. ბ | 80. დ |
| 39. ბ | 81. დ |
| 40. ა | 82. ა |
| 41. ბ | 83. ბ |
| 42. დ | 84. ა |

85. ბ
86. ა
87. გ
88. ბ
89. გ
90. გ
91. გ
92. ბ
93. ა
94. გ
95. ა
96. ბ
97. ა
98. გ
99. ა
100. გ
101. ბ
102. ა
103. ბ
104. გ
105. გ
106. გ
107. გ
108. ა
109. ა
110. ა
111. გ
112. ა
113. ბ
114. ა
115. ბ
116. ბ
117. გ
118. ა
119. ა
120. ბ
121. ა
122. ბ
123. ბ
124. გ
125. ბ

126. ა
127. ა
128. ბ
129. ა
130. ბ
131. გ
132. ბ
133. ბ
134. ა
135. ა
136. ბ
137. ა
138. გ
139. გ
140. ა
141. ბ
142. ბ
143. გ
144. ა
145. გ
146. ბ
147. ბ
148. ა
149. ბ
150. ბ
151. ბ
152. ა
153. ბ
154. გ
155. გ
156. გ
157. ბ
158. გ
159. გ
160. გ
161. ბ
162. გ
163. ბ
164. ა
165. გ
166. ბ
167. ბ

საქართველოს კანონი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

თავი I ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. კოდექსის მიზანი

1. ეს კოდექსი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს.

2. კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს;

ბ) დაინტერესებული მხარე – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება;

გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი;

დ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები;

დ¹) ელექტრონული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით, ელექტრონული ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აკმაყოფილებს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს;

ე) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს;

ვ) აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს;

ზ) ადმინისტრაციული ხელშეკრულება – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება;

თ) განცხადება – უფლების მოპოვებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი წერილობითი მოთხოვნა;

ი) ადმინისტრაციული საჩივარი – დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;

კ) ადმინისტრაციული წარმოება – ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით;

ლ) დისკრეციული უფლებამოსილება – უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება;

მ) საჯარო ინფორმაცია – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია;

ნ) საიდუმლო ინფორმაცია – საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის პირველ ნაწილში მოცემულ ტერმინებს სხვა სამართლებრივი აქტით არ შეიძლება მიეცეს სხვა მნიშვნელობა.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2001 წლის 26 ოქტომბრის კანონი №1138 - სსმ I, №33, 10.11.2001წ., მუხ.134

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1698 - სსმ I, №29, 12.10.2009 წ., მუხ.181

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6880 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

საქართველოს 2021 წლის 30 მარტის კანონი №419 – ვებგვერდი, 13.04.2021წ.

მუხლი 3. კოდექსის მოქმედების სფერო

1. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად.

2. ამ კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება შემდეგი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე:

ა) საქართველოს პარლამენტი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები;

ბ) საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოები;

გ) საქართველოს სახალხო დამცველი;

დ) საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოები;

ე) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

ვ) სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური;

ზ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები.

3. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ორგანოების და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.

4. ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:

ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;

ბ) ოპერატიულ-სამებრო საქმიანობასთან;

გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;

გ¹) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებასთან;

დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;

ე) საქართველოს პრეზიდენტს მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშვნისა და თანამდებობებიდან გათავისუფლების უფლებამოსილებებთან, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“, „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 პუნქტით, 56-ე მუხლის მე-5 პუნქტით, 57-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 71-ე მუხლის პირველი-მე-4 პუნქტებითა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებთან;

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან.

5. ამ კოდექსის III თავის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო საარბიტრაჟო, უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო სასამართლოებში მათ მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებად მიმდინარე სამართალწარმოებასა და საქმეთა განხილვაში საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობასთან. სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების

მიღებამდე ინფორმაცია გაიცემა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების ან /და ამ ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოების წესების შესაბამისად.

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5671 - სსმ I, №1, 03.01.2008წ., მუხ.3

საქართველოს 2008 წლის 15 ივლისის კანონი №228 - სსმ I, №17, 28.07.2008წ., მუხ.143

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1698 - სსმ I, №29, 12.10.2009 წ., მუხ.181

საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი №3511 - სსმ I, №45, 03.08.2010 წ., მუხ.277

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი №6439– ვებგვერდი, 22.06.2012წ.

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1263 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის კანონი № 3280 – ვებგვერდი, 09.08.2018წ.

საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3619 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.

საქართველოს 2018 წლის 27 დეკემბრის კანონი №4242 – ვებგვერდი, 29.12.2018წ.

საქართველოს 2019 წლის 8 მაისის კანონი №4591 - ვებგვერდი, 08.05.2019წ.

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6880 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 4. კანონის წინაშე თანასწორობა

1. ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე.

2. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება.

3. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას.

მუხლი 5. უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე

1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

3. უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.

4. ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ჯეროვნად შეუსრულებლობა ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 6. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი

1. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, ოგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

მუხლი 7. საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა

1. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა.

2. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

მუხლი 8. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად.

2. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე.

მუხლი 9. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება

1. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ:

ა) მას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება;

ბ) შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს;

გ) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება.

3. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გასცეს დაპირება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

4. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დაპირების მიმართ გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 10. საქვეყნოობა

1. ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

2. ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მათი ასლების მიღების წესი განისაზღვრება ამ კოდექსის III თავით.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს საკითხის საჯაროდ განხილვა, თუ ამას ითვალისწინებს კანონი.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 11. საიდუმლოება

ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული ან შექმნილი საიდუმლო ინფორმაცია. პასუხისმგებლობა ასეთი სახის ინფორმაციის გამჟღავნების ან გამოყენებისათვის დგება კანონით განსაზღვრული წესით. ეს არ შეიძლება გახდეს ამ კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 12. ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება

1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

3. ადმინისტრაციულმა ორგანომ ბავშვთან დაკავშირებული განცხადებისა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვას პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს.

საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი №5011 – ვებგვერდი, 27.09.2019წ.

საქართველოს 2020 წლის 21 მაისის კანონი №5911 – ვებგვერდი, 25.05.2020წ.

მუხლი 13. დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება

1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

მუხლი 14. ადმინისტრაციული წარმოების ენა

ადმინისტრაციული წარმოების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური.

მუხლი 15. ვადების ათვლა

ამ კოდექსში მითითებული ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება.

თავი II. ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი

მუხლი 16. ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების ვალდებულება

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მის ხელთ არსებული საშუალებებით აღმოუჩინოს აუცილებელი სამართლებრივი დახმარება სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

2. სამართლებრივ დახმარებად არ ჩაითვლება:

ა) ზემდგომი ან ქვემდგომი ორგანოს რაიმე თხოვნის შესრულება;

ბ) ნებისმიერი მოქმედება, რომლის შესრულების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით აქვს დაკისრებული.

მუხლი 17. სამართლებრივი დახმარების პირობა და ფარგლები

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნით, თუ:

ა) არ შეუძლია თვითონ განახორციელოს მოქმედება სამართლებრივი ან ფაქტობრივი მიზეზების გამო;

ბ) არ გააჩნია მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ფაქტების საკმარისი ცოდნა, ხოლო ამ ცოდნას ფლობს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო;

გ) დოკუმენტები ან სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად, იმყოფება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში;

დ) მოქმედების საკუთარი საშუალებით შესრულებისათვის აუცილებელი ხარჯები არსებითად აღემატება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისათვის გასაწევ ხარჯებს.

მუხლი 18. უარს თქმა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია არ აღმოუჩინოს სამართლებრივი დახმარება, თუ:

ა) ეს სცილდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს;

ბ) სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის ინტერესებს ანდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა განხორციელებას.

2. თუ ადმინისტრაციული ორგანო უარს აცხადებს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, იგი ვალდებულია 3 დღის ვადაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც თხოვნით მიმართა მას.

3. ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ წყვეტს საერთო ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ასეთის არარსებობისას – სასამართლო.

4. სარჩელი სასამართლოს წარედგინება მხოლოდ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომი ორგანოსაგან სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე წერილობითი უარის მიღების შემდეგ.

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1698 - სსმ I, №29, 12.10.2009 წ., მუხ.181

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6880 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 19. სამართლებრივ დახმარებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება

1. ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ითხოვს სამართლებრივ დახმარებას, ვალდებულია ანაზღაუროს სამართლებრივი დახმარების გაწევისათვის აუცილებელი ხარჯები, თუ ისინი აღემატება 50 ლარს.

2. თუ სავარაუდოა ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ ოდენობაზე მეტი ხარჯები, ამის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოს წინასწარ უნდა ეცნობოს.

მუხლი 20. დოკუმენტის ოფიციალური დამოწმების უფლება

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაამოწმოს მის მიერ ან მისი ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ან სხვა დოკუმენტების ასლები, თუ დედანის და ასლის შინაარსი შეესაბამება ერთმანეთს.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო წესით დამოწმებული და გამოცემული დოკუმენტების ასლებს აქვთ ოფიციალური ძალა და ადასტურებენ დედანთან იგივეობას.

3. არ შეიძლება დამოწმდეს დოკუმენტი, რომლის შინაარსი შეცვლილია ან დარღვეულია მისი მთლიანობა.

4. დოკუმენტის დამოწმების დროს შედგება დამოწმების ფურცელი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) დოკუმენტის ზუსტ დასახელებას;
- ბ) ასლის დედანთან შესაბამისობის დადასტურებას;
- გ) დამოწმების დროსა და ადგილს;
- დ) პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ხელმოწერას, სამსახურებრივ ბეჭედს.

5. დამოწმებული ასლის ყოველ გვერდს უნდა დაესვას სამსახურებრივი ბეჭედი და ჰქონდეს პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ხელმოწერა.

6. ადმინისტრაციული აქტის ან სხვა დოკუმენტის დამოწმება დადგენილი წესით რეგისტრირებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოში.

მუხლი 21. საზოგადოებრივი ექსპერტი

1. საზოგადოებრივ ექსპერტად ჩაითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო (საექსპერტო) ორგანოები. ექსპერტად ჩაითვლება აგრეთვე საზოგადოებრივი საექსპერტო დაწესებულების წევრი.

2. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიმართოს საექსპერტო დაწესებულებას ან საზოგადოებრივ ექსპერტს საექსპერტო დასკვნისათვის.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარუდგინოს ექსპერტს საექსპერტო დასკვნისათვის აუცილებელი ინფორმაცია.

4. საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია თავისი დასკვნა წარადგინოს კანონის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

5. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ ვადის გაშვებამ არ შეიძლება დააბრკოლოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

6. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე დასკვნის წარმდგენი ექსპერტის ვინაობა აღინიშნება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებაში, გარდა ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7. იმ ექსპერტთა ვინაობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო საგრანტო, აგრეთვე ინოვაციური პროექტის დაფინანსების კონკურსის/კონკურსების ფარგლებში წარდგენილი პროექტების შეფასებას, კონფიდენციალურია.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2017 წლის 16 ივნისის კანონი №1046 - ვებგვერდი 27.06.2017წ.

მუხლი 22. საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარდგენა

1. საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

2. საზოგადოებრივი ექსპერტი თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 23. საიდუმლო ინფორმაციის დაცვა

საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია არ გაამჟღავნოს საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მოვალეობის შესრულებისას. ეს ვალდებულება ძალაშია საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეწყვეტის შემდეგაც.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 24. ხარჯების ანაზღაურება

საზოგადოებრივ ექსპერტს აუნაზღაურდება ყველა ის აუცილებელი დანახარჯი, რომელიც მან გასწია თავისი მოვალეობის შესასრულებლად. ასეთი დანახარჯის გაწევს აუცილებლობის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოს წინასწარ უნდა ეცნობოს.

მუხლი 25. საექსპერტო დასკვნის იურიდიული ძალა

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნა არ არის სავალდებულო ადმინისტრაციული ორგანოსათვის. უარი ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებაზე უნდა დასაბუთდეს.

მუხლი 26. საზოგადოებრივი ექსპერტის მოვალეობის შეწყვეტა

საზოგადოებრივ ექსპერტს მოვალეობის შესრულებისაგან ვადამდე ათავისუფლებს ის ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მისი დანიშვნის შესახებ, თუ იგი:

- ა) უხეშად არღვევს დაკისრებულ მოვალეობას;
- ბ) არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომლებიც წაყენებულია ამ თანამდებობის დასაკავებლად;
- გ) პირადი განცხადებით უარს ამბობს დასკვნის მიცემაზე.

თავი III. ინფორმაციის თავისუფლება

მუხლი 27. ტერმინთა განმარტება

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს ამ თავის მიზნებისათვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საჯარო დაწესებულება – ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში;

ბ) კოლეგიური საჯარო დაწესებულება – საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი პირისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს;

გ) კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრი – საჯარო მოსამსახურე, რომელიც ხმის უფლებით მონაწილეობს კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში ან მომზადებაში;

დ) თანამდებობის პირი – „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი;

ე) სხდომა – საჯარო დაწესებულების სახელით გადაწყვეტილების მიღების ან ამ გადაწყვეტილების მომზადების მიზნით დაწესებულების წევრთა მიერ საკითხის განხილვა;

ვ) გამოქვეყნება – კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა და საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება;

ზ) საჯარო მონაცემთა ბაზა – საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ სისტემურად შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები;

თ) (ამოღებულია – 25.05.2012, №6327);

ი) აღმასრულებელი პრივილეგია – საჯარო დაწესებულებებისა და საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლება ამ თავით გათვალისწინებული მოვალეობებისაგან;

კ) გადაუდებელი აუცილებლობა – კანონმდებლობის დარღვევის საშიშროება ან ვითარება, როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში რეალური საფრთხე ექმნება საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირებას;

ლ) პროაქტიული გამოქვეყნება – შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსებზე განთავსება.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონი №4355 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.

საქართველოს 2016 წლის 21 დეკემბრის კანონი №159 - ვებგვერდი, 28.12.2016წ.

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6880 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 27¹. პერსონალური მონაცემები

პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესდგება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 27². კომერციული საიდუმლოება

1. კომერციული საიდუმლოება – ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

2. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

3. ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

4. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში გაასაჩივროს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი.

5. საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5671 - სსმ I, №1, 03.01.2008წ., მუხ.3

მუხლი 27³. პროფესიული საიდუმლოება

პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 27⁴. სახელმწიფო საიდუმლოება

სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია განისაზღვრება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობით.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა.

2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

საქართველოს 2018 წლის 29 ივნისის კანონი №2767 – ვებგვერდი, 19.07.2018წ.

მუხლი 29. აღმასრულებელი პრივილეგია

თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 30. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ

გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ კანონი აწესებს მისი გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოითხოვნას, ადგენს ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს.

მუხლი 31. საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადა

1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, პროფესიული და კომერციული ინფორმაცია გასაიდუმლოვდება უვადოდ. კომერციული საიდუმლოება ღიად უნდა გამოცხადდეს, თუმას აღარ აქვს ის ღირებულება, რომლის გამოც ასეთად იქნა მიჩნეული.

2. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების და მისი ვადის გაგრძელების შესახებ შეაქვთ საჯარო რეესტრში.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 32. სხდომათა საჯაროობა

თითოეული კოლექტიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 33. საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების წესი

საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ საიდუმლო საჯარო ინფორმაციის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების დახურული სხდომის ოქმის გონივრულ ფარგლებში გამოცალკევებადი ნებისმიერი ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს. ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის გამოქვეყნებისას მიეთითება პირი, რომელმაც გაასაიდუმლოვა ინფორმაცია, ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველი და გასაიდუმლოების ვადა.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 34. კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომა

1. კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

2. გადაუდებელი აუცილებლობისას კოლეგიური საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესების დაუცველად. ამ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოაცხადოს სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

3. კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაუდებელი აუცილებლობისას სხდომის ჩატარების ან სხდომის დახურვის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. კოლეგიურმა საჯარო დაწესებულებამ რეესტრში უნდა შეიტანოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად გამართული სახელობითი კენჭისყრის შედეგები, აგრეთვე სხდომის ოქმის მონაცემები 33-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

4. სარჩელი გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული სხდომის, ასევე სხდომის დახურვის კანონიერების შესახებ სასამართლოს უნდა წარედგინოს კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში. კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის კანონით დადგენილი წესის დარღვევით ჩატარება იწვევს ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადებას სასამართლოს მიერ.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 35. საჯარო რეესტრი

საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელებს, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 35¹. საქმისწარმოების მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმისწარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით გამოიყენოს პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები; ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გაცეს მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით, თუ

დაინტერესებული პირის მიერ არჩეული არ არის ამ თავით განსაზღვრული ინფორმაციის მიღების სხვა ფორმა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ან გაცემულ დოკუმენტში მონაცემები შეიძლება შეტანილ იქნეს მექანიკური ან/და ელექტრონული საშუალებებით.

საქართველოს 2012 წლის 2 მარტის კანონი №5747 – ვებგვერდი, 15.03.2012წ.

საქართველოს 2017 წლის 28 ივნისის კანონი №1109 - ვებგვერდი, 10.07.2017წ.

მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

2. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას.

3. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, საჯარო დაწესებულების ელექტრონული რესურსების საშუალებით.

4. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი მტკიცდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 37¹. საჯარო დაწესებულებისათვის პერსონალური მონაცემებისა და კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საჯარო დაწესებულებისათვის საკითხის გადასაწყვეტად, თუ იგი წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული წერილობითი თანხმობა გაცემულად ითვლება, თუ პირი განცხადებაში ან სხვა რაიმე წერილობით დოკუმენტში გამოხატავს თანხმობას, რომ საჯარო დაწესებულებამ, რომლისგანაც იგი ითხოვს საკითხის გადაწყვეტას,

თავად გამოთხოვოს მისი პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია შესაბამისი საჯარო დაწესებულებისაგან.

3. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამცემი და მომთხოვნი ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან აღნიშნული მონაცემების ან ინფორმაციის საიდუმლოება.

საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი №2542 - სსმ I, №1, 04.01.2006წ., მუხ.8

მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა.

მუხლი 39. (ამოღებულია)

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 40. საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გაცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

2. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10 დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა

1. საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 41¹. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ

ამ კოდექსის 27² მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამ მუხლში მითითებული ვადების გასვლისთანავე.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 42. ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია

ყველას აქვს უფლება იცოდეს:

ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;

გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;

დ) საჯარო დაწესებულების იმ სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალემათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;

ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;

ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;

ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;

თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;

ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;

კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;

ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;

მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია;

ნ) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონი №4355 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.

საქართველოს 2016 წლის 21 დეკემბრის კანონი №159 - ვებგვერდი, 28.12.2016წ.

საქართველოს 2018 წლის 29 ივნისის კანონი №2767 – ვებგვერდი, 19.07.2018წ.

მუხლი 43. (ამოღებულია)

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 44. პერსონალური მონაცემების საიდუმლოება

საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირის პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა,

როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად. თანამდებობის პირის, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის პერსონალური მონაცემები საჯაროა.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

საქართველოს 2018 წლის 29 ივნისის კანონი №2767 – ვებგვერდი, 19.07.2018წ.

მუხლი 45. (ამოღებულია)

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 46. (ამოღებულია)

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 47. გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა. ზიანის ანაზღაურება

1. პირს აქვს უფლება, საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება:

- ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვისას, საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;
- ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისას და დამუშავებისას;
- გ) საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მიერ ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

2. მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას, სახელმწიფო მოსამსახურეს ან საჯარო მოსამსახურეს.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონი №4355 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.

საქართველოს 2016 წლის 21 დეკემბრის კანონი №159 - ვებგვერდი, 28.12.2016წ.

მუხლი 48. სასამართლოს მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოთხოვა

სასამართლოს უფლება აქვს გამოითხოვოს და განიხილოს გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით. სასამართლოს მხარის შუამდგომლობით უფლება აქვს ეს განიხილა აწარმოოს დახურულ სხდომაზე.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 49. ანგარიშის წარდგენა და გამოქვეყნება

საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს ანგარიში:

- ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;
- ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელის დადების შესახებ;

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე;

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1263 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

მუხლი 50. ადრე არსებული საჯარო ინფორმაციის ღიაობა

ამ კოდექსის 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებებისა, ღიაა, თუ იგი შექმნილი, გაგზავნილი ან მიღებულია 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, ამ ინფორმაციაში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით მათი სიცოცხლის განმავლობაში. *საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.*

თავი IV. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 51. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმა

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წერილობით ან ზეპირად.

2. დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, ასევე კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში ზეპირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებიდან 3 დღის ვადაში უნდა გამოიცეს წერილობით.

3. ზეპირად გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე არ ვრცელდება ამ კოდექსის 52-ე-58-ე მუხლების მოთხოვნები. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცემულ ელექტრონულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე ვრცელდება ამ კოდექსის 54-ე-58-ე მუხლების მოთხოვნები, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

საქართველოს 2017 წლის 28 ივნისის კანონი №1109 - ვებგვერდი, 10.07.2017წ.

საქართველოს 2021 წლის 30 მარტის კანონი №419 – ვებგვერდი, 13.04.2021წ.

მუხლი 52. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს:

- ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეს;
- ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს;
- გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სათაურს;
- დ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას;
- ე) გამომცემის დროსა და ადგილს;
- ვ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ

მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს.

2. წერილობითი ფორმით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა.

3. საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი. მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე საკუთარი გერბის არსებობის შემთხვევაში გამოსახება საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი (მაყურებლიდან მარცხენა მხარის ზედა კუთხეში) და შესაბამისი მუნიციპალიტეტის გერბი (მაყურებლიდან მარჯვენა მხარის ზედა კუთხეში), ხოლო საკუთარი გერბის არარსებობის შემთხვევაში – მხოლოდ საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი (ცენტრში).

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1698 - სსმ I, №29, 12.10.2009 წ., მუხ.181

საქართველოს 2010 წლის 20 აპრილის კანონი №2947 - სსმ I, №23, 04.05.2010 წ., მუხ.126

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6880 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 52¹. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები

1. თითოეულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უნდა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები:

- ა) ნორმატიული აქტის სახე;
- ბ) ნორმატიული აქტის სათაური;
- გ) ნორმატიული აქტის მიღების (გამომცემის) თარიღი და ადგილი (თუ ნორმატიულ აქტში შეტანილია ცვლილება ან დამატება, მათი შეტანის თარიღიც);
- დ) ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და აქტის მოქმედების ვადა (თუ განსაზღვრული ვადითაა მიღებული);
- ე) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა;
- ვ) ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ – აგრეთვე სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.

1 ¹. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ და „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდომომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილ მოთხოვნებს.

2. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიულ აქტებზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი, ხოლო

მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიულ აქტებზე – საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი და შესაბამისი მუნიციპალიტეტის გერბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

საქართველოს 2010 წლის 20 აპრილის კანონი №2947 - სსმ I, №23, 04.05.2010 წ., მუხ.126

საქართველოს 2017 წლის 28 ივნისის კანონი №1109 - ვებგვერდი, 10.07.2017წ.

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6880 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 53. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება

1. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას.

2. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს.

3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

4. თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

5. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

6. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობა ითვალისწინებს საექსპერტო დასკვნის არსებობას, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ამ დასკვნის შინაარსი.

7. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ:

ა) ის გამოცემულია დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე და არ ზღუდავს მესამე პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს;

ბ) დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

გ) კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას.

8. გადაუდებელი აუცილებლობით წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების გარეშე გამოცემის შემთხვევაში წერილობითი დასაბუთება აუცილებლად უნდა გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ერთი კვირის ვადაში.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 54. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლა

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

2. კანონით დადგენილ შემთხვევებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებამდე ან ოფიციალურ

გაცნობამდეც, თუ დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, დანაშაულის აღკვეთას ან გახსნას, აგრეთვე პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს.

3. დაინტერესებული მხარისათვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის გაგზავნიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებულ მხარეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ მიუღია.

4. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაგზავნასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 55. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოქვეყნდება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

2. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს, მისი ოფიციალური გაცნობა შეიძლება შეიცვალოს გამოქვეყნებით. ასეთ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაცნობად გადაეცემა მხოლოდ განმცხადებელს, ხოლო თუ განცხადებას ხელს აწერს რამდენიმე პირი – პირს, რომლის ხელმოწერაც განცხადებაში პირველია.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 56. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების წესი

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

2. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც, ან გამოცხადდეს საჯაროდ.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წინასწარ განსაზღვროს ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან საჯაროდ გამოცხადების წესი.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 57. საჯაროდ გამოცხადება

საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯაროდ გამოცხადდება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 58. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის წესი

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს მისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნას.

2. ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიუღებლობის შემთხვევაში პირს უფლება აქვს მისი ასლი მიიღოს ადმინისტრაციულ ორგანოში. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლის გაცემისათვის რაიმე გადასახდელი არ გადაიხდევინება.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 59. შეცდომების გასწორება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

2. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

3. შეცდომების გასწორება უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისათვის იმავე წესით, რომელიც დადგენილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისათვის ან გაცნობისათვის.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 60. არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ:

ა) შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა;

ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ;

გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო;

დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

2. არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი ვადები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით არარად აღიაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 60¹. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

4. დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.

5. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება.

6. თუ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ბათილად იქნა ცნობილი, ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას დაინტერესებულ მხარეს, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე უნდა აუნაზღაურდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანი.

7. ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. შესაძლებელია განისაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა:

- ა) მისი ძალაში შესვლის დღიდან;
- ბ) მისი ბათილად ცნობის დღიდან;
- გ) მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით.

71. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო უფლებამოსილებების განხორციელების ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში სასამართლომ საქართველოს ეროვნულ ბანკს შეიძლება დააკისროს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული აქტის ბათილად ცნობამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა დაუშვებელია, თუ ამ მდგომარეობის აღდგენამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას.

8. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისათვის დადგენილი წესით.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5661 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 61. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

- ა) ეს პირდაპირ არის მითითებული კანონში ან მის საფუძველზე გამოცემული ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში;
- ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ეს პირდაპირ არის მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში;

გ) დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი;

დ) გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს;

ე) არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით.

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილის "დ" და "ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც მიადგა ზიანი, მისი მოთხოვნის საფუძველზე მიეცემა ანაზღაურება, თუ მას გააჩნდა კანონიერი ნდობის საფუძველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების მიმართ. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-60 მუხლის მე-5 ნაწილი.

5. ზიანის ანაზღაურების ოდენობას საჯარო და კერძო ინტერესებს ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე ადგენს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც ძალადაკარგულად გამოაცხადა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

6. ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამ მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში შესაძლებელია განისაზღვროს მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმება.

7. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 62. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა მოხდეს ამ კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სხვა ნაწილების ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 63. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებისა და დამატების შეტანა

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 64. დოკუმენტის დაბრუნება

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ორგანოს შეუძლია მოსთხოვოს პირს ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გაცემული და რაიმე უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტის დაბრუნება.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

თავი V. ადმინისტრაციული ხელშეკრულება

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 65. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 65¹. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება

1. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 66. სპეციალური მოთხოვნები, რომლებსაც უნდა უპასუხებდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულება

1. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას.

3. დაუშვებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულებით საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში მითითებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 67. მესამე პირის მონაწილეობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებაში

1. ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ.

2. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მესამე პირს, რომლის ინტერესებსაც იგი შეეხება.

3. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში მითითებულ დანტერესებულ მხარეს უფლება აქვს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 68. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა

ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ნაცვლად, ძალაში შედის იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 69. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმა

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 70. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადება

1. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ასევე ბათილია იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, რომლის საფუძველზედაც დაიდო ხელშეკრულება.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 71. ადმინისტრაციული გარიგების შეცვლა

1. გარემოებათა არსებითად შეცვლისას, რაც ზიანს აყენებს მხარეს ან საზოგადოებრივ ინტერესს, მხარე უფლებამოსილია მეორე მხარეს მოსთხოვოს თანხმობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესაცვლელად.

2. თუ ცვლილება ხელშეკრულებაში არსებითად ეწინააღმდეგება ხელშეკრულების შინაარსს, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

თავი VI. ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება

მუხლი 72. ადმინისტრაციული წარმოების სახეები

1. ადმინისტრაციული წარმოების სახეებია:

- ა) მარტივი ადმინისტრაციული წარმოება;
- ბ) ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება;
- გ) საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

2. თუ კანონი არ ითვალისწინებს სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას, ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ამზადებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

3. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას) ცალკე ადმინისტრაციული წარმოება არ დაიწყება, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 73. ადმინისტრაციული წარმოების მხარეები

1. ადმინისტრაციული წარმოების მხარე შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ფიზიკური ან იურიდიული პირი.

2. ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო.

3. ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

4. თუ დაინტერესებული მხარის განცხადება ან მის მიერ წარდგენილი სხვა დოკუმენტი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, დაინტერესებული მხარე ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს განცხადების ან დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

5. თუ კანონით დადგენილია ვადა, რომლის განმავლობაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეასრულოს გარკვეული მოქმედება, ეს ვადა დაიწყება მხოლოდ თარგმანის წარდგენისას, ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში.

6. თუ კანონით განსაზღვრულია ვადა, რომლის განმავლობაში დაინტერესებული მხარე ვალდებულია წარადგინოს რაიმე განცხადება ან დოკუმენტი, ეს ვადა დაცულად ჩაითვლება დოკუმენტის არასახელმწიფო ენაზე წარდგენის დროსაც.

7. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაადგინოს ვადა წარდგენილი დოკუმენტის თარგმნისთვის, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ დღეზე ნაკლები. ამ ვადის გაშვება შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 74. ადმინისტრაციული ქმედუნარიანობა

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის ქმედუნარიანობის მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12-16 მუხლები.

2. ადმინისტრაციული წარმოებისას ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს პასუხისმგებელი თანამდებობის პირი ან მისი ოფიციალური წარმომადგენელი.

მუხლი 75. ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე

1. ამ კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება აქვს:

ა) განმცხადებელს;

ბ) ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღოს;

გ) პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით ენიჭება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება;

დ) სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ე) დაინტერესებულ მხარეს.

2. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი უნდა იყოს სპეციალიზებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციალიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

3. ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს ადმინისტრაციული წარმოების სრულ ხელმისაწვდომობას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი №5011 – ვებგვერდი, 27.09.2019წ.

საქართველოს 2020 წლის 21 მაისის კანონი №5911 – ვებგვერდი, 25.05.2020წ.

საქართველოს 2020 წლის 14 ივლისის კანონი №6828 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 76. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია:

ა) დაინტერესებული პირის განცხადება;

ბ) ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება – გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. ადმინისტრაციული წარმოება ამ მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაიწყება განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 77. განცხადების შეტანა

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, განცხადება შეტანილი უნდა იქნეს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი და გამოსცეს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. განცხადებისა და მასზე დართული დოკუმენტების თუ სხვა სახის ინფორმაციის წარდგენის წესი, თუკი იგი დადგენილი არ არის კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით, განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დებულებით.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 78. განცხადების შინაარსი

1. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

გ) მოთხოვნას;

დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

2. განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება.

3. განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძველად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 79. განცხადების რეგისტრაცია

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციაში გაატაროს განცხადება მიღების დღესვე და დასვას მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განმცხადებლის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გაუგზავნოს (გადასცეს) მას განცხადების რეგისტრაციაში გატარების დადასტურება.

მუხლი 80. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნა

1. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნისას დაუშვებელია რაიმე მოსაზრების წარდგენა განცხადებაში დასმული საკითხების გადაწყვეტის შესახებ.

3. განცხადებისა და მასზე დართული საბუთების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, 2 დღის განმავლობაში, წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

4. თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში.

5. განცხადების წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა დაცულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 81. კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დაწესების დაუშვებლობა

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული საბუთის ან ინფორმაციის გარდა.

2. დაუშვებელია ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საფუძველით ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება ან განცხადების განხილვაზე უარის თქმა.

მუხლი 82. კომერციული საიდუმლოების ან პერსონალური მონაცემების შემცველი

დოკუმენტების წარდგენის წესი

განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი, კომერციული საიდუმლოების ან პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დაცვა, თუ სურს ამ ინფორმაციის საიდუმლოების უზრუნველყოფა.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 83. დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. განცხადების განუხილველად დატოვება

1. ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ქ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან.

2. თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა.

4. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

5. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

6. განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

მუხლი 84. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განცხადების 78-ე მუხლთან შესაბამისობის დადგენიდან 3 დღის განმავლობაში განცხადების და მასზე დართული დოკუმენტების ასლი გაუზიაროს იმ ადმინისტრაციულ ორგანოს ან საზოგადოებრივ ექსპერტს, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება.

2. თუ კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ან/და საზოგადოებრივი ექსპერტი დასკვნას წარადგენს ორი კვირის ვადაში.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, განსაზღვრულ ვადაში ადმინისტრაციული ორგანოს ან/და საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარუდგენლობა ან უარყოფითი დასკვნის წარდგენა არ დააბრკოლებს განცხადების განხილვას და მასში დასმული საკითხების გადაწყვეტას.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 85. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების გაწევის მოვალეობა

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაინტერესებულ მხარეს განუმარტოს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან ადმინისტრაციული საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ.

2. ადმინისტრაციულმა ორგანომ ბავშვს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს და კონსულტაცია უნდა გაუწიოს კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, მისი ასაკის, სქესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, მისთვის გასაგები ენით ან/და კომუნიკაციის სხვა, დამხმარე საშუალებებით.

საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი №5011 – ვებგვერდი, 27.09.2019წ.

საქართველოს 2020 წლის 21 მაისის კანონი №5911 – ვებგვერდი, 25.05.2020წ.

მუხლი 86. წარმომადგენლობის უფლება

1. ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლოს დამცველის დახმარებით.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარმომადგენელს მოსთხოვოს მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი.

3. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს დაინტერესებულ მხარეს წარმომადგენლის მემვეობით აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 87. წარმომადგენელი ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. თუ განმცხადებელმა ან სხვა დაინტერესებულმა მხარემ დანიშნა წარმომადგენელი, ადმინისტრაციული ორგანო დაინტერესებული მხარისათვის განკუთვნილ ყველა დოკუმენტს მას უგზავნის.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული წარმოების ყველა საკითხზე მიმართავს წარმომადგენელს.

3. დაინტერესებული მხარე, რომელიც წარმოდგენილია სხვა პირით, უფლებამოსილია დაესწროს ყველა ზეპირ მოსმენას.

მუხლი 88. წარმომადგენლის დანიშვნის სავალდებულობა

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე, ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში დანიშნოს წარმომადგენლად საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გაეგზავნება მისთვის განკუთვნილი ყველა საბუთი.

2. თუ პირი არ შეასრულებს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ მოთხოვნას, ადმინისტრაციულ ორგანოს ეხსნება პასუხისმგებლობა დოკუმენტის გაუგზავნელობისათვის და ეს არ შეიძლება გახდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველი, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 89. წარმომადგენლის სავალდებულო დანიშვნა განმცხადებლის მიერ

1. თუ განცხადება წარადგინა 25-ზე მეტმა პირმა, განცხადებაზე ხელმომწერი პირები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში ნიშნავენ ერთ წარმომადგენელს, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან.

2. წარმომადგენლად შეიძლება დანიშნოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

3. წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებლებს ადმინისტრაციული ორგანო აძლევს ვადას ახალი წარმომადგენლის დასანიშნად.

მუხლი 90. წარმომადგენლის დანიშვნა ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით

თუ ამ კოდექსის 89-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირები არ დანიშნავენ წარმომადგენელს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, მათ წარმომადგენლად ჩაითვლება განცხადებაზე პირველი ხელმომწერი პირი.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 91. ადმინისტრაციული წარმოების ხარჯების ანაზღაურება

ყოველი მხარე თვითონ აანაზღაურებს ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ, მის მიერ, მისივე ინიციატივით ან მის სასარგებლოდ გაწეულ ხარჯებს.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 92. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

- ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
 - გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;
 - დ) იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;
 - დ¹) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე;
 - ე) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;
 - ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს/წილებს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;
 - ზ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.
2. ამ კოდექსის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:
- ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
 - ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
 - გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
 - დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

3. თანამდებობის პირი ვალდებულია ზემდგომ თანამდებობის პირს აცნობოს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ. განცხადება თვითაცილების თაობაზე განიხილება ამ კოდექსის 93-ე მუხლით დადგენილი წესით.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2019 წლის 18 სექტემბრის კანონი №4960 – ვებგვერდი, 27.09.2019წ.

საქართველოს 2021 წლის 2 აგვისტოს კანონი №879 – ვებგვერდი, 04.08.2021წ.

მუხლი 93. აცილების განცხადება

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის აცილების საფუძველი, ამ კოდექსის 91-ე მუხლის შესაბამისად უფლება აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე წერილობით განუცხადოს მას აცილება.

2 აცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს.

3. აცილების შესახებ განცხადებას იხილავს და აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს იმ თანამდებობის პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომლის მიმართაც განცხადებულია აცილება, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი.

4. კოლეგიური ორგანოს შემადგენლობაში შემავალი თანამდებობის პირის აცილების საკითხს წყვეტს კოლეგიური ორგანო ამ თანამდებობის პირის მონაწილეობის გარეშე.

5. მთელი კოლეგიური ორგანოს ან კოლეგიური ორგანოს წევრთა იმ რაოდენობის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად არაუფლებამოსილს ხდის ამ ორგანოს, აგრეთვე იმ თანამდებობის პირის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში, რომელსაც არ ჰყავს ზემდგომი ორგანო, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კანონმდებლობის შესაბამისად ამ საკითხის გადასაწყვეტად დანიშნული, მისი მოვალეობის შემსრულებელი ან დამოუკიდებელი ორგანო.

6. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე ვალდებულია აცილების შესახებ განცხადება წარადგინოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ან იმ მომენტიდან 2 დღის განმავლობაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ფაქტი ან გარემოება, რომელიც იძლევა აცილების საფუძველს.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 94. ვადა ადმინისტრაციულ წარმოებაში გაშვებული ვადის აღდგენა

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადის გამოთვლისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-69-ე მუხლებით დადგენილი წესი.

2. თუ დაინტერესებული მხარე ვალდებულია დაიცვას დადგენილი ვადა, აღნიშნული ვადის დინება დაიწყება მხოლოდ დაინტერესებული მხარისათვის შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის გადაცემის ან ამ ინფორმაციის ოფიციალური გამოქვეყნების დღიდან.

3. გაშვებული ვადა უნდა აღდგეს, თუ დაინტერესებულმა მხარემ კანონით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადა გაუშვა არაბრალეულად – დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით.

4. დაინტერესებული მხარე გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული გარემოებათა აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 15 დღისა. განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებენ ვადის გაშვების საპატიო საფუძვლის არსებობას.

5. ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს 5 დღის ვადაში.

6. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია აღადგინოს დაინტერესებული მხარის მიერ საპატიო მიზეზით გაშვებული, ამავე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადაც, თუ ეს არ არის აკრძალული კანონით და ზიანს არ აყენებს მესამე პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს.

მუხლი 95. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას მასში მონაწილეობის უფლებს მქონე პირი ამ უკანასკნელის წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

4. თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა რაოდენობა 50-ს აღემატება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია თითოეული მათგანის ინფორმირების ნაცვლად ოფიციალურად გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

5. ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობა უნდა შეიცავდეს:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებასა და მისამართს, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

ბ) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღს;

გ) ადმინისტრაციული წარმოების საგნის მოკლე აღწერას;

დ) წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეთა ვინაობას;

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადას.

6. გადაუდებლობის შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნათა დაუცველად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 96. საქმის გარემოებათა გამოკვლევა

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

2. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

3. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს წინასწარი გამოკვლევის გარეშე უარი განაცხადოს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხზე განცხადების ან შუამდგომლობის მიღებაზე იმ საფუძველით, რომ ეს განცხადება ან შუამდგომლობა დაუშვებელი ან დაუსაბუთებელია.

4. დაინტერესებული მხარე ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით ითანამშრომლოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან ადმინისტრაციული წარმოებისას.

5. დაინტერესებული მხარე ვალდებულია გამოცხადდეს ადმინისტრაციულ ორგანოში და მისცეს ახსნა-განმარტება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 97. მტკიცებულებათა გამოკვლევა ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია:

ა) გამოითხოვოს დოკუმენტები;

ბ) შეაგროვოს ცნობები;

გ) მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს;

დ) დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი;

ე) დანიშნოს ექსპერტიზა;

ვ) გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები;

ზ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

2. მოწმე ან ექსპერტი ვალდებულია მისცეს ახსნა-განმარტება ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ახსნა-განმარტების ჩამორთმევა ხდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 98. დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით.

2. შუამდგომლობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანო 2 დღის ვადაში იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

3. ბავშვის უფლება, მოუსმინონ, არ შეიძლება შეიზღუდოს მის ასაკზე ან სხვა გარემოებაზე მითითებით. ბავშვს უნდა მიეცეს საკუთარი მოსაზრების მისთვის სასურველი ფორმით გამოხატვის შესაძლებლობა.

4. ბავშვზე მორგებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული წარმოების ყველა სტადიაზე ბავშვისთვის ხელმისაწვდომ და აღქმად პროცედურებს.

საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი №5011 – ვებგვერდი, 27.09.2019წ.

საქართველოს 2020 წლის 21 მაისის კანონი №5911 – ვებგვერდი, 25.05.2020წ.

მუხლი 99. ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლება

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც წარმოადგენს უშუალოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებულ, შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას.

2. თუ დოკუმენტის გაცნობის ინტერესი აღემატება საიდუმლოების დაცვის ინტერესს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაინტერესებულ მხარეს გასაცნობად წარედგინება საქმის ის მასალებიც, რომლებიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

3. დაინტერესებული მხარე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს გაეცნობა იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში დაინტერესებული მხარე წერილობითი თხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს შეიძლება გაეცნოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში არსებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში.

5. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტებისა და სხვა მასალების ასლები. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების შემცველი საქმის მასალების ასლები გადაეცემა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

6. არ შეიძლება დაწესდეს რაიმე გადასახადი ან შეიქმნას სხვა დაბრკოლება დოკუმენტის ან სხვა მასალის ასლის მისაღებად, ასლის გადაღებისათვის, აგრეთვე ფოსტის მეშვეობით გაგზავნისათვის, საჭირო თანხის ანაზღაურების გარდა.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი №6439– ვებგვერდი, 22.06.2012წ.

მუხლი 100. გადაწყვეტილების მიღება

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ იღებს განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არ ეხება მესამე პირის ინტერესებს, უნდა გამოიცეს განცხადების წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

3. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 101. განმცხადებლის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმის შემთხვევაში

1. განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს განმცხადებელს განცხადების უარყოფელ გარემოებათა შესახებ საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, თუ:

- ა) უარი ეფუძნება ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ;
- ბ) ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება უარი, განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისაგან.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა არ გამოიყენება, თუ განმცხადებელს უკვე წარდგენილი აქვს საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, აგრეთვე გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ინტერესს. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიუთითოს, თუ რა გადაუდებელი გარემოება არსებობს.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 102. ერთსა და იმავე საკითხზე განცხადების ხელახლა წარდგენის წესი

1. განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

2. თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზედაც უარი ითქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე.

3. განცხადება ადმინისტრაციული წარმოების განახლების შესახებ მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული წარმოების დროს ამ გარემოებათა ან ფაქტების წარუდგენლობა განმცხადებლის ბრალით არ მომხდარა.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

თავი VII. ადმინისტრაციული წარმოება კოლექტიურ ადმინისტრაციულ ორგანოში
მუხლი 103. ადმინისტრაციული წარმოების წესი კოლექტიურ ადმინისტრაციულ ორგანოში

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლექტიურ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად და ამ თავში აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით.

1¹. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები.

1². კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების მიმართ ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო, აგრეთვე მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული წესები.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლექტიურ ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანო. გამონაკლისს წარმოადგენს კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის უფლება – გადაგზავნოს განცხადება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ან დაუბრუნოს იგი განმცხადებელს, თუ მასში დასმული საკითხების გადაწყვეტა კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება.

საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208

მუხლი 104. კოლექტიური ორგანოს სხდომის მიმდინარეობის წესი

1. კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს ამ ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – კანონმდებლობის შესაბამისად დანიშნული (არჩეული) სხდომის თავმჯდომარე.

2. სხდომის თავმჯდომარეს სხდომა მიჰყავს დღის წესრიგის შესაბამისად.

მუხლი 105. კვორუმი

1. კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი ყველა წევრი.

2. კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

3. კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 106. კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომის ოქმი

1. კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

- ა) კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;
- ბ) სხდომის დრო და ადგილი;

- გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;
- დ) განხილვის საგანი;
- ე) კენჭისყრის შედეგები;
- ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

2. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, აგრეთვე მდივანი, თუ ის მონაწილეობდა ოქმის შედგენაში.

მუხლი 106¹. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად

1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების უფლების მქონე კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება ამავე ორგანოს გადაწყვეტილებით.

2. გადაწყვეტილება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე წერილობითია და წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

3. ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად შეიძლება დაიწყოს ფიზიკური ან იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს განცხადების საფუძველზე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208

მუხლი 106². კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის გამოქვეყნება

1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს ამ კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად ან კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდზე.

2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

3. ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობაში აღინიშნება:

ა) იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

ბ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების ვადა;

გ) იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მისამართი, რომელშიც შესაძლებელია მოსაზრებების წარდგენა;

დ) მოსაზრებების წარდგენის ვადა.

4. თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი დიდი მოცულობისაა და კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია საკუთარი ვებგვერდი, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოაქვეყნოს მხოლოდ ცნობა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ცნობაში აღინიშნება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება და მოკლე შინაარსი.

საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208

მუხლი 106³. ადმინისტრაციული ორგანოების ან საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარმოდგენა

1. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა გაეგზავნოს იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელთა უფლებამოსილებასაც განეკუთვნება ამ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან მისი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით, ან თუ კანონი მოითხოვს ამ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასკვნების წარდგენას ასეთი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.

2. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი აგრეთვე უნდა გაეგზავნოს საზოგადოებრივ ექსპერტს, თუ კანონით სავალდებულოა მის მიერ დასკვნის წარდგენა.

3. ადმინისტრაციული ორგანოები, აგრეთვე საზოგადოებრივი ექსპერტი, რომელთაც გაეგზავნათ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, ვალდებული არიან ამ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის თაობაზე წარადგინონ საკუთარი დასკვნები საქართველოს კანონმდებლობით ან შესაბამისი კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 10 დღეზე ნაკლები.

4. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარდგენილი დასკვნა განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე და მას წერილობით უნდა გაეცეს პასუხი.

5. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, განსაზღვრულ ვადაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარუდგენლობამ არ შეიძლება დააბრკოლოს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება.

6. დაუშვებელია კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნის არსებობის გარეშე, თუ დასკვნის არსებობა სავალდებულოა კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული აქტით.

7. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, უარყოფითი დასკვნა არ წარმოადგენს დაბრკოლებას კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისათვის.

საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208

მუხლი 106⁴. საკუთარი მოსაზრების წარდგენა

1. ყველას აქვს უფლება, წარადგინოს საკუთარი მოსაზრება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით.

2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული ყოველი მოსაზრება უნდა განიხილოს შესაბამისმა კოლეგიურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ. მასზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის.

3. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა.

4. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო კერძო პირების მიერ წარდგენილ მოსაზრებებს რეგისტრაციიდან ერთი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს.

საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208

მუხლი 106⁵. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა

თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა განისაზღვრება კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208

თავი VIII. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება

მუხლი 107. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით.

2. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 108. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო აცნობებს ყველა დაინტერესებულ მხარეს ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას ადმინისტრაციულ წარმოებაში.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარის უარი ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღებაზე არ აჩერებს ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებას.

3. დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს თავისი მოსაზრება ან შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების ყველა გარემოებასთან დაკავშირებით.

მუხლი 109. მოწმე და ექსპერტი ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დროს მოწმე ვალდებულია მისცეს ჩვენება, ხოლო ექსპერტი – დასკვნა.

2. (ამოღებულია).

3. დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას თავისი მოსაზრება ექსპერტის დასკვნის ან მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებით.

4. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს დაესწროს მოწმის ან ექსპერტის დაკითხვას, დაუსვას მათ შეკითხვები, გაეცნოს ექსპერტის წერილობით დასკვნას, დაესწროს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას.

5. დაინტერესებული მხარის მიერ მოწვეული მოწმის ან ექსპერტის ხარჯებს ანაზღაურებს დაინტერესებული მხარე. *საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245*

მუხლი 110. ზეპირი მოსმენა

1. ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

2. დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეცნობოთ ზეპირი მოსმენის შესახებ მის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

3. მოსაწვევეში მიეთითება ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება – საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. თუ დაინტერესებულ მხარეთა რიცხვი აღემატება 50-ს, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული მხარეები ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ცნობის გამოქვეყნების მეშვეობით. ცნობაში უნდა მიეთითოს საკითხი, რომლის თაობაზედაც უნდა მოეწყოს ზეპირი მოსმენა, ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელიც აწყობს მოსმენას, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, ზეპირი მოსმენის დრო და ადგილი.

5. ზეპირი მოსმენა, როგორც წესი, არ უნდა გრძელდებოდეს ერთ სამუშაო დღეზე მეტს.

მუხლი 111. ზეპირი მოსმენის ჩატარების წესი

1. სხდომა ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებით საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომა დახურულად გამოაცხადოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

2. სხდომას ხსნის და თავმჯდომარეობს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

3. ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს, ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელს, დაინტერესებულ მხარეს, განხილვაზე მოწვეულ ექსპერტს, მოწმეს.

4. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე და დამსწრე დაინტერესებულ მხარეს მისცეს საქმესთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.

5. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით.

6. სხდომაზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე. იგი უფლებამოსილია გააფრთხილოს წესრიგის დამრღვევი პირი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში – გააძევოს დარბაზიდან.

7. სხდომა შეიძლება გაგრძელდეს დარბაზიდან გამევაბული პირის მონაწილეობის გარეშე.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 112. ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი

1. სხდომის დროს იწარმოება ოქმი.
2. სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:
 - ა) ადმინისტრაციული წარმოების დასახელება, რომლის თაობაზედაც ეწყობა მოსმენა;
 - ბ) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;
 - გ) განხილვის დრო და ადგილი;
 - დ) სხდომის თავმჯდომარის, ზეპირ მოსმენაში მონაწილე დაინტერესებული მხარის, ექსპერტის, მოწმის ვინაობა;
 - ე) ზეპირი მოსმენის საგანი, წარდგენილი განცხადების მოკლე მიმოხილვა;
 - ვ) მოწმეთა და ექსპერტთა ჩვენებების მოკლე აღწერა;
 - ზ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგის აღწერა.
3. სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

4. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს ოქმს და ოქმის გაცნობიდან 3 დღის ვადაში წარადგინოს შენიშვნები მის თაობაზე, მიუთითოს მასში არასწორი ან არასრული ინფორმაციის არსებობა. თუ ადმინისტრაციული ორგანო ეთანხმება შენიშვნას, ადასტურებს მის სისწორეს, ხოლო თუ არ ეთანხმება, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შენიშვნის უარყოფის შესახებ.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 113. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

1. თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ზეპირი მოსმენის გამართვიდან 5 დღის ვადაში.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გადაეცემა დაინტერესებულ მხარეს ამ კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 114. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიური ორგანოს მიერ

1. თუ ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს კოლეგიურ ორგანოში, მაშინ კოლეგიური ორგანოს ყველა წევრს უფლება აქვს დასვას შეკითხვა საქმის გარემოებებთან დაკავშირებით.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს კოლეგიური ორგანოს მხოლოდ იმ წევრს, რომელიც მონაწილეობდა საქმის ზეპირ მოსმენაში.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

თავი IX. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება

მუხლი 115. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით.

2. სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან, ლიცენზირებასთან, გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემასთან, სტანდარტიზაციასთან და სატელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოიყენება ამ თავით დადგენილი წესები.

3. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, ამ თავით დადგენილი წესით, შეიძლება გამოიცეს იმ შემთხვევაშიც, თუ ოგი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებელი პირი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) თანხმობით. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰყავს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, გადაწყვეტილებას საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე იღებს თავად ამ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებელი თანამდებობის პირი.

5. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად, ამ თავის დებულებების გათვალისწინებით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1139 - სსმ I, №8, 08.04.2009 წ., მუხ.27

მუხლი 116. საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნება

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ამ კოდექსით დადგენილი წესით გამოაქვეყნოს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

2. ცნობაში უნდა მიეთითოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისი მისამართი. თუ ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა შესაძლებელია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოშიც – ამ ორგანოს დასახელება და მისამართი;

ბ) განცხადების ან/და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა;

დ) საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 117. საჯარო გაცნობისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) განცხადება და მასზე დართული დოკუმენტები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

ბ) დასკვნა ან მოსაზრება, რომელიც ამ განცხადებასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში;

გ) იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც არ არის საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი.

2. ყველას აქვს უფლება დაუბრკოლებლად გაეცნოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ დოკუმენტებს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელშიც მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტების საჯაროდ გაცნობისათვის წარდგენა შეიძლება მოხდეს სხვა ადმინისტრაციული ორგანოში, ამ უკანასკნელის თანხმობით.

3. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი დოკუმენტების ასლები.

მუხლი 118. საკუთარი მოსაზრების წარდგენის წესი

1. ყველას აქვს უფლება, წარადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება 20 დღის განმავლობაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ განცხადების ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან.

2. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა. ეს უფლება უნდა იქნეს მითითებული ცნობაში საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტის წარდგენის შესახებ.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დოკუმენტზე აღნიშნოს მისი რეგისტრაციის თარიღი.

4. ადმინისტრაციული ორგანო კერძო პირებს მიერ წარდგენილ მოსაზრებებს რეგისტრაციიდან ერთი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 119. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება და საჯარო განცხადების წარდგენა

თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში მოამზადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 120. ზეპირი მოსმენა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

1. საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც გამოიყენება ამ კოდექსის 110-ე-112-ე მუხლების დებულებები. ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გადადების შესაძლებლობა, ადმინისტრაციული ორგანო წინასწარ აცხადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გადადების შესახებ. *საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245*

მუხლი 121. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

თავი X. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

მუხლი 122. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

მუხლი 123. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

მუხლი 124. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

მუხლი 125. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

მუხლი 126. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

მუხლი 127. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

მუხლი 128. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

მუხლი 129. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

მუხლი 130. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

მუხლი 131. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

მუხლი 132. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

მუხლი 133. (ამოღებულია)

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

მუხლი 158. დამოუკიდებელი ორგანოს მემწევობით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სავალდებულობა

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოსცეს მხოლოდ დამოუკიდებელმა ორგანომ (სავალდებულო მანდატირება) შემდეგ შემთხვევებში:

ა) (ამოღებულია - 04.05.2018, №2278);

ბ) სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების (საწარმოს) პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, თუ ფასი აღემატება 100 000 ლარს.

2. კანონით შეიძლება დადგინდეს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ სხვა სახის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სავალდებულობაც.

3. დამოუკიდებელი ორგანო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ადმინისტრაციული წარმოებისათვის ამ კოდექსით დადგენილი წესით.

4. დამოუკიდებელი ორგანოს მიმართ ვრცელდება ამ კოდექსის მე-8 და 92-ე მუხლების მოთხოვნები.

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

საქართველოს 2005 წლის 2 ივნისის კანონი №1517 - სსმ I, №26, 06.06.2005წ., მუხ.177

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

საქართველოს 2018 წლის 4 მაისის კანონი №2278 – ვებგვერდი, 24.05.2018წ.

მუხლი 159. დამოუკიდებელი ორგანოს დანიშვნა

1. დამოუკიდებელი ორგანო შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და შეუძლიათ უზრუნველყონ საკითხის მიუკერძოებლად გადაწყვეტა.

2. დამოუკიდებელ ორგანოს ღია ტენდერის საფუძველზე ნიშნავს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა.

მუხლი 160. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დამოუკიდებელი ორგანოს დანიშვნა

საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილი არიან ადმინისტრაციული საჩივრის გადასაწყვეტად დანიშნონ დამოუკიდებელი ორგანო.

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1263 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

მუხლი 161. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის დაუშვებლობა

დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ზემდგომ ინსტანციაში. იგი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

თავი XII. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 162. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებელი უფლებამოსილი ორგანო

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აღსრულებს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს დავალებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება შეიძლება განახორციელოს ქვედგომმა ან სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომაც. ამ

შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის II თავის დებულებები ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების შესახებ.

3. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უფლებამოსილების როგორც ერთჯერადი, ისე განსაზღვრული ვადით დელეგირება.

4. აღსრულების უფლება აქვს მხოლოდ იმ თანამდებობის პირს, რომელსაც სამსახურებრივად აკისრია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მოვალეობა.

5. პირი ვალდებულია იქონიოს შესაბამისი უფლების დამადასტურებელი პირადობის მოწმობა და წარადგინოს იგი იმ პირების მოთხოვნით, რომელთა მიმართაც ხორციელდება აღსრულება.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 163. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების წესი

1. აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველსაყოფად.

2. აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 164. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის შესრულების

სავალდებულოობა

1. ყველა ვალდებულია შეასრულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) კანონიერი მოთხოვნა.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულებაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას ან გამოიწვევს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნებას, რომლის დაცვის ვალდებულებაც მას კანონით აკისრია. *საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.*

მუხლი 165. გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია განახორციელოს სხვა პირის მიმართ კანონით გათვალისწინებული რაიმე მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოცემულია გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ.

2. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შეტანის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო საკითხს წყვეტს 10 დღის ვადაში. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება წერილობითია და წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

3. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას შეიძლება შეიცავდეს ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც უნდა აღსრულდეს.

4. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის აღსასრულებლადაც არის იგი გამოცემული.

6. აღსრულების უზრუნველყოფის ერთი საშუალების გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულების სხვა საშუალების გამოყენების შესახებ.

7. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა მითითდეს ხარჯების ოდენობა და ანაზღაურების წესი. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსასრულებლად განხორციელებულ მოქმედებათა შესაბამისად შემდგომში შეცვალოს ხარჯების ოდენობა.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 166. ადმინისტრაციული წარმოება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებით

1. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მიმართ არ გამოიყენება ამ კოდექსის 95-ე და 98-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

2. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ადამიანის სიცოცხლეს, ან სხვაგვარად შეუძლებელია დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გამოიცეს ზეპირად.

3. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოიცეს წერილობით, აღსრულების უზრუნველყოფის ზომის განხორციელებიდან 3 დღის ვადაში, ამ კოდექსის IV თავის შესაბამისად.

მუხლი 167. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადა

1. პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, უნდა მიეცეს ვადა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულებისათვის.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ზუსტად განსაზღვროს, თუ რა მოქმედების განხორციელება ევალება პირს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისათვის.

3. პირი უფლებამოსილია შეასრულოს შესაბამისი ვალდებულება მისთვის ყველაზე ხელსაყრელი საშუალებით.

4. იმ პირის მიმართ, რომელიც დადგენილი ვადის განმავლობაში შეასრულებს აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებულ ვალდებულებას, აღსრულების უზრუნველყოფის ზომა არ გამოიყენება. პირის მიერ დადგენილ ვადაში შესაბამისი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში აღსრულების შესახებ გადაწყვეტილება წყვეტს მოქმედებას.

5. ამ კოდექსის 166-ე მუხლში მითითებულ გადაუდებელ შემთხვევაში ვადა შეიძლება არ განისაზღვროს.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 168. აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს პირი, რომელსაც ევალება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება.

2. თუ პირს ამ კოდექსის 167-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ განესაზღვრა ვადა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით აღსრულებისათვის, აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს შესაბამისად სახელმწიფო ან შესაბამისი მუნიციპალიტეტი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადაუდებელი აუცილებლობა გამოწვეული იყო იმ პირის მოქმედებით, რომელსაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აღსრულებინა.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1698 - სსმ I, №29, 12.10.2009 წ., მუხ.181

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6880 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 169. აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ პირისათვის მიცემული ვადის გასვლის შემდეგ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებლად გამოიყენოს აღსრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი შემდეგი საშუალება:

ა) სხვა პირისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება;

ბ) ჯარიმა;

გ) უშუალო იძულება.

2. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს აღსრულების უზრუნველყოფის მხოლოდ ის საშუალება, რომელიც გათვალისწინებულია გადაწყვეტილებით აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ.

3. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია აირჩიოს აღსრულების უზრუნველყოფის მხოლოდ ის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ყველაზე სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით შესრულებას და ზიანს არ მიაყენებს საზოგადოებას და შესაბამის პირს.

4. აღსრულების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება უნდა შეწყდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისთანავე.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 170. სხვა პირისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება

1. თუ შესაძლებელია სხვა პირის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად სხვა პირს დაავალოს აღსრულება.

2. ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8
საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 171. აღსრულების უზრუნველყოფა ჯარიმით

1. ჯარიმა, როგორც აღსრულების სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალება, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი პირის მიერ ნების გამოვლენით.

2. ჯარიმა, როგორც აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს სხვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული მოქმედების დავალების შესაძლებლობა.

3. ჯარიმის თანხის ოდენობა უნდა იყოს განსაზღვრული გადაწყვეტილებით აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. ჯარიმის ოდენობა შეიძლება განისაზღვროს საერთო თანხით ან თანხით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის ანდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის.

4. ჯარიმის საერთო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს ფიზიკური პირისათვის და 5000 ლარს იურიდიული პირისათვის.

5. ჯარიმის თანხა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 50 ლარს ფიზიკური პირისათვის და 200 ლარს იურიდიული პირისათვის.

6. ჯარიმის თანხის მინიმალური ოდენობაა 5 ლარი.

7. ჯარიმის თანხა ჩაირიცხება შესაბამისად სახელმწიფო ან ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტში.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 172. უშუალო იძულება

1. თუ ამ კოდექსის 170-ე და 171-ე მუხლებში მითითებული აღსრულების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების მიუხედავად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ აღსრულდა, აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება უზრუნველყოს უშუალო იძულების საშუალებით.

2. უშუალო იძულება შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს ამ კოდექსის 166-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამოიყენოს უშუალო იძულების ის საშუალება, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 173. აღსრულება მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიმართ

ამ თავის დებულებანი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით არ ვრცელდება მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიმართ.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1698 - სსმ I, №29, 12.10.2009 წ., მუხ.181

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6880 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 174. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, აგრეთვე პოლიციის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, კანონით შეიძლება დადგენილ იქნეს ამ კოდექსისგან განსხვავებული წესი.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 175. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების განსაკუთრებული წესი

1. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მიმართ არ გამოიყენება ამ კოდექსის 169-ე მუხლში მითითებული აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებანი.

2. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისათვის აუცილებელია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ.

3. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ვალდებული პირი უარს აცხადებს გადაიხადოს ფულადი თანხა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, რომლის შესაბამისად უფლებამოსილი პირი მოვალეს დააკისრებს ვალდებულებას, მისთვის გადასაცემი ფულადი თანხა ჩარიცხოს ადმინისტრაციული ორგანოს ანგარიშზე.

4. პირისაგან თანხის იძულებითი ამოღება, ქონებაზე ყადაღის დადება წარმოებს სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 176. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება გასაჩივრდება ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. თუ აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებით შერჩეული უზრუნველყოფის საშუალება და აღსრულების ვადა უშუალოდ გამომდინარეობს იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან, რომლის აღსაშრულებლადაც იგი გამოიცა, მისი გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან ერთად.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

თავი XIII. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით

მუხლი 177. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება

1. დანატრესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით.

3. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან, გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით.

4. ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს. *საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8*

მუხლი 178. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

3. პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. *საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8*
საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5671 - სსმ I, №1, 03.01.2008წ., მუხ.3

მუხლი 179. ადმინისტრაციული საჩივარი

1. ადმინისტრაციული წარმოება ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად დაიწყება მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში.

2. ადმინისტრაციული საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობით და უპასუხებდეს ამ კოდექსის მოთხოვნებს.

მუხლი 180. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა

1. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ.

3. გასაჩივრების ვადა არ შეიძლება დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში.

4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში იგი უნდა აღდგეს, თუ ამ ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 181. ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი

1. ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი;

ბ) ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;

გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება;

- დ) გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება;
- ე) მოთხოვნა;
- ვ) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;
- ზ) ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

2. თუ ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს გადაეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციულ საჩივარს დაერთვება მისი ასლი.

მუხლი 182. ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმა

- 1. ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ:
 - ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;
 - ბ) სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით;
 - გ) არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;
 - დ) ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმავე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;
 - ე) (ამოღებულია - 20.03.2015, №3382);
 - ვ) ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
 - ზ) გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის მიღებას ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას გამოტანამდე მისცეს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს 5 დღის ვადაში.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3382 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 183. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე მეტი, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიიღოს ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 7 დღისა და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს.

4. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ერთი თვით.

მუხლი 184. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება
ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული აქტის მოქმედება შეჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან. ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

ა) გამოიწვევს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ხარჯების გაზრდას;

ბ) წარმოადგენს პოლიციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით;

გ) გამოცემულია საგანგებო ან საომარ მდგომარეობაში შესაბამისი კანონის საფუძველზე;

დ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უშიშროებას.

3. გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების გაგრძელების შესახებ იღებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ან მისი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს სასამართლოს შეჩერებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების გაგრძელება.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1698 - სსმ I, №29, 12.10.2009 წ., მუხ.181

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6880 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 185. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესი

თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი.

მუხლი 186. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა კოლეგიური
ადმინისტრაციული ორგანოს მიერ

კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის და გადაწყვეტის დროს გამოიყენება აგრეთვე ამ კოდექსის VII თავით დადგენილი წესი.

მუხლი 187. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი

თანამდებობის პირის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში მონაწილეობის
დაუშვებლობა

დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს პირმა, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებაში ან გამოცემაში.

მუხლი 188. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან ბათილად გამოცხადების
უფლება

1. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა არ აჩერებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას – შეცვალოს, ძალადაკარგულად ან ბათილად გამოაცხადოს იგი ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან ბათილად გამოცხადების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია 5 დღის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს.

მუხლი 189. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულება

1. თუ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა არ აჩერებს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოუცემლობის გამო ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეწყდეს.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 190. ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში

გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა უნდა გაგრძელდეს, თუ დაინტერესებული მხარე მოითხოვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებას.

მუხლი 191. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა

1. ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს უფლება აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე უარი განაცხადოს ადმინისტრაციულ საჩივარზე.

2. უარი ადმინისტრაციულ საჩივარზე განცხადებული უნდა იქნეს წერილობით. ზეპირი მოსმენის დროს დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია ადმინისტრაციულ საჩივარზე უარი განაცხადოს აგრეთვე ზეპირადაც.

3. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა არ აჩერებს მის განხილვას, თუ საჩივრის განუხილველობას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვნელოვანი ზიანი.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 192. ადმინისტრაციული ორგანოს უფლება ცნოს ადმინისტრაციული საჩივარი

1. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს უფლება აქვს ცნოს ადმინისტრაციული საჩივარი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს გააგრძელოს ადმინისტრაციული წარმოება მიუხედავად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის ცნობისა.

მუხლი 193. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მოცულობა

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო

იხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს მასში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლია გასცდეს მათ.

2. თუ შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხოლოდ გასაჩივრებელი ნაწილის მიმართ, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის წერილობითი თანხმობით გადაწყვეტილებას იღებს მთლიანად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, ხოლო ამ პირის უარის შემთხვევაში – გამოაქვს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს.

მუხლი 194. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციული საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს ყველა იმ პირს, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში და უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

3. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარის უარი წარადგინოს საკუთარი მოსაზრება, დამატებითი ინფორმაცია ან დაესწროს ზეპირ განხილვას, არ აჩერებს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებას.

მუხლი 195. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომტანი ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო რეგისტრაციიდან 5 დღის განმავლობაში უზრუნველავს ადმინისტრაციული საჩივრის და მასზე დართული დოკუმენტების ასლს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის ასლის მიღებიდან 5 დღის განმავლობაში წარუდგინოს ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ორგანოს მოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ყველა მასალა და საკუთარი წერილობითი დასკვნა ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე დაინტერესებულ მხარეს.

4. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირით ან სხვა უფლებამოსილი პირით, ხოლო თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კოლეგიური ორგანოს მიერ – კოლეგიური ორგანოს ხელმძღვანელი პირით.

5. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა თანამშრომლით მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის განხილველი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობით.

მუხლი 196. დაინტერესებულ მხარეთა მიერ დამატებითი ინფორმაციის წარდგენა

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირი, აგრეთვე სხვა დაინტერესებული მხარე საკუთარ მოსაზრებას, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებულ დამატებით დოკუმენტებს წარადგენს ზეპირი სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წერილობით აცნობოს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეს ზეპირი სხდომის გამართვის თარიღი მის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

მუხლი 197. ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა

1. ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე მხარეები ადმინისტრაციული საქმის მასალებს ეცნობიან ამ კოდექსის 99-ე მუხლის შესაბამისად.

2. (ამოღებულია).

3. (ამოღებულია).

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 198. ზეპირი მოსმენის ჩატარების წესი

1. ზეპირი მოსმენა ტარდება ამ კოდექსის VIII თავით დადგენილი წესით.

2. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს შეიძლება მოუსმინონ ერთმანეთის დაუსწრებლად, თუ ეს აუცილებელია პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად და თუ სხვაგვარად შეუძლებელია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ საკითხზე დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოაქვს ადმინისტრაციულ ორგანოს დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

4. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ზეპირი მოსმენის სხდომა ღიაა.

5. ზეპირი მოსმენის სხდომა ღიაა, თუ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წინააღმდეგ.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 - ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 199. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა ზეპირი მოსმენის გარეშე

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენის გაუმართავად, თუ:

ა) არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი;

ბ) ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე თანახმაა საქმის განხილვაზე ზეპირი მოსმენის გაუმართავად.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მიუთითოს ზეპირი მოსმენის გამართვაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 200. საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენა ზეპირი მოსმენის გამართვის შემდეგ

თუ ზეპირი მოსმენის გამართვის შემდეგ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოსათვის ცნობილი გახდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ახალი გარემოების შესახებ, ამის თაობაზე უნდა ეცნობოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეებს და მიეცეთ მათ შესაძლებლობა წარადგინონ საკუთარი მოსაზრებანი მოცემულ საკითხზე.

მუხლი 201. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით

1. ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
- გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

2. თუ საქმეზე დამატებითი მასალების მოძიება აუცილებელია, ადმინისტრაციულ ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის განხილვის გადადების შესახებ, რაც ეცნობება მხარეებს.

3. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანო.

4. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას.

მუხლი 202. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი უნდა აკმაყოფილებდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 203. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლა, ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება. ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ბათილად ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს, აგრეთვე შეცვალოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245

მუხლი 204. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ხარჯები

1. არ შეიძლება დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რამე გადასახადი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის.

2. ყოველი მხარე თვითონ აანაზღაურებს მის მიერ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გაწეულ ადმინისტრაციული წარმოების ხარჯებს.

3. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის მიერ ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს მხოლოდ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის გადახდისუუნარობის შემთხვევაში.

4. (ამოღებულია).

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 205. (ამოღებულია)

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

მუხლი 206. (ამოღებულია)

საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8

თავი XIV. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა

მუხლი 207. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას

თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

მუხლი 208. სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი

1. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

2. მუნიციპალიტეტის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი.

3. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი.

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1698 - სსმ I, №29, 12.10.2009 წ., მუხ.181

საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონი №4355 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.

საქართველოს 2016 წლის 21 დეკემბრის კანონი №159 - ვებგვერდი, 28.12.2016წ.

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6880 - ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 209. სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობა კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოწვეული ზიანისათვის

1. თუ საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი ვალდებულია ანაზღაუროს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანი.

2. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე.

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1698 - სსმ I, №29, 12.10.2009 წ., მუხ.181

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6880 - ვებგვერდი, 28.07.2020წ.

თავი XV. (ამოღებულია)

საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208 მუხლი 210. (ამოღებულია)
საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208 მუხლი 211. (ამოღებულია)
საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 - სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.8
საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1801 - სსმ I, №37, 14.07.2005წ., მუხ.245
საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208 მუხლი 212. (ამოღებულია)
საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208 მუხლი 213. (ამოღებულია)
საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208 მუხლი 214. (ამოღებულია)
საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208 მუხლი 215. (ამოღებულია)
საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208 მუხლი 216. (ამოღებულია)
საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208 მუხლი 217. (ამოღებულია)
საქართველოს 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონი №1886 - სსმ I, №33, 09.11.2009 წ., მუხ.208

თავი XVI. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 218. კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები

1. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 1999 წლის 15 ნოემბრამდე მოამზადოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების პროექტები.

2. არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტებზე, რომლებიც ეხება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VIP თავით გათვალისწინებული თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის უკანონო და დაუსაბუთებელ ქონებას და მიღებულია (გამოცემულია) კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით.

4. 2013 წლის 1 სექტემბრამდე შესაბამისმა ორგანოებმა (თანამდებობის პირებმა) უზრუნველყონ ამ კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 37-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება (გამოცემა).

საქართველოს 2001 წლის 26 ოქტომბრის კანონი №1138 - სსმ I, №33, 10.11.2001წ., მუხ.134

საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3399 - სსმ I, №6, 09.03.2004წ., მუხ.29

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6327 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

თავი XVII. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 219. კოდექსის ამოქმედება

ეს კოდექსი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 220. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტების ნუსხა

ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი „სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვის წესის შესახებ“;

ბ) (ამოღებულია).

საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 - სსმ I, №43(50), 21.09.1999 წ., მუხ.216

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,

1999 წლის 25 ივნისი.

№2181–III

საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

თავი I ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. კოდექსის მოქმედების სფერო

1. ეს კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს.

2. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

მუხლი 2. სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები

1. სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს:

ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან;

ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა;

გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე;

დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალური იერითობის არსებობაარსებობის დადგენა.

2. სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმე და „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმე.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

4. დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტაც მის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

5. სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3391 - სსმI, №6, 09.03.2004წ., მუხ.28

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

საქართველოს 2006 წლის 14 ივლისის კანონი №3452 - სსმI, №30, 27.07.2006წ., მუხ.236

საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი №5198 - სსმI, №28, 18.07.2007წ., მუხ.285

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის კანონი №2270 - სსმI, №45, 21.12.2009წ., მუხ.331

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი №4630 - ვებგვერდი, 23.12.2015წ.

მუხლი 3. დისპოზიციურობის პრინციპი

1. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით.

2. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 4. შეჯიბრებითობა და საქმის გარემოების გამოკვლევა სასამართლოს მიერ

ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

თავი II. განსჯადობა

მუხლი 5. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი საქმეები

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა.

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

მუხლი 6. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილვენ შემდეგ საქმეებს:

ა) (ამოღებულია);

ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით;

ბ¹) სასამართლოში წარდგენილი შესაბამისი ოქმის საფუძველზე, სასამართლოს მიერ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით;

გ) სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე;

დ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე;

ე) საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით;

ვ) მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე;

ზ) შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის ან პენიტენციური დაწესებულების მიმართვის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ;

თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ერთეულის (შემდგომ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივი ერთეული) მიმართვის საფუძველზე იმავე კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობითი იზოლაციის თაობაზე.

საქართველოს 2000 წლის 24 თებერვლის კანონი №169 - სსმI, №7, 08.03.2000წ., მუხ.10

საქართველოს 2000 წლის 25 ოქტომბრის კანონი №567 - სსმI, №39, 10.11.2000წ., მუხ.111

საქართველოს 2002 წლის 21 ივნისის კანონი №1555-სსმI, №26, 30.09.2002წ., მუხ.124
საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3391 - სსმI, №6, 09.03.2004წ., მუხ.28
საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244
საქართველოს 2006 წლის 14 ივლისის კანონი №3452 - სსმI, №30, 27.07.2006წ., მუხ.236
საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1692 - სსმI, №29, 12.10.2009წ., მუხ.175
საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი №3526 - სსმI, №46, 04.08.2010წ., მუხ.289
საქართველოს 2012 წლის 26 აპრილის კანონი №6091 - ვებგვერდი, 10.05.2012წ.
საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი №4630 - ვებგვერდი, 23.12.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი №950 - ვებგვერდი, 20.06.2017წ.

თავი III. მიუკერძოებლობა, ავილება

მუხლი 7. საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებითი მონაწილეობის დაუშვებლობა

მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ იგი ამ საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს 2000 წლის 25 ოქტომბრის კანონი №567 - სსმI, №39, 10.11.2000წ., მუხ.111

მუხლი 8. (ამოღებულია)

საქართველოს 2000 წლის 24 თებერვლის კანონი №169 - სსმI, №7, 08.03.2000წ., მუხ.10

თავი IV. პროცესის ხარჯები

მუხლი 9. სახელმწიფო ბაჟი

1. სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე და ამ კოდექსის VI⁹ და VII¹⁷ თავებით გათვალისწინებულ საქმეებზე.

1¹. სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება ამ კოდექსის VI⁹ თავით გათვალისწინებულ საქმეებზე.

2. (ამოღებულია).

3. საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრდება.

4. (ამოღებულია).

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

საქართველოს 2009 წლის 28 დეკემბრის კანონი №2510 - სსმI, №3, 13.01.2010წ., მუხ.7

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5666 - ვებგვერდი, 12.01.2012წ.

საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6759 - ვებგვერდი, 20.07.2020წ.

მუხლი 10. პროცესის ხარჯების ანაზღაურება

1. (ამოღებულია).

2. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც.

3. თუ მხარე, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს სასამართლოს ხარჯები, რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან შედგება, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად.

საქართველოს 2000 წლის 24 თებერვლის კანონი №169 - სსმI, №7, 08.03.2000წ., მუხ.10

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

მუხლი 11. საპროცესო ხარჯების განაწილება საქმის მორიგებით დამთავრებისას

1. თუ სასამართლო წარმოება დასრულდა მორიგებით და მხარეები ვერ შეთანხმდნენ ხარჯების განაწილებაზე, ამასთან მხარე არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისაგან, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად.

2. სასამართლოსგარეშე ხარჯებს თითოეული მათგანი ანაზღაურებს დამოუკიდებლად.

თავი V. საპროცესო ვადები. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

მუხლი 12. გასაჩივრების ვადის ათვლა

1. გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი.

2. თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ ან ეცნობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სასამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში.

3. ამ მუხლის პირველ ნაწილთან სასამართლო აქტის შეუსაბამობის შემთხვევაში სასამართლო მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გამოიტანს განჩინებას სასამართლო აქტის ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი.

საქართველოს 2000 წლის 24 თებერვლის კანონი №169 - სსმI, №7, 08.03.2000წ., მუხ.10

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

მუხლი 13. მხარეთათვის სასამართლო უწყების, დოკუმენტების გადაცემა

1. სასამართლოს მიერ მხარეთათვის ან საქმეში მონაწილე სხვა პირისათვის გაგზავნილ ყველა უწყებაზე, დოკუმენტსა თუ წერილზე უნდა აღნიშნოს გაგზავნის თარიღი.

2. სასამართლო მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს უგზავნის იმ გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების ასლს, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას იმავე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. სხვა სასამართლო აქტების ასლები მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს გადაეცემათ მათი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად.

3. პირი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის გარეშე, სასამართლოს მოთხოვნით ვალდებულია დანიშნოს სხვა პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება დოკუმენტების მიღებაზე.

4. (ამოღებულია).

5. თუ სასამართლოს მიერ გასაგზავნი დოკუმენტი დიდი მოცულობისაა, მაშინ მხარეს ან მის წარმომადგენელს ეცნობება ამ დოკუმენტის მხოლოდ დასახელება და ის, რომ მას აქვს მისი სასამართლოს კანცელარიაში გაცნობის უფლება.

6. მხარეს უფლება აქვს მიიღოს ამ დოკუმენტის ასლი საკუთარი ხარჯით ან გააკეთოს ამონაწერი სასამართლოს კანცელარიაში.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

მუხლი 13¹. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი №932 - სსმI, №41, 30.12.2004წ., მუხ.208

საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი №2361 - სსმI, №55, 27.12.2005წ., მუხ.381

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4231 - სსმI, №50, 30.12.2006წ., მუხ.382

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

მუხლი 13². საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებიდან გამომდინარე

სასამართლო დავის განხილვის ვადა

1. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა პირველი ინსტანციის სასამართლოში სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს, ხოლო თუ განსახილველი საქმე განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვისა.

2. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ სასამართლო დავაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში სასამართლო აზიანდება დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეებისთვის გადასაცემად.

საქართველოს 2009 წლის 16 ივლისის კანონი №1466 - სსმI, №20, 28.07.2009წ., მუხ.10 0

საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი №3806 - სსმI, №66, 03.12.2010წ., მუხ.414

საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის კანონი №4908 – ვებგვერდი, 04.07.2019წ.

მუხლი 13³. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 27 დეკემბრის კანონი №5643 - ვებგვერდი, 12.01.2012წ.

საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №4 86 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.

თავი VI. მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში; სასამართლოს მეგობარი

საქართველოს 2015 წლის 3 ივლისის კანონი №3900 - ვებგვერდი, 10.07.2015წ.

მუხლი 14. ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეები

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების გარდა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.

2. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს ან სახელმწიფოსაგან დელეგირებული უფლებების საფუძველზე კერძო პირის მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია სახელმწიფო.

მუხლი 15. ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობა წარმომადგენლის მეშვეობით

1. თუ მხარე სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/მუნიციპალიტეტია, სასამართლოში მას წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი ან ის თანამდებობის პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლება.

2. სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში თავის წარმომადგენლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დანიშნოს ის თანამდებობის პირი ან საჯარო მოხელე, რომელიც ამ ადმინისტრაციულ ორგანოში მსახურობს.

3. სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია თავის წარმომადგენლად დანიშნოს ადვოკატი.

4. თუ დავის საგნის ღირებულება 500 000 ლარს აღემატება ან/და თუ საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ამ დაწესებულების წარმომადგენლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის დანიშვნა (გარდა საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებიდან გამომდინარე დავისა). ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება უფლებამოსილია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, იმავე საქმეზე წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიანიჭოს იმ სახელმწიფო მოსამსახურეს ან საჯარო მოსამსახურეს, რომელიც აღნიშნულ დაწესებულებაში მუშაობს.

5. (ამოღებულია - 30.11.2018, №3807).

6. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის მიმართვის, საქმის მასალების მოძრაობისა და წარმომადგენლის დანიშვნის წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს 2000 წლის 24 თებერვლის კანონი №169 - სსმI, №7, 08.03.2000წ., მუხ.10

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

საქართველოს 2009 წლის 27 მარტის კანონი №1131 - სსმI, №9, 13.04.2009წ., მუხ.31

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1692 - სსმI, №29, 12.10.2009წ., მუხ.175

საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი №3806 - სსმI, №66, 03.12.2010წ., მუხ.414

საქართველოს 2011 წლის 22 მარტის კანონი №4463 - ვებგვერდი, 01.04.2011წ.

საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონი №4350 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.

საქართველოს 2016 წლის 21 დეკემბრის კანონი №158 - ვებგვერდი, 28.12.2016წ.

საქართველოს 2018 წლის 30 ნოემბრის კანონი №3807 - ვებგვერდი, 13.12.2018წ.

საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის კანონი №4908 - ვებგვერდი, 04.07.2019წ.

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6881 - ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 16. მესამე პირის ჩაბმა ადმინისტრაციულ პროცესში

1. სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად.

2. მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. თუ სამართალურთიერთობაში მონაწილეობს 10 პირზე მეტი, მაშინ სასამართლო საქმეში ჩააბამს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ.

2¹. ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე.

2². ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილის შესაბამისად მესამე პირი შეიძლება ჩაბმული იქნეს საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რისთვისაც იგი მიმართავს სასამართლოს მოტივირებული განცხადებით.

2³. მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

3. სასამართლოს განჩინება საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ უნდა გაეგზავნოს მხარეებს და მესამე პირებს, ხოლო თუ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მესამე პირად ათ პირზე მეტია ჩაბმული, განჩინების გადაცემა შეიძლება შეიცვალოს გამოქვეყნებით.

4. სასამართლოს განჩინება პირის მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ არ გასაჩივრდება. ამ მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში.

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა.

საქართველოს 2000 წლის 24 თებერვლის კანონი №169 - სსმI, №7, 08.03.2000წ., მუხ.10

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

მუხლი 16¹. სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae)

1. ნებისმიერ პირს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარე ან მესამე პირი არ არის, აქვს უფლება, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.

2. წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი არ უნდა იყოს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა. წერილობითი მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში უნდა დაეხმაროს. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ არის შედგენილი, ის მას არ განიხილავს.

3. სასამართლო არ არის ვალდებული, გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები, თუმცა, თუ საჭიროდ მიიჩნევს, ის უფლებამოსილია გამოიყენოს სასამართლოს მეგობრის მიერ გამოგზავნილი მოსაზრება. ეს მოსაზრება შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აისახოს.

4. სასამართლო უფლებამოსილია საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად.

საქართველოს 2015 წლის 3 ივლისის კანონი №3900 - ვებგვერდი, 10.07.2015წ.

თავი VII. სასამართლო მტკიცებულებები

მუხლი 17. მტკიცების ტვირთი

1. მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

საქართველოს 2000 წლის 25 ოქტომბრის კანონი №567 - სსმI, №39, 10.11.2000წ., მუხ.111

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

მუხლი 18. (ამოღებულია)

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

მუხლი 19. მტკიცებულებების შეგროვება სასამართლოს მიერ

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

2. მხარეს უფლება აქვს ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება მათ თაობაზე.

3. სასამართლო უფლებამოსილია მხარეს დაუნიშნოს დამატებითი ვადა მტკიცებულებათა წარსადგენად.

4. თუ მხარე საპატიო მიზეზით ვერ ახერხებს მტკიცებულებათა უშუალოდ მიღებას და მათ სასამართლოში წარდგენას, მან ამის შესახებ სასამართლოს უნდა აცნობოს არა უგვიანეს სხდომის დაწყების წინა სამუშაო დღისა.

5. თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს წარდგინებით სასამართლოში მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზების დადგენისა და შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე.

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

მუხლი 20. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ინფორმაციის სასამართლოში წარდგენის თაობაზე

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

საქართველოს 2001 წლის 14 სექტემბრის კანონი №1063 - სსმI, №26, 01.10.2001წ., მუხ.110

მუხლი 20¹. სასამართლოს მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის განხილვის წესი

1. სასამართლო (მოსამართლე) გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერების შემოწმების მიზნით საქმეს იხილავს დახურულ სხდომაზე მხარეთა დასწრების გარეშე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია მხარეებს არ წარედგინება.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული საქმის თაობაზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში არ მიეთითება ის მონაცემი, რომელიც გამოიწვევს გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამჟღავნებას. *საქართველოს 2001 წლის 14 სექტემბრის კანონი №1063 - სსმI, №26, 01.10.2001წ., მუხ.110*

მუხლი 21. სასამართლო აქტების გაცნობის უფლება

1. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, საქმეში მონაწილე პირებს შეუძლიათ სასამართლოს კანცელარიაში გაეცნონ საქმის თაობაზე გამოტანილ სასამართლო აქტებს, აგრეთვე სასამართლოსათვის წარდგენილ მასალებს.

2. მხარე უფლებამოსილია მიიღოს სასამართლო აქტებისა და ადმინისტრაციული საქმის სხვა მასალის ასლები სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით. დოკუმენტის ასლის გადაღებისათვის აუცილებელ ხარჯებს ანაზღაურებს მხარე. ასლის გადაღებისათვის სხვა რაიმე გადასახდელის მოთხოვნა არ შეიძლება.

3. მხარეებს გასაცნობად არ წარედგინებათ სასამართლო აქტების პროექტები, აგრეთვე სხვა მოსამზადებელი მასალები.

თავი VII. ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით

საქართველოს 2001 წლის 8 ივნისის კანონი №925 - სსმI, №18, 28.06.2001წ., მუხ.60

მუხლი 21¹. მოსამართლის ბრძანება მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე

ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ან მაგისტრატის მოსამართლე მეწარმის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქართველოს 2001 წლის 8 ივნისის კანონი №925 - სსმI, №18, 28.06.2001წ., მუხ.60

საქართველოს 2001 წლის 14 სექტემბრის კანონი №1063 - სსმI, №26, 01.10.2001წ., მუხ.110

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

მუხლი 21². მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა

1. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მოსამართლეს წარედგინება მეწარმის შემოწმების დაწყებამდე.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც შეიძლება მიყენებული და უშუალო საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უშიშროებას, ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ანდა მტკიცებულებებს, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა შემოწმების საგნის ნაწილში და დაუყოვნებლივ მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით. თუ საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეუძლებელია ან იგი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საწარმოს ანდა ამას მოითხოვს მეწარმე, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია დაიწყოს მეწარმის შემოწმება და 24 საათის განმავლობაში შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს. შუამდგომლობის წარდგენისას მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს, თუ რაში მდგომარეობდა შემოწმების გადაუდებელი აუცილებლობა.

3. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს ბრძანების გასაცემად. შუამდგომლობაში მიეთითება იმ მეწარმის ზუსტი მონაცემები, რომელიც უნდა შემოწმდეს, შემოწმების ვადა, ხასიათი და ფარგლები.

საქართველოს 2001 წლის 8 ივნისის კანონი №925 - სსმI, №18, 28.06.2001წ., მუხ.60

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №801 - სსმI, №40, 29.12.2008წ., მუხ.263

მუხლი 21³. მეწარმის საქმიანობის შემოწმების საკითხის გადაწყვეტის წესი

1. მოსამართლე გადაწყვეტილებას მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის განმავლობაში.

2. მოსამართლე მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად. მოსამართლე უფლებამოსილია მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის თაობაზედაც შუამდგომლობის მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა ატყობინებს იმ მეწარმეს ან მის წარმომადგენელს, რომლის საქმიანობის შემოწმებასაც ითხოვს მაკონტროლებელი ორგანო და უგზავნის შესაბამის მასალებს. თუ მოსამართლე დაასკვნის, რომ აუცილებელია შუამდგომლობაში მითითებული გარემოებების გამოკვლევა, იგი უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ღია სასამართლო სხდომაზე, გარდა „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. სხდომის შესახებ მხარეებს უნდა ეცნობოს შუამდგომლობის სასამართლოში წარდგენიდან არა უგვიანეს 48 საათისა. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საკითხი განიხილება ამ კოდექსის 20¹ მუხლით განსაზღვრული წესით. მეწარმე ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია

შემოწმების თაობაზე მისთვის შეტყობინებიდან და საქმის მასალების გადაცემიდან 24 საათის განმავლობაში სასამართლოს წერილობით წარუდგინოს თავისი მოსაზრებები.

3. მოსამართლეს უფლება აქვს გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებაც (ცნობები) ასაბუთებს შუამდგომლობას, მისცეს წინადადება შუამდგომლობის შემტან მაკონტროლებელ ორგანოს და მეწარმეს წარმოადგინონ შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებანი.

4. შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვისას საქმის განხილვა იწყება მოსამართლის მოხსენებით, რომელიც აცხადებს, თუ რა შუამდგომლობა განიხილება, რის შემდეგაც იგი მოისმენს მაკონტროლებელი ორგანოს დასაბუთებულ არგუმენტებს შემოწმების თაობაზე და აძლევს მას შეკითხვებს. მეწარმეს ან მის წარმომადგენელს შესაძლებლობა აქვს მისცეს განმარტებები და გამოთქვას საწინააღმდეგო მოსაზრებები. მოსამართლის ნებართვით მეწარმე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი შეკითხვებს აძლევს მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია უპასუხოს მოსამართლისა და მეწარმის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის შეკითხვებს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

5. (ამოღებულია).

6. სასამართლო სხდომაზე დგება ოქმი. შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გასცემს დასაბუთებულ ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე. თუ მეწარმის შემოწმება უკვე დაწყებულია და სასამართლო უარს აცხადებს მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე, ბრძანებაში მიეთითება შემოწმების შეწყვეტისა და მეწარმისათვის მიყენებული ზიანის (თუ ზიანი დადგა მაკონტროლებელი ორგანოს ბრალეული ქმედების შედეგად) ანაზღაურების შესახებ.

7. მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანებაში აღინიშნება:

- ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ) მოსამართლის გვარი;
- გ) მაკონტროლებელი ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს;
- დ) განკარგულება მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ, მისი არსი და მეწარმე, რომლის შემოწმებაც ხდება;
- ე) ბრძანების მოქმედებისა და მეწარმის საქმიანობის შემოწმების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს;
- ვ) თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელიც უფლებამოსილია შეასრულოს ბრძანება;
- ზ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

8. თუ სასამართლო არ ეთანხმება მეწარმის საქმიანობის შემოწმებას, ბრძანებაში აღინიშნება:

- ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ) მოსამართლის გვარი;
- გ) მაკონტროლებელი ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს;
- დ) განკარგულება მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე უარის თქმის თაობაზე შესაბამისი დასაბუთებით და მეწარმე, რომლის საქმიანობის შემოწმებაზედაც ითქვა უარი;
- ე) თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს ბრძანება;
- ვ) მოსამართლის ხელმოწერა და ბეჭედი.

9. მოსამართლის ბრძანება დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ მაკონტროლებელ ორგანოს, მეორე – შესაბამის მეწარმეს ან მის წარმომადგენელს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

10. ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოების საფუძველზე მეწარმე ან მისი წარმომადგენელი 3 დღის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული გარემოება, უფლებამოსილია მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გაუქმების შუამდგომლობით მიმართოს იმ სასამართლოს, რომლის მოსამართლის ბრძანებითაც ხორციელდება მეწარმის საქმიანობის შემოწმება. შუამდგომლობა განიხილება ამ მუხლით დადგენილი წესით. შუამდგომლობის დაკმაყოფილება იწვევს მოსამართლის ბრძანების გაუქმებას.

11. (ამოღებულია).

12. მოსამართლის ბრძანების მოქმედების და მეწარმის საქმიანობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს. გამონაკლის შემთხვევაში დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე დასაშვებია ამ ვადის გაგრძელება არა უმეტეს 15 დღისა. ამასთანავე, თუ მეწარმის წლიური ბრუნვა აღემატება 1 მილიონ ლარს, ზემოთ აღნიშნული 30-დღიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით არა უმეტეს 40 დღით. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მეწარმის საქმიანობის შემოწმების ვადის გაგრძელების შესახებ განიხილება ამ მუხლით დადგენილი წესით.

13. შუამდგომლობის წარმდგენი უფლებამოსილია სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათში ან შუამდგომლობის სასამართლო სხდომაზე განხილვისას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე გამოითხოვოს იგი. იმავე საფუძველით შუამდგომლობის განმეორებით წარდგენა სასამართლოში არ დაიშვება.

14. მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს ბრძანების მოქმედებას. მოსამართლის ბრძანება ამ მუხლით დადგენილი წესით 48 საათის განმავლობაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

15. საჩივარი მოსამართლის დასაბუთებული ბრძანების გაუქმების თაობაზე შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში მხარისათვის ბრძანების ასლის გადაცემიდან 48 საათის განმავლობაში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს. საჩივრისა და თანდართული მასალების ასლები ეგზავნება მეორე მხარეს.

16. საჩივარი სააპელაციო სასამართლოში განიხილება პირველ ინსტანციაში სასამართლო განხილვისათვის დადგენილი წესით.

17. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო გასაჩივრებულ ბრძანებას აუქმებს ბრძანებით.

18. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საქართველოს 2001 წლის 8 ივნისის კანონი №925 - სსმI, №18, 28.06.2001წ., მუხ.60

საქართველოს 2001 წლის 14 სექტემბრის კანონი №1063 - სსმI, №26, 01.10.2001წ., მუხ.110

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

საქართველოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონი №878 - სსმI, №41, 30.12.2008წ., მუხ.313

საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონი № 2036 - ვებგვერდი, 29.03.2018 წ.

თავი VI. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3391 - სსმI, №6, 09.03.2004წ., მუხ.28

საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი №5198 - სსმI, №28, 18.07.2007წ., მუხ.285

მუხლი 21⁴. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3391 - სსმI, №6, 09.03.2004წ., მუხ.28
საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4214 - სსმI, №51, 31.12.2006წ., მუხ.442
საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი №5198 - სსმI, №28, 18.07.2007წ., მუხ.285

მუხლი 21⁵. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3391 - სსმI, №6, 09.03.2004წ., მუხ.28
საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის კანონი №2266 - სსმI, №55, 27.12.2005წ., მუხ.369
საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი №5198 - სსმI, №28, 18.07.2007წ., მუხ.285

მუხლი 21⁶(ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3391 - სსმI, №6, 09.03.2004წ., მუხ.28
საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი №5198 - სსმI, №28, 18.07.2007წ., მუხ.285

მუხლი 21⁷. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3391 - სსმI, №6, 09.03.2004წ., მუხ.28
საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4214 - სსმI, №51, 31.12.2006წ., მუხ.442
საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი №5198 - სსმI, №28, 18.07.2007წ., მუხ.285

მუხლი 21⁸. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3391 - სსმI, №6, 09.03.2004წ., მუხ.28
საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი №5198 - სსმI, №28, 18.07.2007წ., მუხ.285

მუხლი 21⁹. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3391 - სსმI, №6, 09.03.2004წ., მუხ.28
საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონი №1352-სსმI, №19, 28.04.2005წ., მუხ.124
საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი №5198 - სსმI, №28, 18.07.2007წ., მუხ.285

მუხლი 21¹⁰. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3391 - სსმI, №6, 09.03.2004წ., მუხ.28
საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი №5198 - სსმI, №28, 18.07.2007წ., მუხ.285

მუხლი 21¹¹. (ამოღებულია)

საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3391 - სსმI, №6, 09.03.2004წ., მუხ.28
საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4214 - სსმI, №51, 31.12.2006წ., მუხ.442
საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი №5198 - სსმI, №28, 18.07.2007წ., მუხ.285

თავი VII³. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3146 - სსმI, №20, 09.06.2006წ., მუხ.174

საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №762 - ვებგვერდი, 25.05.2017წ.

მუხლი 21¹². სასამართლოსათვის მიმართვა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის

უფლებამოსილების შეზღუდვის, აგრეთვე არასრულწლოვნის მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და გასაჩივრების წესი

1. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ მსხვერპლს/სავარაუდო მსხვერპლს და მისი ოჯახის წევრს, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

2. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მხოლოდ მსხვერპლის თანხმობით მიმართვის უფლება აქვს სოციალურ მუშაკს, აგრეთვე პირს, რომელიც მსხვერპლს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს.

3. არასრულწლოვნის მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, არასრულწლოვნის დაკითხვისას (გამოკითხვისას), გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად.

4. დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ ან შემაჯავებელი ორდერის გასაჩივრების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს დაუშვებელია ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) სავარაუდო მოძალადე მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) თანდასწრებით. ასევე დაუშვებელია არასრულწლოვნის დაკითხვაზე (გამოკითხვაზე) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასწრება, თუ მის (მათ) მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი მოძალადე ოჯახის წევრსა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში, აგრეთვე მისთვის (მათთვის) არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობა ან გადაცემა.

5. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება, იყოს არასრულწლოვნის წარმომადგენელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში, შეჩერებულად ითვლება სასამართლოში საქმის წარმოების განმავლობაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სავარაუდო მოძალადეა ან მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი მოძალადე ოჯახის წევრს, არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირსა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში.

6. სასამართლო მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომლის ორივე მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შეეზღუდა მშობლის უფლება ან მოვალეობა, განჩინებით საქმეში მხარედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოიწვევს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს არასრულწლოვნის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს არასრულწლოვნის ინტერესებს წარმოადგენს.

7. არასრულწლოვნის მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირისგან განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შედის ძალაში და 24 საათის განმავლობაში ეგზავნება არასრულწლოვნის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს (წარმომადგენლებს) მისი (მათი) იდენტიფიცირების შემთხვევაში.

8. არასრულწლოვნის მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირისგან განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილება შეიძლება არასრულწლოვნის მშობელმა ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა ამ კოდექსით დადგენილი წესით ნებისმიერ დროს გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოში არასრულწლოვნის ადგილსამყოფლის მიხედვით. კანონიერი წარმომადგენლის სარჩელი არ აჩერებს განცალკევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

9. სასამართლო სარჩელის დადგენილი წესით წარმოებაში მიღებიდან 24 საათის განმავლობაში სარჩელსა და თანდართულ მასალებს უგზავნის არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. ეს ორგანო უფლებამოსილია წერილობით უპასუხოს სარჩელში მითითებულ საკითხებს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლო უწყების მიღებიდან 2 დღის ვადაში.

10. მოსამართლე უფლებამოსილია მხარის ან საკუთარი ინიციატივით საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილოს.

11. სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისი სასამართლოს მიერ განხილვას.

12. სასამართლო სარჩელს დადგენილი წესით წარმოებაში მიღებიდან 5 დღის ვადაში განიხილავს და იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების გაუქმების ან მის გაუქმებაზე უარის თქმის თაობაზე.

13. სასამართლო არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების ან მის გაუქმებაზე უარის თქმის თაობაზე დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებს შინაგანი რწმენის საფუძველზე. ეს გადაწყვეტილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გადაეცემა მხარეებს.

14. ამ მუხლით განსაზღვრული, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.

15. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ამ მუხლით დადგენილი წესით იღებს სააპელაციო სასამართლო მისთვის საჩივრის წარდგენიდან 3 დღის ვადაში.

16. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

17. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება არასრულწლოვნის მშობელმა ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა გაასაჩივროს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით დადგენილი წესით, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ მისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, საქმის სასამართლოში განხილვის დროს რომ ყოფილიყო წარდგენილი, მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას გამოიწვევდა.

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3146 - სსმI, №20, 09.06.2006წ., მუხ.174

საქართველოს 2009 წლის 28 დეკემბრის კანონი №2510 - სსმI, №3, 13.01.2010წ., მუხ.7

საქართველოს 2014 წლის 17 ოქტომბრის კანონი №2699 - ვებგვერდი, 31.10.2014 წ.

საქართველოს 2016 წლის 22 ივნისის კანონი №5450 - ვებგვერდი, 12.07.2016წ.

საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №762 - ვებგვერდი, 25.05.2017წ.

საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი №5025 - ვებგვერდი, 01.10.2019წ.

მუხლი 21¹³. დამცავი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი

1. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე სასამართლოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს დამცავი ორდერი.

2. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამ კოდექსით დადგენილი წესით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. იგი უნდა შეიცავდეს:

ა) განცხადების შემტანი პირის სახელს, გვარს;

ბ) განცხადების შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;

ბ¹) მოძალადის საცხოვრებელი ან/და სამუშაო ადგილის მისამართსა და ტელეფონის (მათ შორის, მობილურის) ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის აღწერას;

დ) ცნობებს მოძალადისა და მსხვერპლის, მათი ურთიერთკავშირის შესახებ;

ე) მტკიცებ ულებათა ჩამონათვალს;

ვ) დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნას;

ზ) მსხვერპლის ან დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლების მქონე სხვა პირის ხელმოწერას.

4. სასამართლო განცხადების სასამართლოს კანცელარიაში დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში განიხილავს მას და იღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ.

5. სასამართლო განცხადების სასამართლოს კანცელარიაში დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 24 საათის განმავლობაში განცხადებასა და თანდართულ მასალებს უგზავნის იმ პირს, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, აგრეთვე აძლევს მას უფლებას წარადგინოს მტკიცებულებები. პირი, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, უფლებამოსილია წერილობით უპასუხოს განცხადებაში მითითებულ საკითხებს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლო უწყების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

5¹. მოსამართლე უფლებამოსილია მხარის (არასრულწლოვნის შემთხვევაში – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) ან საკუთარი ინიციატივით საქმე განიხილოს დახურულ სასამართლო სხდომაზე.

5². ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო ასევე განიხილავს არასრულწლოვანთან მოძალადე მშობლის (მშობლების) ურთიერთობის საკითხს. არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის კვალის არსებობისას სასამართლოს წინაშე შეიძლება დაისვას არასრულწლოვნის მოძალადე მშობლისაგან (მშობლებისაგან) განცალკევების საკითხი. აღნიშნულის თაობაზე, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლო დროებითი ღონისძიების სახით იღებს განკარგულებას მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში.

6. ამ მუხლით განსაზღვრული, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული დამცავი ორდერის მოქმედებას. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ამ მუხლით დადგენილი წესით იღებს სააპელაციო სასამართლო საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების განხილვას შესაბამის სასამართლოში.

7¹. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო

გადაწყვეტილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გადაეცემა მხარეებს. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაძლო დარღვევაზე რეაგირებისათვის, მიღებიდან ასევე 24 საათის განმავლობაში ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ დამცავი ორდერით გათვალისწინებული საკითხი არასრულწლოვანს შეეხება, აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება ეგზავნება აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილება იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს.

8. (ამოღებულია).

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3146 - სსმI, №20, 09.06.2006წ., მუხ.174

საქართველოს 2009 წლის 28 დეკემბრის კანონი №2510 - სსმI, №3, 13.01.2010წ., მუხ.7

საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №762 - ვებგვერდი, 25.05.2017წ.

მუხლი 21¹⁴. შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი

1. შემაკავებელი ორდერის გამოცემის წესი და მოქმედების ვადა განისაზღვრება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე სარჩელს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამ კოდექსით დადგენილი წესით, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე სარჩელი წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი. იგი უნდა შეიცავდეს:

- ა) სარჩელის შემტანი პირის სახელსა და გვარს;
- ბ) სარჩელის შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;
- გ) ფაქტობრივი გარემოებების აღწერას;
- დ) ცნობებს მოძალადის, მსხვერპლის და მათი ურთიერთობის შესახებ;
- ე) მტკიცებულებათა ჩამონათვალს;
- ვ) შემაკავებელი ორდერის გაუქმების ან მასში ცვლილების შეტანის მოთხოვნას;
- ზ) მოსარჩელის ხელმოწერას.

4. სასამართლო სარჩელს წარდგენიდან 3 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის გაუქმების ან ნაწილობრივ გაუქმების ან მის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ.

5. სასამართლო სარჩელს წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში, თანდართულ მასალებთან ერთად უგზავნის შემაკავებელი ორდერის გამომცემ უფლებამოსილ ორგანოს, აგრეთვე დაინტერესებულ პირს, რომლის დასაცავადაც გამოიცა შემაკავებელი ორდერი, და აძლევს მათ უფლებას, სარჩელთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები და მტკიცებულებები წარადგინონ.

6. პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია წერილობით უპასუხოს სარჩელში მითითებულ საკითხებს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე.

7. მოსამართლე უფლებამოსილია მხარის (არასრულწლოვნის შემთხვევაში – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) ან საკუთარი ინიციატივით საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილოს.

8. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს სასამართლოს მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების განხილვას.

9. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გადაეცემა მხარეებს.

10. ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში.

11. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ამ მუხლით დადგენილი წესით იღებს სააპელაციო სასამართლო საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში.

12. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

13. შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე სარჩელის წარდგენა და ამ მუხლით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული შემაკავებელი ორდერის მოქმედებას.

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3146 - სსმI, №20, 09.06.2006წ., მუხ.174

საქართველოს 2009 წლის 28 დეკემბრის კანონი №2510 - სსმI, №3, 13.01.2010წ., მუხ.7

საქართველოს 2014 წლის 17 ოქტომბრის კანონი №2699 - ვებგვერდი, 31.10.2014 წ.

საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №762 - ვებგვერდი, 25.05.2017წ.

საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6759 - ვებგვერდი, 20.07.2020წ.

მუხლი 21¹⁵. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი საკითხები

1. დამცავი ორდერის წარმოება ხდება სამართალწარმოების ენაზე, ცხადად და გასაგებად. იგი შეიძლება წარმოებულ იქნეს ხელით ან დაიბეჭდოს ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

2. დამცავ ორდერში მიეთითება:

ა) მისი გამოცემის თარიღი და ადგილი;

ბ) გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის გამოცემას;

გ) მოძალადის სახელი და გვარი, დაზადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი;

დ) ამ მუხლის მე-3 ნაწილის და „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შემაკავებელი ორდერით გასათვალისწინებელი იმ მოქმედებების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებაც ეკრძალება მოძალადეს;

ე) მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლისა და შესაბამისი საფასურის გადახდის საკითხები.

3. დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან დაცვის ზომებს;

ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდების და მათ თავშესაფარში მოთავსების საკითხებს;

გ) მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან გარიდების საკითხს;

დ) მოძალადის ვალდებულებას – არ შეზღუდოს მსხვერპლი, ისარგებლოს პირადი ნივთებით, ავტომანქანით ან სხვა იმ ქონებით, რომელიც აუცილებელია ადამიანის ნორმალური არსებობისათვის;

ე) მოძალადისათვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

ვ) მოძალადის არასრულწლოვნისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხებს;

ზ) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხებს;

თ) მოძალადისათვის დამცავი ორდერის მოქმედების პერიოდში ან დამცავი ორდერით განსაზღვრულ პერიოდში იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-სამშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, იარაღის შექმნის ან მის შექმნაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვას და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის) შენახვის ან დროებით ჩამორთმევის პირობებს;

ი) მოძალადის მიერ მსხვერპლის მკურნალობის, თავშესაფარში ყოფნის და სხვა, გონივრული ხარჯების ანაზღაურების საკითხებს;

კ) მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ლ) (ამოღებულია - 20.09.2019, №5025);

მ) მოძალადის გაფრთხილებას დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ნ) სხვა საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

4. დამცავ ორდერში შესაძლებელია მიეთითოს ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი ან ყველა საკითხი, ძალადობის ფაქტის ადეკვატურად.

5. დამცავი ორდერის მოქმედების ვადა განისაზღვრება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით.

6. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამცავი ორდერი მზადდება არანაკლებ 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ჰპარდება მოძალადეს, ერთი – მსხვერპლს, ერთი ეგზემპლარი რჩება დამცავი ორდერის გამომცემ უფლებამოსილ ორგანოში, ხოლო ერთი ეგზემპლარი ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ დამცავი ორდერით გათვალისწინებული საკითხი არასრულწლოვანს შეეხება, დამცავი ორდერის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილება იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს. დამცავ ორდერთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მხარეებს ჰპარდება ამ კოდექსით დადგენილი წესით.

7. დამცავი ორდერი ამოქმედდება გამოცემისთანავე.

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3146 - სსმI, №20, 09.06.2006წ., მუხ.174

საქართველოს 2009 წლის 28 დეკემბრის კანონი №2510 - სსმI, №3, 13.01.2010წ., მუხ.7

საქართველოს 2014 წლის 17 ოქტომბრის კანონი №2699 - ვებგვერდი, 31.10.2014 წ.
საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №762 - ვებგვერდი, 25.05.2017წ.
საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი №5025 - ვებგვერდი, 01.10.2019წ.

თავი VII⁴. ადმინისტრაციული სამართალწარმოება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით
საქართველოს 2006 წლის 14 ივლისის კანონი №3452 - სსმI, №30, 27.07.2006წ., მუხ.236
მუხლი 21¹⁶. მოსამართლის ბრძანება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ

1. შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის ან პენიტენციური დაწესებულების მიმართვის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ბრძანებას გამოსცემს მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მაგისტრატი მოსამართლე არ მოქმედებს, – შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ან პენიტენციური დაწესებულების ადგილსამყოფლის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე.

2. მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმეს განიხილავს და ბრძანებას გამოსცემს ამ თავით დადგენილი წესით.

საქართველოს 2006 წლის 14 ივლისის კანონი №3452 - სსმI, №30, 27.07.2006წ., მუხ.236
საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი №3526 - სსმI, №46, 04.08.2010წ., მუხ.289
საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი №950 - ვებგვერდი, 20.06.2017წ.

მუხლი 21¹⁷. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ მოსამართლისათვის ან სასამართლოსათვის მიმართვა

1. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ბრძანების გამოცემის თხოვნით მაგისტრატ მოსამართლეს ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მიმართავს იმ ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ან პენიტენციური დაწესებულება, რომელშიც პაციენტი/მსჯავრდებული იმყოფება.

2. ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ან პენიტენციური დაწესებულება მაგისტრატ მოსამართლეს ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს შესაბამისი ბრძანების გამოცემის თხოვნით მიმართავს პაციენტის/მსჯავრდებულის სტაციონარში მოთავსებიდან ან უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულებიდან დადებითი დასკვნის მიღებიდან 48 საათის ვადაში.

3. ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის ან პენიტენციური დაწესებულების მიმართვა დასაბუთებული უნდა იყოს და უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისად ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნას ან უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების დასკვნას, რომელიც პაციენტის/მსჯავრდებულის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებთან (პასპორტი, პირადობის მოწმობა, ქორწინების მოწმობა, სხვა დოკუმენტი) ერთად, მათი არსებობის შემთხვევაში, უნდა დაერთოს აღნიშნულ მიმართვას. თუ არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონარში მოსათავსებელი პირის ვინაობა (სახელი, გვარი, ასაკი, სქესი, მოქალაქეობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი) დაუდგენელია, რადგან არ არსებობს მისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვას უნდა დაერთოს ფსიქიკური უანმრთელობის

შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ოქმი, თუ იგი პოლიციის თანამშრომელმა შეადგინა.

საქართველოს 2006 წლის 14 ივლისის კანონი №3452 - სსმI, №30, 27.07.2006წ., მუხ.236

საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი №3526 - სსმI, №46, 04.08.2010წ., მუხ.289

საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი №950 - ვებგვერდი, 20.06.2017წ.

საქართველოს 2020 წლის 23 ივნისის კანონი №6362 – ვებგვერდი, 01.07.2020წ.

მუხლი 21¹⁸. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმის განხილვისა და ბრძანების გამოცემის წესი

1. მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 24 საათის ვადაში.

2. მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმეს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილავს. სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ პაციენტის/მსჯავრდებულის მკურნალობის პროცესში ჩართულ პირებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთა მონაწილეობაც აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალწარმოების განხორციელების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული საქმის განხილვაში უნდა მონაწილეობდნენ შესაბამისად ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის ან პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენელი, შესაბამისი ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის ერთი წევრი მაინც, პაციენტი/მსჯავრდებული და მისი ადვოკატი. თუ პაციენტი/მსჯავრდებულს არ აქვს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, სასამართლო ვალდებულია დაუნიშნოს მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. საქმის განხილვაში მონაწილეობს აგრეთვე პაციენტის/მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო მისი არარსებობისას – ნათესავი (ამ შემთხვევაში ტერმინი „პაციენტის ნათესავი“ გულისხმობს პირს „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა წრიდან). განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც პაციენტის/მსჯავრდებულის სასამართლოში მიყვანა შეუძლებელია მისი ავადმყოფობის გამო ან სხვა ობიექტური მიზეზით, მოსამართლე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმის განსახილველად ატარებს გასვლით სასამართლო სხდომას იმ სტაციონარში, რომელშიც პაციენტი/მსჯავრდებული იმყოფება, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, პაციენტმა/მსჯავრდებულმა საქმის განხილვაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

3. მოსამართლე სასამართლო სხდომის გახსნის შემდეგ აცხადებს, რა მიმართვა განიხილება, ასახელებს სასამართლო პროცესის მონაწილეებს, არკვევს, არის თუ არა აცილებები. შესაბამისად ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის ან პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენელი ასაბუთებს თავის მიერ წარდგენილ მიმართვას, რის შემდეგაც უპასუხებს მოსამართლეს, პაციენტის/მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის, კანონიერი წარმომადგენლის ან/და ნათესავის შეკითხვებს. პაციენტის/მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის ან ნათესავის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა არ არის მიმართვის განხილვის გადადების საფუძველი.

4. მოსამართლე უფლებამოსილია გამოიძახოს და დაკითხოს ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის წევრები, რომლის დასკვნის საფუძველზედაც ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციამ ან პენიტენციურმა დაწესებულებამ სასამართლოს მიმართა, აგრეთვე სხვა

პირი, რომლის ჩვენებაც (ცნობები) ასაბუთებს მიმართვას. პაციენტს/მსჯავრდებულს, მის ადვოკატს, კანონიერ წარმომადგენელს ან/და ნათესავს უფლება აქვს, მოითხოვოს სხვა პირთა დაკითხვაც, რომელთა ჩვენებებს საქმისთვის შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. პაციენტს/მსჯავრდებულს, მის ადვოკატს, კანონიერ წარმომადგენელს ან/და ნათესავს ასევე უფლება აქვს, სასამართლოს მისცეს განმარტებები და ჩამოაყალიბოს საპირისპირო მოსაზრებები.

5. სასამართლო სხდომაზე დგება ოქმი. მიმართვის დასაბუთებულობის შემოწმებისა და „ფსიქიკური უცნაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების შეფასების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პაციენტის სტაციონარში მოთავსების შესახებ არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამოწურვამდე, მაგრამ არაუმეტეს 6 თვისა.

6. თუ არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების კანონით დადგენილი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებაზე უარის შესახებ. ამ შემთხვევაში არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონარში მოთავსებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გაეწეროს სტაციონარიდან.

7. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ მოსამართლის ბრძანებაში მიეთითება:

ა) ბრძანების გამოცემის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) ფსიქიატრიული დაწესებულება, რომლის ადმინისტრაციამ სასამართლოს შესაბამისი მიმართვა წარუდგინა, ან პენიტენციური დაწესებულება, რომელმაც სასამართლოს მიმართა;

დ) სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეები;

ე) განკარგულება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, და სტაციონარში მოსათავსებელი პირის ვინაობა (თუ პირის ვინაობა დაუდგენელია, რადგან არ არსებობს მისი იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ფაქტი ან მონაცემი, მაშინ მოსამართლის ბრძანებაში აღინიშნება – „არაიდენტიფიცირებული პაციენტი №.....“ და განხილული ადმინისტრაციული საქმის სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით მას მიენიჭება პირობითი ნომერი);

ვ) არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ბრძანების მოქმედების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. ბრძანებაში, როგორც წესი, მიეთითება, რომ იგი მოქმედებს პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამოწურვამდე, რასაც ადგენს შესაბამისი ექიმ-ფსიქიატრთა კომისია დასკვნის საფუძველზე;

ზ) ფსიქიატრიული დაწესებულება (მისი ხელმძღვანელი), რომელმაც უნდა შეასრულოს ბრძანება;

თ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

8. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებაზე უარის შესახებ მოსამართლის დადგენილებაში მიეთითება:

ა) დადგენილების გამოტანის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) ფსიქიატრიული დაწესებულება, რომლის ადმინისტრაციამ სასამართლოს შესაბამისი მიმართვა წარუდგინა, ან პენიტენციური დაწესებულება, რომელმაც სასამართლოს მიმართა;

დ) სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეები;

ე) განკარგულება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებაზე უარის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, და იმ პირის ვინაობა, რომელიც უნდა მოთავსებულიყო სტაციონარში (თუ პირის ვინაობა დაუდგენელია, რადგან არ არსებობს მისი იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ფაქტი ან მონაცემი, მაშინ მოსამართლის დადგენილებაში აღნიშნება – „არაიდენტიფიცირებული პაციენტი №.....“ და განხილული ადმინისტრაციული საქმის სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით მას მიენიჭება პირობითი ნომერი);

ვ) ფსიქიატრიული დაწესებულება (მისი ხელმძღვანელი), რომელმაც უნდა შეასრულოს დადგენილება;

ზ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

9. მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) დგება სამ ცალად, რომელთაგან ერთი ეგზავნება მიმართვის წარმდგენ ფსიქიატრიულ დაწესებულებას, მეორე – პაციენტს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ნათესავს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

10. ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს სასამართლოში მიმართვის განხილვისას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე გამოითხოვოს თავისი მიმართვა.

11. მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) ძალაში შედის მხარეებისათვის ბრძანების (დადგენილების) გამოცხადებისთანავე.

საქართველოს 2006 წლის 14 ივლისის კანონი №3452 - სსმI, №30, 27.07.2006წ., მუხ.236

საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის კანონი №2270 - სსმI, №45, 21.12.2009წ., მუხ.331

საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი №3526 - სსმI, №46, 04.08.2010წ., მუხ.289

საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი №950 - ვებგვერდი, 20.06.2017წ.

საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონი №2036 - ვებგვერდი, 29.03.2018წ.

საქართველოს 2020 წლის 23 ივნისის კანონი №6362 – ვებგვერდი, 01.07.2020წ.

მუხლი 21^ა. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში

მოთავსების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადა და მისი მოქმედების ვადის გაგრძელების წესი

1. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ მოსამართლის ბრძანება მოქმედებს პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამოწურვამდე, რაც დასტურდება ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. აღნიშნული ვადა არ ვრცელდება პაციენტზე, რომელიც სასჯელს იხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში. სტაციონარში მოთავსების ვადა აითვლება პირის სტაციონარში მოთავსებიდან.

2. პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და „ფსიქიკური უანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე დასაშვებია ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ვადის გაგრძელება არაუმეტეს 6 თვისა. ყოველი ამგვარად გაგრძელებული ვადის ამოწურვის შემთხვევაში ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია კვლავ მიმართოს სასამართლოს ვადის გაგრძელების მოთხოვნით, თუ არ

არის ამოწურული პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმები. ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელების შესახებ განიხილება ამ კოდექსის 21¹⁸ მუხლით დადგენილი წესით, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 72 საათში.

3. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტის არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმები ამოწურა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ ან/და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გამოცემიდან 6 თვის გასვლამდე, პაციენტი დაუყოვნებლივ უნდა გაიწეროს სტაციონარიდან. გადაწყვეტილებას პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შესახებ იღებს ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება მაგისტრატ მოსამართლეს ან/და შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

საქართველოს 2006 წლის 14 ივლისის კანონი №3452 - სსმI, №30, 27.07.2006წ., მუხ.236

საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის კანონი №2270 - სსმI, №45, 21.12.2009წ., მუხ.331

საქართველოს 2020 წლის 23 ივნისის კანონი №6362 – ვებგვერდი, 01.07.2020წ.

მუხლი 21²⁰. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრება

1. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) შეიძლება ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციამ ან პენიტენციურმა დაწესებულებამ, პაციენტმა/მსჯავრდებულმა, მისმა ადვოკატმა, კანონიერმა წარმომადგენელმა ან/და ნათესავმა ამ მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში.

2. საჩივარი მოსამართლის დასაბუთებული ბრძანების (დადგენილების) გაუქმების შესახებ შეიტანება ბრძანების (დადგენილების) გამომცემ (გამომტან) სასამართლოში მხარისთვის ბრძანების (დადგენილების) ასლის გადაცემიდან 48 საათის ვადაში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს. საჩივრისა და თანდართული მასალების ასლები გადაეგზავნება მეორე მხარესაც.

3. სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

4. საჩივარი სააპელაციო სასამართლოში განიხილება არსებითად, საჩივრის შეტანიდან 1 კვირის ვადაში, ამ კოდექსის 21¹⁸ მუხლით დადგენილი წესით. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით დანიშნოს დამატებითი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. თუ ეს ექსპერტიზა დანიშნულია სასამართლოს ინიციატივით, იგი ტარდება სახელმწიფოს ხარჯზე. მხარის მოთხოვნით დანიშნული ექსპერტიზა ტარდება ამ მხარის ხარჯზე.

5. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ ბრძანებას აუქმებს ბრძანებით, ხოლო გასაჩივრებულ დადგენილებას – დადგენილებით.

6. სააპელაციო სასამართლოს ბრძანება (დადგენილება) საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საქართველოს 2006 წლის 14 ივლისის კანონი №3452 - სსმI, №30, 27.07.2006წ., მუხ.236

საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი №3526 - სსმI, №46, 04.08.2010წ., მუხ.289

საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი №950 - ვებგვერდი, 20.06.2017წ.

საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონი №2036 - ვებგვერდი, 29.03.2018წ.

თავი VII. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით

საქართველოს 2007 წლის 11 ივნისის კანონი №5281 - სსმI, №30, 30.07.2007წ., მუხ.345

მუხლი 21²¹. მოსამართლის ბრძანება გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე

ბრძანებას გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქართველოს 2007 წლის 11 ივნისის კანონი №5281 - სსმI, №30, 30.07.2007წ., მუხ.345

მუხლი 21²². საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა

საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს და მასში უნდა მიეთითოს გადასახადის გადამხდელის ზუსტი მონაცემები.

საქართველოს 2007 წლის 11 ივნისის კანონი №5281 - სსმI, №30, 30.07.2007წ., მუხ.345

მუხლი 21²³. გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის საკითხის გადაწყვეტის წესი

1. მოსამართლე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს შუამდგომლობის წარდგენიდან 14 დღის ვადაში.

2. მოსამართლე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად. სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობენ საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი და ის გადასახადის გადამხდელი ან მისი წარმომადგენელი, რომლის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე ბრძანების გამოცემასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვერ ხერხდება მხარეთა მოწვევა).

3. მხარეთა გამოუცხადებლობა ან მათი მოწვევის შეუძლებლობა არ იწვევს საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

4. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს ბრძანებას გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ, რომელშიც აღნიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;

დ) საგადასახადო ორგანო, რომელიც უფლებამოსილია შეასრულოს ბრძანება;

ე) განკარგულება გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების აუქციონზე რეალიზაციის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ;

ვ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

5. მოსამართლის ბრძანება დგება სამ ცალად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე – გადასახადის გადამხდელს, ხოლო მესამე – რჩება სასამართლოში.

6. მოსამართლის ბრძანება ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ნაწილში ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს ბრძანების მოქმედებას.

7. საჩივარი მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის ბრძანების ეგზეკუტორის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს.

8. საჩივარი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება შეტანიდან 10 დღის ვადაში.

9. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საქართველოს 2007 წლის 11 ივნისის კანონი №5281 - სსმI, №30, 30.07.2007წ., მუხ.345

თავი VII⁶. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3046 - სსმI, №24, 10.05.2010წ., მუხ.165

საქართველოს 2011 წლის 6 დეკემბრის კანონი №5371 - ვებგვერდი, 20.12.2011წ.

საქართველოს 2015 წლის 17 ივლისის კანონი №4063 - ვებგვერდი, 29.07.2015წ.

საქართველოს 2016 წლის 1 დეკემბრის კანონი №47 - ვებგვერდი, 15.12.2016წ.

მუხლი 21²⁴. სასამართლოსთვის მიმართვა

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებულ დავაზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს საერთაშორისო დაცვის მქონე პირს ან თავშესაფრის მაძიებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისთვის გასაგებ ენაზე, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისთვის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3046 - სსმI, №24, 10.05.2010წ., მუხ.165

საქართველოს 2011 წლის 6 დეკემბრის კანონი №5371 - ვებგვერდი, 20.12.2011წ.

საქართველოს 2015 წლის 17 ივლისის კანონი №4063 - ვებგვერდი, 29.07.2015წ.

საქართველოს 2016 წლის 1 დეკემბრის კანონი №47 - ვებგვერდი, 15.12.2016წ.

მუხლი 21²⁵. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტის წესი

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლო საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემის საკითხთან დაკავშირებულ დავას განიხილავს და გამოტანილ გადაწყვეტილებას მხარეებს უგზავნის სარჩელის სასამართლოში წარდგენიდან 2 თვის ვადაში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანება გადაწყვეტილების გამოტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, მხარისათვის მისი გადაცემიდან 15 დღის ვადაში. მოსამართლე სააპელაციო საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს.

3. სააპელაციო სასამართლოში მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს სააპელაციო საჩივრის განხილვას.

4. სააპელაციო სასამართლო საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 1 თვის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3046 - სსმI, №24, 10.05.2010წ., მუხ.165

საქართველოს 2011 წლის 6 დეკემბრის კანონი №5371 - ვებგვერდი, 20.12.2011წ.

საქართველოს 2015 წლის 17 ივლისის კანონი №4063 - ვებგვერდი, 29.07.2015წ.

საქართველოს 2016 წლის 1 დეკემბრის კანონი №47 - ვებგვერდი, 15.12.2016წ.

თავი VII. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის დამისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით

საქართველოს 2011 წლის 5 მაისის კანონი №4646 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.

მუხლი 21^ა. სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა

1. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ იმავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს.

2. უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი პირველი რიგის მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს არაუგვიანეს 2018 წლის 1 იანვრისა წარუდგენს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს რეპრესირებული პირის/მისი პირველი რიგის მემკვიდრის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამ თავის მიზნებისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია – დასავლეთ საქართველოს.

3. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს უნდა დაერთოს:

ა) პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) პირველი რიგის მემკვიდრის მიერ სარჩელის წარდგენისას – მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) სანოტარო წესით დამოწმებული გარიგება ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლების დათმობის თაობაზე, თუ არსებობს რამდენიმე პირველი რიგის მემკვიდრე და ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას ეს მემკვიდრეები თმობენ ერთი ან რამდენიმე მემკვიდრის სასარგებლოდ.

4. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის რამდენიმე პირველი რიგის მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში მათზე გაიცემა ერთიანი ფულადი კომპენსაცია.

საქართველოს 2011 წლის 5 მაისის კანონი №4646 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.

საქართველოს 2014 წლის 31 ოქტომბრის კანონი №2763 - ვებგვერდი, 11.11.2014წ.

მუხლი 21^ბ. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღების

საკითხის განხილვა

1. მოსამართლე ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის შეტანიდან 5 დღის ვადაში განიხილავს მისი წარმოებაში მიღების საკითხს.

2. თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, იგი გამოიტანს განჩინებას არსებული ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს მის შესავსებად დაუნიშნავს გონივრულ ვადას. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოიტანს განჩინებას ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და სარჩელს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად დაუბრუნებს მოსარჩელეს.

3. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

4. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ სასამართლო განჩინების გამოტანის შემდეგ ან ასეთი განჩინების გამოტანის ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლე სარჩელს და თანდართული დოკუმენტების ასლებს დაუყოვნებლივ უგზავნის მოპასუხეს და განუსაზღვრავს მას შესაგებლის წარდგენის ვადას.

საქართველოს 2011 წლის 5 მაისის კანონი №4646 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.

მუხლი 21²⁸. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის განხილვა

ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების ფაქტს, რომელიც დასტურდება პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების დოკუმენტით.

საქართველოს 2011 წლის 5 მაისის კანონი №4646 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.

მუხლი 21²⁹. ფულადი კომპენსაციის გაცემის საკითხის გადაწყვეტის წესი

1. ამ თავით გათვალისწინებული სამართალწარმოებისას მოპასუხეა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2. ფულადი კომპენსაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული იძულების სხვადასხვა ფორმის სიმძიმის, აგრეთვე რეპრესირებული პირის ან მისი პირველი რიგის მემკვიდრის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით.

3. ფულადი კომპენსაციის ოდენობაა არანაკლებ 1000 და არაუმეტეს 2000 ლარისა.

4. ამ თავით გათვალისწინებული საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, სასამართლო საქმეს განიხილავს ზეპირი მოსმენით. ამ თავით გათვალისწინებული საქმე განიხილება საქმის განხილვისათვის საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ საერთო ვადაში და დადგენილი წესით.

5. თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს, შესაბამისად, თბილისის ან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სააპელაციო საჩივარი წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს, რომელიც მას თანდართულ მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სააპელაციო სასამართლოს.

7. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან.

8. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (განჩინება) საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს 2011 წლის 5 მაისის კანონი №4646 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.

საქართველოს 2014 წლის 31 ოქტომბრის კანონი №2763 - ვებგვერდი, 11.11.2014წ.

თავი VII. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 25 ნოემბრის კანონი №5354 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

საქართველოს 2015 წლის 28 ოქტომბრის კანონი №4451 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.

საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5229 - ვებგვერდი, 30.10.2019წ.

საქართველოს 2021 წლის 30 მარტის კანონი №426 - ვებგვერდი, 13.04.2021წ.

მუხლი 21³⁰. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 25 ნოემბრის კანონი №5354 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.
საქართველოს 2015 წლის 28 ოქტომბრის კანონი №4451 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.
საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5229 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.
საქართველოს 2021 წლის 30 მარტის კანონი №426 – ვებგვერდი, 13.04.2021წ.

მუხლი 21³¹. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 25 ნოემბრის კანონი №5354 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.
საქართველოს 2015 წლის 28 ოქტომბრის კანონი №4451 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.
საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5229 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.
საქართველოს 2021 წლის 30 მარტის კანონი №426 – ვებგვერდი, 13.04.2021წ.

მუხლი 21³². (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 25 ნოემბრის კანონი №5354 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.
საქართველოს 2015 წლის 28 ოქტომბრის კანონი №4451 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.
საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5229 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.
საქართველოს 2021 წლის 30 მარტის კანონი №426 – ვებგვერდი, 13.04.2021წ.

მუხლი 21³³. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 25 ნოემბრის კანონი №5354 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.
საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5229 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.
საქართველოს 2021 წლის 30 მარტის კანონი №426 – ვებგვერდი, 13.04.2021წ.

მუხლი 21³⁴. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 25 ნოემბრის კანონი №5354 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.
საქართველოს 2015 წლის 28 ოქტომბრის კანონი №4451 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.
საქართველოს 2019 წლის 30 ოქტომბრის კანონი №5229 – ვებგვერდი, 30.10.2019წ.
საქართველოს 2021 წლის 30 მარტის კანონი №426 – ვებგვერდი, 13.04.2021წ.

**თავი VII⁹. ადმინისტრაციული სამართალწარმოება არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში
გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე**

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5666 - ვებგვერდი, 12.01.2012წ.

მუხლი 21³⁵. სასამართლოსათვის მიმართვა

1. სასამართლო ამ თავით დადგენილი წესით განიხილავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არსააპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის – არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის (შემდგომ – არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი) სპეციალისტთა ჯგუფის (შემდგომ – სპეციალისტთა ჯგუფი) შუამდგომლობას არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში გაგზავნის შესახებ ან არასრულწლოვნის არასრულწლოვანთა რეფერირების დაწესებულებაში ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ.

2. სპეციალისტთა ჯგუფის შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 48⁷ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შუამდგომლობის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5666 - ვებგვერდი, 12.01.2012წ.
საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3039 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.
საქართველოს 2019 წლის 29 ნოემბრის კანონი №5407 – ვებგვერდი, 10.12.2019წ.

მუხლი 21³⁶. (ამოღებულია)

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5666 - ვებგვერდი, 12.01.2012წ.

საქართველოს 2019 წლის 29 ნოემბრის კანონი №5407 – ვებგვერდი, 10.12.2019წ.

მუხლი 21³⁷. საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. სასამართლო საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შუამდგომლობის წარდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

2. მოსამართლე საქმეს დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილავს. დახურულ სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ: არასრულწლოვანს, არასრულწლოვნის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელს, სპეციალისტთა ჯგუფის წევრებს, არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის სხვა წარმომადგენელს, სოციალურ მუშაკს, არასრულწლოვნის ადვოკატს, აგრეთვე სასამართლოს მიერ მოწვეულ სხვა პირებს.

2¹. საქმის განხილვისას მოსამართლე, საქმისთვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებთან ერთად, ხელმძღვანელობს არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით და მისი რთული ქცევის ან/და მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის დამადასტურებელი დოკუმენტებით, რომლებიც შუამდგომლობას თან ერთვის. გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება ისეთი გარემოებები, როგორებიცაა: არასრულწლოვნის ან/და არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრთან თანამშრომლობა; არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის მიერ არასრულწლოვნისთვის შერჩეულ სერვისში/პროგრამაში არასრულწლოვნის მონაწილეობა და მიღწეული შედეგები; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შემთხვევაში – მისი ხასიათი, სიმძიმე და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

3. სასამართლო პროცესზე არასრულწლოვანს წარმოადგენს მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი. თუ არასრულწლოვანს არ ჰყავს მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო ვალდებულია მისი ინტერესების დასაცავად საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

4. სასამართლოში მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

6. სააპელაციო საჩივარი წარედგინება თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელიც მას თანდართულ მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის თბილისის სააპელაციო სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს მისი წარმოებაში მიღებიდან 10 დღის ვადაში.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (განჩინება) საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5666 - ვებგვერდი, 12.01.2012წ.

საქართველოს 2019 წლის 29 ნოემბრის კანონი №5407 – ვებგვერდი, 10.12.2019წ.

მუხლი 21³⁸. არასრულწლოვნის უფლებები

არასრულწლოვანს უფლება აქვს, უარი განაცხადოს სასამართლოში ახსნა-განმარტების მიცემაზე, აგრეთვე მოითხოვოს სასამართლო პროცესზე ადვოკატის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასწრება.

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5666 - ვებგვერდი, 12.01.2012წ.

**თავი VII⁰. ადმინისტრაციული სამართალწარმოება უცხოელის საქართველოდან
გაძევებასთან დაკავშირებით**

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი №2047 – ვებგვერდი, 17.03.2014წ.

მუხლი 21³⁹. მოსამართლის ბრძანება უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე.

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი №2047 – ვებგვერდი, 17.03.2014წ.

მუხლი 21⁴⁰. უცხოელის საქართველოდან გაძევების საკითხის გადაწყვეტის წესი

1. მოსამართლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში განიხილავს მას და გამოსცემს ბრძანებას უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე ან იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2. მოსამართლე უფლებამოსილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის თაობაზედაც შუამდგომლობის მიღებიდან არაუგვიანეს 48 საათისა ატყობინებს შუამდგომლობის წარმდგენ ორგანოს და იმ უცხოელს, რომლის გადაცემასაც ითხოვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო, და უცხოელს უგზავნის შესაბამის საქმის მასალებს. თუ მოსამართლე დაასკვნის, რომ აუცილებელია შუამდგომლობაში მითითებული გარემოებების გამოკვლევა, იგი უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენით. უცხოელს უფლება აქვს, მისთვის საქართველოდან გაძევების თაობაზე შეტყობინებიდან და საქმის მასალების გადაცემიდან 72 საათის განმავლობაში წერილობით წარუდგინოს სასამართლოს თავისი მოსაზრებები.

3. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობის დასაბუთებულობის შესამოწმებლად გამოიძახოს და დაკითხოს პირი, შუამდგომლობის წარმდგენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოსა და უცხოელს მიმართოს წინადადებით, წარმოადგინონ საჭირო დოკუმენტები და მტკიცებულებანი.

4. უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე მოსამართლის ბრძანებაში აღნიშნება:

- ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ) მოსამართლის გვარი;
- გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს;
- დ) განკარგულება უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ და გასაძევებელი უცხოელის ვინაობა;
- ე) უცხოელის საქართველოდან გაძევების სამართლებრივი საფუძველი;
- ვ) ვადა, რომლის განმავლობაშიც უცხოელმა ნებაყოფლობით უნდა დატოვოს საქართველო;
- ზ) ორგანო, რომელიც უფლებამოსილია აღასრულოს ბრძანება, თუ უცხოელი ნებაყოფლობით არ დატოვებს საქართველოს;
- თ) სახელმწიფო, სადაც უნდა მოხდეს უცხოელის გაძევება;
- ი) ბრძანების გასაჩივრების წესი;
- კ) მოსამართლის ხელმოწერა და ბეჭედი.

5. უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე წერილობით დაადასტურებს, რომ არ ასაჩივრებს მოსამართლის ბრძანებას.

6. უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე მოსამართლის ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სააკველიაციო სასამართლოში ამ თავით დადგენილი წესით. მოსამართლის ბრძანების გასაჩივრება იწვევს მისი მოქმედების შუქრებას.

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი №2047 – ვებგვერდი, 17.03.2014წ.

მუხლი 21⁴¹. უცხოელის საქართველოდან გაძევების გადავადების წესი

1. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში მოსამართლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს ან უცხოელის შუამდგომლობის საფუძველზე, შუამდგომლობის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში გამოსცემს ბრძანებას უცხოელის საქართველოდან გაძევების გადავადების თაობაზე.

2. უცხოელის საქართველოდან გაძევების გადავადების თაობაზე მოსამართლის ბრძანება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი №2047 – ვებგვერდი, 17.03.2014წ.

მუხლი 21⁴². მოსამართლის ბრძანება საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ ან უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადის გაგრძელების შესახებ.

2. უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება უცხოელის დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა.

2¹. უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადის გასვლამდე 48 საათით ადრე.

2². დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული თავშესაფრის მაძიებელი უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება უცხოელის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 48 საათისა.

3. მოსამართლე საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ან უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადის გაგრძელების საკითხს განიხილავს და შესაბამის ბრძანებას გამოსცემს შუამდგომლობის წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

4. მოსამართლე უფლებამოსილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცეს ბრძანება უცხოელისთვის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლით განსაზღვრული დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომის შეფარდების შესახებ.

5. საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების, უცხოელის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადის გაგრძელების ან უცხოელისთვის ალტერნატიული ზომის შეფარდების შესახებ მოსამართლის ბრძანება

შეიძლება ამ თავით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში. მოსამართლის ბრძანების გასაჩივრება არ იწვევს მისი მოქმედების შერყევას.

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი №2047 – ვებგვერდი, 17.03.2014წ.

საქართველოს 2016 წლის 1 დეკემბრის კანონი №47 - ვებგვერდი, 15.12.2016წ.

მუხლი 21⁴³. მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების წესი

1. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში მხარისათვის მისი გადაცემიდან 5 დღის განმავლობაში. სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ ეგზავნება სააპელაციო სასამართლოს.

2. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოში განიხილება მისი შეტანიდან 14 დღის განმავლობაში.

3. სააპელაციო სასამართლოში მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს სააპელაციო საჩივრის განხილვას.

4. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ მოსამართლის ბრძანებას აუქმებს ბრძანებით.

5. სააპელაციო სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი №2047 – ვებგვერდი, 17.03.2014წ.

მუხლი 21⁴⁴. უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში უცხოელის სარჩელი საქართველოდან გაძევების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე განიხილება და სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება ამ კოდექსის 21⁴⁰ და 21⁴³ მუხლებით დადგენილი წესების შესაბამისად და დადგენილ ვადებში. *საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი №2047 – ვებგვერდი, 17.03.2014წ.*

თავი VII¹¹. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ კომერციული

ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე

საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის კანონი №2947 - ვებგვერდი, 24.12.2014წ.

მუხლი 21⁴⁵. მოსამართლის ბრძანება კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე

კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის კანონი №2947 - ვებგვერდი, 24.12.2014წ.

მუხლი 21⁴⁶. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა

1. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმებისას (ამ შემოწმების ფარგლებში) კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, თუ საგადასახადო ორგანომ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთხელ მაინც მიმართა ინფორმაციის წარდგენის თაობაზე, მაგრამ მან აღნიშნული ინფორმაცია დადგენილ ვადაში არ წარუდგინა.

2. შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. მასში უნდა მიეთითოს:

ა) იმ პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის შესახებ ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო;

ბ) კომერციული ბანკის დასახელება, საიდანაც უნდა იქნეს მიღებული ინფორმაცია;

- გ) საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის აღწერა;
- დ) საგადასახადო ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღების ფორმა და ვადა.

საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის კანონი №2947 - ვებგვერდი, 24.12.2014წ.

მუხლი 21⁴⁷. კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გამოცემის წესი

1. მოსამართლე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ამ შუამდგომლობის წარდგენიდან 14 დღის ვადაში.

2. მოსამართლე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად. სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობენ საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი და ის პირი/მისი წარმომადგენელი, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანების გამოცემასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეთა მოწვევა ვერ ხერხდება).

3. სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა ან მათი მოწვევის შეუძლებლობა არ იწვევს საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

4. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ.

5. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:

- ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ) ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;
- გ) საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;
- დ) საგადასახადო ორგანო, რომელსაც უნდა გადაეცეს მოთხოვნილი ინფორმაცია;
- ე) კომერციული ბანკი, რომელმაც საგადასახადო ორგანოს უნდა მიაწოდოს პირის შესახებ

კონფიდენციალური ინფორმაცია;

- ვ) ინფორმაციის მიწოდების ფორმა და ვადა;
- ზ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ.

6. შუამდგომლობის არდაკმაყოფილების შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:

- ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ) ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;
- გ) საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;
- დ) განკარგულება შუამდგომლობის არდაკმაყოფილების შესახებ.

7. მოსამართლის ბრძანება დგება 4 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე – პირს, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზედაც გამოიცა ბრძანება, მესამე – კომერციულ ბანკს, ხოლო მეოთხე რჩება სასამართლოში.

8. მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტიდან. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.

9. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს.

10. საჩივარი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება შეტანიდან 10 დღის ვადაში.

11. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და არ საჩივრდება.
საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის კანონი №2947 - ვებგვერდი, 24.12.2014წ.

თავი VII². ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე
საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის კანონი №2947 - ვებგვერდი, 24.12.2014წ.

მუხლი 21⁴⁸. მოსამართლის ბრძანება კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ინფორმაციის მიწოდების თაობაზე

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე კომერციული ბანკის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის კანონი №2947 - ვებგვერდი, 24.12.2014წ.

მუხლი 21⁴⁹. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა

1. საგადასახადო ორგანო სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის (გარდა „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაციისა) გამოთხოვის თაობაზე, თუ სხვა სახელმწიფოს კომპეტენტურმა (უფლებამოსილმა) ორგანომ მოითხოვა ეს ინფორმაცია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად.

2. შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს:

ა) იმ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის შესახებ ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო;

ბ) კომერციული ბანკის დასახელება, საიდანაც უნდა იქნეს მიღებული ინფორმაცია;

გ) საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის აღწერა;

დ) საგადასახადო ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღების ფორმა და ვადა;

ე) წერილობითი განმარტება, რომ სხვა სახელმწიფოს მოთხოვნა ინფორმაციის მიწოდების თაობაზე აკმაყოფილებს საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნებს.

საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის კანონი №2947 - ვებგვერდი, 24.12.2014წ.

საქართველოს 2015 წლის 28 ოქტომბრის კანონი №4467 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.

საქართველოს 2015 წლის 24 დეკემბრის კანონი №4716 - ვებგვერდი, 28.12.2015წ.

მუხლი 21⁵⁰. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გამოცემის წესი

1. მოსამართლე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ამ შუამდგომლობის წარდგენიდან 14 დღის ვადაში.

2. მოსამართლე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, იმ პირის მონაწილეობის გარეშე, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

(ძალადაკარგულია მე-2 პუნქტის სიტყვები: „იმ პირის მონაწილეობის გარეშე, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც პირის სამართალწარმოებიდან გამორიცხვის შემთხვევაში არ ითვალისწინებს მისთვის შეტყობინების ვალდებულებას მას შემდეგ, რაც გაქარწყლდება შეტყობინებასთან დაკავშირებული საფრთხეები) - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება №1/3/638 – ვებგვერდი, 21.02.2017წ.

3. მოსამართლე გამოსცემს ბრძანებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე, თუ იგი შეიცავს ამ კოდექსის 21⁴⁹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

4. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;

გ) საქართველოს საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;

დ) კომერციული ბანკი, რომელმაც საგადასახადო ორგანოს უნდა მიაწოდოს პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია;

ე) ინფორმაციის მიწოდების ფორმა და ვადა;

ვ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ.

5. შუამდგომლობის არდაკმაყოფილების შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;

გ) საქართველოს საგადასახადო ორგანო, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს;

დ) განკარგულება შუამდგომლობის არდაკმაყოფილების შესახებ.

6. მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე – კომერციულ ბანკს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

7. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანოს ბრძანების გამომცემ სასამართლოში მისთვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს.

(ძალადაკარგულია მე-7 პუნქტის სიტყვები: „საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანოს ბრძანების გამომცემ სასამართლოში მისთვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს პირს, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, შესაძლებლობას შეიტანოს საჩივარი მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე) - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება №1/3/638 – ვებგვერდი, 21.02.2017წ.

8. საჩივარი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება შეტანიდან 10 დღის ვადაში.

9. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის კანონი №2947 - ვებგვერდი, 24.12.2014წ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება №1/3/638 – ვებგვერდი, 21.02.2017წ.

თავი VII¹³. ადმინისტრაციული სამართალწარმოება „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობით იზოლაციასთან დაკავშირებით

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი №4630 - ვებგვერდი, 23.12.2015წ.

მუხლი 21⁵¹. ტერმინის განმარტება

ამ თავის მიზნებისთვის ტერმინი „პაციენტი“ გულისხმობს „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირს.

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი №4630 - ვებგვერდი, 23.12.2015წ.

მუხლი 21⁵². მოსამართლის ბრძანება პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის მიმართვის საფუძველზე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ბრძანებას გამოსცემს მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მაგისტრატი მოსამართლე არ მოქმედებს, – რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის ადგილსამყოფლის მიხედვით.

2. მოსამართლე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების საქმეს განიხილავს და ბრძანებას გამოსცემს ამ თავით დადგენილი წესით.

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი №4630 - ვებგვერდი, 23.12.2015წ.

მუხლი 21⁵³. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ მოსამართლისათვის ან სასამართლოსათვის მიმართვა

1. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ბრძანების გამოცემის თხოვნით მაგისტრატ მოსამართლეს ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მიმართავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ის ადგილობრივი ერთეული, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც განთავსებულია ის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი, რომელმაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ ერთეულს პაციენტის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის გამოყენების შუამდგომლობით მიმართა.

2. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეული მაგისტრატ მოსამართლეს ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ბრძანების გამოცემის თხოვნით მიმართავს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მისთვის შუამდგომლობით მიმართვიდან 72 საათში.

3. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის მიმართვა უნდა იყოს დასაბუთებული და ეფუძნებოდეს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის შუამდგომლობას. ამ მიმართვას პაციენტის საიდენტიფიკაციო

დოკუმენტებთან (პასპორტი, პირადობის მოწმობა, სხვა დოკუმენტი) ერთად უნდა დაერთოს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის შუამდგომლობა.

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი №4630 - ვებგვერდი, 23.12.2015წ.

მუხლი 21⁵⁴. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის განხილვისა და ბრძანების გამოცემის წესი

1. მოსამართლე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისთვის შესაბამისი მიმართვის წარდგენიდან 48 საათში.

2. მოსამართლე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმეს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილავს. სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა მონაწილეობაც აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალწარმოების უზრუნველსაყოფად. საქმის განხილვაში პაციენტის მონაწილეობა აუცილებელია, თუ ეს საფრთხეს არ შეუქმნის სხვა პირების ჯანმრთელობას. საქმის განხილვაში, პაციენტის გარდა, უნდა მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის წარმომადგენლები, პაციენტის ადვოკატი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – პაციენტის სხვა კანონიერი წარმომადგენელი. თუ პაციენტს არ აქვს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, პაციენტის სურვილის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე დაუნიშნოს. არასრულწლოვანი პაციენტის საქმის განხილვისას არასრულწლოვანი პაციენტის ინტერესებს წარმოადგენს მისი მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც პაციენტის სასამართლოში მიყვანა შეუძლებელია მისი ავადმყოფობის გამო ან სხვა ობიექტური მიზეზით, მოსამართლე პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის განსახილველად ატარებს გავლით სასამართლო სხდომას იმ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში, რომელშიც პაციენტი იმყოფება.

3. მოსამართლე სასამართლო სხდომის გახსნის შემდეგ აცხადებს, თუ რა მიმართვა განიხილება, ასახელებს სასამართლო პროცესის მონაწილეებს, არკვევს, არის თუ არა აცილებები. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეულის წარმომადგენელი ასაბუთებს თავის მიერ წარდგენილ მიმართვას, რის შემდეგაც უპასუხებს მოსამართლის, პაციენტის, მისი ადვოკატის ან/და სხვა კანონიერი წარმომადგენლის შეკითხვებს. პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა არ არის მიმართვის განხილვის გადადების საფუძველი.

4. მოსამართლე უფლებამოსილია დაკითხოს იმ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის წარმომადგენელი, რომელმაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ ერთეულს პაციენტის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის გამოყენების შუამდგომლობით მიმართა. პაციენტი, მისი ადვოკატი ან/და სხვა კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია მოითხოვოს სხვა პირთა დაკითხვაც, რომელთა ჩვენებას საქმესთან დაკავშირებით შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. პაციენტი, მისი ადვოკატი ან/და სხვა კანონიერი წარმომადგენელი ასევე უფლებამოსილია მისცეს განმარტებები სასამართლოს და ჩამოაყალიბოს საპირისპირო მოსაზრებები.

5. სასამართლო სხდომაზე დგება ოქმი. მიმართვის დასაბუთებულობის შემოწმებისა და „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების შეფასების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციისა და მისი სამედიცინო

მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძვლის ამოწურვამდე, მაგრამ არაუმეტეს 6 თვისა მოთავსების შესახებ.

6. თუ არ არსებობს პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის კანონით დადგენილი საფუძვლები, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება პაციენტის არანებაყოფლობით იზოლაციაზე უარის თქმის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, თუ პაციენტი უკვე იმყოფება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაწერილი.

7. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანებაში მიეთითება:

ა) ბრძანების გამოცემის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ის ადგილობრივი ერთეული, რომელმაც სასამართლოს მიმართვა წარუდგინა;

დ) სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეები;

ე) პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ განკარგულება შესაბამისი დასაბუთებით, აგრეთვე სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მოსათავსებელი პირის ვინაობა;

ვ) ბრძანების მოქმედების ვადა, რომელიც 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. მოსამართლის ბრძანებაში, როგორც წესი, მიეთითება, რომ იგი პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძვლის ამოწურვამდე მოქმედებს, რასაც ადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეული სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის/„ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული სამედიცინო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე;

ზ) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება, რომელმაც უნდა შეასრულოს მოსამართლის ბრძანება;

თ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

8. პაციენტის არანებაყოფლობით იზოლაციაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის დადგენილებაში მიეთითება:

ა) დადგენილების გამოტანის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ის ადგილობრივი ერთეული, რომელმაც სასამართლოს მიმართვა წარუდგინა;

დ) სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეები;

ე) პაციენტის ვინაობა;

ვ) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება, რომელმაც უნდა შეასრულოს მოსამართლის დადგენილება;

ზ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

9. მოსამართლის ბრძანება/დადგენილება დგება ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ეგზავნება მიმართვის წარმდგენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ ერთეულს, მეორე – იმ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს, რომელმაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ ერთეულს პაციენტის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის გამოყენების შუამდგომლობით მიმართა, მესამე – პაციენტს (ან მის ადვოკატს/სხვა კანონიერ წარმომადგენელს), ხოლო მეოთხე ეგზემპლარი რჩება სასამართლოში.

10. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი ადგილობრივი ერთეული უფლებამოსილია სასამართლოს მიერ მისი მიმართვის განხილვისას მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე გამოითხოვოს მიმართვა.

11. მოსამართლე წყვეტს პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საქმის წარმოებას „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

12. მოსამართლის ბრძანება/დადგენილება ძალაში შედის სასამართლო პროცესის მხარეებისათვის ამ ბრძანების/დადგენილების გამოცხადებისთანავე.

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი №4630 - ვებგვერდი, 23.12.2015წ.

მუხლი 21⁵⁵. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადა, ბრძანების მოქმედების ვადის გაგრძელებისა და ბრძანების მოქმედების ვადამდე შეწყვეტის წესები

1. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანება მოქმედებს პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძვლის ამოწურვამდე, მაგრამ ბრძანების მოქმედების ვადა 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. პაციენტის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში ყოფნის ვადა ათვლება მოსამართლის ბრძანების საფუძველზე პაციენტის ამ დაწესებულებაში მოთავსების დღიდან.

2. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის ვადის გაგრძელების შესახებ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივი ერთეულის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე დასაშვებია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის გაგრძელება არაუმეტეს 2 თვისა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივი ერთეულის მიმართვას სასამართლო განიხილავს ამ კოდექსის 21⁵⁴ მუხლით დადგენილი წესით, მისი წარდგენიდან 72 საათში.

3. პაციენტმა შეიძლება მიმართოს სასამართლოს მის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის შეწყვეტის შუამდგომლობით, თუ იგი მიიჩნევს, რომ არანებაყოფლობითი იზოლაციაში ყოფნისას ირღვევა მის მიმართ „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით ან საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები, ან აღარ არსებობს არანებაყოფლობითი იზოლაციის საფუძველი. სასამართლო შუამდგომლობის მიღებიდან 72 საათში წყვეტს პაციენტის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის შეწყვეტის საკითხს. სასამართლო ამ გადაწყვეტილების მიღებისას სხვა გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს პაციენტის მიერ არანებაყოფლობითი იზოლაციის პირობებში ტუბერკულოზის საწინააღმდეგო წამლების მიღების აღდგენის საკითხს. სასამართლოს მიერ პაციენტის მიმართ არანებაყოფლობითი იზოლაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პაციენტი ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობას სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მეთვალყურეობით განაგრძობს. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პაციენტის მიმართვა განიხილება ამ კოდექსის 21⁵⁴ მუხლით დადგენილი წესით.

4. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებიდან პაციენტის გაწერის თაობაზე გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობება მაგისტრატ მოსამართლეს ან/და შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი №4630 - ვებგვერდი, 23.12.2015წ.

მუხლი 21⁵⁶. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანების/დადგენილების გასაჩივრება

1. პაციენტის არანებაყოფლობითი იზოლაციის შესახებ მოსამართლის ბრძანება/დადგენილება შეიძლება სააპელაციო სასამართლოში ამ მუხლით დადგენილი წესით გასაჩივრონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისმა ადგილობრივმა ერთეულმა, აგრეთვე პაციენტმა, მისმა ადვოკატმა, მშობელმა ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა.

2. მოსამართლის ბრძანების/დადგენილების გაუქმების შესახებ საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების/დადგენილების გამომცემ/გამომტან სასამართლოში მხარისთვის ბრძანების/დადგენილების ასლის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს. საჩივრისა და თანდართული საქმის მასალების ასლები მეორე მხარესაც ეგზავნება.

3. მოსამართლის ბრძანების/დადგენილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრება არ აჩერებს ამ ბრძანების/დადგენილების მოქმედებას.

4. საჩივარს სააპელაციო სასამართლო განიხილავს არსებითად, საჩივრის შეტანიდან 1 კვირის ვადაში, ამ კოდექსის 21⁵⁴ მუხლით დადგენილი წესით. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის მიზნით საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა. თუ ეს ექსპერტიზა დანიშნულია სასამართლოს ინიციატივით, იგი ტარდება სახელმწიფოს ხარჯზე. მხარის მოთხოვნით დანიშნული ექსპერტიზა ტარდება ამ მხარის ხარჯზე.

5. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ მოსამართლის ბრძანებას აუქმებს ბრძანებით, ხოლო გასაჩივრებულ მოსამართლის დადგენილებას – დადგენილებით.

6. სააპელაციო სასამართლოს ბრძანება/დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს 2015 წლის 11 დეკემბრის კანონი №4630 - ვებგვერდი, 23.12.2015წ.

საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონი № 2036 - ვებგვერდი, 29.03.2018 წ.

თავი VII⁴. ადმინისტრაციული სამართალწარმოება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფოებო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით

საქართველოს 2016 წლის 27 აპრილის კანონი № 5013 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

მუხლი 21⁵⁷. სასამართლოსთვის ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელით მიმართვა

1. ქონებრივი ან/და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნით ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს იმ პირს, რომლის მიმართაც არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა.

2. პირი ან მისი წარმომადგენელი ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს წარუდგენს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში.

3. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს უნდა ერთოდეს:

ა) პირის მიმართ კონვენციის დარღვევის ან/და სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გადახდის თაობაზე კომიტეტის გადაწყვეტილების ასლი;

ბ) პირის წარმომადგენლის მიერ სარჩელის წარდგენისას - წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს 2016 წლის 27 აპრილის კანონი № 5013 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №202 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.

მუხლი 21⁵⁸. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის განხილვა

1. მოსამართლე ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის შეტანიდან 5 დღის ვადაში განიხილავს სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხს.

2. თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, იგი გამოიტანს განჩინებას არსებული ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს ხარვეზის შესავსებად გონივრულ ვადას დაუნიშნავს. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს აღნიშნულ განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოიტანს განჩინებას ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და სარჩელს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად მოსარჩელეს დაუბრუნებს.

3. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლო განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

4. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით სასამართლო განჩინების გამოტანის შემდეგ ან ასეთი განჩინების გამოტანის ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლე სარჩელს და თანდართული დოკუმენტების ასლებს დაუყოვნებლივ უგზავნის მოპასუხეს და განუსაზღვრავს მას შესაგებლის წარდგენის ვადას.

საქართველოს 2016 წლის 27 აპრილის კანონი № 5013 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

მუხლი 21⁵⁹. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის განხილვა

ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს პირის მიმართ კონვენციის დარღვევის ფაქტს, რომელიც დასტურდება კომიტეტის გადაწყვეტილებით.

საქართველოს 2016 წლის 27 აპრილის კანონი № 5013 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

მუხლი 21⁶⁰. ფულადი კომპენსაციის გაცემის საკითხის გადაწყვეტის წესი

1. ამ თავით გათვალისწინებული სამართალწარმოებისას მოპასუხეა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2. ფულადი კომპენსაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას რაიონული (საქალაქო) სასამართლო იღებს პირის მიმართ კონვენციით განსაზღვრული ადამიანის უფლებების დარღვევის სიმძიმისა და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით.

3. ამ თავით გათვალისწინებული საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, სასამართლო აღნიშნულ საქმეს ზეპირი მოსმენით განიხილავს. ამ თავით გათვალისწინებული საქმე განიხილება საქმის განხილვისათვის საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ საერთო ვადაში და დადგენილი წესით.

4. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.

5. სააპელაციო საჩივარი წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს, რომელიც მას თანდართულ მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სააპელაციო სასამართლოს.

6. ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

7. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (განჩინება) საბოლოოა და არ საჩივრდება. საქართველოს 2016 წლის 27 აპრილის კანონი № 5013 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

თავი VII⁵. ადმინისტრაციული სამართალწარმოება შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისათვის სამუშაო პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით

საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონი № 2050 - ვებგვერდი, 21.03.2018წ.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3095 - ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 21⁶¹. სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების შესახებ შუამდგომლობის განხილვა

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ წარდგენილ სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების შესახებ შუამდგომლობას სასამართლო 48 საათის განმავლობაში, მხარეთათვის შეუტყობინებლად განიხილავს. საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დაადგინოს აღნიშნული შუამდგომლობის ზეპირი განხილვა, თუ ეს ხელს შეუწყობს საქმის გარემოებათა გარკვევას. ამ შუამდგომლობის ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სასამართლო სხდომის ჩატარების დრო და ადგილი. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

2. სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების, ნაწილობრივ დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება განჩინების ფორმით.

საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონი № 2050 - ვებგვერდი, 21.03.2018წ.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3095 - ვებგვერდი, 11.07.2018წ.

საქართველოს 2020 წლის 29 სექტემბრის კანონი №7180 - ვებგვერდი, 05.10.2020წ.

მუხლი 21⁶². სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების, ნაწილობრივ დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრება

1. სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების, ნაწილობრივ დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.

2. სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების, ნაწილობრივ დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე საჩივარი შეიტანება ამ განჩინების მიმღებ სასამართლოში, მხარისთვის განჩინების ასლის გადაცემიდან 48 საათში.

3. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს. საჩივრისა და თანდართული საქმის მასალების ასლები მეორე მხარესაც ეგზავნება.

4. საჩივარს სააპელაციო სასამართლო განიხილავს ერთპიროვნულად, შეტანიდან 48 საათში, ამ კოდექსის 21⁶¹ მუხლით დადგენილი წესით.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონი № 2050 - ვებგვერდი, 21.03.2018წ.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3095 - ვებგვერდი, 11.07.2018წ.

თავი VII⁶. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებასთან დაკავშირებით

საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის კანონი №4908 - ვებგვერდი, 04.07.2019წ.

მუხლი 21⁶³. მოსამართლის ბრძანება პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმავიერ პირად აღიარების თაობაზე

პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმავიერ პირად აღიარების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფლის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე. საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის კანონი №4908 – ვებგვერდი, 04.07.2019წ.

მუხლი 21⁶⁴. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა

საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. მასში მითითებული უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის და იმ პირის ზუსტი მონაცემები, რომლის გადასახადის გადამხდელის ცრუმავიერ პირად აღიარებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო.

საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის კანონი №4908 – ვებგვერდი, 04.07.2019წ.

მუხლი 21⁶⁵. პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმავიერ პირად აღიარების საკითხის გადაწყვეტის წესი

1. მოსამართლე პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმავიერ პირად აღიარების თაობაზე ბრძანებას გამოსცემს საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, მისი სასამართლოსთვის წარდგენიდან 14 დღის ვადაში.

2. მოსამართლე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას ერთპიროვნულად განიხილავს. სასამართლო სხდომაზე ამ შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობენ საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი, გადასახადის გადამხდელი და ის პირი, რომლის გადასახადის გადამხდელის ცრუმავიერ პირად აღიარებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეთა მოწვევა ვერ ხერხდება).

3. მხარეთა გამოუცხადებლობა ან მათი მოწვევის შეუძლებლობა არ იწვევს საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

4. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს ბრძანებას ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის შესახებ. მოსამართლის ბრძანებაში აღინიშნება:

- ა) ბრძანების გამოცემის თარიღი და ადგილი;
- ბ) ბრძანების გამომცემი მოსამართლის გვარი;
- გ) საგადასახადო ორგანო, რომელმაც სასამართლოს შუამდგომლობა წარუდგინა;
- დ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის შესახებ;
- ე) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

5. მოსამართლის ბრძანება დგება ოთხ ეგზემპლარად. ამ ბრძანების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს, მეორე – გადასახადის გადამხდელს, მესამე – იმ პირს, რომლის გადასახადის გადამხდელის ცრუმავიერ პირად აღიარებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო, ხოლო მეოთხე ეგზემპლარი რჩება სასამართლოში.

6. მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვისთანავე. ამ ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.

7. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების გამომცემ სასამართლოში, აღნიშნული ბრძანების ეგზემპლარის მხარისთვის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს.

8. საჩივარს სააპელაციო ინსტანციის სასამართლო განიხილავს მისი შეტანიდან 10 დღის ვადაში.

9. სააკველაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის კანონი №4908 – ვებგვერდი, 04.07.2019წ.

**თავი VII⁷. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ელექტრონული ზედამხედველობის
გამოყენებასთან დაკავშირებით**

საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6759 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.

**მუხლი 21⁶⁶. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემის
წესი**

1. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობისას უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიების სახით გამოსცეს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმი.

2. ელექტრონული ზედამხედველობა წესდება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 3² პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიების განხორციელების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ არსებობს მოძალადის მხრიდან ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე.

3. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემის ადგილის მიხედვით.

4. სასამართლო ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დასამტკიცებლად წარედგინიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დამტკიცების თაობაზე. მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის ნაწილობრივ დამტკიცება გულისხმობს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმში მითითებული ვადის შეცვლას. სასამართლო მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მოძალადის მხრიდან ძალადობის განმეორების საფრთხის რეალურობის გათვალისწინებით. ძალადობის განმეორების საფრთხის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სხვადასხვა გარემოება, მათ შორის, წარსულში მოძალადის მიერ მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის ან/და დამცავი ორდერის დარღვევის ფაქტი და დარღვევის ხასიათი, წარსულში ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მოძალადის მხრიდან მუქარა ან/და მის მიერ ფიზიკური ძალადობის განხორციელებისას ცივი/ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების/დემონსტრირების ფაქტი და სხვა გარემოებები. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემა პოლიციის უფლებამოსილი პირის ან სასამართლო პროცესის მონაწილე სხვა პირის შესაბამის სასამართლოში გამოუცხადებლობა არ აფერხებს ამ ნაწილით გათვალისწინებული საკითხის განხილვას და სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

5. მოსამართლე უფლებამოსილია სასამართლო პროცესის მონაწილე მხარის (არასრულწლოვანის შემთხვევაში – მისი კანონიერი წარმომადგენლის, აგრეთვე

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) ან საკუთარი ინიციატივით საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილოს.

6. მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დამტკიცების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებაში დეტალურად უნდა იყოს ასახული მოძალადისთვის დაწესებული შეზღუდვები და მსხვერპლის დასაცავად განსაზღვრული ღონისძიებები.

7. სასამართლო ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით განსაზღვრავს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის მოქმედების ვადას. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადას. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების ვადის განსაზღვრისას სასამართლო სხდომაზე პოლიციის უფლებამოსილი პირის ან სასამართლო პროცესის მონაწილე სხვა პირის დასწრების შემთხვევაში სასამართლო ისმენს მის პოზიციას.

8. მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებაში მიეთითება:

- ა) ამ გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
- ბ) სასამართლოს დასახელება; მოსამართლის სახელი და გვარი;
- გ) სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეები;
- დ) მოძალადის, მსხვერპლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;

ე) სასამართლო გადაწყვეტილება მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დამტკიცების თაობაზე;

ვ) იმ შემაკავებელი ორდერის რეკვიზიტები, რომლის უზრუნველსაყოფადაც გამოიყენება ელექტრონული ზედამხედველობის ღონისძიება;

ზ) გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემას;

თ) ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების ვადა;

ი) ინფორმაცია მოძალადის ნასამართლობის შესახებ;

კ) ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებაზე მსხვერპლის თანხმობა, არასრულწლოვანი მსხვერპლის შემთხვევაში – მსხვერპლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის/საპროცესო წარმომადგენლის თანხმობა. თუ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებაზე არასრულწლოვანი თანხმობას აცხადებს, ხოლო მისი კანონიერი წარმომადგენელი/საპროცესო წარმომადგენელი – უარს, გადაწყვეტილება მიიღება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად;

ლ) მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მოძალადის მიახლოების აკრძალვის შესახებ;

მ) სხვა საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განსახორციელებლად.

9. მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოცხადებისთანავე. ეს გადაწყვეტილება დგება რამდენიმე ეგზემპლარად, რომელთაგან 1 რჩება სასამართლოში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები ამ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში ეგზავნება:

- ა) მოძალადეს;
- ბ) მსხვერპლს;
- გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს;

ე) ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამომცემ ორგანოს;

ვ) მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, თუ საკითხი არასრულწლოვან მსხვერპლს ეხება.

10. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის 26-ე პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომიდან 24 საათის განმავლობაში პოლიცია ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების გაუქმების მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამომცემის ადგილის მიხედვით. სასამართლო ამ მიმართვის წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს აღნიშნულ საკითხს და ამ მუხლის მე-4, მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესების დაკვირვებით იღებს გადაწყვეტილებას ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების გაუქმების ან ძალაში დატოვების შესახებ.

საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6759 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.

მუხლი 21⁶⁷. მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

ამ კოდექსის 21⁶⁶ მუხლით განსაზღვრული, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის მოქმედებას. აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში, ამ მუხლით დადგენილი წესით იღებს სააპელაციო სასამართლო. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. *საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6759 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.*

თავი VII⁸. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებასთან დაკავშირებით

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 21⁶⁸. მოსამართლის ბრძანება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ ბრძანებას ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. *საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.*

მუხლი 21⁶⁹. სააგენტოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ

1. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ სააგენტოს შუამდგომლობა მოსამართლეს წარედგინება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების დაწყებამდე.

2. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ სააგენტოს შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისათვის საკმარის საფუძველს და მისი გამოყენების საჭიროების დასაბუთებას. სააგენტოს შუამდგომლობაში მიეთითება იმ ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების თაობაზე ზუსტი მონაცემები, რომელიც/რომლებიც უნდა შემოწმდეს/შემოწმდნენ, შემოწმების ვადა, ხასიათი და ფარგლები.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 21⁷⁰. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების საკითხის გადაწყვეტის წესი

1. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს (ბრძანებას გამოსცემს) ამ შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის განმავლობაში.

2. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე, იმ ეკონომიკური აგენტისათვის/ეკონომიკური აგენტებისათვის შეუტყობინებლად, რომლის/რომელთა ადგილზე შემოწმებასაც ითხოვს სააგენტო.

3. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანებაში აღნიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) განკარგულება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ, შესაბამისი დასაბუთება და იმ ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც/რომლებიც შემოწმდება/შემოწმდებიან;

გ) ბრძანების მოქმედებისა და ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების ვადა;

დ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

4. თუ მოსამართლე არ ეთანხმება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებას, ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანებაში აღნიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) განკარგულება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისი დასაბუთება და იმ ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების თაობაზე ინფორმაცია, რომლის/რომელთა ადგილზე შემოწმებაზედაც უარი ითქვა;

გ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

5. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი რჩება სასამართლოში, ხოლო ორი გადაეცემა (ეგზავნება) სააგენტოს. სააგენტო ერთ ეგზემპლარს წარუდგენს (გადასცემს) ეკონომიკურ აგენტს/ეკონომიკურ აგენტებს ადგილზე შემოწმების დაწყებამდე.

6. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა (ეგზავნება) სააგენტოს, მეორე – ეკონომიკურ აგენტს/ეკონომიკურ აგენტებს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

7. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადაა არაუმეტეს 1 კვირისა. თუ ეს ვადა აღნიშნული

შემოწმებისთვის საკმარისი არ იქნება, დასაშვებია, იგი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების ვადის გაგრძელების შესახებ სააგენტოს მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე არაუმეტეს 1 თვით გაგრძელდეს. სააგენტოს შუამდგომლობაში მიეთითება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შედეგად მოპოვებული მონაცემები და მიზეზი, რომლის გამოც ვერ მოხერხდა საქმის მოკვლევისათვის საკმარისი მონაცემების მოპოვება. სააგენტოს შუამდგომლობა განიხილება ამ მუხლით დადგენილი წესით.

8. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ/ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანება საჯაროდ არ ცხადდება.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 21⁷¹. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ/ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების წესი

1. ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანება სააგენტომ შეიძლება მისთვის ბრძანების ეგზეკუტორის გადაცემიდან (გაგზავნიდან) 48 საათის განმავლობაში გასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების გამომცემ სასამართლოში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ, ეკონომიკური აგენტისათვის/ეკონომიკური აგენტებისათვის შეუტყობინებლად უგზავნის სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვისათვის დადგენილი წესით.

2. ეკონომიკურმა აგენტმა/ეკონომიკურმა აგენტებმა შეიძლება ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანება მისთვის/მათთვის ბრძანების ეგზეკუტორის წარდგენიდან (გადაცემიდან) 48 საათის განმავლობაში გასაჩივროს/გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში. მოსამართლის ბრძანების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარში უნდა აღნიშნოს ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების დაწყებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არარსებობის შესახებ. საჩივარი შეიტანება აღნიშნული ბრძანების გამომცემ სასამართლოში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს და ამის შესახებ ატყობინებს მხარეებს. სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს შეტანიდან 72 საათის განმავლობაში, ზეპირი მოსმენის გარეშე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება და მხარეებს მათი მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა.

3. სააპელაციო სასამართლოს მიერ ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმების შესახებ/ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

თავი VII⁹. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 21⁷². მოსამართლის ბრძანება ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ ბრძანებას შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 21⁷³. სააგენტოს შუამდგომლობა შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ

1. სააგენტო უფლებამოსილია სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ, თუ სააგენტომ მას ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა მოსთხოვა და ეს ინფორმაცია/დოკუმენტაცია განსაზღვრულ ვადაში არ იქნა წარდგენილი.

2. შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ სააგენტოს შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას. სააგენტოს შუამდგომლობაში მიეთითება იმ ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის თაობაზე ზუსტი მონაცემები, რომლისგანაც სააგენტო ითხოვს ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენას, და მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შინაარსი.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 21⁷⁴. ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ მოსამართლის ბრძანების გამოცემისა და გასაჩივრების წესები

1. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ ბრძანებას შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ამ შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის განმავლობაში.

2. მოსამართლე შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე.

3. შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ სააგენტოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. სააგენტოს შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ ბრძანებაში აღნიშნება:

- ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ) ეკონომიკური აგენტი/მხარე/დაინტერესებული მხარე, რომელმაც სააგენტოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია უნდა წარუდგინოს;
- გ) ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის ფორმა და ვადა;
- დ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;
- ე) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

5. სააგენტოს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბრძანებაში აღნიშნება:

- ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და შესაბამისი დასაბუთება;
- გ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

6. ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა (ეგზავნება) სააგენტოს, მეორე – ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

7. ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტიდან. ამ ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.

8. ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან (გაგზავნიდან) 48 საათის ვადაში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს.

9. სააპელაციო სასამართლო ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარს განიხილავს შეტანიდან 72 საათის განმავლობაში, ზეპირი მოსმენის გარეშე.

10. სააპელაციო სასამართლოს მიერ ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

თავი VII⁰. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 21⁵. მოსამართლის გადაწყვეტილება ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების შესახებ

„ეკონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას ეკონომიკური აგენტის

გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების შესახებ გადაწყვეტილებას ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 21⁶. სააგენტოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების

დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების თაობაზე

ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისათვის საკმარის საფუძველს და მისი გამოყენების საჭიროების დასაბუთებას. სააგენტოს შუამდგომლობაში მიეთითება ეკონომიკური აგენტის თაობაზე ზუსტი მონაცემები და მისი იმ ქმედების შინაარსი, რომლის დროებით შერჩერებასაც ითხოვს სააგენტო.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 21⁷. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით შერჩერების საკითხის

გადაწყვეტის წესი

1. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს წარდგენიდან 1 თვის განმავლობაში.

2. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით, რის შესახებაც ამ შუამდგომლობის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 დღისა ატყობინებს აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტს და მას საქმის მასალებს უგზავნის. მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს სააგენტოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

3. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის გადაწყვეტილება მიიღება ბრძანების ფორმით.

4. სააგენტოს შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაბამის ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) ინფორმაცია ეკონომიკური აგენტისა და მისი იმ ქმედების თაობაზე, რომელიც შერჩერდება;

გ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;

დ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

5. სააგენტოს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში შესაბამის ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და შესაბამისი დასაბუთება;

გ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

6. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა (ეგზავნება) სააგენტოს, მეორე – ეკონომიკურ აგენტს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 21⁷⁸. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების წესი

1. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანება შეიძლება ერთხელ გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში. ამ ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.

2. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან (გაგზავნიდან) 5 დღის ვადაში.

3. მოსამართლე ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს. საჩივრისა და თანდართული საქმის მასალების ასლები მეორე მხარესაც ეგზავნება.

4. სააპელაციო სასამართლო ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარს განიხილავს შეტანიდან 14 დღის განმავლობაში, ამ კოდექსის 21⁷⁷ მუხლით დადგენილი წესით.

5. სააპელაციო სასამართლოს მიერ ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერების შესახებ/ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შერჩერებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

თავი VII²¹. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის გაუქმებისა და ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის საკითხებთან დაკავშირებით

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 21⁷⁹. მოსამართლის გადაწყვეტილება თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-9 პუნქტით ან 11¹ მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ სააგენტოს ან ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს (ამ თავის მიზნებისათვის, ორივე ერთად და თითოეული ცალკე, შემდგომ – უფლებამოსილი ორგანო) შუამდგომლობის საფუძველზე იღებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

მუხლი 21⁸⁰. უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობა თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ

1. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს შესაბამისი ღონისძიების გამოყენებისათვის საკმარის საფუძველს და სათანადო დასაბუთებას. შუამდგომლობაში მიეთითება კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკური აგენტების თაობაზე ზუსტი მონაცემები.

2. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობას უნდა დაერთოს უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილება და საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის საჭირო სხვა ინფორმაცია. *საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.*

მუხლი 21⁸¹. კონცენტრაციის გაუქმების საკითხის გადაწყვეტის წესი

1. მოსამართლე კონცენტრაციის გაუქმების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ შუამდგომლობის წარდგენიდან 3 თვის ვადაში.

2. მოსამართლე თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით, რის თაობაზედაც შუამდგომლობის წარდგენიდან არაუგვიანეს 7 დღისა ატყობინებს კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს და მათ საქმის მასალებს გადასცემს (უგზავნის). მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

3. კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკური აგენტები უფლებამოსილი არიან მათთვის საქმის მასალების გადაცემიდან (გაგზავნიდან) არაუგვიანეს 10 დღისა სასამართლოს წერილობით წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებები.

4. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობის განხილვის შედეგად მოსამართლე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ;
- ბ) თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ.

5. მოსამართლე თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ/თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის

გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბრძანების ფორმით. ამ ბრძანებაში აღნიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) განკარგულება კონცენტრაციის გაუქმების შესახებ ან განკარგულება კონცენტრაციის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისი ვადები და განსახორციელებელი ღონისძიებები;

გ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

6. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ/თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის ბრძანების ერთი ეგზემპლარი რჩება სასამართლოში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცემა (ეგზავნება) კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს (მხარეებს) და უფლებამოსილ ორგანოს.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 21⁸². თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების წესი

1. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტიდან. ამ ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.

2. თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარეებისათვის ბრძანების ეგზემპლარების გადაცემიდან (გაგზავნიდან) 5 დღის ვადაში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს.

3. სააპელაციო სასამართლო თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარს განიხილავს შეტანიდან 1 თვის ვადაში, ამ კოდექსის 21⁸¹ მუხლით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვისათვის დადგენილი წესით.

4. სააპელაციო სასამართლოს მიერ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 21⁸³. მოსამართლის ბრძანება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს (ბრძანებას გამოსცემს) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 21⁸⁴. უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის შესახებ

1. ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილების მიღებისათვის (ბრძანების გამომცემისათვის) საკმარის საფუძველს და სათანადო დასაბუთებას. უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობაში მიეთითება იმ ეკონომიკური აგენტის თაობაზე ზუსტი მონაცემები, რომლის იძულებით დაყოფასაც ითხოვს უფლებამოსილი ორგანო.

2. უფლებამოსილი ორგანოს შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

ა) დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის არაერთგზის დარღვევის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები;

ბ) ინფორმაცია ეკონომიკური აგენტის დაყოფის (საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების) შესაძლებლობის შესახებ;

გ) საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის საჭირო სხვა ინფორმაცია.

3. სასამართლოს მიერ ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის საკითხის განხილვაზე ვრცელდება ამ კოდექსის 21⁷⁹-21⁸² მუხლებით დადგენილი წესები.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 – ვებგვერდი, 21.09.2020წ.

თავი VIII. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში
მუხლი 22. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

4. (ამოღებულია).

5. (ამოღებულია).

6. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში არ დაიშვება შეგებებული სარჩელის წარდგენა.

საქართველოს 2000 წლის 24 თებერვლის კანონი №169 - სსმI, №7, 08.03.2000წ., მუხ.10

საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონი №3391 - სსმI, №6, 09.03.2004წ., მუხ.28

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4259 - სსმI, №51, 31.12.2006წ., მუხ.419

საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი №5198 - სსმI, №28, 18.07.2007წ., მუხ.285

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

მუხლი 23. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის აღძვრის შემთხვევაში არ დაიშვება შეგებებული სარჩელის წარდგენა.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

მუხლი 24. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე

1. სარჩელი შეიძლება აღიძვრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

2. სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

მუხლი 25. აღიარებითი სარჩელი

1. აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძვრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი.

2. აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძვრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძვრას სარჩელი ამ კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

მუხლი 25¹. სახელშეკრულებო დავები

1. სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტა ხდება საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით.

2. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

3. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს. *საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244*

საქართველოს 2009 წლის 26 ივნისის კანონი №1346 - სსმI, №13, 02.07.2009წ., მუხ.68

მუხლი 26. სარჩელის წარდგენა განსჯად სასამართლოში

1. სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

2. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

3. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. *საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244*

მუხლი 26¹. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

1. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის დებულებები.

2. (ამოღებულია).

3. სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაკატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში

არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ორივე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს.

საქართველოს 2000 წლის 24 თებერვლის კანონი №169 - სსმI, №7, 08.03.2000წ., მუხ.10
საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის კანონი №932 - სსმI, №41, 30.12.2004წ., მუხ.208
საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1174-სსმI, №13, 12.04.2005წ., მუხ.88
საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

მუხლი 26². განმწესრიგებელი სხდომა

1. სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს. თუ დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა საეჭვოა ან მოსამართლე მიიჩნევს, რომ სარჩელი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, სასამართლო სარჩელის მიღებიდან 2 კვირის ვადაში ნიშნავს განმწესრიგებელ სხდომას. მხარეთა გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საკითხის განხილვას.

2. სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო აღნიშნული საფუძველით წყვეტს საქმის წარმოებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში კერძო საჩივრით გასაჩივრებას ექვემდებარება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და სარჩელის დაუშვებლად ცნობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებები.

4. სააპელაციო სასამართლო კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და განჩინების გაუქმების შემთხვევაში საქმეს განსახილველად უბრუნებს განსჯად სასამართლოს.

5. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველების გამოვლენისას სასამართლო იღებს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებას, რომელიც საჩივრდება კერძო საჩივრით.

6. საქმის საკასაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველების გამოვლენისას სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება, რომელიც არ საჩივრდება.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244
საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

მუხლი 27. გამართლებული სამართალწარმოება

სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დაუსწრებლად.

მუხლი 27¹. პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საკითხების განხილვის წესი

1. პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილით ან 43-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული საჩივრის განხილვის შედეგად სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) ძალაში დატოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს (შემდგომ – ადგილობრივი საბჭო) გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადადღე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ ან მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ;

ბ) სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ადგილობრივი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება და დაავალოს მას სათანადო გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა;

გ) ბათილად ცნოს ადგილობრივი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება და დაავალოს მას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ ან მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო უფლებამოსილია მსჯავრდებული შეაფასოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული გარემოებების შესაბამისად – სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში, ხოლო 43-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული გარემოებების შესაბამისად – სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შემთხვევაში.

3. პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილითა და 43-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ საკითხებს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო ადგილობრივი საბჭოს ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო პატიმრობის კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 90-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს – პირველი ინსტანციის სასამართლო პენიტენციური დაწესებულების ადგილსამყოფლის მიხედვით.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დაადგინოს სასამართლო განხილვაში ამავე მხარის დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მონაწილეობა.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილება აღსარულებლად მიექცევა მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

საქართველოს 2012 წლის 5 ივნისის კანონი №6392 - ვებგვერდი, 19.06.2012წ.

საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი №950 - ვებგვერდი, 20.06.2017წ.

საქართველოს 2019 წლის 29 ნოემბრის კანონი №5407 - ვებგვერდი, 10.12.2019წ.

მუხლი 28. დაქარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება

1. სასამართლოს (მოსამართლეს) შეუძლია მხარის მოთხოვნით მიიღოს

გადაწყვეტილება საქმის დაქარებული წესით განხილვის შესახებ.

2. დაქარებული წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო უფლებამოსილია:

ა) შეამოკლოს მოპასუხის მიერ თავისი პასუხის (შესაგებლის) ან შეგებებული სარჩელის წარდგენის ვადა;

ბ) მესამე პირს არ განუსაზღვროს ვადა სარჩელზე საკუთარი მოსაზრების წარდგენისათვის;

გ) არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა;

დ) შეუმოკლოს მხარეებს ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

მუხლი 28¹. მოქმედება, რომელსაც ასრულებს მოსამართლე პროცესის დაქარების მიზნით

სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმ, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

მუხლი 29. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება

1. სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან;

ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას;

გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა;

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით.

3. მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს ხდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას, გარდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებას ან კომერციული ბანკის დეპოზიტართა კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს ან/და კომერციული ბანკის ან ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა.

4. მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება, თუ არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან (არსებით) ზიანთან ან ზღუდავს მხარის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ მხარის შუამდგომლობა შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღძვრამდე.

6. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სამი დღის ვადაში და ერთი დღის ვადაში უგზავნის მხარეებს.

7. თუ შეჩერებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

8. ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

9. სასამართლო განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5656 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

მუხლი 30. განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ

სასამართლოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის შეჩერების თაობაზე ძალას კარგავს:

- ა) მოცემულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას;
- ბ) სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულების შემთხვევაში.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

მუხლი 30¹. განჩინება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლოს შეუძლია სარჩელის აღძვრისას მხარის შუამდგომლობით შეაჩეროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ამ აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულებით პირს მიადგება არსებითი ზიანი ან შეუძლებელი გახდება პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა.

2. ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

3. სასამართლო განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი.

საქართველოს 2000 წლის 24 თებერვლის კანონი №169 - სსმI, №7, 08.03.2000წ., მუხ.10

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

მუხლი 31. დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ

1. განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძველების გამო.

2. დროებით განჩინებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ასეთ სასამართლოს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო როდესაც დავა იხილება სააპელაციო ინსტანციაში – სააპელაციო სასამართლო.

საქართველოს 2000 წლის 24 თებერვლის კანონი №169 - სსმI, №7, 08.03.2000წ., მუხ.10

მუხლი 32. სასამართლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით

1. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

2. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებული იყო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარის შუამდგომლობით სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს აღსრულების გაუქმების წესის შესახებ.

3. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, მხარის კანონიერი ინტერესის არსებობისა და მისი მოთხოვნით, ბათილად ცნოს ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

4. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

4¹. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო უფლებამოსილებების განხორციელების ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში აღნიშნული აქტის ბათილად ცნობამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა დაუშვებელია, თუ ამ მდგომარეობის აღდგენამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას. აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლომ საქართველოს ეროვნულ ბანკს შეიძლება დააკისროს მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურება.

5. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს სავალდებულო ძალა. თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ანდა გამოიწვევს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, ან საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტის, მათ შორის, კომერციული ბანკის რეზოლუციის პროცესში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ბათილად გამოცხადებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას ან/და კომერციული ბანკის დეპოზიტართა კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს, სასამართლო უფლებამოსილია ამ ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტი ბათილად გამოცხადების ნაცვლად ძალადაკარგულად გამოაცხადოს.

6. სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს იმავე წესით, რა წესითაც იყო გამოქვეყნებული ნორმატიული აქტი. გამოქვეყნება ხორციელდება ნორმატიული აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ხარჯით.

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის კანონი №1692 - სსმI, №29, 12.10.2009წ., მუხ.175

საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5656 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6881 – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 33. სასამართლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით

1. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამომცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მხარის მოთხოვნით სასამართლო ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემის ვადას.

2. სასამართლო უფლებამოსილია თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემას და არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას, ამასთანავე, საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. სასამართლოს მიერ გამოტანილ ამ გადაწყვეტილებაზე არ ვრცელდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი წესი. *საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244*

მუხლი 33¹. სასამართლოს გადაწყვეტილება მოქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით

თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განხორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

თავი IX. აპელაცია და კასაცია, საქმის წარმოების განახლება

საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3046 - სსმI, №24, 10.05.2010წ., მუხ.165

მუხლი 34. სააპელაციო დასაკასაციო საჩივრების დასაშვებობა

1. სააპელაციო და საკასაციო საჩივრები ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დასაშვებია, მიუხედავად სარჩელის ფასისა. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლისა და 391-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები.

1¹. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს შემდეგი საქმეები:

ა) სააპელაციო საჩივრები, რომლებიც შეტანილია შემდეგ საქმეებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე:

ა.ა) ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დავები;

ა.ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული დავა;

- ა.გ) საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებული დავა;
 - ა.დ) საცხოვრებელი ბინის პრივატიზებასთან დაკავშირებული დავა;
 - ა.ე) ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა;
 - ა.ვ) სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე დავა;
 - ა.ზ) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე სააღსრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავა;
 - ა.თ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების შესახებ დავა;
 - ა.ი) „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავა;
 - ბ) კერძო საჩივრები;
 - გ) საჩივრები/სააპელაციო საჩივრები ამ კოდექსის VII¹ და VII³-VII⁴ თავებით გათვალისწინებულ დავებზე;
 - დ) საჩივრები/სააპელაციო საჩივრები ამ კოდექსის VII⁸-VII¹ თავებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალწარმოებებით განსაზღვრულ დავებზე.
12. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე, თუ:
- ა) სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და მასში მოთხოვნილია გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმება;
 - ბ) აშკარაა, რომ სახეზეა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით (გარდა აღნიშნული მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტებისა) განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები;
 - გ) მოპასუხემ ცნო სარჩელი.
13. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს. სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თარიღის შესახებ.
2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით საქმეში ჩაბმულმა მესამე პირებმა შეიძლება კანონით დადგენილ ვადებში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ:
- ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
 - ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;
 - გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;
 - დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეემლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

3¹. ამ მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დასაშვებობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

4. ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 6 თვე.

5. თუ საკასაციო სასამართლო საკონსულტაციო დასკვნისათვის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართავს, საკონსულტაციო დასკვნის მიღებამდე ამ მუხლის 3¹ და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ვადების დინება ჩერდება.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის კანონი №2262 - სსმI, №41, 08.12.2009წ., მუხ.306

საქართველოს 2011 წლის 5 მაისის კანონი №4646 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.

საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი №5666 - ვებგვერდი, 12.01.2012წ.

საქართველოს 2015 წლის 29 მაისის კანონი №3667 - ვებგვერდი, 05.06.2015წ.

საქართველოს 2016 წლის 27 აპრილის კანონი № 5013 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

საქართველოს 2017 წლის 8 თებერვლის კანონი № 258 - ვებგვერდი, 13.02.2017წ.

საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონი №2036 - ვებგვერდი, 29.03.2018წ.

საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7127 - ვებგვერდი, 21.09.2020წ.

მუხლი 34¹. საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში

1. საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები მხოლოდ იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რა საფუძველითაც დაუშვა საჩივარი საკასაციო სასამართლოში.

2. საკასაციო სასამართლოში ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები შეიძლება ჩაეხილნენ მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს.

საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5670 - სსმI, №1, 03.01.2008წ., მუხ.2

მუხლი 34². ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების დაუშვებლობა

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა არ გამოიყენება. *საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი №3046 - სსმI, №24, 10.05.2010წ., მუხ.165*

თავი IX¹. გარდამავალი დებულებანი

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

მუხლი 35

1. ამ კანონის ამოქმედებამდე საერთო სასამართლოების წარმოებაში არსებული ადმინისტრაციული გარიგების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განხილული და გადაწყვეტილი იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

2. ამ კანონით გათვალისწინებულ სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას 2005 წლის 1 ნოემბრამდე ახორციელებენ საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები.

3. საოლქო სასამართლოსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ 2005 წლის 15 ივლისამდე წარმოებაში მიღებული საქმეები, რომელთა განხილვა წარმოადგენს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს უფლებამოსილებას, გადაეცემა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

4. 2005 წლის 1 ნოემბრამდე დარეგისტრირებული საკასაციო საჩივრების განხილვაზე არ ვრცელდება ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოქმედება.

5. 2008 წლის 1 იანვრამდე შეტანილი სააპელაციო საჩივარი შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ შემდეგ საქმეებზე:

- ა) ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე;
- ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე;
- გ) საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებულ დავაზე;
- დ) საცხოვრებელი ბინის პრივატიზებასთან დაკავშირებულ დავაზე;
- ე) ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავაზე საიჯარო ურთიერთობის თაობაზე;
- ვ) სამშენებლო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავაზე;
- ზ) კერძო საჩივარზე;
- თ) ამ კოდექსის 21²³ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ საქმეებზე დაწყებულ სააპელაციო წარმოებას ერთპიროვნულად აგრძელებს სააპელაციო (საოლქო) სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ის მოსამართლე, რომელიც გამწესებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონი №1800 - სსმI, №37, 14.07.2005წ., მუხ.244

საქართველოს 2005 წლის 25 ნოემბრის კანონი №2133 - სსმI, №53, 19.12.2005წ., მუხ.352

საქართველოს 2006 წლის 23 ივნისის კანონი №3389 - სსმI, №26, 14.07.2006წ., მუხ.211

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4307 - სსმI, №51, 31.12.2006წ., მუხ.449

საქართველოს 2007 წლის 11 ივნისის კანონი №5281 - სსმI, №30, 30.07.2007წ., მუხ.345

მუხლი 35¹. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება

თუ ამ კოდექსის VI² თავის შესაბამისად, მხარის მიმართ გამოტანილია სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მხარეს უფლება აქვს, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივროს სააპელაციო (საკასაციო) ინსტანციაში. ამ დებულების მოქმედება ვრცელდება ამ კოდექსის VI² თავის ამოქმედების მომენტიდან გამოტანილ ყველა სასამართლო გადაწყვეტილებაზე. *საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4214 - სსმI, №51, 31.12.2006წ., მუხ.442*

მუხლი 35². სასამართლოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის

იურიდიული პირის მიერ მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-

სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით შეტანილ სარჩელზე საქმის წარმოების წესი

სასამართლოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით 2015 წლის 1 ოქტომბრამდე შეტანილ სარჩელზე, რომელზედაც საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, საქმის წარმოება დასრულდეს საერთო სასარჩელო წესით. *საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3978 - ვებგვერდი, 20.07.2015წ.*

**მუხლი 35³. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტის გადაწყვეტილების
საფუძველზე კომპენსაციის გაცემის წესი**

1. პირი, რომლის მიმართაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ან ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა ამ კოდექსის VII⁴ თავის ამოქმედებამდე მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გადახდის თაობაზე, უფლებამოსილია აღნიშნული კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე ფულადი კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს ამ კოდექსის VII⁴ თავით დადგენილი წესით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირმა სასამართლოს უნდა მიმართოს ამ კოდექსის VII⁴ თავის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში.

საქართველოს 2016 წლის 27 აპრილის კანონი № 5013 - ვებგვერდი, 13.05.2016წ.

**მუხლი 35⁴. მოსამართლის დადგენილება იურიდიული პირისათვის ფულადი
ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების
აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე**

1. „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ევროკავშირის პროგრამაში „ჰორიზონტი 2020 – კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა (2014–2020)“ საქართველოს მონაწილეობის შესახებ“ შეთანხმების ფარგლებში და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გამოსცემს დადგენილებას იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე.

2. საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ორგანო თავის შუამდგომლობაში უთითებს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ევროკომისიის გადაწყვეტილებაში აღნიშნული იურიდიული პირის, მისთვის დაკისრებული ფულადი ვალდებულების ოდენობის და ამ იურიდიული პირის ქონების შესახებ მონაცემებს (ევროკომისიის გადაწყვეტილებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. მოსამართლე საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ორგანოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე, რის თაობაზედაც ამ შუამდგომლობის მიღებიდან არაუგვიანეს 48 საათისა ატყობინებს შუამდგომლობაში მითითებულ იურიდიულ პირს და უგზავნის მას შესაბამის საქმის მასალებს.

4. მოსამართლე საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ორგანოს შუამდგომლობის წარდგენიდან 10 დღის ვადაში გამოსცემს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დადგენილებას.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოსამართლის დადგენილებაში აღნიშნება:

- ა) დადგენილების შედგენის თარიღი და ადგილი;
- ბ) მოსამართლის გვარი;
- გ) მონაცემები შუამდგომლობის ავტორის შესახებ;
- დ) იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე;
- ე) მონაცემები იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილებაში აღნიშნული იურიდიული პირის შესახებ;
- ვ) იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილებით იურიდიული პირისათვის დაკისრებული ფულადი ვალდებულების ოდენობა;

ზ) მონაცემები იურიდიული პირის ქონების შესახებ (ევროკომისიის გადაწყვეტილებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) დადგენილების გასაჩივრების წესი;

ი) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

6. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოსამართლის დადგენილება დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სასამართლოში, მეორე ეგზავნება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ორგანოს, ხოლო მესამე – საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ორგანოს შუამდგომლობაში მითითებულ იურიდიულ პირს. თუ მოსამართლის დადგენილების აღნიშნული იურიდიული პირისათვის გადაცემა ვერ ხერხდება, იგი ქვეყნდება საჯაროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნებიდან მესამე დღეს.

საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №381 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.

მუხლი 355. იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ

ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილების ძალაში შესვლა და გასაჩივრება

1. იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე. ამ დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

2. იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილების გამოცემისას საპროცესო დარღვევების შემთხვევაში ამ დადგენილების გაუქმების შესახებ საჩივარი შეიტანება მის გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის დადგენილების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში, ხოლო თუ აღნიშნული დადგენილების მხარისათვის გადაცემა ვერ ხერხდება – მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში. დადგენილების გამომცემი მოსამართლე საჩივარს შესაბამის საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საჩივარს სააპელაციო ინსტანციის სასამართლო განიხილავს მისი შეტანიდან 15 დღის ვადაში.

4. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №381 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.

მუხლი 356. იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ

ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილების გაუქმება ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსრულების შეწყვეტის საფუძველზე

1. იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილების გაუქმების საფუძველია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსრულების შეწყვეტის შესახებ.

2. საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ორგანო ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილების ოფიციალურად გაცნობიდან 1 თვის ვადაში მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილების გაუქმების მოთხოვნით.

3. იურიდიული პირისათვის ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე მოსამართლის დადგენილების გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე იღებს ამ კოდექსის 35⁴ მუხლით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით.

საქართველოს 2017 წლის 10 მარტის კანონი №381 - ვებგვერდი, 22.03.2017წ.

თავი X. დასკვნითი დებულება

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4214 - სსმI, №51, 31.12.2006წ., მუხ.442

მუხლი 36. კოდექსის ამოქმედება

ეს კოდექსი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4214 - სსმI, №51, 31.12.2006წ., მუხ.442

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,

1999 წლის 23 ივლისი.

№2352_რს

ტესტირება და სასამართლო პრაქტიკის კრებული
საქართველოს ადვინისტრაციულ სამართალში

2022